136
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

1

იანვარი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

F 1097

წელიწადი ოცდამეხუთე

1

იანვარი

★

თბილისი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

★

ძეოთხედი საუკუნე გვაშორებს იანვრის იმ სამწუხარო დღიდან, როდესაც შეწყდა ყველა დროისა და ხალხის უდიდესი გენიის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გულისძგერა.

ლენინის სახელი — ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის სახელი ყოველთვის ცოცხლობს და იცოცხლებს მილიონთა გულში. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ახალი ერა კაცობრიობის ცხოვრებაში. ლენინის სახელსა და საქმიანობას უკავშირებენ მსოფლიოს ხალხები თავიანთ წარმოდგენას ადამიანის კეთილშობილების, სამართლიანობის, ღირსების, ინტელექტუალური ძლიერებისა და ზნეობრივი სილამაზის უმაღლესი გამოვლენის შესახებ.

ლენინი უკვდავია, რადგან უკვდავია მისი საქმე, უკვდავნი არიან მისი იდეები, მისი მოძღვრება, რომლებიც გვინათებენ გზას კომუნიზმისაკენ.

„ყველაფერმა, რაც გააჩნია პროლეტარიატს ჭეშმარიტად დიადი და გმირული—უშიშარი გონება, შეუდრეკელი, მედგარი, ყოვლისდამძლევი ნებისყოფა, წმინდათაწმინდა სიძულვილი, სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილი მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციური აღტყინება, რომელიც შეძრავს მთავორებს, მასების შემოქმედებითი ძალებისადმი უსაზღვრო რწმენა, უზარმაზარი ორგანიზაციული გენია,—ყველაფერმა ამან თავისი საუცხოო განხორციელება პოვეს ლენინში, რომლის სახელი ახალი სამყაროს სიმბოლო გახდა დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე“,—ასე სწერდა 25 წლის წინათ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში ყველა მშრომელთადმი ვლადიმერ ილიჩის გარდაცვალების გამო.

მეცნიერების კორიფეებისა და მსოფლიოს დიად გარდამქმნელთა შორის ლენინს ერთერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. ლენინმა გააერთიანა თავის თავში მოაზროვნის, რევოლუციონერისა და სახალხო ბელადის ყველაზე საუკეთესო მხარეები. მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ტიტანური ჭკუა, მთელი თავისი ცოდნა და ძალღონე მან შესწირა ექსპლოატაციის უღლისაგან მშრომელი კაცობრიობის გათავისუფლებას.

ლენინმა ბრძოლა გამოუცხადა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მთელ სამყაროს და სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის დიად ბრძოლას სოციალიზმისათვის. აღსასრული დაედვა საუკუნოებით განმტკიცებულ წესწყობილებას, როცა ერთნი ყვლეფდნენ მეორეს, ბატონები ჩაგრავდნენ მონებს, შეძლებულნი განაგებდნენ ღარიბთა ბედღბალს. გენიალური ლენინის მიერ გამოზრდილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენს

ქვეყანაში მთლიანად დაემხო მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება და აიგო ახალი საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც დასაბამი დაუდვა განთავისუფლებულ ხალხთა ძლევამოსილ მსვლელობას კომუნიზმისაკენ.

ლენინის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ამ გამარჯვებამ იმედი შთაუნერგა მთელი ქვეყნის მშრომელებსა და ჩაგრულებს.

„ლენინის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს,— ამბობდა ამხანაგი სტალინი 1924 წლის 28 იანვარს საბჭოების მეორე საკავშირო ყრილობაზე,—რომ მან, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა არ არის ხანგრძლივი, რომ შრომის სამეფო შ ე ი ძ ლ ე ბ ა დამყარებული იქნას თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მ ი წ ა ზ ე და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედით აანთო მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების გული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელთა დ აექსპლოატირებულთა მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა“.

ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია, რომ ის ხრწნადი, მომაკვდავი კაპიტალიზმია, რომ იმპერიალიზმი არის სოციალისტური რევოლუციის წინადღე. ლენინის ეს გენიალური დებულება დადასტურდა კაპიტალიზმის განვითარების მთელი მსვლელობით უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე. პირველი მსოფლიო ომისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ თავი დააღწია კაპიტალისტურ სისტემას. მეორე მსოფლიო ომის შედეგად კიდევ უფრო მეტად შეირყნენ კაპიტალიზმის საფუძვლები, და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში დამყარდა სახალხო დემოკრატიის წყობილება. გამოიყენეს რა საბჭოთა კავშირის გამოცდილება, ეს ქვეყნები დაადგნენ სოციალიზმისაკენ მიმავალ განვითარების გზას, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში იზრდება და ფართოვდება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. კომუნიზმის იდეები სულ უფროდაუფრო ღრმად იჭრებიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა მასებში. ლენინის რევოლუციური მოძღვრება ყოველწლიურად სულ უფროდაუფრო ღრმა გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელს მსვლელობაზე.

ლენინის დიადი ყოვლისდამძლევი მოძღვრებით აფრთოვანებული მთელი ქვეყნის მშრომელთა მილიონები იბრძვიან საძულველი იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური მონობის წინააღმდეგ, რომელიც არგუნა მათ კაპიტალისტურმა წყობილებამ. საერთაშორისო ბურჟუაზიული რეაქციის ბნელი ძალების წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ამ ბრძოლაში მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები მძლავრ მორალურ მხარდაჭერას პოულობენ ლენინისა და სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ და დასაბუთებულ იდეებსა და პრინციპებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუძლეველი ძალა მისი იდეების ჭეშმარიტობასა და სიმართლეშია. ფართო მასები ყოველწლიურად საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმი გადაიქცა რეაქციულ საზოგადოებრივ სისტემად, გახდა კაცობრიობის განვითარების უდიდეს დაბრკოლებად. ყოველწლიურად უფროდაუფრო თვალსაჩინო ხდება კაპიტალიზმის სიდამპლე, ზრდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი წინააღმდეგობებისა, რაც ასუსტებს მას და აუცილებელ დაღუპვისაკენ მიაქანებს.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ სისხლის ღვართქაფით მორწყო მთელი მსოფლიო. და დღესაც კაპიტალისტური მონოპოლიების ავანტურისტული პოლიტიკა მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის. იმპერიალიზმს არ შეუძლია არსებობა, თუ კოლოსალურ განადგურებას არ არგუნებს საზოგადოების მიერ შექმნილ სამრეწველო ძალებს. ის ანადგურებს ცივილიზაციას, ხრწნის კულტურას, მეცნიერებას, შხამავს მას თავისი სიდამპლით. ბურჟუაზია, როგორც მმართველი კლასი, სულ უფროდაუფრო იხლართება საკუთარ ამოუხსნელ წინააღმდეგობათა ბადეში. მან დაგვანახა თავისი პოლიტიკური სიკოტრე, გვიჩვენა, რომ აშკარად აღარ შესწევს უნარი კვლავ მართოს საზოგადოება.

ასი წლის წინათ მარქსმა და ენგელსმა გამოაქვეყნეს სახელგანთქმული „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ — მარქსიზმის ქებათა-ქება, როგორც ეს უწოდა ამ წიგნს ამხანაგმა სტალინმა. „მანიფესტში“ ჩამოყალიბებული იქნა მეცნიერული კომუნიზმის უკვდავი პრინციპები, მოძღვრება, კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობის შესახებ. კომუნიზმის მტრები მრავალჯერ აცხადებდნენ მას მოსპობილად. მაგრამ მარქსისა და ენგელსის მეცნიერული კომუნიზმი, რომელმაც თავისი შემდგომი და ყოველმხრივი განვითარება მიიღო ლენინისა და სტალინის გენიალურ შრომებში, ერთი მეორეზე პოულობს ბრწყინვალე გამარჯვებებს.

მარქსისა და ენგელსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ჩამოყალიბებული კომუნიზმის იდეა ახლა აჩრდილივით როდი დაძრწის ევროპაში, არამედ პრაქტიკულად განხორციელდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, ბოლშევიკების პარტიამ ლენინის საქმის დიდი გამგრძელებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეამჭიდროვა, უმეთაურა და უწინამძღვრა მილიონთა მასებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საბრძოლველად. არნახულად მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენში განხორციელდა კომუნიზმის პირველი ფაზა—სოციალიზმი. ჩვენს ქვეყანაში ამოვიდა მზე ლენინიზმისა — იმ დიადი მოძღვრებისა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და დამონების იმპერიალისტურ სისტემას და გზა გაუხსნა ნამდვილი თავისუფლებისა და სიმართლის საწყისებზე ადამიანთა ცხოვრების გარდაქმნას.

ოცდახუთი წელია ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ჩვენ ულენინოდ, მაგრამ ლენინის ცხოველმყოფელი სული ყოველთვის თავს დაგვტრიალებდა ჩვენ, ლენინის დროშა მუდამ გვიფარავდა ჩვენ.

ლენინი ცხოვრობს მის მიერ შექმნილ ბოლშევიკურ პარტიაში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ეპოქის ჭკუას, ღირსებასა და სინდისს. ლენინიზმის იარაღით შეიარაღებული ლენინ-სტალინის პარტია თავისი პოლიტიკით, თავისი ორგანიზაციული და აღმზრდელობითი საქმიანობით ამჭიდროვებს, აფრთოვანებს და რაზმავს მრავალრიცხოვან საბჭოთა ხალხს ლენინის დიად წინასწარდასახულობათა და ანდერძთა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

უკვე აღარ არსებობს მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი რუსეთი. სსრ კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელმაც უკვე მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ხუთწლედის ბოლოს სამრეწველო პროდუქციის რაოდენობით ადგილი დაიკავა ევროპაში.

უკვე აღარ არსებობს წვრილი და დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი. ჩვენი ქვეყანა დაიფარა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანატრაქტორების სადგურთა ქსელით, რომლებიც შეიარაღებულნი არიან უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და თავიანთ მეურნეობას წარმართავენ სოციალისტური გეგმის მიხედვით. ლენინურ-სტალინური პოლიტიკის თანმიმდევრულმა ჩატარებამ გამოსჭედა საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ სივრცეზე მოსახლე ხალხების ისტორიაში ჯერარნახული მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ურყევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

შიყვება რა ლენინის ანდერძს და ახორციელებს რა ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას, ბოლშევიკების პარტიამ ჩვენი ქვეყანა მოამზადა აქტიური თავდაცვისათვის, მეორე მსოფლიო ომის მძიმე განსაცდელისათვის.

საბჭოთა ხალხმა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოიპოვა მსოფლიო ისტორიული გამარჯვება, დამონებისაგან გადაარჩინა თავისი სამშობლო, ფაშისტ დამბრბევთაგან იხსნა ევროპის ცივილიზაცია.

საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა თავისი ძლევამოსილება, ზეიმი ლენინიზმის იდეებისა, რომელიც გვიჩვენებს გზას ადამიანთა საზოგადოების პროგრესისა და აყვავებისაკენ, მშრომელთა საერთო ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ.

ვერცერთი სხვა სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ისეთ განსაცდელს, რაც გადაიტანა ჩვენმა სოციალისტურმა ქვეყანამ. საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა ამ ომიდან.

გაანადგურა რა გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტები, საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით კვლავ შეუდგა შემოქმედებით შრომას. ლენინის უკვდავი იდეები კვლავინდებურად აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს შრომითი თავდადებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის გიგანტური წარმატებები ახალის ძლიერებით მოწმობენ კაპიტალისტური სისტემის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობას. ააშკარავებენ უპირატესობებს საბჭოთა კავშირისა, რომლის საფუძვლები ჩაყრილი იქნა ლენინის მიერ. ამ წლების განმავლობაში ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ბრძოლისა და მშენებლობის გზა ადასტურებს ლენინიზმის მძლავრ, ცხოველმყოფელ, ყოვლისდამძლევ ძალას.

ხალხთა შეგნებაში ლენინის სახე სამუდამოდ შეუერთდა სახეს სტალინისას, რომელმაც თავისში გაახორციელა ლენინის თვისებები მისი გენიალური სიბრძნე და გამჭრიახობა მისი უბრალოება, თავდაბლობა, ადამიანურობა.

ლენინის გარდაცვალებიდან განვლილი მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში მსოფლიოში პირველი გამარჯვებული მუშათა კლასის ქვეყანა მიემართებოდა წინ სტალინის წინამძღოლობით. მან ლენინის ხელიდან მიიღო სოციალიზმის ბრძოლის დროშა და უზრუნველჰყო სოციალიზმის განხორციელება პრაქტიკაში. მან კიდევ უფრო განავითარა ლენინის მოძღვრება. მან შეიარაღა საბჭოთა ხალხი ლენინის თეორიით თავდაპირველად ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგების შესაძლებლობის შესახებ. ის ამუშავებდა და ამუშავებს კომუნიზმზე გადასვლის თეორიულ გზას და მიჰყავს საბჭოთა ხალხი მის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ. მარქსიზმ-ლენინიზმის მთელი მრავალფერო-

ვანი მეცნიერება, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელია, გამუდმებით მდიდრდება და წინ მიიმართება ... სტალინის მიერ. მან გაანადგურა ყველა ცდა დაემახინჯებინათ ლენინის მოძღვრება და დაიცვა ლენინიზმი მტრების მრავალრიცხოვანი ხროვისაგან.

ლენინის იდეების ძლევამოსილად განხორციელების გზიდან უკუგდებულ იქნენ ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები და სხვა უწმინდურები.

ლენინის გარდაცვალებიდან ყოველი განვლილი წელი ახალის ძლიერებით არწმუნებს მილიონობით ადამიანს ლენინიზმის დიად სიმართლეში. ყოველი ჭეშმარიტების უმაღლესი კრიტერუმი პრაქტიკაა, და ეს პრაქტიკა — ადამიანთა საზოგადოების განვითარება, მილიონობით ადამიანთა გამოცდილება—მეტყველებენ ლენინის მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობასა და როლზე შრომის მთელი სამყაროსათვის, მუშათა კლასის იმ რეჟიმიდან გამოსახსნელად ბრძოლისათვის, რომელიც წარმოშობს იმპერიალისტურ ომებს, ეკონომიურ კრიზისებს, უსაზომო ექსპლოატაციას, სიღატაკეს, უმუშევრობას, შიმშილს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებს ეს გამოცდილება ეუბნება იმას, რომ ლენინიზმის საფუძვლებზე, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მათ ეღირსათ თავის დაღწევა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან, მათ ააგეს სოციალიზმი, დაიცვეს თავიანთი ქვეყანა დამონებისა და გათელვისაგან ფაშიზმთან უსასტიკეს შეტაკებაში, უზრუნველყვეს საბჭოთა ხალხების მშვიდობიანი თავისუფალი ცხოვრება, განახორციელეს კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა საუკუნოებრივი სურვილები ადამიანისაგან ადამიანის დაუჩაგრავად საზოგადოებრივი წყობილების შექმნის შესახებ.

კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს ისტორიული განვითარების გამოცდილება ეუბნება, რომ იქ, სადაც მუშათა კლასი ეუფლება ლენინიზმის იდეებს და მათს საფუძველზე აჩაღებს ბრძოლას ბურჟუაზიისა და მისი აგენტების წინააღმდეგ, იქ იგი ხდება თავისი ბედის ბატონ-პატრონი, იქ საკუთარ ხელში იღებს მთელი საზოგადოების ხელმძღვანელობას და შეუძლია წარმართოს მისი განვითარება მშრომელთა მასებისა და არა ერთი მუჭა ექსპლოატატორების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება აათკეცებს ლენინიზმის იდეათა ძალას. ის არწმუნებს ადამიანებს ძლიერი იარაღით — მათივე ცხოვრების გამოცდილებით—ამ იდეათა სიმართლეში, მათს დიად როლში საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლის დროს.

როცა წარმოიშვა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, იგი იყო ბრძოლისაკენ მომწოდებელი თეორია, თეორია, რომელიც ხსნიდა საზოგადოების განვითარების კანონებს და იძლეოდა სამოქმედო პროგრამას მისი რევოლუციურად გარდაქმნისათვის. ახლა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება უკვე შემოწმებულია პრაქტიკით. იგი განხორციელებულია ცხოვრებაში, იგი ყველა მის მომხრეთა ხელში წარმოადგენს უდიდეს იარაღს სოციალიზმის მტრების, დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კაპიტალისტური სამყარო შეძრწუნებულია მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობებით. ახლოვდება უსასტიკესი ეკონომიური კრიზისი, რომელსაც მოაქვს მასების უმუშევრობა და გაღატაკება. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები აწყობენ ლაშქრობას მშრომელთა უაღრესად ელემენტარული უფლებების წინააღმდეგ იზრდება სიძვირე, ეცემა მშრომელი ხალხის სასიცოცხლო დონე. კაპიტალიზმის ისეთი, ჯერ კიდევ ახლახან წამყვანი ქვეყნები, როგორიცაა

საფრანგეთი, ინგლისი და სხვ. ყოველდღიურად სულ უფროდაუფრო ექცევიან ამერიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებაში. ამ ... ისე როგორც თვით ამერიკაში ომის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე აწვება მშრომელთა მხრებს. აქ იზრდება ინფლიაცია, მცირდება რეალური ხელფასი, სულ უფროდაუფრო ძლიერდება მასების გაღატაკება.

ახასიათებდა რა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმს ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელში წინასწარმეტყველობდა: „ჩვენ ვხედავთ, ინგლისმა და ამერიკამ, — ქვეყნებმა, რომლებსაც ყველაზე უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ დარჩნენ დემოკრატიულ რესპუბლიკებად, თუ როგორ ისე ველურად, უგნურად აიშვეს თავი, როგორც გერმანიამ თავის დროზე, და ამიტომ ისინი ისევე სწრაფად და შეიძლება უფრო სწრაფადაც, უახლოვდებიან იმ აღსასრულს, რომელიც ასე წარმატებით გააკეთა გერმანიის იმპერიალიზმმა. ჯერ იგი უზომოდ გაიბერა ევროპის სამ მეოთხედზე, გასუქდა, შემდეგ კი იქვე გასკდა, დასტოვა რა საშინელი სიმყრალე, და ამ აღსასრულისაკენ მიექანება ახლა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი“.

ჩვენს ქვეყანაში კი საბჭოთა სოციალისტური წყობილება ააშკარავებს ჩვენი სამეურნეო ზრდის სულ უფროდაუფრო ახალ რეზერვებს, სსრ კავშირის საწარმოო ძალთა განვითარების დამაჩქარებელ ტემპთა სულ ახალ და ახალ წყაროებს.

პარტიამ აღზარდა ხალხი კოლექტივიზმის სულისკვეთებით, პირადი და საზოგადოებრივ ინტერესების სწორად შეთავსებით, სოციალისტური ინტერესებისადმი პირადი ინტერესების დამორჩილების უნარით. შოვინიზმის, უნდობლობისა და მტრობის ნაცვლად, რომელსაც აჩაღებს ბურჟუაზია თავისი ქვეყნების ხალხთა შორის, ლენინ-სტალინის პარტიამ საბჭოთა ხალხი აღზარდა ძმობის, თანასწორობის, ყველა ერთა მეგობრობის — ინტერნაციონალიზმის მაღალი და კეთილშობილური შეგნების სულისკვეთებით. საბჭოთა ადამიანები სიძულვილითა და ზიზღით შეცქერიან ანგლო-საქსურ ხალხთა ბატონობის ბარბაროსული რასიული „თეორიის“ მქადაგებლებს, რომელნიც ჰიტლერელთა რასიულ ბოდვებს იმეორებენ.

უკანასკნელ წელთა ამბებმა, რომლებიც არა მარტო სახელმწიფოთა მატერიალური ძალების, არამედ მათი იდეოლოგიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების გამოცდები იყვნენ, თვალსაჩინოდ დაანახვეს მთელს მსოფლიოს, რომ საბჭოთა იდეოლოგიის არცერთი საფუძველი, არცერთი მისი პრინციპი არ ყოფილა შერყეული, მაშინ, როცა ფაშისტურმა იდეოლოგიამ განიცადა დამარცხება და ყველა სხვა რეაქციულ ბურჟუაზიულმა კონცეფციებმა გვიჩვენეს თავიანთი უნიათობა.

ახლა არავის არ შეუძლია უარყოს საბჭოთა იდეოლოგიის გამარჯვება, რადგან ომამდე და ომის დროს წამოყენებული ყველა საკითხის მიხედვით ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა იმ შეფასებათა და პროგნოზების სისწორე, რომელიც მოგვცა ამხანაგმა სტალინმა.

ამხანაგ სტალინის გამოსვლებში მოცემულმა იმ მიზეზთა ანალიზმა, რომელთაც წარმოშვეს მეორე მსოფლიო ომი, მისი განსაკუთრებული ხასიათით, მასში ძალთა განლაგებით, მისი მსვლელობითა და შედეგებით, სრული დასაბუთება მიიღო პრაქტიკაში მთელი მსოფლიოს წინაშე. მთელი მსოფლიოს ხალხები ყურს უგდებდნენ ამხანაგ სტალინის გამოსვლებს და პოულობდნენ მასში მოვლენათა ნამდვილ განმარტებას და ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისაკენ

გზების გახსნას. გასაკვირველი როდია, რომ უკანასკნელ წელთა მოვლენების შედეგად საბჭოთა იდეოლოგია და მის საფუძვლად იდებაოე მარქსისტულ-ლენინური თეორია კიდევ უფრო განმტკიცდხეხ ჩვენს ქვეყანაში და ეროვნულ უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი.

ლენინიზმის დიად გამარჯვებას წარმოადგენს მასების შეგნების გარდაქმნა და საბჭოთა იდეოლოგიის განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში. აღსრულდა ლენინის მითითებები იმის შესახებ, რომ სოციალიზმის აშენებლობისა და ბრძოლის მსვლელობისას შეიცვლება ხალხის შეგნება და რომ ეს ცვლილება თვითონვე გახდება ჩვენი წინსვლის დიად ძალად. საბჭოთა ხალხის კომუნისტური შეგნებულობის ზრდა, მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სოციალისტური კულტურის შექმნა, საბჭოთა პატრიოტიზმის აყვავება ჩვენი პარტიის დიდმნიშვნელოვან მიღწევებს წარმოადგენენ.

სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პირობებში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ლენინ-სტალინის პარტია დაჟინებით იბრძვის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დასაძლევად, დაუცხრომლად ზრდის საბჭოთა ადამიანებში ახალ სოციალისტურ თვისებებს.

ჩვენი პარტია იცავს საბჭოთა ხალხის სულიერ ინტერესებს, მტკიცედ სდგას კულტურული შემოქმედების სიწმინდის, მაღალი იდეურობისა და მებრძოლი პარტიულობის სადარაჯოზე. ჩვენ მედგარი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აქტივიზირების ყოველგვარ ცდებს, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში უიდეობის, აპოლიტიკურობის, ფორმალიზმისა და გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა მავნე გავლენათა შემოპარვას.

დაეუფლონ ლენინიზმს, აამაღლონ ჩვენი ლიტერატურის იდეური დონე, გააღრმავონ მისი პარტიულობა, შექმნან ხალხისათვის სასარგებლო წიგნები, რომლებიც დაეხმარებიან პარტიას მასების კომუნისტურად აღზრდაში, აწარმოონ ბრძოლა ბურჟუაზიულ გავლენათა ყველა სახეობისა და ფორმების წინააღმდეგ, — ასეთია საბჭოთა მწერლების პირდაპირი მოვალეობა.

ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს შეგრძნობა ცოცხალი ლენინისა, რომელიც ცოცხლობს, ქმნის, მუშაობს და იბრძვის ჩვენთან ერთად და გვმეთაურობს ჩვენ. სტალინის აზრებში, იდეებსა და ქმნილებებში ხალხი ხედავს ლენინის აზრებისა და ლენინის ქმნილებათა შემდგომ განვითარებას. სტალინის ცოცხალი სახით ხალხი უფრო მკაფიოდ და ნათლად წარმოიდგენს ლენინის სახეს. რადგან სტალინი ეს ჩვენი დღეების ლენინია, იგი ლენინია დღეს. ისწრაფვიან რა ყველაფერში მიბაძონ ლენინს, საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებულნი არიან იმის სახით, ვინც იყო და დარჩება ლენინის საქმის გენიალური გამგრძელებელი, — დიდი სტალინის სახით.

ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეუპოვრად მიდის კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენება 1949 წლის 25 იანვარს

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობიდან გავიდა თითქმის ცხრა წელი—უდიდესი ისტორიული მოვლენებით აღსავსე პერიოდი. ამ მოვლენათაგან ყველაზე მნიშვნელოვანს, რომელმაც მსოფლიო განვითარების მთელი შემდგომი მსვლელობა განსაზღვრა, წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სახელოვანი გამარჯვება დიდ სამამულო ომში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

განადგურებული არიან საბჭოთა სახელმწიფოს ყველაზე საშიში მტრები—ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, რომლებიც კაპიტალისტური გარემოცვიდან ყველაზე აგრესიულ და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ და ათეულ წლების განმავლობაში ემუქრებოდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს არსებობას. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც დიდი სტალინის მხედართმთავრული გენია წარმართავდა, გააცამტვერეს ომის ეს ორი მუდმივი კერა დასავლეთში და აღმოსავლეთში.

საბჭოთა ხალხმა ადვილად როდი მიაღწია გამარჯვებას. წარსული ომი მძიმე და სასტიკი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „...ომი მარტო უბედურება როდი იყო. იგი ამასთანავე იყო ხალხის მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა... ომმა გამოცდის მსგავსი რამ მოუწყო ჩვენს საბჭოთა წყობილებას, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას...“

ომის შედეგმა ცხადყო, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ღირსეულად ჩაბარეს ეს დიდი გამოცდა.

საბჭოთა კავშირი ომიდან უფრო მეტად განმტკიცებული და ძლიერი გამოვიდა. სოციალიზმის ბაზა არათუ არ შევიწროვდა, როგორც ეს ჩვენს მტრებს სურდათ, არამედ ომის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა დასავლეთისაკენ. ძლევამოსილი საბჭოთა არმიის დახმარებით აღმოსავლეთ ევროპის ხალხებმა ბურჟუაზიისა და მემამულეთა უღელი მოიშორეს და სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ. ყველა მშრომელთა დიდი სამშობლოს—საბჭოთა კავშირის მუდმივი დახმარებით ახალი დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარეობს მეურნეობისა და საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნა სოციალიზმის პრინციპებზე. ეს არის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი შედეგი.

ასე იმარჯვებს ლენინიზმი, ასე სრულდება დიადი ფიცი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა 25 წლის წინათ დასდო უკვდავი ლენინის კუბოსთან. აი რატომ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთელი საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით მოსავს ლენინ-სტალინის პარტიას, ბოლშევიკების პარტიას! აი რატომ არის, რომ იგი მზურვალე ყიყვარულითა და მადლიერებით მიაპყრობს თვალს ყველა თავისი გამარჯვების მოქმედს—დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ომისშემდგომი პერიოდის დამახასიათებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მშვიდობის დამყარებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ყველაზე აგრესიულმა ჯგუფებმა დაიწყეს გამალებული მზადება ახალი ომისათვის. ომის პერიოდის ჩვენი მოკავშირენი სისტემატურად არღვევენ მათ მიერ ხელმოწერილ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები თავიანთი იმპერიალისტური მიზნებისათვის იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა შექმნეს ომის თავიდან ასაცილებლად. ამერიკელი მონოპოლისტები და მათი დამქაშები მთელი ძალღონით უწყობენ ხელს და აღვივებენ ეგრეთწოდებულ „ცივ ომს“, რომელიც მათი ვარაუდით ნამდვილი ომის მომზადების საშუალება უნდა გახდეს.

ევროპისადმი ვითომდა დახმარების სახით ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი ცდილობს ხელში ჩაიგდოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკა, მათი ხალხები კი გამოიყენოს საზარბაზნე ხორცად ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის. ბრიტანეთის იმპერიალიზმის ბებერი მგელი ჩერჩილი და ამერიკელ მონოპოლისტთა სხვა ლაქიები გამალებით მუშაობენ საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ბლოკების შესაქმნელად.

ამერიკელები ხელში იგდებენ ჩვენს ახლო მეზობელ თურქეთსაც, რომლის მთავრობამაც უოლ-სტრიტის მაგნატებს უბადრუკი ნასუფრალის ფასად მიჰყიდა თავისი ხალხის ღირსება და სუვერენიტეტი.

იმპერიალიზმის ძალებს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომი, უპირდაპირდება მშვიდობის ურყევი დასაყრდენი—დიდი საბჭოთა კავშირი. ახალი დემოკრატიის ქვეყნების მთავრობებთან ერთად საბჭოთა მთავრობა ამხილებს ომის გამჩაღებელთა მანევრებს და წარმატებით იცავს მშვიდობის ინტერესებს.

საბჭოთა ადამიანებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ იმპერიალისტები ვერ მოახერხებენ ხალხების ჩაბმას ახალ ხოცვა-ჟლეტაში. მათ კარგად იციან, რომ როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, „ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება“.

საბჭოთა ხალხი რწმენით და მხნედ შესცქერის მომავალს. უდიდესი ენერგიით ახორციელებს იგი სტალინის გენიით დასახულ ომისშემდგომ სამუშაოთა გრანდიოზულ პროგრამას.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან, რომელიც 21 ი ა ნ ვ ა რ ს გამოქვეყნდა, მსოფლიომ შეიტყო, რომ საბჭოთა კავშირში არ არის მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელსაც 1948 წელს პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. ხოლო საერთო პროდუქციის გეგმა ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში სოციალისტურმა მრეწველობამ 103 პროცენტით შეასრულა.

ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტის მუშაობაში, კულტურულ მშენებლობაში, დღითიდღე მაღლდება მშრომელთა კეთილდღეობის დონე, დიდი სისწრაფით იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება.

უდიდესი მიღწევებით შეეგებნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი.

საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ქართველი ხალხი სოციალური ჩაგვრისა და ნაციონალური დამონებისაგან გაათავისუფლა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მუდმივი დახმარებით, ქართველმა ხალხმა თავისი მეურნეობისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

ომის წლებში საქართველოს მშრომელნი, ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს. ქართველი ხალხის ასეულ ათასობით შვილი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებით იცავდა საბჭოთა სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას. ზურგში დარჩენილი მთელი მოსახლეობა განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობდა საწარმოებში, შახტებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში. სახელოვანი საბჭოთა არმიის მოსამარაგებლად საჭირო იარაღის, სამომარი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის წარმოების გეგმები დიდი გადაჭარბებით სრულდებოდა.

ომის წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს სამრეწველო წარმოების მაღალი დონე. მოპოვებულ იქნა სერიოზული წარმატებანი მარცვლეულისა და კარტოფილის ნათესის გაფართოებასა და წარმოების გადიდებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომიანობის დროის ძნელ პირობებში მოსახლეობის მომარაგების უზრუნველსაყოფად.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების რელსებზე გადაჯდა, ქართველი ხალხი დაუყოვნებლივ ჩაება დიად შემოქმედებითს მუშაობაში ომის შედეგების ლიკვიდაციისა და ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის“ საფუძველზე შემუშავებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მთელი მუშაობა ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამ ახალი ვრცელი პროგრამის შესრულების ამოცანებით განისაზღვრებოდა.

ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია მოახსენოს ყრილობას, თუ რა მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალი სტალინური ხუთწლედის დავალებათა განსახორციელებლად.

I. მრეწველობა და ტრანსპორტი

ახალი ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს საქართველოს ინდუსტრიის სწრაფ ზრდას. 1950 წელს, ხუთწლედის უკანასკნელ წელს, საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ უნდა გადააჭარბოს ომამდელი 1940 წლის წარმოების მოცულობის დონეს 48,9 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების ასეთი ზრდის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკაში გაჩაღებულია დიდი სამრეწველო მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ორი ისეთი საწარმოს დამთავრების შემდეგ, როგორიცაა ბურასანის ტეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ჩვენი მრეწველობის წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება თითქმის გაორკეცდება.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი მრეწველობის არა მარტო რაოდენობრივ, არამედ უწინარეს ყოვლისა, ხარისხობრივ ზრდას. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საქართველო გადაიქცევა რესპუბლიკად, რომელიც დიდი მასშტაბებით გამოუშვებს შავ ლითონებსა და მანქანებს. ამასთან ერთად ფართოდ ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომლებსაც ჩვენი სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მრავალი სახის ძვირფასი ნედლეულით.

ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც სათავეში უდგას მშრომელთა აქტივობას, უზრუნველყოფს ხუთწლედის ძირითად დავალებათა ვადამდე შესრულებას.

1946 წელს დამთავრდა მრეწველობის ომისშემდგომი გარდაქმნა. 1947 წელს საქართველოს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 12,1 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

შემდეგი წელი ხასიათდება საერთო პროდუქციის ზრდის კიდევ უფრო მაღალი ტემპით. 1948 წელს მან 15,5 პროცენტით გადააჭარბა 1947 წლის საერთო პროდუქციას, 29,5 პროცენტით—1940 წლისას და შეადგინა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის გათვალისწინებული საერთო პროდუქციის მოცულობის 86,9 პროცენტი. ეს მაჩვენებლები საფუძველს გვაძლევენ ჩავთვალოთ, რომ წარმოების დონის მხრივ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ჩვენი მრეწველობა შეასრულებს თავის ხუთწლედს.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება და წარმოების დონე ძირითადად სამრეწველო სამინისტროთა და საწარმოთა ხაზით ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველ 3 წელიწადში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საერთო პროდუქციის გამოშვება ხუთწლედის 3 წელიწადში პროცენტებით გეგმის მიმართ	1948 წლის პროცენტებით 1940 წელთან შედარებით
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	115,2	113,2
კვების მრეწველობის სამინისტრო	100,8	76,7
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო .	101,4	114,2
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო . . .	103,0	90.6
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო . . .	106,5	112,7
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო . .	108,8	171,7
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო .	107,2	181,5
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	111,9	85,1
ავტოტრანსპორტის სამინისტრო	97,4	88,4
სარეწაო კოოპერაცია და ინვალიდთა კოოპერაცია	101,7	112,7
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები . .	101,6	—

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ყველა სამინისტრომ, ავტოტრანსპორტის სამინისტროს გარდა, სამი წლის საწარმოო პროგრამა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა. მათმა უმრავლესობამ 1948 წელს წარმოების ომამდელ დონეს ჭა-დააჭარბა. მხოლოდ კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა და ავტოტრანსპორტის სამინისტროებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონისათვის.

წარმოების ზრდის თვალსაჩინო სურათს იძლევა ნატურალური პროდუქციის ძირითად სახეთა გამოშვების შედარებითი მონაცემები. 1948 წელს გამოშვებულია პროცენტობით 1940 წელთან შედარებით:

ქვანახშირი	201,1
ელექტროენერგია	148,5
მათ შორის საქართველოს ენერგოსისტემაში	161,8
ფეროშენადნობები (პირობითი ტონობით)	129,0
ლიტოპონი	175,2
ლითონსაჭრელი დაზგები	138,7
ცემენტი	120,9
აგური საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით	255 8
ქაღალდი	122,7
ბამბის ქსოვილი	687,5
შალისა და შალნარევი ქსოვილი	120,3
აბრეშუმისა და აბრეშუმნარევი ქსოვილი	103,8
შაქარი	105,3
საპონი	128,4
პირველადი დამუშავების ჩაი	105,2
პაპიროსი	118,2
კონსერვი	127,5

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ომამდელ დონეს ნავთისა და მარგანეცის მადნის მოპოვებაში, აგრეთვე წინდის ნაწარმის, ფეხსაცმლის, მცენარეული ზეთისა და ყურძნის ღვინის წარმოებაში.

საჭიროა გავაცხოველოთ მუშაობა მრეწველობის ამ დარგებში, რათა მათ უკვე წელს გადააჭარბონ 1940 წლის დონეს.

დიდმნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ჩვენი ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გადიდება. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ, როგორც უკვე აღვნიშნე, 75,2 პროცენტით გადააჭარბა თავისი წარმოების ომამდელ დონეს. თბილისის პლასტიკური მასების ქარხანაც გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო პროგრამას. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიღებულია სერიოზული ზომები, რათა ფართოდ გაიშალოს ქიმიური მრეწველობა, რომელიც საქართველოში ძლიერ ჩამორჩენილი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვან წამოწყებას ამ საქმეში წარმოადგენს რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხნის მშენებლობა მეტალურგიული ქარხნის კოქსის გაზის გამოყენების ბაზაზე. აზოტ-ტუკის ქარხანა გამოუშვებს 90 ათას ტონაზე მეტ აზოტოვან სასუქს 20-პროცენტიანი გამოანგარიშებით. მის აგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სამრეწველო სამინისტროთა მუშაობის საერთო ნაკლი უნდა აღინიშნოს ის, რომ მათ ვერ შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის გეგმა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის მხრივ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით, რომელმაც კაპიტალური სამუშაოთა გეგმა შარშან 84,8 პროცენტით შეასრულა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშენებლობა აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის ხაზით, რომელმაც კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა გასულ წელს 82,8 პროცენტით შეასრულა.

კაპიტალური მშენებლობის ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია. ამ მნიშვნელოვანი საქმის გამოსასწორებლად გადამწყვეტი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ნება მიბოძეთ უფრო დაწვრილებით შევჩერდე მრეწველობის ზოგიერთ წამყვან დარგზე.

ქვანახშირი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ჩვენი ქვანახშირის შახტების საერთო სიმძლავრე 170 პროცენტით გაიზარდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასულ წელს ქვანახშირის ამოღებამ 101,1 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმას: 1946 წელს ეს გეგმა შესრულებულ იქნა 92,9 პროცენტით, 1947 წელს—73,1 პროცენტით და 1948 წელს — 89 პროცენტით.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, მისი ტრესტებისა და შახტების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მოსამზადებელ სამუშაოებს და სანგრევთა აწმენდის ხაზის განვითარებას. დამახასიათებელია, რომ ამ ხაზის სიგრძემ 1948 წელს კომბინატის ყველა შახტში გეგმის მხოლოდ 57,7 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ტყიბულქვანახშირის ტრესტში 50,2 პროცენტი, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში—87,2 პროცენტი და ახალციხის შახტსამმართველოს ხაზით—20,2 პროცენტი.

ძირითადი სამთო გამონამუშევართა წინწაწევის გეგმა 1948 წელს კომბინატში შესრულებულია მხოლოდ 84 პროცენტით, მათ შორის: ტყიბულქვანახშირის ტრესტში—88 პროცენტით და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში—73,7 პროცენტით.

ქვანახშირის შახტები ცუდად არიან უზრუნველყოფილნი მუშახელით. კომბინატმა და ტრესტებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს შეექმნათ საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები მუშებისათვის, რაც იწვევს მათს დიდ დენადობას. მუშათა დენადობას ხელს უწყობს აგრეთვე შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ბევრ უბანზე და აგრეთვე ახლად მიღებულ მუშებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი დაყენება.

ქვანახშირის მრეწველობაში მექანიზმების გამოყენების მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. ჩვენს შახტებში ქვანახშირის ამოღება მექანიზებულია მთლიანად, გამოტანა—93,7 პროცენტით, მაგრამ საკმაოდ მექანიზებული არ არის

გათხრის სამუშაოები. ისეთი შრომატევადი სამუშაო, როგორიც ქანის დატვირთვაა, დღემდე ძირითადად ხელით სრულდება. შახტების ადმინისტრაცია ჯეროვან ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ უფრო ფართოდ დანერგოს გადამტვირთველ მანქანათა გამოყენება, რის შედეგადაც 1948 წელს შახტებში არსებული 39 გადამტვირთველიდან მხოლოდ 13 მუშობდა.

შახტების ხელმძღვანელები საკმაო მუშაობას არ ეწევიან მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ტექნიკური სწავლების მოსაწყობად. არის შრომის დისციპლინის, ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა და უსაშიშრობის ტექნიკის უხეში დარღვევის შემთხვევები, ეს კი ჩვენი ქვანახშირის საწადოთა სირთულის პირობებში სერიოზულ ავარიებს იწვევს.

ქვანახშირის შახტების სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი ჯერ კიდევ დაბალია. 1948 წელს შახტების სიმძლავრე გამოყენებული იყო 51,3 პროცენტით.

ყრილობის დელეგატებს მოეხსენებათ, რომ დიდი საშახტო მშენებლობა საქართველოში წარმოებს ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოქსვადი ქვანახშირით უზრუნველსაყოფად. ქარხნის საკოქსე ბატარიები წელიწადში მოიხმარენ 900 ათას ტონა გაუხვებულ ქვანახშირს. ეს იმას ნიშნავს, რომ კოქსვადი ქვანახშირის მოპოვება საქართველოში ახლო მომავალში აყვანილ უნდა იქნას 2.580 ათას ტონამდე, ხოლო ენერგეტიკული ქვანახშირისა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის 1.000.000 ტონამდე.

ქვანახშირის შახტების სათანადო სიმძლავრეთა არსებობის პირობებშიც კი, ქვანახშირის მოპოვების ასეთი გადიდება 1—2 წელიწადში შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ახლავე უზრუნველვყოთ ქვანახშირის მოპოვების ზრდის უფრო სწრაფი ტემპი.

გადაჭრით უნდა წავწიოთ წინ ქვანახშირის მოპოვების პროცესების მექანიზაციის საქმე და მივაღწიოთ გარდატეხას მუშახელის შეგროვებასა და შენარჩუნებაში. უკანასკნელ წლებში მიღწეულია შახტებში ხელფასის დიდი ზრდა: თუ 1945 წელს ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი 8.776 მანეთს შეადგენდა, 1948 წელს მან შეადგინა 11.447 მანეთი, ე. ი. გადიდდა 30,4 პროცენტით. მოწინავე სტახანოველი მაღაროელები თვეში 3-დან 8 ათასამდე მანეთს იღებენ. ასეთი ხელფასის პირობებში უთუოდ შეიძლება მუშების შენარჩუნება, თუ კი მათ შევუქმნით რიგიან საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს და გამოვიჩენთ მზრუნველობას მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ქვანახშირის დამუშავება ჭერის ჩამონგრევის წესით, რასაც დღემდე იყენებენ ტყიბულში, დიდ დანაკარგებს და მიწისქვეშა ხანძრის გაჩენას იწვევს. ხოლო საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელნი ჯერაც არ შესდგომიან ტყიბულის შახტებში დამუშავების ჰიდრავლიკური ესების წესის დანერგვას, რომლის დროსაც ქვანახშირის დანაკარგი 3-3,5-ჯერ მცირდება, ხანძრები კი სავსებით ისპობა. მათ ჩაშალეს სავსები მასალის კარიერების მშენებლობის დაწყების ვადები და თურმე დღემდე საპროექტო სამუშაოებიც არ დაუმთავრებიათ. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს არც სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო აქცევს ჯეროვან ყურადღებას.

ამხანაგებმა გუჯეჯიანმა, ვარდიშვილმა და მარიახინმა უნდა უზრუნველყონ დამუშავების ამ ახალი წესის უსწრაფესი დანერგვა ტყიბულის ქვანახშირის შახტებში.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ქვანახშირის შახტებში მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოების შეუფასებლობას. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს, თვით წარმოების ხასიათის მიხედვით, არ შეუძლიათ მხოლოდ დღევანდელი დღით იცხოვრონ. ქვანახშირის მოპოვებასთან ერთად ისინი ყოველდღიურად უნდა ამზადებდნენ მომავალ სამუშაოთა ფრონტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვანახშირის მოპოვების გეგმის ჩაშლა გარდუვალია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულისა და ახალციხის რაიკომები და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ქვანახშირის შახტების გამართული მუშაობისათვის, კონტროლს უწევდნენ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა საქმიანობას და სათანადოდ ეხმარებოდნენ მათ; ქვანახშირის რაიონების პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეშახტეთა შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაჩაღება. პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ახალი კადრების შექმნის საქმეში.

ქვანახშირის მოპოვების სწრაფი ზრდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ომისშემდგომ წლებში ჩვენ ფართოდ გავაჩაღეთ ახალი საშახტო მშენებლობა. ქვანახშირის ხუთი ყველაზე მძლავრი შახტი, ამჟამად მოქმედი რვა შახტიდან, ომისშემდგომ წლებში აშენდა და ამუშავდა.

ქვანახშირის შახტების, მათი დამხმარე საწარმოებისა და საბინაო ფონდის მშენებლობას აწარმოებს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საქშახტმშენის სამმართველო. ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში საქშახტმშენმა მხოლოდ შარშან შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. მთელ სამ წელიწადში სამმართველომ აითვისა 265 მილიონი მანეთი, ანუ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული თანხის 47,9 პროცენტი.

ქვანახშირის შახტებს გარდა საქშახტმშენი აწარმოებს ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ამ სადგურის აგების სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. თუ ჩითახევჰესის მშენებლებს საჭირო დახმარება გაეწევათ, ისინი პირობას იძლევიან, რომ სადგურის პირველ აგრეგატს საექსპლოატაციოდ გაუშვებენ მიმდინარე წლის დამლევისათვის.

1948 წელს სამშენებლო სამუშაოთა გეგმის საერთოდ დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან ერთად, საქშახტმშენი კვლავ ჩამორჩება ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1946 წელს 22,4 პროცენტით შესრულდა, 1947 წელს — 20,1 პროცენტით და მხოლოდ 1948 წელს—81,9 პროცენტით.

საბინაო მშენებლობის ასეთი წარმოება შეუწყნარებელია. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა მუდმივი კადრების შექმნა დამოკიდებულია უმთავრესად საბინაო ფართობით მათ უზრუნველყოფაზე. საქშახტმშენის ხელმძღვანელები — ამხ. მარიახინი და კურენკოვი მოვალენი არიან შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება საბინაო მშენებლობისადმი. საბინაო ფართობის გადაცემის გეგმები ყოველწლიურად უნდა სრულდებოდეს.

ამჟამად საქშახტმშენი აშენებს შვიდ ახალ შახტს. წარმოებს ავტომუშაობა ტყიბულში ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტების

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაღრმავებლად 200 მეტრ ჰორიზონტამდე, რაც დიდ სიღრმეზე არსებული ქვანახშირის ფენების ექსპლოატაციის შესაძლებლობას მოგვცემს.

ახალი შახტების მშენებლობა ისეთი ანგარიშით უნდა წარმოებდეს, რომ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა ხდებოდეს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ ქვანახშირის მოპოვების საჭირო ზრდას.

საქშახტმშენი უახლოეს ხანში უნდა შეუდგეს ტყიბულში ჰიდრავლიკური ვსების მეურნეობის მშენებლობას, აგრეთვე მუშაობას ტყიბულის გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის უზრუნველყოფა საკოქსავად გაუხვებული ქვანახშირით. უნდა აღვნიშნო, რომ ნელი ტემპით ჩაღდება საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის სამუშაოები. საჭიროა დაჩქარდეს ამ სახლის მშენებლობა, რომლის აგებითაც დაინტერესებულია მთელი ქალაქი.

ქვანახშირის ძიების დარგში შესრულებულ სამუშაოთა შედეგად ქვანახშირის დადასტურებული მარაგი ჩვენს საბადოებში ფრიად მნიშვნელოვანია. მაგრამ გამოვლინებული მარაგი სრულებითაც არ წარმოადგენს ზღვარს. საქართველოს ქვანახშირის საძიებო ტრესტმა უფრო ფართოდ უნდა გააჩაღოს საძიებო სამუშაოები. ყველა რაიონში, სადაც ქვანახშირის ნიშნები მოიპოვება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვანახშირის საბადოების რთულ გეოლოგიურ პირობებში მარაგის გადიდება და ახალი შახტების მოსაწყობად ფართობის მომზადება მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უნარსა და სიმტკიცეს გამოიჩენენ ჩვენი გეოლოგები, რომლებიც ქვანახშირის საძიებო მუშაობას ეწევიან.

ენერგეტიკა

საანგარიშო პერიოდში მიღწეულია დიდი წარმატებანი ენერგეტიკის დარგში. ხრამის ჰიდროელსადგურის მშენებლობის სამუშაოთა ომის დამთავრებამდე ბევრად ადრე განახლებამ საშუალება მოგვცა უკვე 1947 წლის დამლევს საექსპლოატაციოდ გადაგვეცა ამ სადგურის პირველი აგრეგატი რამდენიმე ათეული ათასი კილოვატის სიმძლავრისა. გასული წლის დამლევს ამუშავდა ასეთივე სიმძლავრის მეორე აგრეგატი. ამრიგად, ხრამჰესი ამჟამად საქართველოში ყველაზე მძლავრი ელექტროსადგურია.

გასული წლის დამლევს საექსპლოატაციოდ გადაეცა სოხუმჰესის სამივე აგრეგატი.

ომის პერიოდში დაიდგა მეორე აგრეგატი ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურთა სიმძლავრემ 1948 წელს მიაღწია 258 ათას კილოვატს, ნაცვლად 1940 წლის 139.500 კილოვატისა, ე. ი. 84,8 პროცენტით გადიდდა. 1940 წელს საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურებმა 645,8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, ხოლო 1948 წელს—1.045 მილიონი კილოვატსაათი. ეს იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს ჩვენმა სახალხო მეურნეობამ 61,8 პროცენტით მეტი ელექტროენერგია მიიღო, ვიდრე 1940 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო პერიოდში, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 389 კილომეტრი საერთო სიგრძის მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები. გადამცემი ხაზების სიგრძე რესპუბლიკაში 73,3 პროცენტით გადიდდა.

საქართველოში ენერგეტიკული მშენებლობის წარმატებანი საგრძნობწილად აიხსნება სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს ტრესტ ხრამჰესმშენის კარგი მუშაობით. ტრესტის მიერ აგებული ხრამის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის სიამაყეს წარმოადგენს. წნევით იგი ევროპის ყველა მძლავრ მაღალი წნევის ჰიდროსადგურს აღემატება. სადგურის ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი უნიკალურია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ რიცხვს ეკუთვნის: სსრ კავშირში პირველი 30 მეტრი სიმაღლის ქვაყრილის კაშხალი ლითონის ეკრანით; სსრ კავშირში ყველაზე დიდი, 7.5 კილომეტრი სიგრძის, მაღალწნევიანი გვირაბი, 6-6,5 ატმოსფეროს წნევაზე გაანგარიშებული; 1.200 მეტრი საერთო სიგრძის საწნეო მილსადენი 1,5-დან 3 მეტრამდე დიამეტრით, 50 ატმოსფეროს წნევაზე გაანგარიშებული.

ხრამის ჰიდროელსადგურის პირველი აგრეგატის ექსპლოატაციის ერთი წლის მანძილზე სადგურის ყველა ნაგებობა უნაკლოდ მუშაობდა. ეს მოწმობს ტრესტ ხრამჰესმშენის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მაღალ ხარისხს.

წელს ხრამჰესმშენმა უნდა დადგას ჰიდროსადგურის მესამე აგრეგატი და დაამთავროს საგენერატორო შენობის მოპირკეთებისა და საბინაო მშენებლობის სამუშაოები. ტრესტი ვალდებულია მთლიანად დაამთავროს მარნეულიდან ჰიდროსადგურამდე გზის მშენებლობა და დაგუდრონება. სოხუმჰესში დარჩენილი სამუშაოები აგრეთვე წელს უნდა დამთავრდეს.

ჩვენი მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის განვითარების ვიწრო ადგილს წარმოადგენს მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზების მშენებლობა. უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს გადამცემი ხაზების აგების საქმეში. ამ სამუშაოთათვის საჭირო ასიგნობათა გაცემა შეზღუდული რაოდენობით ხდებოდა, მატერიალური მომარაგებაც საკმაო არ იყო. სწორედ ამით აიხსნება, რომ ტყვარჩელის რაიონულ თბოელექტროსადგურსა და რიონჰესს შუა მეორე გადამცემი ხაზის მშენებლობა, რაც უკვე სამი წელია წარმოებს, დღემდე დამთავრებული არ არის. ამის შედეგად, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის სიმძლავრე, მიუხედავად საქართველოს ცენტრალურ რაიონებში ელექტროენერგიის დიდი დეფიციტისა, მთლიანად არ არის გამოყენებული.

უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით სოხუმჰესის ამუშავების შემდეგ. ამ სადგურიდან მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზი მიდის მხოლოდ ქალაქ სოხუმამდე, რომელსაც სადგურის სიმძლავრის მხოლოდ 20—25 პროცენტის გამოყენება შეუძლია. სოხუმჰესის დანარჩენი სიმძლავრე გამოუყენებელი რჩება იმის გამო, რომ იგი ჩართული არ არის საქენერგოს სისტემაში.

საჭიროა მივიღოთ უაღრესად გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ შეუფარდებლობა ელექტროსადგურთა სიმძლავრეებსა და მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამტარუნარიანობას შორის.

უახლოეს ორ წელიწადში გაყვანილ უნდა იქნას სოხუმი-ტყვარჩელის გადამცემი ხაზი და ჩართულ იქნას სოხუმის ჰიდროელექტროსადგური საქენერგოს სისტემაში, დამთავრდეს ტყვარჩელ-რიონის მეორე გადამცემი ხაზისა და ხრამჰეს-თბილისის ხაზის მეორე წყების მშენებლობა. შემდეგში,

ჰიდროსადგურთა მშენებლობის პარალელურად ჩვენ უნდა ვაშენებთ მაღალ-ვოლტიანი გადამცემი ხაზებიც, ურომლისოდაც ამუშავებული ჰიდროსადგურები უმოქმედოდ იქნებიან.

ბიბლიოთეკა

ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები მოწმობენ რესპუბლიკის მრეწველობისა და ქალაქების ენერგომომარაგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა ელექტროენერგიის დეფიციტი მკვეთრად შევამცირეთ, მაგრამ იგი სავსებით ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული. ჩვენი მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდება, რაც იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების სისტემატურ გადიდებას.

უახლოეს წლებში ელექტროენერგიის საჭიროებასა და გამომუშავებას შორის შეუფარდებლობა გადიდდება, თუ თავის დროზე არ გადავეცით საექსპლოატაციოდ დაწყებული სადგურები. მაგრამ ჩვენთვის ესეც არ კმარა.

ბუნებას საქართველო წყლის ენერგიის უმდიდრესი რესურსებით დაუჯილდოებია. თეორიული გამოანგარიშებით ჩვენი მდინარეების სიმძლავრე 11 მილიონ კილოვატს აღემატება, რასაც შეუძლია მოგვცეს 100 მილიარდ კილოვატსაათამდე ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება.

ძირითადი სამეურნეო ამოცანა საქართველოში ყოველთვის იქნება წყლის ენერგიის დაუშრეტელი მარაგის უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით გამოყენება. ამაშია ჩვენი მომავალი.

ამიტომ საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ საძიებო სამუშაოები ჩვენს წყლის უმნიშვნელოვანეს არტერიებზე, რათა ამ სამუშაოთა პრაქტიკული შედეგები მეტად თუ ნაკლებად ახლო მომავალში გამოვიყენოთ.

რაც შეეხება უახლოესი პერიოდის ამოცანებს, მათგან უმნიშვნელოვანესია მასალების დამატებითი დამუშავება და თრიალეთის კასკადის ჰიდროსადგურთა დაპროექტების დაწყება. წინასწარი გამოანგარიშებით ამ სადგურებს შეუძლიათ წელიწადში მოგვცენ 1.800 მილიონი კილოვატსაათი ენერგია.

კიდევ უფრო მომწიფებულია ტყიბულის, გუმათისა და შაორის ჰიდროსადგურთა მშენებლობის საკითხი, რომელთა საერთო სიმძლავრე 140 ათასი კილოვატი იქნება, ხოლო ენერგიის წლიური გამომუშავება 460 მილიონი კილოვატსაათი. მიმდინარე წელს მხოლოდ შაორჰესის მშენებლობა არის შეტანილი გზათა სამინისტროს გეგმაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გუმათისა და ტყიბულის ჰიდროსადგურების მშენებლობა 1950-1951 წლებში დაიწყოს.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ სამგორის ჰიდროსადგურთა მშენებლობის დაწყებული სამუშაოები მაღალი ტემპით უნდა მიმდინარეობდეს. ხრამჰესმშენი, რომელიც ამ მშენებლობას ახორციელებს, მოვალეა გამოიყენოს მთელი თავისი მდიდარი გამოცდილება, რათა სამგორის სადგურები მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში დაამთავროს.

მარგანეცი

მარგანეცის მრეწველობა კვლავ წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა მადნის მოპოვების გეგმა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე 101,8 პროცენტით შეასრულა. განვლილ წელს ტრესტმა სასაქონლო მადნის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა.

მიმდინარე წელს ტრესტმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს მადნის გამოშვება, ხოლო 1950 წელს თითქმის 70 პროცენტით გაზარდოს. ეს ნერიოზული ამოცანაა და მის გადასაწყვეტად საჭიროა ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და მისი მაღაროების მთელი ძალებისა და შესაძლებლობის მობილიზაცია.

საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს მაღაროებში მუშაობის პროცესების, განსაკუთრებით სანგრევებში მადნის დატვირთვის, მექანიზაცია და გადიდდეს მექანიზმების ნაყოფიერება.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის საწარმოები დაკომპლექტებულია ადგილობრივი მუშათა კადრებით. მუშახელის დიდ ნაკლებობას ისინი არ განიცდიან. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ტრესტის ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი ზრუნვა წარმოებაში მუშათა შენარჩუნებისათვის. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ასეთი დამოკიდებულება მარგანეცის მრეწველობაში მუშათა შენარჩუნების საკითხისადმი.

მარგანეცის დარგში ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარგანეცის ტრესტის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრებას. ფაბრიკას აშენებს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, რომელმაც ორჯერ ჩაშალა ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემის მთავრობის მიერ დადგენილი ვადები. 1949 წლის 1 იანვრისათვის ფაბრიკის პირველი რიგის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან ათვისებული იყო მხოლოდ 44,4 პროცენტი.

მეტალურგიული მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიის მშენებლობის სამინისტროების წინაშე ჩვენ უნდა დავაყენოთ საკითხი ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობის დაჩქარების შესახებ იმ ვარაუდით, რომ მისი პირველი რიგი გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის შუა ხანებში მაინც.

დროულად უნდა გადაწყდეს ამ ფაბრიკის მეორე რიგის, დარკვეთის გამაუხვებელი ფაბრიკისა და მაღაროებში ახალი ამოსაღები ველების მშენებლობის საკითხი. ეს საჭიროა მარგანეცის ამოღების და მაღალხარისხოვანი სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდებისათვის.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახლად დანიშნულმა მმართველმა ამხ. შეყლაშვილმა ფართოდ უნდა გააჩაღოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მაღაროელთა უძველესი ქალაქი ჭიათურა მეტ ყურადღებას მოითხოვს მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროსა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მხრივ. ჭიათურა უნდა გადავაქციოთ კეთილმოწყობილ სამრეწველო ქალაქად, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს იქ მცხოვრები მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ნავთი

ყრილობას უნდა მოვახსენო, რომ ნავთის მხრივ ვალში ვართ ჩვენი ქვეყნის წინაშე. ნავთის ძიება საქართველოში დიდი ხანია წარმოებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი მსხვილი სამრეწველო მნიშვნელობის ნავთის საბადოები.

გეოლოგიური ძიება სულ უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის წიაღი დიდძალ ნავთს შეიცავს. ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ

სამუშაოები მისი ძიების დარგში, რათა უახლოეს მომავალში აღმოვაჩინოთ მდიდარი ნავთიანი ჰორიზონტები და მათ ბაზაზე შევქმნათ ნავთის დიდი მრეწველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის პერიოდში საქნავთის ტრესტმა შეანელა საძიებო ბურღვა და მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო ნავთის მოპოვების გადიდებას.

ომისშემდგომ წლებში უფრო ფართოდ გაჩაღდა საძიებო ბურღვა ახალ ფართობებზე საექსპლოატაციო ბურღვის შემცირების ხარჯზე. ჩვენ ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რადგან მხედველობაში გვქონდა, რომ ჯერჯერობით საქნავთის ტრესტის მთავარი ამოცანაა ნავთის მდიდარი საბადოების კვლევა-ძიება.

შარშან საძიებო ბურღვით გავლილ იქნა 22.275 მეტრი, ნაცვლად 1940 წლის 19.000 მეტრისა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საძიებო ბურღვის გეგმა შარშან 79,6 პროცენტით შესრულდა.

საძიებო ბურღვის სამუშაოებში სერიოზულ ნაკლად კვლავ რჩება გეგმის შეუსრულებლობა დამთავრებული ჭაბურღილების რაოდენობის მხრივ. ნაცვლად შარშან დაგეგმილი 15 საძიებო ჭაბურღილისა, დამთავრებულია სულ 8 ჭაბურღილი. სამუშაოთა ასეთი წარმოება იმას იწვევს, რომ ბურღვის შედარებით დიდი მეტრაჟის დროს ვერ ხერხდება საპროექტო სიღრმეების მიღწევა და მაშასადამე იმ ჰორიზონტების გამოკვლევა, რომლებშიც გეოლოგიური მონაცემებით ნავთი უნდა იყოს.

1940 წელთან შედარებით ჭაბურღილების ბურღვის დროს ავარიების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ კვლავ დიდი რაოდენობით ხდება.

ტრესტის მმართველმა ამხ. კამლაძემ და საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა მთელმა კოლექტივმა ყურადღება უნდა მიაპყრონ საძიებო ბურღვის სწორად წარმოებას. საჭიროა ჭაბურღილების გაბურღვა აუცილებლად საპროექტო სიღრმემდე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს მათი გასინჯვა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს აგრეთვე ნავთის მოპოვების გადიდებას. ნავთის მრეწველობის სამინისტროს მიერ დადგენილი საექსპლოატაციო ბურღვის გეგმა აუცილებლად უნდა სრულდებოდეს.

საქნავთის ტრესტი მოვალეა გააუმჯობესოს თავისი მუშაობის სამეურნეო მაჩვენებლები. საჭიროა მიღებულ იქნას უფრო ენერგიული ზომები ბურღვის თვითღირებულების შესამცირებლად.

ცენტრალური კომიტეტი და იმ რაიონების პარტიული ორგანიზაციები, სადაც საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვა წარმოებს, ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის. საქართველოში მეტი ნავთის აღმოჩენა მთელი ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

საშენი მასალები

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში სერიოზულ გაუმჯობესებას მივაღწიეთ საშენი მასალების წარმოებაში, რის მეოხებითაც ამჟამად მშენებლობა გაცილებით უკეთ არის უზრუნველყოფილი ცემენტით, კირით, აგურით, კრამიტითა და ინერტული მასალებით, ვიდრე წარსულში იყო.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კასპის ცემენტის ქარხნის კარგი მუშაობა, რომელიც, 1945 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრუ-

ლებს საწარმოო გეგმას. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ქარხანამ 1948 წელს, როცა გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ასეული ტონა ცემენტი. უნდა ითქვას, რომ ქარხნის ხელმძღვანელები [illegible] ხომერიკი კარგად უძღვებიან წარმოებას და იყენებენ მათთვის გაწეულ დახმარებას.

მიუხედავად ცემენტის გამოშვების გადიდებისა, კასპის ქარხნის პროდუქცია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ამ უმნიშვნელოვანეს საშენ მასალაზე. საკმარისია ითქვას, რომ შარშან საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ იქნა 130 ათას ტონაზე მეტი ცემენტი.

ჩვენ გავითვალისწინეთ ეს და საკავშირო მთავრობის წინაშე დავაყენეთ კასპის ცემენტის ქარხნის გაფართოების საკითხი. ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, და ქარხნის სიმძლავრის მნიშვნელოვანი გადიდების სამუშაოები ამჟამად გაჩაღებულია. საქშახტმშენის სამმართველომ და ცემენტის ქარხნის დირექციამ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ მშენებლებს, რომ ქარხნის ახალი აგრეგატი საექსპლოატაციოდ გადასცენ არა უგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლის დამლევისა.

ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახურავი შიფერის წარმოების ორგანიზაციას. შიფერის ქარხანა ამუშავებულ იქნა 1945 წელს. შარშან მან გამოუშვა 18,5 მილიონი ცალი შიფერი. ამჟამად წარმოებს შიფერის ქარხნის გაფართოების სამუშაოები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 12,5 მილიონ მანეთს აღემატება.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, რომელიც წარსულში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა, უკანასკნელ წლებში გააუმჯობესა ხელმძღვანელობა საწარმოებისადმი და მიაღწია თავისი პროდუქციის ძირითადი სახეების გამოშვების გადიდებას. შარშან სამინისტროს ქარხნებმა გამოუშვეს 35.300 ათასი აგური, ნაცვლად 1940 წლის 13.800 ათასისა. ამრიგად, აგურის გამოშვება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით ომამდელ დონესთან შედარებით 155,8 პროცენტით გაიზარდა. 1948 წელს გამოშვებულია: კრამიტი 28,4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს, კირი—24,3 პროცენტით მეტი, ცეცხლგამძლე აგური—183,6 პროცენტით მეტი.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აგურისა და კრამიტის ხარისხის გაუმჯობესებას, მეტადრე ნოსირის ქარხანაში. ამასთან ერთად, მოწყობილობის უკეთ გამოყენებისა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გზით, მან მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს საშენ მასალათა გამოშვება, რომლებიც ჯერ კიდევ ალიმიტებენ ჩვენს მშენებლობას.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით ყველაზე ჩამორჩენილ უბნად რჩება ცალობრივი ქვის წარმოება. ჩვენ მოგვეპოვება კირ-ქვის, გრანიტის, ბაზალტისა და სხვადასხვა ტუფის უმდიდრესი საბადოები. მათი ამოღებისა და დამუშავების მექანიზაციის პირობებში ჩვენ შეეძლებთ ქვით შევმოსოთ საუკეთესო შენობები, რომლებიც ჩვენს ქალაქებში შენდება. მაგრამ იმის გამო, რომ მოსაპირკეთებელი ქვის მოპოვება და დამუშავება ჯერ კიდევ ხელით ხდება, იგი ძალიან ძვირი ჯდება და ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ფართოდ გამოვიყენოთ ეს მშვენიერი საშენი მასალა. უნდა ვთქვა,

რომ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის არაერთგზის მითითებას ბუნებრივი ქვის კარიერების განვითარებისა და ქვის დამუშავების მექანიზაციის დარგში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს.

საქართველო ქვის არქიტექტურის კლასიკური ქვეყანაა. ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი განსაცვიფრებელი არქიტექტურული ძეგლები გამოირჩევიან ფორმების კეთილშობილებით და ორნამენტის სიმდიდრით სწორედ იმიტომ, რომ ისინი ქვისაგან არიან აგებული. საჭიროა უფლებებში აღვადგინოთ ეს ეროვნული ტრადიცია და უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ახალ მშენებლობაში ჩვენი ბუნებრივი ქვების მთელი მრავალფეროვნება.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით ამჟამად შენდება ორი უმნიშვნელოვანესი ობიექტი: მეტეხის აგურის ქარხანა წელიწადში 20 მილიონი აგურის სიმძლავრისა და ცემენტის ერთი ახალი ქარხანა საშუალო სიმძლავრისა. ამ მშენებლობებს სამინისტრო და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები იმ რაიონებში, სადაც ისინი შენდება, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, რის შედეგადაც მშენებლობისათვის გამოყოფილი, თავისთავად არასაკმაო, თანხები არ არის ათვისებული.

მიმდინარე წლიდან აგურისა და ცემენტის ქარხნების მშენებლობის სამუშაოები ისე უნდა გაიშალოს, რომ 1950 წლის დამლევისათვის უზრუნველყოფილ იქნას მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ქართულ მარმარილოს შენობათა და ნაგებობათა მოსაპირკეთებლად იყენებენ საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქში. ჩვენი მარმარილოს მთავარი მომხმარებელია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სადაც ამ მარმარილოთი მოპირკეთებულია მეტროპოლიტენის მეტი წილი სადგურები. მაგრამ მარმარილოს მოპოვება და დამუშავება არადამაკმაყოფილებლად ვითარდება. ამაში დამნაშავეა საქართველოს მარმარილოს კომბინატის ხელმძღვანელობა, რომელიც ჯეროვან ზრუნვას ვერ იჩენს მარმარილოს კარიერების განვითარებისა და მექანიზაციისათვის. დიდძალი ძვირფასი მოწყობილობა წლობით აწყვია კომბინატის საწყობებში, არ იდგმება და გამოყენებული არ არის.

საჭიროა მივაღწიოთ დახმარებას საშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო სამინისტროს მხრივ, რომ გავიყვანოთ გზები მარმარილოს უმნიშვნელოვანეს საბადოებამდე, პირველ რიგში, ლოპოტოს საბადომდე. ჩვენ მოვალენი ვართ გავაფართოვოთ მარმარილოს მოპოვება და წარმოება, რათა დავაკმაყოფილოთ ამ მნიშვნელოვან საშენ მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილება.

ამიერკავკასიის მეტალურგიული და ჟუთაისის საავტომობილო ქარხნების მშენებლობის შესახებ

საქართველოში ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანაა. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1945 წლის ფასებით 1.800 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. აქედან გასაგებია, თუ რა უდიდესი გაქანებაა საჭირო იმისათვის, რომ ამ გიგანტური საწარმოს მშენებლობა რამდენიმე წელიწადში დავამთავროთ.

1946 წლის სექტემბერში მიღებული გადაწყვეტილებით სსრ კავშირის მთავრობამ დაადგინა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბოლოო პროფილი და სიმძლავრე. ქარხანამ წელიწადში უნდა გამოუშვას 640 ათასი

ტონა მეტალურგიული კოქსი, 430 ათასი ტონა თუჯი, 685 ათასი ტონა ფოლადი, 290 ათასი ტონა მილები და 150.000 ტონაზე მეტი სხვა [illegible] ქარხანას მომსახურებას გაუწევს საკუთარი მძლავრი თბოელექტროცენტრალი.

მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის შენდება ახალი ქალაქი—რუსთავი, სადაც რამდენიმე ათეული ათასი კაცი იცხოვრებს.

1949 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე ათვისებულია 395.200 ათასი მანეთი, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 302.200 ათასი მანეთი. გასულ წელს მშენებლობამ აითვისა 90.300 ათასი მანეთი.

ამჟამად შენდება ქარხნის თითქმის ყველა ძირითადი საამქრო. დამთავრებულია და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ დამხმარე საამქროები, რომელთაგან თვითეული თავისი ოდენობით საშუალო ქარხანას არ ჩამოუვარდება. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მშენებლებმა ქარხანას ჩააბარეს 17.728 კვადრატული მეტრი მუდმივი საცხოვრებელი ფართობი.

გუშინ საექსპლოატაციოდ გადაეცა თბოელექტროცენტრალის პირველი აგრეგატი.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა უთუოდ დიდი მუშაობა გასწია. მშენებლობის ტემპი იზრდება და სახსრების ათვისება წლითიწლობით მატულობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტრესტი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს. გასულ წელს სახსრების ათვისების წლიური გეგმა შესრულებულ იქნა 73,8 პროცენტით. ქარხნის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს არ იცავენ.

რა არის ქარხნის მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები?

ეს მიზეზები შეიძლება ორ კატეგორიად გაიყოს. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ის მიზეზები, რომელთა აღმოფხვრა დამოკიდებულია მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროსა და მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროზე. ასეთია, მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის არადამაკმაყოფილებელი მომარაგება ლითონით, სატრანსპორტო საშუალებებით, ხე-ტყით, მექანიზმებით და მოწყობილობის დროზე მიუწოდებლობა იმ საამქროების მონტაჟისათვის, რომელთა მშენებლობაც მთავრდება.

მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ადგილობრივი ხასიათის მიზეზები. ეს მიზეზებია სამუშაოთა ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ არსებობს მშენებლობაზე, და მუშახელის ცუდი გამოყენება. ამ უკანასკნელი მიზეზების აღმოფხვრა სავსებით და მთლიანად დამოკიდებულია ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამმართველოზე, რუსთავის პარტორგანიზაციაზე და მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოება საკმაოდ არ არის მექანიზებული. სამშენებლო მოედანზე ცოტაა ექსკავატორები, ბულდოზერები, ამწეები, მაგრამ არსებულ მექანიზმებსაც სრული სიმძლავრით არ იყენებენ. მაგალითად, 1948 წლის 11 თვის განმავლობაში ექსკავატორების დატვირთვა უდრიდა ნორმის 56 პროცენტს, ამწეებისა—74 პროცენტს, დულაბსარეველებისა—60 პროცენტს. მუშების უმრავლესობა გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებს. გასული წლის 11 თვის განმავლობაში ერთი მუშის გამომუშავება გეგმით გათვალისწინებული 10.300 მანეთის ნაცვლად შეადგენდა 8.870 მანეთს ანუ 86 პროცენტს.

მიმდინარე წელს მშენებლობის პროგრამა განსაზღვრულია 120 მილიონი მანეთის რაოდენობით. საექსპლოატაციოდ გადაცემულ უნდა იქნეს [illegible] გი და ორი მარტენის ღუმელი. დაგეგმილია სამუშაოთა ფართოდ [illegible] ელექტროცენტრალის, მილდამამზადებელი დანადგარისა და მილსაგლინავი საამქროს მშენებლობისა და მონტაჟის დასამთავრებლად. გათვალისწინებულია ქარხნის დირექციისათვის 15 ათასი კვადრატული მეტრი მუდმივი საცხოვრებელი ფართობის, აბანო-სამრეცხაო კომბინატისა და პურის ქარხნის გადაცემა.

გარდა ამისა, 20 მილიონი მანეთი ათვისებულ უნდა იქნას ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე.

საჭიროა ძალების დიდი დაძაბვა წლის დასაწყისიდანვე, რათა შესრულებულ იქნას ეს დიდი პროგრამა. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის უფროსმა ამხ. გიორგაძემ და რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ზედგინიძემ უნდა უზრუნველყონ მშენებლთა მთელი კოლექტივის მობილიზაცია სამშენებლო სამუშაოთა წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ქარხნის ყველა ობიექტზე დადგენილი გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის.

მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებმა ამხ. გომელაურმა და ქაშაკაშვილმა მეტი ინიციატივა და სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ ასამუშავებელი საამქროებისათვის მოწყობილობის მიღებაში, უფრო აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ მშენებლებს და ამასთან კონტროლს უწევდნენ მათს მუშაობას, განსაკუთრებით ხარისხის მხრივ.

მეტალურგიული ქარხნის შექმნა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, საქართველოს ბოლშევიკებისათვის უდიდესი საპატიო ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ.

ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოში 1950 წელს გამოშვებულ უნდა იქნას 15.000 სატვირთო ავტომობილი. უნდა ვთქვა, რომ ამ დავალების შესრულებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის ტემპი არადამაკმაყოფილებელია. ქარხნის მშენებლობამ მხოლოდ 1946 წელს შეასრულა სამუშაოთა გეგმა და წლის განმავლობაში 47 მილიონი მანეთი აითვისა. ამის შემდეგ მშენებლობის ტემპი შესუსტდა და 1947 წელს გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 64 პროცენტით. გასულ წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხაზით ათვისებულია 26 მილიონი მანეთი, რაც გეგმის 65 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთგაზმშენის ყოფილი მთავარი სამმართველო, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებოდა ამ მშენებლობას. ქარხნის მშენებლობის სამმართველოც არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა. მასალებითა და მექანიზმებით მომარაგება ძლიერ ცუდად არის დაყენებული. ყურადღება არ ექცევა დამხმარე ბაზის შექმნას. ცოტაა სამშენებლო მექანიზმები, მაგრამ რაც არის, მათაც არასაკმაოდ იყენებენ: ექსკავატორები იძლევიან თავიანთი ნაყოფიერების 56,2 პროცენტს, ქვის სამტვრევები — 65,4 პროცენტს, სატკეპნი მანქანები — 42,3 პროცენტს, ბულდოზერები — მხოლოდ 22,3 პროცენტს.

შშენებლობაზე მუშების დიდი დენადობაა.

მშენებლობის ხელმძღვანელებმა ამხ. ოდიშარიამ და პროზოროვმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ მშენებლობაზე სამუშაოთა წარმოების ეფექტურად გაუმჯობესებისათვის. ქუთაისის პარტორგანიზაციამ უნდა გაუწიოს დახმარება და ხელმძღვანელობა საავტომობილო ქარხნის მშენებლობისადმი.

საავტომობილო ქარხნის მშენებლობისათვის დახმარების საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონი, რომლებსაც შეუძლიათ და მოვალენი არიან უზრუნველყონ ეს მშენებლობა მუშახელით.

საფეიქრო საწარმოთა მშენებლობის შესახებ

მე უკვე აღვნიშნე, რომ სამშენებლო სამუშაოები საფეიქრო მრეწველობაში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ბოლო უნდა მოუღოს ჩამორჩენას ამ საქმეში და უზრუნველყოს საფეიქრო საწარმოთა მშენებლობისა და გაფართოების სამუშაოთა დროზე დამთავრება.

გორის ბამბეულის კომბინატი მიმდინარე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობაა საქართველოში. კომბინატი წელიწადში გამოუშვებს 17,5 მილიონ მეტრ ბამბის ქსოვილს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართლის ცენტრალური რაიონების ინდუსტრიალიზაციისათვის.

კომბინატის მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად წარმოებს: 1949 წლის 1 იანვრისათვის ათვისებულია მხოლოდ 8.089 ათასი მანეთი ანუ საწარმოს საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 5,2 პროცენტი.

1949 წელი გარდატეხის წელიწადი უნდა გახდეს გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობაში. მშენებლობის ახლად დანიშნული ხელმძღვანელები ამხ. ლორთქიფანიძე და კერესელიძე მოვალენი არიან ფართოდ გაშალონ მუშაობა ძირითად სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის ხაზით. პარალელურად სწრაფი ტემპით უნდა აშენდეს მუდმივი საცხოვრებელი სახლები კომბინატის მუშებისა და სპეციალისტებისათვის.

ბამბეულის კომბინატის მშენებლობის უზრუნველყოფა მუშახელით მთლიანად უნდა დაეკისროთ გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონებს და სამხრეთ ოსეთის რაიონებს. ამ რაიონების პარტორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის მნიშვნელობა რაც საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის აქვს დიდი საფეიქრო საწარმოს შექმნას გორში, და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მშენებლობას. რაც შეეხება გორის რაიონულ პარტორგანიზაციას, უახლოესი პერიოდისათვის მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყოს ბამბეულის კომბინატის დროზე ამუშავება.

ჩაისა და ღვინის მრეწველობის შესახებ

იმ ნაწილში, რომელიც სოფლის მეურნეობას შეეხება, ყრილობას მოვახსენებ უდიდესი ამოცანების შესახებ, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახულია ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში.

ამჟამად საქართველოში არის 37 ჩაის ფაბრიკა, რომლებსაც შეუძლიათ გადაამუშაონ 56.750 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. 1958 წელს ჩვენ უნდა გამოვუშვათ პირველადი დამუშავების ბაიხის ჩაის 47 ათას ტონაზე მეტი მზა პროდუქცია ე. ი. 4,5-ჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს იყო გამოშვებული.

ჩაის ასეთი რაოდენობის გამოშვება რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე ისე გავადიდოთ, რომ მათ შეეძლოთ გადამუშავონ 139,3 ათასი ტონით მეტი, ე. ი. 3,5-ჯერ მეტი ჩაის მწვანე ფოთლის ... უნდა მოხდეს ახალი ფაბრიკების მშენებლობისა და ნაწილობრივ, არსებული ფაბრიკების გაფართოების ხარჯზე.

დამზადებული ჩაის ფოთლის დროზე მიტანის უზრუნველსაყოფად საჭიროა სუბტროპიკულ რაიონებში გაყვანილ იქნას გაუმჯობესებული გზატკეცილების ფართო ქსელი 500 კილომეტრი საერთო სიგრძისა. ჩაის მრეწველობის ენერგომომარაგების საკითხის კარდინალური გადაწყვეტისათვის პროექტდება 7,8 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროსადგურის მშენებლობა მდინარე ბეუეზე მახარაძის რაიონში გადაცემის საჭირო მაღალვოლტიანი ხაზებითა და ქვესადგურებით.

ეს მშენებლობანი ვარაუდით დაჯდება 700 მილიონამდე მანეთი 1945 წლის ფასებით. როგორც ხედავთ, ჩაის მრეწველობის განვითარების დარგში ჩვენ უდიდეს სამუშაოთა შესრულება მოგველის. ამ ამოცანების გადაწყვეტას საგემოვნო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად ხელი უნდა მოჰკიდონ სუბტროპიკული რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა. ამ რაიონების კოლმეურნეობებმა, რაც უნდა გადატვირთული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით, უნდა გამოყონ მუშახელი ჩაის ფაბრიკებისა და გზატკეცილების მშენებლობისათვის.

ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარების დავალებათა განხორციელების შედეგად ჩვენს სუბტროპიკულ რაიონებს შეემატებათ ჩაის მრეწველობის მრავალი თანამედროვე საწარმო ლამაზი კეთილმოწყობილი მუშათა დაბებით, ამასთან ეს რაიონები გუდრონირებული გზატკეცილების ფართოდ განშტოებულ ქსელს მიიღებენ.

საკავშირო ორგანოებში ამჟამად მიმდინარეობს განხილვა ჩაის მრეწველობის განვითარების ჩვენ მიერ წარდგენილი ღონისძიებებისა და ეჭვი არ არის, რომ საკავშირო მთავრობა ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს.

საქართველოს ღვინის მრეწველობა უშვებს ღვინოებსა და კონიაკებს, რომლებიც საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების პერსპექტივა შესაძლებლობას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში ძლიერ გადიდდება მეღვინეობის პროდუქციის გამოშვება. ამასთან ერთად ჩვენ ამოცანად ვისახავთ ჩვენი მეღვინეობის შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ წლითიწლობით უნდა გავადიდოთ მაღალხარისხოვანი მარკიანი ღვინოების გამოშვება. რაც შეეხება კონიაკის წარმოებას, ამ მხრივ საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით სავსებით კონკრეტული ამოცანები გვაქვს დასახული. კონიაკის წლიური გამოშვება 1957 წლისათვის უნდა ავიყვანოთ 175 ათას დეკალიტრამდე, ნაცვლად 1940 წლის 46,6 ათასი დეკალიტრისა და 1948 წლის 55 ათასი დეკალიტრისა.

ამ ამოცანათა გადასაჭრელად საჭიროა სერიოზულ სამშენებლო სამუშაოთა შესრულება. ყველა საბჭოთა მეურნეობაში და ღვინის ქარხნებთან უნდა შეიქმნას დიდი სასარდაფო მეურნეობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ღვინის ძასალის ნორმალურ გადამუშავებასა და შენახვას.

უნდა გაძლიერდეს ტემპი თბილისის კონიაკის ქარხნისა და სხვა საწარმოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობისა, რომლებიც საჭიროა მთავრობის დავალებათა შესასრულებლად კონიაკის წარმოების გადიდების დარგში.

საქართველოში ფართოდ ვითარდება შამპანური ღვინოების წარმოება. 1957 წელს შამპანურის გამოშვება აყვანილ უნდა იქნას 4.250 ათას ბოთლამდე, ნაცვლად 1940 წლის 1.652 ათასი ბოთლისა. აქაც დიდი სამშენებლო სამუშაოები გვაქვს შესასრულებელი.

მეღვინეობის ძირითადი რაიონების, პირველ რიგში კახეთისა და ზემო იმერეთის რაიონების პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელი ორგანოები მეღვინეობის საწარმოთა მშენებლობას უნდა განიხილავდნენ როგორც თავიანთი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამ სამუშაოთა შესრულებისათვის ისინი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წინაშე ისევე პასუხისმგებელი არიან, როგორც საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო და შამპანური ღვინოების კომბინატი.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარება დიდად არის დამოკიდებული რკინიგზის მდგომარეობასა და მუშაობაზე. რკინიგზის ტრანსპორტი იზრდება და ვითარდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად. რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობა ომის წლებშიც კი არ შეწყვეტილა. საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 219 კილომეტრით გაიზარდა. რკინიგზის ახლად აშენებული ხაზებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია შავი ზღვის ხაზი. მისი ექსპლოატაციის დაწყებით გაიხსნა მეორე და უმოკლესი გასასვლელი გზა საქართველოდან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ოლქებში.

სერიოზული მუშაობაა შესრულებული რკინიგზის ელექტროფიკაციის განვითარების დარგში. ელექტროფიცირებული უბნების საერთო სიგრძემ 1948 წელს მიაღწია 392,6 კილომეტრს, ნაცვლად 1940 წლის 275 კილომეტრისა. ომისშემდგომ წლებში ამიერკავკასიის რკინიგზამ აითვისა თბომავლებისა და დიზელ-მატარებლების ექსპლოატაცია და თავისი პარკი ახალ ელექტრომავლებით შეავსო.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის. გზის მუშაობის ძირითად ნაკლოვანებებად უნდა ჩაითვალოს ვაგონების დიდი მოცდენა და შემოსავლის გეგმის შეუსრულებლობა.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ გზის სამმართველო ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სამგზავრო სადგურების რემონტს, მათი ტერიტორიის კეთილმოწყობასა და გამწვანებას.

იშვიათი არ არის რკინიგზის ზოგიერთი მუშაკის მიერ მგზავრებისადმი უხეში მოპყრობის, უბილეთო მგზავრების წაყვანისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენის შემთხვევები.

რკინიგზის საწარმოთა, სადგურთა და განყოფილებათა მუშაობაში ჯერ კიდევ არის წუნის, ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევის ფაქტები.

გზის სამმართველო მოვალეა პარტიული ორგანოების დახმარებით უზრუნველყოს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველის გეგმის შესრულების უზრუნველყოფა. რკინიგზა ზარალს არ უნდა აყენებდეს სახელმწიფოს.

სახალხო-სამეურნეო ტვირთების განუწყვეტლივ მზარდი ნაკადის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესრულდეს დიდი სამუშაოები რკინიგზის ახალი გზების მშენებლობისა და ძველი ხაზების განვითარების დარგში. რკინიგზის სამშენებლო სამმართველოთა უფროსები ამხ. ცატუროვი, ვაშაკიძე და ნასიძე ვალდებული არიან გააძლიერონ მუშაობა კვეზან-ტყვარჩელისა და კაჭრეთ-მირზაანის რკინიგზის შტოების მშენებლობის ხაზით და უზრუნველყონ მათი დამთავრება უახლოეს ორ წელიწადში. ამ შტოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მეტად ნელი ტემპით შენდება.

უახლოეს წლებში გაყვანილ უნდა იქნას ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონიდან ჭიათურამდე. ეს საჭიროა იმიტომ, რომ არსებული ვიწროლიანდაგიანი შტო 2-3 წლის შემდეგ ვეღარ უზრუნველყოფს მარგანეცის დაგეგმილი სასაქონლო მადნის გადაზიდვას.

ამიერკავკასიის რკინიგზა მაქსიმალურად უნდა იქნას ელექტროფიცირებული. უახლოეს 2-3 წელიწადში ელექტროფიცირებულ უნდა იქნას სამტრედია-ბათუმისა და სამტრედია-ადლერის უბნები.

ელექტროენერგიით რკინიგზის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაჩქარდეს შაორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის დაწყებაც საკავშირო მთავრობის მიერ შეტანილია მიმდინარე წლის გეგმაში.

გზის სამმართველომ უნდა უზრუნველყოს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული ლიანდაგებისა და სადგურების განვითარებისათვის საჭირო ყველა სამუშაოს შესრულება. ეს სამუშაო ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რკინიგზაზე შექმნილია პოლიტიკური განყოფილებანი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რკინიგზელების ცხოვრებაში. ამიერკავკასიის გზის პოლიტგანყოფილებამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ რკინიგზელთა შორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობის აღმავლობა და რკინიგზის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერება. პოლიტგანყოფილების უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება ტრანსპორტზე და დახმარება გაუწიოს გზის ხელმძღვანელობას კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებაში.

საანგარიშო პერიოდში საავტომობილო გზების სიგრძე საქართველოში 1.540 კილომეტრით გაიზარდა. გზების მშენებლობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ომისშემდგომ წლებში. ამ მუშაობაში სულ უფრო აქტიურად ებმება მოსახლეობა. მაიაკოვსკი-დიდმაღალას მეტად რთული და მნიშვნელოვანი გზა, რომლის სიგრძეა 36 კილომეტრი, თითქმის მთლიანად გაყვანილია იმერეთის რაიონების კოლმეურნეთა მონაწილეობით. გურიის კოლმეურნეებმა გაიყვანეს ჩოხატაურ-კურორტ ბახმაროს საავტომობილო გზა, რომლის სიგრძეა 51 კილომეტრი. გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო მუშაობა საავტომობილო გზის გასაყვანად გეგეჭკორის რაიონში კურორტ ლებარდემდე და მთა-თუშეთში. ამ სამუშაოებში მონაწილეობენ სამეგრელოს და კახეთის რაიონების კოლმეურნეები.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ საქმეს კარგად ვუხელმძღვანელებთ, შეგვიძლია კოლმეურნეთა მონაწილეობით გავიყვანოთ გზები ჩვენი რესპუბლიკის ყველა ძნელად მისადგომ მაღალმთიან რაიონში. ასეთ გზებს უდიდესი კულტურული და სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ისინი ჩვეულებრივ გადიან ტყის მასივებზე, რომელთა ექსპლოატაციაც წინათ არ წარმოებდა ხეტყის გამოზიდვის შეუძლებლობის გამო. ახალი გზების გაყვანა დაგვეხმარება ადგილობრივი ხე-ტყის მასალით სახალხო მეურნეობის მომარაგების გაუმჯობესებაში.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს გზების მოვლის საქმეში. ზოგიერთი გზა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იქ გავლა ძნელია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საგზაო სამმართველომ და გზატკეცილების სამმართველომ ადგილობრივი ორგანოების დახმარებით უნდა გააძლიერონ სარემონტო სამუშაოთა ტემპი და ხარისხი და ყველა ჩვენი გზა სრულ წესრიგზე მოიყვანონ.

რამდენიმე სიტყვა კავშირგაბმულობის მუშაობის შესახებ (**გამოცოცხლება დარბაზში**). კავშირგაბმულობის განვითარებაშიც გარკვეული წარმატებებია მიღწეული. 1940 წლის შემდეგ საქალაქთაშორისო სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზის სიგრძე 421 კილომეტრით გადიდდა, ხოლო სადენების სიგრძე ამ ხაზებზე 6.427 კილომეტრით. შიდარაიონული სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზები 1.350 კილომეტრით გადიდდა. აგებული და რეკონსტრუირებულია 28 საქალაქო სატელეფონო სადგური. მნიშვნელოვნად გადიდდა რადიოკვანძებისა და რადიოწერტილების ქსელი.

მაგრამ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში მაინც კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზები მოუვლელია. კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობაში ბევრია წუნი. დეპეშების დამუშავება და მიტანა ხშირად დიდი დაგვიანებით ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე თბილისის ტელეგრაფში. თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მუშაკები იმდენად შეეჩვიენ დეპეშების დროზე გადაუცემლობას, რომ გასული წლის დეკემბერში 3 საათზე მეტით დააგვიანეს თვით ამხ. მონიავას — საქართველოში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის მიერ ხელმოწერილი სასწრაფო დეპეშა (**სიცილი**). აქედან გასაგებია, როგორ მოეკიდებიან ისინი ჩვეულებრივ დეპეშებს.

კავშირგაბმულობის ორგანოებში არის სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია და კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაშიც კავშირგაბმულობის ორგანოებს სერიოზული დახმარება უნდა გაეწიოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რადიოფიკაციის გაფართოებას. ამ საქმეში ჩვენ უნდა მივბაძოთ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მაგალითს, რომელმაც ამოცანად დაისახა უზრუნველყოს მთელი ოლქის სრული რადიოფიკაცია უახლოეს დროში.

*

* *

დროის ნაკლებობა შესაძლებლობას არ მაძლევს შევჩერდე მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, თუ რა დიდია ამოცანები, რომლებიც ჩვენს

წინაშე დგას მრეწველობის შემდგომი განვითარების დარგში. მათი ღირსეულად გადაწყვეტისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციები [illegible] არიან გააუმჯობესონ სამრეწველო მშენებლობისა და წარმოების [illegible] ნელობის ხარისხი, ჩასწვდნენ ქარხანა-ფაბრიკების მუშაობის ყველა დეტალს და ღირსეულად ჩაუდგნენ სათავეში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომითს აქტივობას.

საქართველოს მზარდი მრეწველობა კვალიფიციურ მუშათა დიდ რაოდენობას მოითხოვს. შრომითი რეზერვების სისტემის საშუალებით და თვით საწარმოებში მათი მომზადების უზრუნველყოფა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვენი სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვაში უმკაცრესი მომჭირნეობის საკითხები.

მოსკოვის მშრომელთა მაგალითის მიხედვით საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში შარშან ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოეცათ 155 მილიონი მანეთი დაგროვება. ბელადისათვის მიცემული სიტყვა მათ შეასრულეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს მრეწველობაში დიდი შინაგანი რეზერვებია. ხელმძღვანელობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ გამოვავლინოთ ეს რეზერვები და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ისინი ჩვენი საწარმოების რენტაბელობის გადიდებისათვის.

II სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობამ ღირსეულად ჩააბარა ომიანობის დროის გამოცდა. მარცვლეულის და სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ომის პერიოდში არა თუ არ შემცირებულა ომის წინა 1940 წელთან შედარებით, არამედ მნიშვნელოვნად გადიდდა. მრავალწლიანი კულტურები, რომლებიც ჩვენი კოლმეურნეობების ძირითად სიმდიდრეს შეადგენენ, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ძირითადად შენარჩუნებულ იქნა ისე, რომ დიდად არ დაზარალებულან. ძლიერ შემცირდა მხოლოდ ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი 1941 — 1942 წლის ზამთრის მკაცრი ყინვების შედეგად.

ომის დამთავრების შემდეგ ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში მიღწეულია სერიოზული წარმატება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების ფართობის გადიდების საქმეში.

მარცვლეული კულტურების ნათესთა ფართობი 1948 წელს, 1940 წელთან შედარებით, 30 ათასი ჰექტარით გადიდდა. თუ 1940 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარ ნათესზე 8,1

ცენტნერს შეადგენდა, 1946 წელს ერთ ჰექტარ ნათესზე საშუალოდ აღებულ იქნა 9,4 ცენტნერი, 1947 წელს—12,4 ცენტნერი და 1948 წელს—აგრეთვე 12,4 ცენტნერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ცხადია, რომ სწრაფად დიდდებოდა მარცვლეულის საერთო მოსავალიც. საქართველოს კოლმეურნეობებმა მარცვლეულის საერთო მოსავალი, 1940 წელთან შედარებით, მიიღეს 1947 წელს 3.053 ათასი ცენტნერით მეტი და 1948 წელს 2.904,5 ათასი ცენტნერით მეტი.

მნიშვნელოვნად გადიდდა და ომამდელ დონეს გადააჭარბა პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნაყოფის საერთო მოსავალმა. ამ კულტურების განსაკუთრებით უხვი მოსავალი მიღებულ იქნა 1948 წელს.

ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობას მოწმობს მისი საქონლიანობის ზრდა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმებს საქართველოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეები გადაჭარბებით ასრულებენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობები 1948 წლის დამზადებათა შესახებ, ომისწინა 1940 წლის ცნობებთან შედარებით. შარშან დამზადებული იყო პროცენტობით 1940 წელთან შედარებით:

ძარცვლეული	242,3
1 და 2 ხარისხის ჩაის ფოთოლი	124,2
ციტრუსები	163,5
ყურძენი	119,6
ხილი	256,8
თამბაქო	127,1
შაქრის ჭარხალი	149,3
აბრეშუმის პარკი	96,4
ხორცი	111,2
რძე	320,2
მატყლი	119,2
სოია	135,8
შზესუმზირა	123,4
ტუნგო	171,0

ამრიგად, 1948 წელს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებამ დიდად გადააჭარბა 1940 წლის ყველა მაჩვენებელს, გარდა აბრეშუმის პარკის დამზადებისა, რომელიც რამდენამდე ჩამორჩება ომამდელ დონეს.

სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატება საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ჩვენი კოლმეურნეობების კარგი მუშაობით. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად და გულდასმით მუშაობენ კოლმეურნეობათა საქმიანობის გაუმჯობესების, მათი შემდგომი საორგანიზაციო და საშეურნეო გახმტკიცების საკითხებზე.

უკანასკნელი ცნობებით, საქართველოში არის 4.059 კოლმეურნეობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებშიც ირიცხება 471.698 საკოლმეურნეო კომლი ანუ ყველა გლეხური მეურნეობის 98 პროცენტი.

საქართველოს კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათ-მოგ-რებულებამ 1948 წელს მიაღწია 2 მილიარდ 127 მილიონ მანეთს, ანუ 1940 წელთან შედარებით 162,7 პროცენტით გადიდდა. წლითიწლობით მტკიცდება შრომის დისციპლინა და ძლიერდება საკოლმეურნეო წარმოებაში კოლმეურნეთა მონაწილეობა. 1940 წელს ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე რესპუბლიკაში საშუალოდ გამომუშავებული იყო 132 შრომადღე, 1947 წელს—199 შრომადღე, ხოლო 1948 წელს — წინასწარი ცნობებით — 192 შრომადღე. მნიშვნელოვანია აგრეთვე შრომადღეების საერთო გამომუშავება, რაც წარმოებაში კოლმეურნეთა მონაწილეობის დონეს გვიჩვენებს. 1940 წელს ყველა კოლმეურნეობაში გამომუშავებული იყო 130.629 ათასი შრომადღე, 1947 წელს — 144.925 ათასი შრომადღე, ხოლო 1948 წელს — წინასწარი ცნობებით — 139,230 ათასი შრომადღე. შრომადღეების საერთო გამომუშავების რამდენადმე შემცირება 1948 წელს წინა, 1947 წელთან შედარებით, აიხსნება გამომუშავების ნორმების გადიდებით და კოლმეურნეობათა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირებით.

შრომის დისციპლინის განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საკავშირო მთავრობის ცხობილმა დადგენილებამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ და, გახსაკუთრებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1948 წლის 19 აპრილს მიღებულმა დადგენილებამ „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

იმ კოლმეურნეთა რაოდენობა, რომელთაც 1948 წელს შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ, 1940 წელთან შედარებით 86 ათასი კაცით შემცირდა, თუმცა, როგორც იცით, შრომადღეების მინიმუმი ომიანობის წლებში და შემდეგ მნიშვნელოვნად გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები მოწმობენ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის მნიშვნელოვან განმტკიცებას. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. 1948 წელს 68 ათასამდე კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების მინიმუმი. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებში მუშაობაში არ აბამენ და ბრიგადათა შემადგენლობაში არ შეჰყავთ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე. ასეთი შემთხვევებია ჩხარის, ვანის, წულუკიძის, გეგეჭკორის, გურჯაანის, წყალტუბოს და ზოგიერთ სხვა რაიონში.

თითქმის ყველა კულტურის საერთო მოსავალი, სახელმწიფო დამზადებათა ოდენობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო საქონლიანობა განუხრელად იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება კოლმეურნეობათა სიმდიდრე და კოლმეურნეთა შეძლებულობა. 1947 წელს შრომადღეებზე განაწილებული იყო 1.405 ათასი ცენტნერით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს, ხოლო ფული — ერთიორად მეტი.

შრომადღეზე საშუალოდ რესპუბლიკაში 1947 წელს გაიცა 2,7 კილოგრამი მარცვლეული და 3 მანეთი და 90 კაპიკი ფულად, ნაცვლად 1940 წელს გაცემული 1,9 კილოგრამი მარცვლეულისა და 2 მანეთისა ფულადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარი გამოანგარიშებით, შრომადღის ანაზღაურება 1948 წელს, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში გვალვასთან, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების შემცირებასთან დაკავშირებით, ოდნავ ნაკლები იქნება, ვიდრე 1947 წელს, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ყველა დანარჩენი წინანდელი წლის მაჩვენებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფულის რეფორმის შემდეგ საბჭოთა მანეთის კურსი მნიშვნელოვნად განმტკიცდა, საქართველოს კოლმეურნეობებმა 1948 წელს, წინასწარი გამოანგარიშებით, მიიღეს 1.185 მილიონამდე მანეთი მარტო ფულადი შემოსავალი, თითქმის იმდენივე, რამდენიც 1947 წელს, და 130,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

შარშან 258 კოლმეურნეობამ 1 მილიონ მანეთზე მეტი მხოლოდ ფულადი შემოსავალი მიიღო თვითეულმა. მილიონერი კოლმეურნეობა განსაკუთრებით ბევრია ტექნიკური კულტურების რაიონებში, სადაც ამ კულტურების მთელი მოსავალი სახელმწიფოს ჰბარდება. ეს ჩანს შემდეგი ცნობებით:

ტექნიკური კულტურების ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობათა 1948 წლის ფულადი შემოსავლის მაჩვენებლები.

(წინასწარი ცნობები)

რაიონები	კოლმეურნეობათა სერთო რაოდენობა.	მათ შორის მილიონერი კოლმეურნეობა.	კოლმეურნეობათა საერთო ფულ. შემ. ათას მანეთობით	საშუალოდ გაცემულია შრომადღეზე	
				ფულად	მარცვლეულ
მაბარაძის	40	37	97,201	19 მ. 10 კ.	1,4 კლგ.
ქობულეთის . . .	39	21	52,186	18 მ.	0,7 კლგ.
ზუგდიდის	51	15	47,247	5 მ. 75 კ.	2,05 კლგ.
გაგრის	32	17	40,800	11 მ. 43 კ.	1.0 კლგ.
ბათუმის	32	15	34,743	13 მ. 85 კ.	0,9 კლგ.
სოხუმის	39	13	31,157	14 მ. 85 კ.	1,4 კლგ.
გალის	45	17	45,913	12 მ. 60 კ.	5,6 კლგ.
ლაგოდეხის	71	14	41,317	7 მ.	1,3 კლგ.

დანარჩენ რაიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, ბევრად დიდია შრომადღის ნატურალური ანაზღაურება, ე. ი. კოლმეურნეებისათვის მარცვლეულის, ღვინის, ბოსტნეულის, კარტოფილის, მეცხოველეობის პროდუქტების მიცემა. ამ რაიონების კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალიც თანდათან იზრდება.

ხორბლის, სიმინდის, ჩაის, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის დარგში სანიმუშო მაჩვენებელთა მოპოვებისათვის 1946 და 1947 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის 260 მოწინავეს. გარდა ამისა, დაჯილდოებუ-

ლი არიან: ლენინის ორდენით — 281 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით—479 კაცი. მედლებით შრომითი მამაცობისათვის და შრომითი წარჩინებისათვის — 657 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარი ცნობებით, მიუხედავად იმისა, რომ გადიდებულია მაჩვენებლები სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებისათვის, შარშანდელი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისათვის დასაჯილდოებლად წარდგენილ იქნება უფრო მეტი კოლმეურნე, სპეციალისტი და რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები. განსაკუთრებით ბევრი ამხანაგი იქნება წარდგენილი დასაჯილდოებლად ჩაის, თამბაქოს, ყურძნისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

საკავშირო მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოში გაწეულია დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღმოსაფხვრელად, კოლმეურნეობებში ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად და შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების გასაუმჯობესებლად. სერიოზული ღონისძიებებია მიღებული შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის განსამტკიცებლად. ძმამავალშიც ჩვენი ძირითადი ამოცანა იქნება სისტემატური ზრუნვა იმისათვის, რომ განიავებისაგან დავიცვათ კოლმეურნეობათა მიწები და შემოსავალი, განვამტკიცოთ კოლმეურნეობები ორგანიზაციული და სამეურნეო მხრივ, გავზარდოთ მათი სიმდიდრე და კოლმეურნეთა შეძლებულობა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის დიდი ორგანიზატორის — ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საბჭოთა მთავრობა ახორციელებს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის თვალუწვდენ სივრცეთა ბუნების გარდაქმნას, რაც ისტორიაში უმაგალითოა. მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გრანდიოზული გეგმა და კრასნოდარის მხარეში, უკრაინის სამხრეთ რაიონებში, ყირიმში, დაღისტანსა და აზერბაიჯანში ციტრუსოვანთა გაშენების ღონისძიებანი არა მარტო მკაფიოდ მოწმობენ სოციალისტური წყობილების ძლიერებას, არამედ წარმოადგენენ საბჭოთა მიწათმოქმედების ახალი აყვავებისა და მისი ნაყოფიერების ისეთი გადიდების საწინდარს, რომელზეც კაპიტალისტურ ქვეყნებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ.

საბჭოთა ქვეყნის მიწათმოქმედების საერთო განვითარების მხარდამხარ რომ ვიაროთ, საჭიროა დავსახოთ და გადავჭრათ ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მთელი რიგი ძირითადი ამოცანები. ახლა უკვე დადგა დრო, როცა ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას მივცეთ სხვა, უფრო ფართო მასშტაბი. საკითხი ეხება არა იმას, რომ გავადიდოთ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება რამდენიმე ათეული პროცენტით, არამედ იმას, რომ 8—10 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მივცეთ, მაგალითად, მზა ჩაი და ციტრუსები 4-5-ჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად ვაძლევთ, გავადიდოთ ღვინის წარმოება ერთიანად, კონიაკისა—3-3,5-ჯერ, ხოლო თამბაქოს ნედლეულისა—1951 წლისათვის 30 პროცენტით და სხვ. ამასთან ერთად ჩვენ იმდენად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის მეურნეობა, რომ ძირითადად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი მარცვლეულით.

ვილაპარაკოთ კონკრეტულად ამ ამოცანებზე.

ჩაის დარგში

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფოთოხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენი საკუთარი ჩაით, საჭიროა რაც უსწრაფ გადიდდეს ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი.

ჩვენ მიერ საკავშირო მთავრობის განსახილველად წარდგენილი ღონისძიებანი ითვალისწინებენ პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავლის აყვანას შემდეგ რაოდენობამდე:

წლები:	1949	1950	1953	1955	1958
ჩაის ფოთოლი ტონობით	55.000	70.000	118.000	145.000	193.000
% 1948 წელთან შედარებით	125	159,2	268,3	329,7	438,8

10 წლის განმავლობაში ლაო-ჩაის მოსავალი გადიდდება აგრეთვე 157 პროცენტით, 1948 წელთან შედარებით.

ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ასეთ გადიდებას უნდა მივაღწიოთ ორი გზით: ჩაის ნარგავთა ფართობის გადიდებით და ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ამაღლებით.

ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს 1949-1957 წლებში გავაშენოთ 25.000 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები ისე, რომ 1958 წლისათვის ჩაის ფართობი შეადგენდეს სულ მცირე 70.000 ჰექტარს. ასეთია საქმის ვითარება ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდების მხრივ.

ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების დარგში ჩვენ ვისახავთ ამოცანას — ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავალი უკვე 1955 წელს ავიყვანოთ 3.000 კილოგრამამდე საშუალოდ ჰექტარზე, ე. ი. ერთისამად გავადიდოთ 1948 წელთან შედარებით, ხოლო 1958 წელს ავიყვანოთ 3.250 კილოგრამამდე.

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა მივიღოთ სერიოზული ღონისძიებანი ჩაის გასაშენებლად ვარგისი მიწების ამოშრობისათვის სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში, ამ მიწებზე მცირემიწიანი რაიონებიდან კოლმეურნეთა დასახლებისათვის, აგრეთვე ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მინერალური სასუქით ჩაის მეურნეობის სრული უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს ახასიათებს დიდი ნალექები. მაგრამ გაზაფხული იქ ხშირად გვალვიანი იცის, ხოლო ცალკეულ წლებში გვალვა გრძელდება ჩაის მთელი ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში, რაც ჩაის ფოთლის მოსავლის მკვეთრ შემცირებას იწვევს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ფართოდ გამოვიყენოთ ჩაის პლანტაციების მორწყვა ხელოვნური წვიმით და სხვა საშუალებით.

ეჭვი არ არის, რომ საკავშირო მთავრობა ამჯერადაც გაუწევს ჩვენს სოფლის მეურნეობას სერიოზულ დახმარებას ფულადი სახსრების, ტრაქტორებისა და სხვა საჭირო მანქანებისა და მექანიზმების, მინერალური სასუქების გამოყოფით. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მოვამზადოთ ყველაფერი ამ დახმარების ეფექტიანი გამოყენებისა და ჩაის დარგში დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციების გაშენების დასახული გეგმის შესრულება, მართალია, ძნელი, მაგრამ სავსებით რეალური ამოცანაა.

დიდ უნარსა და ძალების დაძაბვას მოითხოვს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და კოლმეურნეებისაგან ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის დასახულ ოდენობამდე გადიდების ამოცანა. მაგრამ ამ ამოცანის შესრულებაც შეიძლება. ამას მოწმობს ჩვენი ჩაის მეურნეობის მრავალი მოწინავის გამოცდილება. ისინი ჩაის ფოთლის დღემდე უმაგალითო მოსავალს იღებენ. მოვიყვან 1948 წლის რამდენიმე მაგალითს:

კოლმეურნეობის დასახელება	ჩაის პლანტაციების ფართობი ჰექტარობით	საშუალო მოსავალი ჰექტარზე კილოგრამებით
ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის . . .	58	5,913
გალის რაიონის ლენინის სახელობის	100	5 058
მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის	152	4,435
მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის . .	197	4,285
ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის	90	3,766
ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის .	51	4,527
ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა	100	4,423

ჰექტარზე 8-9 ათას კილოგრამ ჩაის იღებს ბევრი რგოლი და ცალკეული კოლმეურნე.

ჩაის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევანი, რომლებმაც გაჰკაფეს გზა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მისაღებად, გვარწმუნებენ, რომ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის დასახული ზრდა უთუოდ მიღწეულ იქნება. ჩვენი ქვეყანა მიიღებს მაღალხარისხოვან ქართულ ჩაის მისთვის საჭირო რაოდენობით. ხოლო სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები, რომლებისთვისაც ჩაი მატერიალური კეთილდღეობის ძირითად წყაროს წარმოადგენს, უფრო მდიდარი და შეძლებული გახდებიან.

ციტრუსების დარგში

•მჟამად ჩვენ გვაქვს 22.620 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავი, მათ შორის ლიმონი — 7.013 ჰექტარი, ფორთოხალი — 3.593 ჰექტარი და მანდარინი — 11.913 ჰექტარი. ამ ფართობიდან 6.180 ჰექტარი გაშენებულია 1944 წლიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც დიდძალი ციტრუსოვანთა ნარგავი დაიღუპა ყინვისაგან 1941—1942 წლების ზამთარში.

როგორც იცით, 1947 წლიდან ჩვენ ვრგავთ მხოლოდ და მხოლოდ ლიმონსა და ფორთოხალს—ციტრუსოვანთა ყველაზე უფრო ძვირფას სახეებს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, 1949 წლის ბოლოს ციტრუსოვანთა ნარგავების

ფართობი 27 ათას ჰექტარამდე უნდა ავიყვანოთ. მიმდინარე წლისათვის დაგეგმილია 4.650 ჰექტარი ციტრუსების გაშენება, მათ შორის 3.000 ჰექტარი ლიმონისა და 1,650 ჰექტარი ფორთოხლისა. ამრიგად, ცენტრალური კომიტეტი პლენუმის დავალებას ჩვენ ერთგვარი გადაჭარბებით შევასრულებთ.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში 1950 წელს ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობის 29.000 ჰექტარამდე აყვანას, ჩვენ დაგვრჩენია მომავალ წელს გავაშენოთ 1.800 ჰექტარი ციტრუსები.

საქართველოში ციტრუსების განვითარების შესაძლებლობა ამით სრულიადაც არ ამოიწურება. რა თქმა უნდა, არავინ იტყვის, რომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობის 29.000 ჰექტარამდე აყვანით. საქართველო მუდამ დარჩება ციტრუსოვანთა ნაყოფით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მომარაგების ძირითად ბაზად. ამიტომ ჩვენ უფრო და უფრო უნდა გავაფართოოთ ციტრუსოვანთა ბაღები. ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ შემდეგი ხუთწლედის ბოლოს, ე. ი. 1955 წელს, საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში უნდა გვექნეს სულ მცირე 40.000 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები. ეს იმას ნიშნავს, რომ 1951 წლიდან, ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაშენდეს 11.000 ჰექტარი ახალი პლანტაციები. მე ვფიქრობ, რომ ყრილობა მოიწონებს ამ ციფრს და მიანდობს ახლადარჩეულ ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას შეიტანონ სათანადო წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობაში.

მიმდინარე წლიდანვე უნდა შევუდგეთ ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოძებნას. უთუოდ მოგვიხდება დასავლეთ საქართველოში ციტრუსოვანთა გავრცელების საზღვრების გაფართოება. ისეთმა რაიონებმა, როგორიცაა ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, სამტრედიის, ვანის, ჩოხატაურის რაიონები, უფრო ინტენსიურად უნდა განავითარონ თავიანთი ციტრუსოვანთა მეურნეობა.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ციტრუსოვანთა სანერგეები. ჩვენ ვალდებული ვართ ყოველწლიურად გამოვიყვანოთ ციტრუსოვანთა იმდენი სტანდარტული ნერგი, რომ მთლიანად უზრუნველვყოთ არა მარტო საქართველოსათვის დასახული გეგმის შესრულება, არამედ საბჭოთა კავშირის ახალი, ციტრუსოვანთა რაიონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც სარგავი მასალით.

მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანა. ბუნების დიდი გარდამქმნელის — მიჩურინის მეთოდების გამოყენებით ჩვენმა მეცნიერებმა და მცდელებმა ეს პრობლემა უნდა გადასჭრან.

თვითეული ციტრუსოვანი ხის მოსავლიანობის გადიდება კვლავ ძირითადი ამოცანაა, ომისშემდგომ წლებში ციტრუსოვანთა საერთო მოსავალი ბევრად გადიდდა. 1946 წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებამ პირველად გადააჭარბა ნახევარ მილიარდს და 581,5 მილიონი ცალი შეადგინა. 1947 წელს დამზადდა 692 მილიონზე მეტი ნაყოფი, ხოლო 1948 წელს 695 მილიონზე მეტი. 1947 — 1948 წლის ზამთრის ყინვები რომ არა რამაც ძალიან შეამცირა მოსავალი აფხაზეთში, გასულ წელს ჩვენ 900 მილიონამდე ცალი ნაყოფის დამზადებას შევძლებდით, ეს უეჭველია.

მაგრამ არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ, მიუხედავად ამ ამაკარა მიღწევებისა ციტრუსოვანთა საშუალო მოსავალი თითო ხეზე დღემდე მეტად მცირეა. თუ მივიღებთ, რომ ამჟამად ჩვენ გვაქვს 12 მილიონ ძირზე მეტი ციტრუსოვანი ასაკოვანი ციტრუსოვანი ხე, გამოდის, რომ თითო ხეზე 1948 წელს 60-მდე ნაყოფი დავამზადეთ. ეს ძალიან ცოტაა. ამოცანად უნდა დავისახოთ, პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების, სასუქის შეტანისა და დროულად წამლობის გზით უახლოეს 3—4 წელიწადში მივაღწიოთ იმას, რომ თითო ხე საშუალოდ 250—300 ნაყოფს გვაძლევდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლითიწლობით მილიონობით ახალი ხე შედის სრული მსხმოიარობის ასაკში, ასეთი მოსავლის პირობებში, შევძლებთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება საქართველოში ამ ხნის მანძილზე, 2—2,5 მილიარდ ნაყოფამდე ავიყვანოთ.

ციტრუსოვანი მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის შესრულება სავსებით შესაძლებელია. აი, მაგალითად, რა მაჩვენებლებს მიაღწიეს ზოგიერთმა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, ცალკეულმა სპეციალისტებმა და კოლმეურნეებმა ციტრუსოვანთა ნაყოფის მოყვანაში 1948 წელს:

ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 29,700 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ანუ საშუალოდ თვითეულ ხეზე 493 ცალი მანდარინი. ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშამ მიხეილ ხუნდაძემ მისთვის მიჩენილ 350 ლიმონის ხეზე საშუალოდ თვითეულზე 467 ლიმონი მოკრიფა, იმავე საბჭოთა მეურნეობის მუშამ ვახტანგ ქურიძემ მისთვის მიჩენილ 820 ხეზე 909 ცალი მანდარინი მოკრიფა თვითეულზე.

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ამხ. დავითაძის ბრიგადამ 4.000 ხიდან სახელმწიფოს ჩააბარა საშუალოდ 917 მანდარინი თვითეულზე. კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ამხ. ჰაიდარ ვარშალომიძის ბრიგადამ 1.000 ძირ ლიმონზე საშუალოდ 360 ნაყოფი მიიღო თვითეულზე, ხოლო 500 ძირ ფორთოხალზე — 400 ნაყოფი თვითეულზე. ბათუმის რაიონის ეოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ჰუსეინ ბერიძემ 400 მანდარინის ხეზე მოკრიფა 1.442 ნაყოფი თვითეულზე.

ასეთი მაგალითი ძალიან ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მეციტრუსეთა გამოცდილება და მივაღწიოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის სწრაფ გადიდებას.

ჩვენი სუბტროპიკების ჩრდილოეთ რაიონებში ამ ზამთარშიც ძლიერი ყინვები იყო. თუ ამ ყინვების შედეგი მძიმე არ იქნა, საქართველოს ბოლშევიკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ უკვე წელს მიიღოს საქართველოდან ციტრუსოვანთა პირველი მილიარდი ნაყოფი.

მევენახეობის დარგში

საქართველოს მევენახეობას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის, ვიდრე ჩაისა და ციტრუსების მეურნეობას. ხოლო მისი განვითარების შესაძლებლობანი რესპუბლიკაში გაცილებით ფართოა, ვიდრე სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების შესაძლებლობანი.

1947 წლის აღწერამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელი 7—8 წლის მანძილზე მოხდა ვენახების მნიშვნელოვანი შემცირება. ამჟამად საქართველოში [illegible] 50.226 ჰექტარი ვენახი. მათ შორის უკანასკნელ რვა წელს [illegible] 6.374 ჰექტარი. ვენახის მთელი ფართობიდან კოლმეურნეობებშია 19.376 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში — 2.159 და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — 28.691.

ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენ გავითვალისწინეთ ვენახების გაშენება 11.000 ჰექტარ ფართობზე. უნდა ვთქვა, რომ ეს გეგმა, საჭირე მასალის ნაკლებობის გამო, არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ხუთწლედის პირველ სამ წელს გაშენებულია 3.965 ჰექტარი ვენახი.

ჩვენ უნდა შევიმუშაოთ წინადადებანი ვენახების ფართობის უფრო გადაჭრით გადიდების შესახებ. ვაზი კარგად ხარობს ყველა ჩვენს ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონში, ამიტომ მრავალწლიანი ნარგავებიდან საქართველოში მან უნდა დაიკავოს, შესაძლოა ხეხილის შემდეგ, ყველაზე დიდი ფართობი. ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს 1955 წელს ვენახის საერთო ფართობი ავიყვანოთ 75.000 ჰექტარამდე. ეს ნიშნავს, რომ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაშენოთ 25.000 ჰექტარი ახალი ვენახი, თუ არ ჩავთვლით გაშენებას ამ დროის განმავლობაში ვაზის ნარგავების ბუნებრივი გამოკლების ასანაზღაურებლად.

რადიკალური ზომები უნდა იქნას მიღებული ფილოქსერაგამძლე ვაზის ლერწის მიღების გასადიდებლად იმ ოდენობამდე, რაც საკმაოთ უზრუნველყოფს ჩვენთვის საჭირო სარგავი მასალის გამოყვანას.

1948 წელს ჩვენ პირველ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ ვენახების მოსავლიანობის გადიდებაში. როგორც თქვენ იცით, შარშან დამზადებულ იქნა 43.207 ტონა ყურძენი, ანუ 7.087 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს. არასოდეს საქართველოში ასეთი რაოდენობის ყურძენი არ დამზადებულა. პირველად მთელმა რიგმა რაიონებმა ურწყავ ვენახებში მიიღეს 40 და მეტი ცენტნერი ყურძენი საშუალოდ ჰექტარზე. მაგალითად, გურჯაანის რაიონმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 40 ცენტნერი ყურძენი, წითელწყაროს რაიონმა — 44,4 ზესტაფონის რაიონმა — 48,0, მაიაკოვსკის რაიონმა — 48,7, ორჯონიკიძის რაიონმა — 52 და ცაგერის რაიონმა — 55.

ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა დიდ ფართობზე მიიღო 60-დან 120 ცენტნერამდე ყურძენი ჰექტარზე.

ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ თუ კარგად მოვაწყობთ ჩვენი ვენახების მოვლას, შეიძლება მივაღწიოთ მათი მოსავლიანობის 50—100 პროცენტით გადიდებას.

ვენახების მოვლა უაღრესად შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ვენახების დამუშავების მექანიზაციას. ჩვენი მრეწველობა უკვე უშვებს სპეციალურ ტრაქტორებსა და მისაბმელ ინვენტარს ვენახებისათვის. საჭიროა უზრუნველვყოთ მათი მეტი რაოდენობით შემოზიდვა და ჩვენი მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ამ მანქანებით აღჭურვა.

საკავშირო მთავრობის დახმარებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გადაიჭრას საჭირო რაოდენობის მოთუთიებული მავთულის გამოყოფის საკითხი, რათა უახლოეს ორ წელიწადში შპალერებად გავაშენოთ თუნდაც საკოლმეურნეო ვენახები. ეს ნიშნელოვნად გაზრდის მათ მოსავლიანობას და გადაარჩენს ტყეებს მოსპობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცვლეულის დარგში

ჯერ კიდევ 1936 წელს ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა რესპუბლიკის უზრუნველყოფა საკუთარი მარცვლეულით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ დღემდე ვერ გადავჭერით ამხანაგ ბერიას მიერ დასახული ამოცანა მარცვლეული კულტურების განვითარების დარგში. ომამდე, ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღების სახით, რაც სინამდვილეში არ გატარებულა, მიწსახკომი ყოველწლიურად გეგმავდა, გაფართოების ნაცვლად, მარცვლეულის ნათესის მნიშვნელოვან შემცირებას. ომის დასაწყისში ჩვენ მტკიცედ შევცვალეთ ეს ტენდენცია და მივაღწიეთ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის აღდგენას.

მინდვრის სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, ყოველწლიურად იზრდებოდა მარცვლეულის მოსავლიანობა. 1947 და 1948 წლებში, მიუხედავად გვალვისა ცალკეულ რაიონებში, ყველა მარცვლეული კულტურის საშუალო მოსავალმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მიაღწია ჰექტარზე 12,4 ცენტნერს. ასეთი უხვი საშუალო მოსავალი საქართველოში წინათ არ ყოფილა.

გასაგებია, რომ სათანადოდ გაიზარდა მარცვლეულის საერთო მოსავალიც. 1948 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობის მიხედვით მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალმა, წინასწარი გამოანგარიშებით, მოსავლიანობის იმ ციფრის მიხედვით, რომელიც მე დავასახელე, შეადგინა 978,5 ათასი ტონა და 1940 წლის საერთო მოსავალს გადააჭარბა 350,1 ათასი ტონით. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რომ რესპუბლიკა უზრუნველვყოთ საკუთარი პურით. საქართველოს პურის მოთხოვნილების დასაფარავად საჭიროა მარცვლეულის საერთო მოსავალი ავიყვანოთ იმ ოდენობამდე, რომ სახელმწიფო დამზადებამ დაახლოებით ოთხჯერ გადააჭარბოს 1948 წლის დამზადებას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტონ მომავალი 8—10 წლის განმავლობაში.

ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა ავანაზღაუროთ იმ სახნავის გამოკლება, რომელიც აუცილებელია თესლბრუნვის შემოღებასთან და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებასთან დაკავშირებით, ახალი ფართობების ათვისებით. ახალი ფართობები შეიძლება მივიღოთ ამოსაშრობი და სარწყავი სამუშაოების ჩატარებით, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ნასვენისა და ნაჩხატის გამოყენებით, რომლებიც დიდი რაოდენობით არის ყველა რაიონში და მემინდვრეობისათვის ვარგისი ზამთრის საძოვრების ნაწილის დახვნით.

წინასწარი მინიმალური ანგარიშით ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მარცვლეული კულტურების ნათესისათვის 120 — 140 ათასი ჰექტარი ახალი მიწა.

ეს ფართობი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ავანაზღაუროთ ზემოაღნიშნული მიზეზებით იმ ფართობის აუცილებელი შემცირება, რომელიც ამჟამად მარცვლეულ კულტურებს უკავიათ. ამასთან ერთად საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ნაწვერალზე სათესი მარცვლეული კულტურების თესვა მეორე მოსავლის მისაღებად.

მაგრამ მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში მთავარია მოსავლიანობის გადიდება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნათესბალახიანი თესლბრუნვის ათვისებასა და მტკიცე დაცვას მორწყვასთან და მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნასთან შეხამებით.

ჩვენ სავსებით უნდა უზრუნველვყოთ თავი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახის თესლით, ურომლისოდაც შეუძლებელია სწორი თესლბრუნვის შემოღება. ახალი სარწყავი სისტემების აგების გზით, უახლოესი 7—8 წლის მანძილზე უნდა უზრუნველვყოთ აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის მთელი დაბლობი ნაწილის მორწყვა. უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ფართო ღონისძიებანი მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ტყეები ძალიან ცოტაა.

ნიადაგის დამუშავებისა და ნათესების მოვლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის უნდა გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია მარცვლეულის დარგში სულ მცირე ერთიორად, უხვად მოვამარაგოთ მარცვლეულის რაიონები ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. საჭიროა მოეწყოს მთელი რიგი ახალი მტს-ები, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ახალი მიწები იქნება ათვისებული.

ამ ღონისძიებებით, რომელთა განხორციელებასაც 8—10 წელი დასჭირდება, ჩვენ უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკაში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობის გადიდებას 18—20 ცენტნერამდე ჰექტარზე. მაშინ საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სავსებით უზრუნველყოფს თავის თავს პურით და მოგვცემს სასაქონლო მარცვლეულს იმ რაოდენობით, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენი მოსახლეობის მოთხოვნილებას.

•
• •

რამდენიმე სიტყვა ჩვენი სოფლის მეურნეობის დანარჩენ კულტურებსა და დარგებზე.

ომისშემდგომ წლებში ჩვენ მივაღწიეთ მეთამბაქოობის სერიოზულ აღმავლობას. მიუხედავად იმისა, რომ ომამდელ დონესთან შედარებით თამბაქოს ფართობი 5.000 ჰექტარით ანუ თითქმის 25 პროცენტით შემცირდა, მოსავლიანობის გადიდების შედეგად თამბაქოს ფოთლის საერთო მოსავალი გაიზარდა.

თამბაქოს ნედლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება. 1947 წელს ჩვენ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 15.333 ტონა თამბაქო და გადავაჭარბეთ ყველა წინა წლის დამზადებას, გარდა 1939 წლისა, როცა თამბაქოს ჩაბარებამ შეადგინა 17.568 ტონა.

1948 წლის მოსავლიდან 20 იანვრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 15.055 ტონა თამბაქოს ნედლეული. როგორც თქვენ იცით, ჩვენ სიტყვა მივეცით ამხანაგ სტალინს, რომ გეგმის გადამეტებით დავამზადებთ 2.800 ტონა თამბაქოს. ვფიქრობ, რომ თამბაქოს რაიონების პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ამ ვალდებულების შესრულებას. მაშინ დამზადებული იქნება 15.800 ტონა. ჩვენი გეგმა კი 13 ათას ტონას ითვალისწინებს.

ჩვენს ქვეყანას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ქართული მაღალხარისხოვანი თამბაქო. ამასთან ერთად, თამბაქო ყველაზე შემოსავლიანი კულტუ-

რაა ჩვენი კოლმეურნეობებისათვის. საჭიროა უფრო ავამაღლოთ მეთამბაქოობის დონე. თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისა და პლანტაციების ერთგვარი გაფართოების გზით, უახლოეს 2—3 წლიწადში ჩვენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ყოველწლიური ჩაბარება საქართველოში უნდა ავიყვანოთ 20.000 ტონამდე. შესაძლოა მოგვიხდეს თამბაქოს კულტურის დანერგვა ზოგიერთ ახალ რაიონში, მაგრამ ამისი არ უნდა შეგვეშინდეს.

ჩვენს ქვეყანას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ბამბა. ხოლო ჩვენს სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებს შეუძლიათ მოგვცენ ამ კულტურის მეტი მოსავალი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებს შეუძლიათ ბამბის ნათესები 1950 წელს აიყვანონ 8.000 ჰექტარამდე, ნაცვლად 1948 წლის 2.000 ჰექტარისა. სამგორის სარწყავი სისტემის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ახლად ათვისებულ მიწებზე შეიძლება ბამბა გაშენდეს კიდევ 5.000 ჰექტარზე. ამრიგად, გვექნება 13 ათასი ჰექტარი ბამბა.

ბამბის ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად ჩვენმა მებამბეებმა უნდა მიაღწიონ მისი მოსავლიანობის გადიდებას. ახლა ჩვენ საშუალოდ ჰექტარზე ვიღებთ 12 ცენტნერ ბამბის ნედლეულს. საჭიროა მოვაწყოთ ბამბის ნათესის მოვლა ისე, რომ ჰექტარზე მივიღოთ სულ მცირე 18—20 ცენტნერი ბამბა.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში აბრეშუმის პარკის მოსავალი თუმცა მნიშვნელოვნად გადიდდა ომიანობის დროსთან შედარებით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი მეტ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს ჩვენი მხრივ. საჭიროა, რომ 1951 წლიდან ჩვენმა მეაბრეშუმეებმა ჩააბარონ სახელმწიფოს სულ მცირე 4.000 ტონა პარკი ყოველწლიურად.

გასულ წელს კარტოფილის ნათესს რესპუბლიკაში მცირე ფართობი როდი ეკავა—25.000 ჰექტარზე მეტი, აქედან კოლმეურნეობებში 19.000 ჰექტარი. მაგრამ გვალვისა და ყინვების შედეგად მოსავალი დაბალი მივიღეთ — ერთ ჰექტარზე 50—60 ცენტნერი. მარტო 1947 წელს მივიღეთ საშუალოდ 100 ცენტნერზე მეტი მოსავალი ერთ ჰექტარზე.

საჭიროა გამოვიყენოთ 1947 წლის გამოცდილება და მივაღწიოთ კარტოფილის მყარი მოსავლის მიღებას ჰექტარზე 100—110 ცენტნერის ოდენობით. ამ შემთხვევაში კარტოფილის საერთო მოსავალი იქნება 250.000 ტონაზე მეტი. რაც საკმაოდ უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანი ამოცანაა აგრეთვე ბოსტნეულისა და შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება.

გასული წლის შედეგები ნებას გვაძლევენ აღვნიშნოთ, რომ მებაღეობა საქართველოში აღმავლობის გზას დაადგა. 1948 წელს აღებულ იქნა ხილის უხვი მოსავალი. საჭიროა უფრო უკეთ დავაყენოთ ხეხილის ნარგავების მოვლა, მივაღწიოთ მოსავლიანობის შემდგომ ზრდას და ნაყოფის დამზადების გადიდებას. ამასთან ერთად ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ხეხილის ნარგავების ფართობის გადიდება რესპუბლიკის ყველა რაიონში და უწინარეს ყოვლისა ძირითადი სამრეწველო მებაღეობის რაიონებში—ქართლსა და მესხეთში.

სულადობის მიხედვით მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად ასრულებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის, წინასწარი ცნობებით, საკოლმეურნეო მეცხოველეობის მდგომარეობა და ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

	1948 წლის გეგმის შესრულება (პროცენტებით)	1948 წ. პროცენტებით 1940 წლის 1 იანვრისთვ. შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	101,3	133,9
მათ შორის:		
ძროხა	97,5	232,3
ღორი	113,8	225,2
ცხვარი და თხა	101,6	230,4
ცხენი	105,1	121,4

მაგრამ დავალებებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში ბევრი რაიონი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს. წველადობა ძალიან დაბალია. დიდია სხვადასხვა დაავადებისაგან პირუტყვის სიკვდილიანობის პროცენტი.

მეცხოველეობის დარგში სულადობის გეგმის შესრულებასთან ერთად ძირითადი ამოცანებია პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება მეტიზაციისა და საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების მოშენების გზით, ბერწიანობის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება და პირუტყვის ეპიზოოტიის ლიკვიდაცია.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეთა მიერ პირადი სარგებლობისათვის პირუტყვის შეძენას იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ როგორც აღწერის წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, 1949 წლის 1 იანვრისათვის აღნიშნულია კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის პირუტყვის სულადობის შემცირება.

უკანასკნელი წლების მანძილზე მტს-ების მუშაობაში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მაგრამ ტრაქტორის საშუალო გამომუშავება ჩვენს მტს-ებში კვლავ დაბალი რჩება. ნაწილობრივ ეს აიხსნება სატრაქტორო პარკის გაცვეთით, რომელიც ძირითადად შედგება ომამდელი გამოშვების ბორბლიანი ტრაქტორებისგან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები უაღრესად შრომატევადია. მრავალწლიანი კულტურების და განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები არ შეიძლება გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაციის დაუნერგავად. საჭიროა უახლოეს 2—3 წელიწადში მივაღწიოთ ჩვენი მტს-ების სატრაქტორო პარკის სრულ განახლებას, მისი სიმძლავრის სულ მცირე ერთიორად გადიდებას და გუთნების, კულტივატორებისა და მთელი სხვა მისაბმელი ინვენტარის საჭირო რაოდენობით შემოზიდვას. საჭიროა სახნავი კულტურებისა და ვენახების დამუშავების მაქსიმალური მექანიზაცია. ისეთი შრომატევადი სამუშაოები, როგორიცაა პლანტაჟი ჩაის, ციტრუსებისა და ვენახის გასაშენებლად, მხოლოდ-დამხოლოდ ტრაქტორებით უნდა სრულდებოდეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ახალი მტს-ების შექმნის გეგმა. მან მტს-ების მშენებლობა ისე უნდა მოაწყოს, რომ თვითეულ

მტს-თან იყოს კარგად მოწყობილი სარემონტო სახელოსნო საწვავი და საცხებები მასალის საცავი და საცხოვრებელი შენობები მუშაკთათვის.

უნდა გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს ჩვენი მტს-ებისათვის ტრაქტორისტთა კადრების მომზადების საქმე. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას უფრო და უფრო მეტი რაოდენობით დასჭირდება ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკოსები და სხვა კვალიფიციური მუშები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა გადასახლებას მცირე მიწიანი რაიონებიდან უხვმიწიან რაიონებში. ომის დამთავრების შემდეგ კოლხიდასა და აფხაზეთში გადასახლებულ იქნა 769 მეურნეობა. მათგან 575 კომლი ჩასახლებულია ახლად აგებულ სახლებში. გადასახლებულ კოლმეურნეობათათვის აგებულია 11 წყალსადენი 42 კილომეტრი საერთო სიგრძით.

საჭიროა სერიოზული ზომები მივიღოთ გადასახლებულთა დაბების მშენებლობის საქმის გასაუმჯობესებლად და გადასახლების ყოველწლიური სახელმწიფო გეგმის აუცილებელი შესრულებისათვის.

სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს დახმარებით მესხეთის რაიონებში ახალდასახლებულმა კოლმეურნეებმა აიგეს 1.180 ახალი სახლი. ახალდასახლებულთა დასამკვიდრებლად საჭიროა მათ დახმარება აღმოვუჩინოთ, რომ მომავალი ორი სამი წლის განმავლობაში ყველამ შესძლოს აიგოს კარგი, მოწყობილი სახლი. მესხეთის რაიონების პარტორგანიზაციებისათვის ეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ფართო შესაძლებლობაა. ჩვენი სოფლის ელექტროფიკაცია ძირითადად უნდა დაეყრდნოს ჰიდროენერგიას. ამჟამად რესპუბლიკაში სასოფლო ელექტროსადგურების სიმძლავრე აღწევს 13 ათას კილოვატამდე. ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელიწადში აგებული და ამუშავებულია 57 ჰიდროსადგური 3.027 კილოვატის საერთო სიმძლავრისა. მთლიანად ელექტროფიცირებულია 417 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებულია 67 ათასამდე საკოლმეურნეო კომლი. გარდა ამისა ელექტროფიცირებულია 35 მტს-ი და 48 საბჭოთა მეურნეობა.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასოფლო ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის აყვანას 31.200 კილოვატამდე, ე. ი. მის გადიდებას 1945 წელთან შედარებით 21.500 კილოვატით. უნდა ვთქვა, რომ სასოფლო ჰიდროსადგურების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1948 წელს ნაცვლად 3.319 კილოვატი სიმძლავრის 54 ჰიდროსადგურისა, დამთავრდა და ამუშავდა 984 კილოვატი სიმძლავრის 23 სადგური.

ასეთი ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია და კოლმეურნეობა საჭირო ინიციატივას არ იჩენენ ჰიდროსადგურების მშენებლობაში, არ უზრუნველყოფენ მშენებლობებს მუშახელით და ადგილობრივი მასალებით. რასაკვირველია, ამაში ბრალი მიუძღვის საქსოფლელექტროს ტრესტსაც, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი. სოფლის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს. განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა მოუხდებათ ქართლის რაიონებს, სადაც შენდება ისეთი დიდი სადგური, როგორიც არის ტირიფონჰესი 3 ათასი

კილოვატი სიმძლავრისა და უნდა დაიწყოს 1.350 კილოვატი სიმძლავრის ივოეთჰესის მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ სასოფლო ჰიდროსადგურების მშენებლობა უკეთ უზრუნველყონ დეფიციტური მასალებითა და მოწყობილობით.

ტყის გაშენების ღონისძიებანი

ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტყის გაშენების ღონისძიებათა გატარებას. საქართველოს ტყეებს დაცვითი მნიშვნელობა აქვთ. ისინი თავიდან გვაშორებენ ნიადაგის ეროზიას, დიდ გავლენას ახდენენ წყლის რეჟიმზე, მდინარეთა დინების რეგულირებაზე და სხვ.

ჩვენი კავშირის მთელ ევროპულ ნაწილში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განსახორციელებლად, უდიდესი სამუშაოები ჩაღდება მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად. ამ ჭეშმარიტად ისტორიულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა გადავსინჯოთ ტყეების ხელოვნური გაშენების ჩვენი პრაქტიკა.

ჩვენ შევიმუშავეთ და საკავშირო მთავრობის განსახილველად წარვადგინეთ წინადადებანი დასავლეთ საქართველოში ევკალიპტის ნარგავთა ქარსაფარი ზოლების გაშენებისა და 1955 წლისათვის ევკალიპტის რაოდენობის 100 მილიონ ძირამდე აყვანის შესახებ.

ამჟამად მუშავდება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მინდორსაცავი სატყეო ზოლების გაშენების გეგმა. ამ გეგმის განხორციელებაში ჩვენ საკავშირო მთავრობის სერიოზული დახმარების იმედი გვაქვს.

საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს გარდა, ტყის ზოლების გაშენების სამუშაოები დაევალოს საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს, უზრუნველყოფილ იქნას იგი სათანადო დაფინანსებით, ტრაქტორებით და სხვა მანქანებით და მოწყობილობით.

მინდორსაცავ ზოლებს გარდა, ტყეები ცალკეულ მასივებადაც უნდა გაშენდეს. ჩვენ დღემდეც ვახორციელებდით ტყის ხელოვნური გაშენების სამუშაოებს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ტყის გაშენების ღონისძიებანი ჩვენში ბორციელდება არასაკმაო მასშტაბებითა და არასწორად. დღემდე ტყის მცენარეთა თესვა და რგვა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ადგილებში წარმოებს, სადაც ტყეები არსებობს და მათი განახლება ბუნებრივად ხდება, ბორჯომში, ლაგოდეხსა და სხვა ადგილებში. ველის რაიონები კი სატყეო მეურნეობის სამინისტროს მხედველობის გარეშე რჩება.

რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში მუშავდება წინადადებანი, რომელთა თანახმად სატყეო მეურნეობათა მთელი ძალები და შესაძლებლობანი წარიმართება მინდორსაცავი ტყის ზოლების მოსაწყობად, აგრეთვე ქალაქ თბილისის გარშემო ტყის გასაშენებლად. თბილისის მიდამოებიდან დაწყებული ჩვენ თანმიმდევრულად უნდა გავაშენოთ ტყეები ქართლ-კახეთის რაიონებში, რომლებმაც, ცარიზმის დროს ტყეების მტაცებლურად მოსპობის შედეგად, თითქმის სავსებით დაკარგეს სატყეო საფარი.

საჭიროა, არ დავკარგოთ დრო და ყველა რაიონში მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ტყის ჯიშების სანერგე მეურნეობის შექმნას. ერთ წუთსაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ტყეების გაშენების დარგში დასახული გეგმების შესრულებისათვის ხელის შეშლა მხოლოდ სანერგე მასალის ნაკლებობას შეუძლია.

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა შესახებ

ომისშემდგომ წლებში ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი წყალთა მეურნეობის სამუშაოებს. განახლდა რესპუბლიკის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემის—სამგორის სისტემის მშენებლობა. საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით სამგორის სამუშაოები დავალებული აქვთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ელექტროსადგურთა სამინისტროს. ამასთან ყველაზე რთულ სამუშაოებს—გვირაბებისა და არხის სათავის ნაგებობათა მშენებლობას—ასრულებს ხრამჰესმშენის ტრესტი, რომელმაც არხის შხივებზე პროექტის მიხედვით უნდა ააგოს აგრეთვე 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

მშენებლობის დაწყებიდან 1949 წლის 1 იანვრამდე სამგორში ხრამჰესმშენის ტრესტმა 14 მილიონი მანეთის სამუშაოები შეასრულა, ხოლო სამგორწყალმშენმა — 28,8 მილიონისა.

საკავშირო მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილებით მშენებლობისათვის 1949 წელს ასიგნებულია: ელექტროსადგურთა სამინისტროს ხაზით 45 მილიონი მანეთი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით — 17 მილიონი მანეთი. ასეთი დიდი თანხის გამოყოფა საშუალებას იძლევა წელს ფართოდ გავაჩაღოთ ყველა ძირითადი სამუშაო ზემო მაგისტრალური არხისა და თბილისის წყალსაცავის მშენებლობის დარგში.

სამგორი სახალხო მშენებლობაა. ყველა რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი სარწყავი სისტემის აგებაში.

ომისშემდგომ წლებში დიდი მუშაობა გაჩაღდა სარწყავი არხების მშენებლობისათვის ქართლის, სამხრეთ ოსეთისა და კახეთის რაიონებში. დამთავრდა კეხვის, დოეს-გრაკლის და სკრა-ქარელის არხების მშენებლობა. დიდი სამუშაოები ჩატარდა სალთვისისა და ალაზნის არხებზე, რომელთა მშენებლობაც მთლიანად უნდა დამთავრდეს 1950 წელს. სულ ზემოაღნიშნული არხების საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად, მიღებულია 8.440 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობები, ხოლო ძველი სარწყავი მიწების რეკონსტრუქციით, რომლებიც უზრუნველყოფილი არ იყო საკმაო რაოდენობის წყლით—15.000 ჰექტარი.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული იმერეთში აჯამეთის არხის მშენებლობაზე.

თვითდინებით რწყვასთან ერთად ფართოდ უნდა გაჩაღდეს მუშაობა მექანიკური რწყვის განსავითარებლად. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია თბილისის რაიონისა და მესხეთის რაიონებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და რაიონთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა 1948 წელს ვერ უზრუნველყვეს ქართლის რაიონებში წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმის შესრულება. ამის შედეგად, არხების მშენებლობისათვის ასიგნებული სახსრებიდან 1 მილიონი მანეთი აუთვისებელი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწყავი არხების მშენებლობა უფრო ორგანიზებულად და ენერგიულად უნდა წარმოებდეს. მშენებლობის გეგმები არა მარტო მთლიანად, ერთად მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც უნდა სრულდებოდეს.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ რაიონების მუშაობის შედეგების შეფასებისას წყალთა მეურნეობის სამუშაოთა შესრულება მიჩნეულ იქნება ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად. ამ გადაწყვეტილებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქცევინოს რაიონების ხელმძღვანელებს ახალი არხების მშენებლობის გეგმის შესრულებისა და მოქმედ სარწყავ სისტემათა დაცვის სამუშაოებისათვის.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს. ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა კოლხიდმშენმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც სამუშაოთა მოცულობის, ისე ამოშრობილ ფართობთა მიღების მხრივ. შესრულებულია 27,6 მილიონი მანეთის სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული 24 მილიონის ნაცვლად, და გადაცემულია 10.319 ჰექტარი ამოშრობილი მიწები, გეგმით გათვალისწინებული 9.500 ჰექტარის ნაცვლად. კოლხიდმშენის უფროსი ამხ. გაბუნია უნარიანად და ზუსტად ხელმძღვანელობს მინდობილ საქმეს. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კოლხიდის ამოშრობის სამუშაოები და უზრუნველვყოთ ამოშრობილი მიწების ათვისება.

* * *

ასეთია მოკლედ ამოცანები ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. მათი შესრულება პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, მტს-ების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი შესანიშნავი კოლმეურნე გლეხობის დიდ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

თუ არ შევუშინდებით სიძნელეებს, არ დავკმაყოფილდებით მიღწეულით, არ გამოვიჩენთ ბოლშევიკებისათვის უცხო მიდრეკილებას „მყუდრო ცხოვრებისადმი“ და ვიმუშავებთ უნარიანად და ბეჯითად, გეგმით დასახული ეს ამოცანები განხორციელდება.

ამისათვის ობიექტური პირობები გვაქვს. მაგრამ დასახული ამოცანების რეალობა განისაზღვრება არა მარტო და არა იმდენად ობიექტური პირობებით. იგი განისაზღვრება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებით, რომლებზეც ზღვრული სიცხადით არის ნათქვამი დიდი სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1931 წელს წარმოთქმულ მამობილიზებელ სიტყვებში:

„... ჩვენი პროგრამის რეალობა—ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში... გვაქვს თუ არა ჩვენ იგი, ეს სიმტკიცე? დიახ, გვაქვს. მაშასადამე, ჩვენი საწარმოო პროგრამა შეიძლება და უნდა განხორციელდეს კიდეც“.

III. ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების პრინციპული განსხვავება კაპიტალისტურისაგან იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მთელი საქმიანობის მიზანია მშრომელების კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ომის პირობებში საბჭოთა ადამიანები ბევრ რამეს იკლებდნენ ფრონტისათვის დასახმარებლად, მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაღალი ორგანიზებულობისა და ნაყოფიერების მეოხებით უზრუნველყოფდა მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას სასურსათო და სამრეწველო საქონლით შედარებით მაღალი ნორმებით.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა განვითარების მშვიდობიან რელსებზე გადავიდა, საქართველოს მშრომელთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალურმა დონემ სწრაფი ამაღლება იწყო. მრეწველობისა და მშენებლობის ფართოდ გაჩაღებამ გამოიწვია მუშა-მოსამსახურეთა რიცხობრივი ზრდა. 1948 წელს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1940 წელთან შედარებით 90 ათასი კაცით გაიზარდა, ამასთან მუშათა რიცხვი მრეწველობაში და მშენებლობაზე 44 ათასი კაცით გადიდდა. ხელფასის საერთო ფონდი 1940 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა და 1948 წელს 4 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა. ერთი მუშისა და მოსამსახურის საშუალო-წლიური ხელფასი 1940 წლის 4.062 მანეთიდან 1948 წელს 7.400 მანეთამდე გაიზარდა.

ხარჯებმა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით 1948 წელს 1.536.519 ათასი მანეთი შეადგინა, ნაცვლად 1940 წლის 794.238 ათასი მანეთისა.

დიდი ფულადი და მატერიალური სახსრები დაბანდდა ჩვენი ქალაქების კომუნალურ მეურნეობაში, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების მშენებლობაზე. ამის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოსახლეობის კულტურულ მომსახურეობაში, კომუნალური სამსახურითა და საცხოვრებელი ბინებით მის უზრუნველყოფაში.

კომუნალური მეურნეობა

ომისშემდგომი ხუთწლედის პირველივე წლიდან განახლდა ჩვენი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები. უდიდეს სამშენებლო სამუშაოთა შესახებ, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, დაწვრილებით ითქვა ამას წინათ შემდგარ თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. ამიტომ ზედმეტად მიმაჩნია შევაჩერო მათზე თქვენი ყურადღება.

კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების სამუშაოები ყველა ქალაქში წარმოებს. ამ საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორისა და სტალინირის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

კარგად ხელმძღვანელობენ საქალაქო მშენებლობას პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო. სოხუმმა უკანასკნელ

სამ წელიწადში სავსებით იცვალა სახე. ქალაქის ძირითადი ქუჩები ასფალტ-ბეტონით დაიფარა, დაირგო დიდძალი ხე და ბუჩქნარი, გაშენდა [illegible] ...ერები, აიგო რამდენიმე შენობა, რეკონსტრუირებულ იქნა და [illegible] ...ევი სახლი. სოხუმის ჰიდროელსადგურის ამუშავებასთან დაკავშირებით ქალაქი ჭარბად არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით.

საჭიროა წელს დამთავრდეს ქალაქის ახალი წყალსადენის მშენებლობა და უზრუნველყოფილი იქნას რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი კარგი ხარისხის სასმელი წყლით, რომლის ნაკლებობასაც ის ამჟამად განიცდის.

ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და სტალინირის საქალაქო კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ უნარი შესწევთ ეფექტიანად და მიზანშეწონილად გამოიყენონ ის სახსრები, რაც მათ ახალი მშენებლობისათვის და საქალაქო მეურნეობის გასაუმჯობესებლად ეძლევათ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ ქალაქ გორის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას. უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა წყლით უზრუნველყოფის, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის, პარკის, სანაპიროსა და ფიზკულტურულ ნაგებობათა მშენებლობისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გორის რაიკომი, რაიაღმასკომი და საქალაქო საბჭო ჯერ კიდევ ვერ იჩენენ სათანადო ორგანიზებულობასა და სიმტკიცეს საქალაქო მშენებლობის საკითხების გადაჭრაში. ისინი ცუდად უზრუნველყოფენ მშენებლობას მუშახელით და საკმაოდ ვერ იყენებენ მიცემულ სახსრებსა და მასალებს.

საჭიროა შემდეგში კიდევ უფრო გავაძლიეროთ დახმარება გორის საქალაქო მეურნეობისადმი და გადავაქციოთ იგი სავსებით თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქად, რომელიც ღირსი იქნება იმ ისტორიული სახელისა, რითაც იგი მთელ საბჭოთა ხალხში სარგებლობს.

ჩვენს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დიდი სამუშაოები შესრულდა წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად. ხუთწლედში, გეგმის თანახმად ჩვენ უნდა აგვეგო 700 კილომეტრი წყალსადენის ქსელი. 1948 წლის დამლევს ეს დავალება შესრულებული იყო.

განვლილ 3 წელიწადში მარტო სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოების ხაზით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 200 ათასამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

დიდი საცხოვრებელი ფონდი შეიქმნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის, აგრეთვე ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხისა და ჭიათურის მაღაროელებისათვის. ადგილობრივი საბჭოების ხაზით, გარდა თბილისისა, ახალი საცხოვრებელი სახლები დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ზუგდიდში, ხაშურში, ქედაში, წყალტუბოში, კასპში, გორსა და დმანისში.

ქალაქების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ხელმძღვანელობის საქმეში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი და ხარვეზია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საბინაო მშენებლობა, რომლის დარგშიც ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ვერ სრულდება. საჭიროა უკეთ მოვაწყოთ მუშაობა არსებული საბინაო ფონდის, მათ შორის მუშა-მოსამსახურეთა კუთვნილი სახლების, შესანარჩუნებლად. უკეთ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ქალაქების გამწვანების სამუშაოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობის შესახებ

მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმებამ და ფულის რეფორმამ გამოიწვია მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის სწრაფი ამაღლება. ამ უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებათა გატარება შეეძლო მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, რომელიც გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის უდიდეს ძლიერებას ეყრდნობა და განუწყვეტლივ ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის. დამახასიათებელია, რომ ვერც ერთმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ ვერ გაბედა გადაედგა ასეთი ნაბიჯი. მშრომელთა საარსებო დონე კაპიტალისტურ ქვეყნებში არათუ არ მაღლდება, არამედ განუწყვეტლივ დაბლა იწევს.

ერთიანი სახელმწიფო ფასებით ღია ვაჭრობაზე გადასვლამ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მოითხოვა მთელი მათი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა. პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ეს გარდაქმნა განხორციელდა. მარტო 1947 წლის მეოთხე კვარტალში საცალო სავაჭრო ქსელი და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი რესპუბლიკაში 796 ერთეულით გადიდდა. 1948 წლის დამლევს რესპუბლიკაში უკვე გვქონდა 11.500 მაღაზია, ფარდული, რესტორანი, სასადილო, ე. ი. 1.748 ერთეულით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის გაშლაზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები:

სახელმწიფო სავაჭრო ქსელში პროდუქტების რეალიზაციამ შეადგინა (პროცენტობით 1940 წელთან შედარებით):

საქონლის დასახელება	
ხორცის პროდუქტები	136,8
ერბო-კარაქი	169,9
მცენარეული ზეთი და მარგარინი	169,1
თევზეული	237,2
ყველი	336,1
შაქარი	96,4

ძირითადი სამრეწველო საქონლის: ბამბის ქსოვილების, სარეცხი საპნის, რეზინის ფეხსაცმლის რეალიზაციის მხრივ ჩვენ უკვე მივედით 1940 წლის დონემდე, ხოლო შალის ქსოვილების რეალიზაციის მხრივ მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ მას.

ყოველივე ამას უნდა დაემატოს, რომ ფულის რეფორმის შემდეგ საკოლმეურნეო ბაზრებზე უამრავი სურსათი იყიდება. მაშასადამე, ჩვენი ქალაქების მოსახლეობა ომის დამთავრების მესამე წელს უკეთ იკვებება, ვიდრე ომამდე იკვებებოდა, და ნაკლებად როდი იცვამს, ვიდრე ომამდე. ეს საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

სამრეწველო საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას. ომის დამთავრების შემდეგ ცეკავშირი შეუდგა ვაჭრობის გაშლას. ამჟამად ცეკავშირის სისტემაში 3.705 სავაჭრო საწარმოო და საზოგადოებრივი კვების საწარმოა. სამომხმარებლო კოოპერაციამ საქონელბრუნვის გეგმა 1948 წელს 103,2 პროცენტით შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკავშირი ცუდად როდი ეწევა აგრეთვე ქალაქებში ვაჭრობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას.

საქონლის ფონდების ზრდისა და მოსახლეობის მყიდველობითი უნარის გადიდების შედეგად სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საერთო საქონელბრუნვა წლითიწლობით მატულობს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საქონელბრუნვის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

ღია საბჭოთა ვაჭრობის გაშლაში მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა ჩამოაშოროს ჩვენი ყურადღება სავაჭრო ორგანიზაციათა და ფართო მოხმარების საქონლის გამომშვებ საწარმოთა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოუქნელობის, აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობის მიზეზით, სავაჭრო ქსელი ბევრ შემთხვევაში ცუდად უწევს მომსახურებას მოსახლეობას. დღემდე გრძელდება საქონელბრუნვის დაგეგმვა და ქალაქებსა და რაიონებში საქონლის შეტანა მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ვაჭრობის მუშაკები ხშირად იღებენ მიმწოდებელთაგან არაკეთილხარისხოვან საქონელს, აგრეთვე ისეთ საქონელს, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამის შედეგად რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებსა და მაღაზიებში ჩაწოლილია 118 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა კიდევ ვერ ისწავლეს საქონლის რესურსებით მანევრირება, ეს იწვევს სავაჭრო ქსელში საქონლის დიდ დაგროვებას. 1949 წლის 1 იანვრისათვის ნორმატივის გადამეტებით საქონლის ნაშთების ღირებულებამ ვაჭრობის სამინისტროს და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 200 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ამან გამოიწვია ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის საფინანსო სიძნელენი. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემამ მარტო 1948 წლის 9 თვეში დაუშვა მიმოქცევის ხარჯების გადამეტება 2.256 ათასი მანეთის რაოდენობით და ვერ შეასრულა მოგების მიღების დადგენილი გეგმა.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მოვალენი არიან გაატარონ რადიკალური ზომები საბჭოთა ვაჭრობის მთელი საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. უნდა მივაღწიოთ საქონელბრუნვის გეგმების შესრულებას, აღმოვფხვრათ სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის ჩაწოლა მისი გადანაწილების გზით.

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ სავაჭრო ქსელში მფლანგველობასა და დატაცებასთან, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევასთან, ზომასა და წონაში მომხმარებლის მოტყუებასთან.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად განამტკიცონ სავაჭრო ქსელი შემოწმებული, საქმის მცოდნე კადრებით. საეჭვო ადამიანები, რომლებიც საბჭოთა ვაჭრობის წესებს არღვევენ, ულმობლად უნდა განიდევნონ სავაჭრო ორგანიზაციების სისტემიდან. საჭიროა მოვაწყოთ ვაჭრობის მუშაკთა მომზადება და გადამზადება. ამასთან ერთად უნდა გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ვაჭრობის მუშაკთა შორის და ჩავუნერგოთ მათ დავალებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოს მოვალეობაა ყოველდღიურად იმუშაონ საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და მოსახლეობის მომარაგების ეფექტიანი გაუმჯობესების საკითხებზე.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში მიღწეულია სერიოზული წარმატებანი. 1948 წლის დამლევს საქართველოში იყო 3.355 სამკურნალო დაწესებულება ანუ 520-ით მეტი, ვიდრე 1940 წელს. საავადმყოფო საწოლი იყო 17.300 ანუ 3.500-ით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ამჟამად საქართველოს სოფელ ადგილებში 812 საექიმო პუნქტი მუშაობს, ნაცვლად ომამდე არსებული 719-სა.

1940 წელს საქართველოში 4.710 ექიმი იყო, ამჟამად სტომატოლოგებთან ერთად მათი რიცხვი 9.500-ს შეადგენს.

1948 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტით ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა 400 მილიონამდე მანეთი—ერთი-ორად მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა გაუმჯობესდა. უფრო ორგანიზებულად და სისტემატურად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ავადმყოფთა მკურნალობა და მომსახურება მეტწილ სამედიცინო დაწესებულებებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები თავიანთ შესაძლებლობებს მთლიანად რომ იყენებდნენ, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჩვენში გაცილებით უკეთ იქნებოდა დაყენებული.

780 ექიმი არ მუშაობს, ეს მაშინ, როცა 77 ექიმის თანამდებობა დღემდე ვაკანტურია, ხოლო 489 თანამდებობა ექიმებს შეთავსებით უჭირავთ.

სამედიცინო კადრების მომზადების არასწორი დაგეგმვის შედეგად, მაშინ როცა ექიმების საერთო სიჭარბეა, სამკურნალო დაწესებულებები ზოგიერთი სპეციალისტის—პედიატრების, რენტგენოლოგების, თვალის ექიმების, ლარინგოლოგების ნაკლებობას განიცდიან.

საჭიროა გავაუმჯობესოთ საექიმო დაწესებულებათა მომარაგება ინვენტარით, მოწყობილობით, მედიკამენტებითა და აპარატურით და დავეხმაროთ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მათს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი კურორტების კეთილმოწყობას, რომლებიც ჯანმრთელობის კერას წარმოადგენენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის. თუმცა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობამ და მათში ადგილების რიცხვმა ომამდელი წლების მაჩვენებლებს გადააჭარბა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ უწევენ მომსახურებას ყველა მსურველს.

უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ჯანმრთელობის აღსადგენად ჩვენი კურორტების ყველა სამკურნალო ფაქტორის—მინერალური წყლების, მთისა და ზღვის ჰაერის, მზის სხივების მოქმედების სრულად გამოყენება.

უკანასკნელ 3 წელიწადში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით კურორტთა კეთილმოწყობაზე 65 მილიონი მანეთი დაიხარჯა. ეს მცირე თანხა როდია, მაგრამ ჩვენი კურორტების მეურნეობა მეტ დაბანდებებს მოითხოვს.

საჭიროა გავადიდოთ სახსრების გაცემა კურორტების, უწინარეს ყოვლისა ისეთი კურორტების განსავითარებლად, როგორიცაა წყალტუბო, ბორჯომი, გაგრა, მენჯი, ტებერდა. კურორტების კეთილმოწყობის სამუშაოებში ჩაბმული ორგანიზაციები რომლებსაც თავიანთი საუწყებო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აქვთ.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. ხარჯები ამ ხაზით განსაკუთრებით გადიდდა დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ომიანობის დროის სამი წლის განმავლობაში დაღუპულ მეომართა ოჯახებს, ინვალიდებსა და სხვა პენსიონერებს პენსიებისა და სახელმწიფო დახმარების სახით მიეცათ 1.432 მილიონი მანეთი.

1946—1948 წლებში სამამულო ომის ინვალიდებისა და სხვა პენსიონერებისათვის პენსიებისა და სახელმწიფო დახმარების მისაცემად დაიხარჯა 950 მილიონამდე მანეთი, ხოლო ინვალიდთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობასა და მათთვის სხვადასხვა სპეციალობის სწავლებაზე—14.675 ათასი მანეთი. ამავე პერიოდში კოლმეურნეობების ურთიერთდამხმარე სალაროებმა სამამულო ომის ინვალიდებსა და დაღუპული მეომრების ოჯახებს მისცეს 9,5 მილიონ მანეთზე მეტი და 10 ათას ტონამდე მარცვლეული და სხვა პროდუქტები.

სახელმწიფოს მიერ მიცემული 50 მილიონი მანეთი კრედიტით 1945—1948 წლებში სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის აშენდა 5 ათასამდე სახლი. ომის ყველა ინვალიდი, რომელსაც მუშაობის უნარი აქვს, მოწყობილ იქნა სამუშაოზე.

ეს ფაქტები მოწმობენ დიდ მზრუნველობას, რასაც საბჭოთა სახელმწიფო იჩენს ომის ინვალიდებისა და იმ საბჭოთა მეომრების ოჯახებისათვის, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

სახალხო განათლება

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება სახალხო განათლების მთელი საქმის ახალი აღმავლობით. გასულ წელს სახალხო განათლებაზე მარტო განათლების სამინისტროს ხაზით დაიხარჯა 671 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1940 წელს დახარჯული 396 მილიონი მანეთისა.

ამჟამად საქართველოში ითვლება 4.312 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც 700 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს. საქართველოში ყოველ 800 კაცზე მოდის ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 2.730 კაცზე — 1 რვაწლიანი სკოლა და 5.300 კაცზე — 1 საშუალო სკოლა.

ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვაქვს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად უზრუნველვყოთ საყოველთაო საუალდებულო სწავლება ქალაქად. საშუალო სკოლის მოცულობით და სოფლად რვაწლიანი სკოლის მოცულობით.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებში მუშაობს 38.900 პედაგოგი ანუ თითქმის 8.000-ით მეტი, ვიდრე 1940—1941 სასწავლო წელს. მნიშვნელოვნად ამაღლდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე. ომამდე უმაღლესი განათლება ჰქონდა 5.022 პედაგოგს, ამჟამად კი უმაღლესი განათლებით 8.078 მასწავლებელია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებებს ეკუთვნის, მაგალითად, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქების სკოლებში ვაჟთა და ქალთა ცალცალკე სწავლების შემოღება, აგრეთვე მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემისა და მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების შემოღება.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენდა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით დადგენილი წესი სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარებისა, აგრეთვე ოქროს და ვერცხლის მედლების შემოღება იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც წარჩინებული წარმატება და სანიმუშო ყოფაქცევა გამოიჩინეს. ეს ღონისძიება ხელს უწყობს მოზარდი თაობის აღზრდისათვის სკოლების მთელი პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობის გაძლიერებას სახელმწიფოს წინაშე.

ყრილობის დელეგატებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს საშუალო სკოლებში სწავლების ვადის 11 წლამდე გადიდებამ, რაც საკავშირო მთავრობის ნებართვით განხორციელდა, უდიდესი როლი შეასრულა რუსული ენის, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების სწავლების ძირფესვიანი გაუმჯობესების საქმეში.

განათლების სამინისტრომ დიდი მუშაობა გასწია სახელმძღვანელოების შესადგენად და გამოსაცემად. ჩვენი ქართული და რუსული სკოლები, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელოებით შედარებით დამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილნი.

მაგრამ სკოლების მუშაობაში მაინც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი. 1947—1948 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლებიდან განითესა 20.000-მდე ბავშვი. განსაკუთრებით დიდი განთესვა იყო ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულისა და წალკის რაიონების სკოლებში. ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები ალბათ საკმაოდ არ ეხმარებიან სკოლებს და კონტროლს არ უწევენ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობას.

მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის წარმატება ჯერ კიდევ დაბალია. 1947—1948 სასწავლო წელს შემდეგ კლასში ვერ გადავიდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 14,2 პროცენტი. ეს იმის შედეგია, რომ ბევრი პედაგოგი ანგარიშს არ უწევს თვითეული ჩამორჩენილი მოსწავლის ხასიათის თავისებურებას და არ ეწევა მასთან სპეციალურ მუშაობას.

ბევრ სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნები — ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია — მშრალად, განყენებულად ისწავლება, თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოუყენებლად, ექსპერიმენტების, ლაბორატორიული მუშაობის მოუწყობლად. ზოგიერთი მასწავლებელი კავშირს არ ამყარებს წარმოებასთან, არ აწყობს მოსწავლეთა ექსკურსიებს ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, არ აცნობს მათ ტექნიკის საფუძვლებს.

სკოლების მუშაობას ძლიერ უშლის ხელს შენობების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში 300-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა

აშენდა, 250 ათასზე მეტი მოსწავლე მაინც მეორე ცვლაში მეცადინეობს, ხოლო 8.000 მოსწავლე—მესამე ცვლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა დაუბრუნდეს ახალგაზრდა განათლების ორგანოებს სხვა ორგანიზაციების მიერ დაკავებული ყველა სასკოლო შენობა და ფართოდ გაჩაღდეს სასკოლო მშენებლობა. ამ საქმეში უფრო გაბედულად უნდა ჩავაბათ ჩვენი მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებსაც ყველა შესაძლებლობა აქვთ დაეხმარონ სასკოლო მშენებლობას.

უნდა მივიღოთ ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად ავეჯით და კაბინეტების მოწყობილობით.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მასწავლებლებისათვის, მათი მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ საბჭოთა სკოლის — მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამ მძლავრი იარაღის — მუშაობა.

უმაღლესი სკოლა და მეცნიერება

საანგარიშო პერიოდს ახასიათებს უმაღლესი განათლების გაფართოება და ჩვენი უმაღლესი სკოლის განმტკიცება. ამჟამად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 25.000-ზე მეტი სტუდენტი — 4.000-ით მეტი, ვიდრე 1940-1941 სასწავლო წელს. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა 27.800 სპეციალისტი გამოუშვეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ღონისძიებებს ახორციელებდნენ უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ამ მხრივ მეტი გაკეთდა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. მარტო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ახალაგებულ შენობათა სახით უნივერსიტეტმა მიიღო 3.200 კვადრატული მეტრი ფართობი აუდიტორიების, კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უმაღლეს სასწავლებელთა აღჭურვა სასწავლო და ლაბორატორიული მოწყობილობით.

პროფესორთა და მასწავლებელთა კადრებს შეემატნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მათ შორის გადიდდა ისეთ მუშაკთა პროცენტი, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი და სერიოზული მეცნიერული ნაშრომები აქვთ.

უმაღლეს სასწავლებლებში კადრების აღზრდის ხარისხის უფრო გასაუმჯობესებლად საჭიროა სისტემატურად ვიზრუნოთ უმაღლესი სკოლის მოწყობილობით და სადგომებით უზრუნველყოფისათვის. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმძღვანელოთა და დამხმარე სასწავლო ლიტერატურის გამოცემას. უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად უნდა მოვიზიდოთ ყველა ჩვენი წამყვანი მეცნიერული ძალები.

პარტიულ ორგანიზაციათა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების დაყენება უკლებლივ ყველა სასწავლებელში. უმაღლესმა სკოლამ უნდა მოგვცეს კომუნიზმის კვალიფიცური და შეგნებული მშენებლები. ხოლო ბოლშევიკი-ინტელიგენტი, პარტიული და არაპარტიული, რა სპეციალობისაც უნდა იყოს, საჭიროა შეიარაღდეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1941 წელს შეიქმნა, თავისი არსებობის 8 წლის განმავლობაში ნამდვილად გადაიქცა უდიდეს სამეცნიერო ცენტრად. აკადემიის სისტემაში 40 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებაა.

აკადემიის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა მეცნიერ მუშაკთა კადრების წარმატებით გამოზრდა. თუ 1941 წელს აკადემიის სისტემაში იყო მეცნიერებათა 30 დოქტორი და 111 კანდიდატი, ახლა აკადემიის 846 მეცნიერ თანამშრომელთაგან 116 მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 422—კანდიდატი.

აკადემიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომები მოგვცეს მათემატიკის, ბოტანიკის, ზოგიერთი ტექნიკური დისციპლინის დარგში.

აკადემიის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ნამდვილი მარქსისტული სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შექმნა. ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსების ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ამ ნაშრომს მინიჭებული აქვს სტალინური პრემია. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ამხ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის შესაქმნელად, რომელმაც საქართველოს ისტორია უნდა მოიცვას XIX საუკუნის დამდეგიდან ჩვენს დრომდე. მარქსისტული ნაშრომის შექმნა, რომელიც აშუქებს ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას მისი ისტორიის ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში, მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული და პოლიტიკური ამოცანაა. ისტორიის ინსტიტუტს და ავტორთა კოლექტივს უაღრესად ქმედითი დახმარება უნდა გაეწიოს ამ საქმეში.

აკადემია დიდ მუშაობას ეწევა ქართული საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს აკადემიას ისეთი კადრები ჰყავს და შესაძლებლობა აქვს, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა იმუშაოს უკეთესად და უფრო აქტიური როლი შეასრულოს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტის მუშაობა ჯერ კიდევ მოწყვეტილია სახალხო მეურნეობის კონკრეტულ საჭიროებას. ბევრ შემთხვევაში მეცნიერულ ნაშრომთა თემატიკა ისახება არა აქტუალური პრობლემების შესაბამისად, არამედ ამა თუ იმ მეცნიერი თანამშრომლის სურვილის თანახმად. მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავებისას ჩვენს მეცნიერებს ზოგჯერ დამყარებული არა აქვთ კონტაქტი იმ ორგანიზაციებთანაც კი, რომელთა მუშაობასაც ისინი იკვლევენ.

მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა დაამუშავა ორი თემა: „საქართველოს ენერგოსისტემაში ხრამის ჰიდროელსადგურის მუშაობის გამოკვლევა“ და „საქენერგოს სისტემის ელექტრული ვარაუდები ხრამის ჰიდროელსადგურის შემოერთებასთან დაკავშირებით“. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ თემების დამუშავება ინსტიტუტში ისეთი საიდუმლოებით იყო მოცული, რომ არც საქენერგოს და არც ხრამჰესის დირექციას ამის შესახებ არაფერი გაუგიათ. საეჭვოა რომ ასეთი „კაბინეტური“ წესით შესრულებულმა გამოკვლევამ სარგებლობა მოუტანოს წარმოებას. ეს უფრო პატივცემულ მეცნიერთა კანცელარულ ვარჯიშობას წარმოადგენს.

აკადემიამ მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს თავისი მუშაობა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საჭიროებას. თემატიკური გეგმების

პროექტები განხილულ უნდა იქნას გულდასმით, დაინტერესებული სამინისტროების, სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ასეთი განხილვის შემდეგ, თუნდაც წამყვან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა, თემატიკური გეგმები განხილულ უნდა იქნას მთავრობაში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობამ უფრო მიზანდასახული ხასიათი მიიღოს და უკეთ შეუწყოს ხელი ქართველი ხალხის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

ხელოვნება და ლიტერატურა

დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში ქართული საბჭოთა ხელოვნება შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით მიდიოდა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდი შემოქმედებითი წარმატება იყო დადგმა კომპოზიტორ მშველიძის ოპერის „ამბავი ტარიელისა", რომელიც მომზადებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის აღსანიშნავად. თეატრმა დადგა აგრეთვე რამდენიმე ახალი ოპერა, რომელიც, სამწუხაროდ, სცენას ვერ შერჩა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული საბალეტო ხელოვნების ზრდა. უკანასკნელ წლებში ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრმა დადგა რამდენიმე შესანიშნავი საბალეტო სპექტაკლი. ერთ-ერთ მათგანს — კომპოზიტორ კილაძის ბალეტ „სინათლეს", რომლის დადგმა ვ. ჭაბუკიანს ეკუთვნის, მიენიჭა სტალინური პრემია. ბალეტის წარმატება აიხსნება როგორც ამ საქმისადმი სამხატვრო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით, ისე ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებელი კადრების აღზრდითა და დაწინაურებით.

საოპერო თეატრის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მომღერალთა კადრების აღზრდასა და დაწინაურებას.

ამ მიმართულებით, საშუალო მუსიკალური განათლების ხაზით მიღებულია ღონისძიებანი, მაგრამ ეს არ კმარა. კონსერვატორიის დირექცია და ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ვალდებული არიან უკეთ იმუშაონ ვოკალური კადრების აღზრდისა და დაწინაურებისათვის.

რუსთაველის სახელობის თეატრმა საანგარიშო პერიოდში საკმაოდ ბევრი კარგი დადგმა განახორციელა. ამ თეატრის გასტროლები მოსკოვში 1947 წელს ქართული საბჭოთა სასცენო ხელოვნების სერიოზული შემოქმედებითი მიღწევების დემონსტრაციას წარმოადგენდა.

თეატრის სცენაზე დიდი ოსტატობით სრულდებოდა ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა: ჩირსკოვის „გამარჯვებულნი", სუმბათაშვილის „ღალატი", სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე", მოსაშვილის „სადგურის უფროსი" და სხვები. მაყურებლებში მუდამ წარმატება აქვს შექსპირის პიესებს: „ოტელოს" და ამას წინათ დადგმულ ტრაგედია „მეფე ლირს".

რამდენიმე წარმატებითი დადგმა განახორციელეს აგრეთვე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, გრიბოედოვის სახელობის რუსულმა თეატრმა, სომხური დრამის თეატრმა, მოზარდ მაყურებელთა თეატრებმა.

ყველა დრამატული თეატრის მუშაობის საერთო ნაკლი ის არის, რომ ისინი ჯერ კიდევ ძალიან ცოტა კარგ დადგმას გვაძლევენ თანამედროვე თემებზე.

მართალია, ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო თეატრებმა საბჭოთა თემატიკის 34 ქართული ორიგინალური პიესა დადგეს, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა მხატვრულად და იდეურად არასრულფასოვანი აღმოჩნდა. გარდა სპექტაკლ „სადგურის უფროსისა“, ეს დადგმები სცენას ვერ შერჩა.

საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი, უდიდესი შემოქმედებითი პათოსით აღსავსე ცხოვრება ჯერ კიდევ შესაფერისად ვერ აისახა ქართულ დრამატურგიაში და ჩვენი თეატრების სცენებზე. არ შეიძლება ითქვას, რომ ცოტა პიესები იწერებოდა. მარტო 1948 წლის განმავლობაში დაიწერა 200-ზე მეტი პიესა, მაგრამ ისინი მეტად სუსტი აღმოჩნდნენ და, რამდენიმე მათგანის გარდა, არ გამოდგებიან დასადგმელად.

ჩვენმა თეატრებმა უშუალო კავშირი უნდა დაამყარონ დრამატურგებთან და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით შეავსონ თავიანთი რეპერტუარი თანამედროვე თემატიკის ახალი მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებებით. ეს საბჭოთა თეატრის ნაცადი გზაა და ამ გზას არ უნდა გადაუხვიოთ.

*
* *

ჩვენი საბჭოთა მუსიკა განვითარდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური კულტურის მადლიან ნიადაგზე. საანგარიშო პერიოდში ქართველმა კომპოზიტორებმა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნეს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრმა ჩვენმა კომპოზიტორმა ხარკი გადაუხადა ფორმალისტურ მიმართულებას მუსიკალური შემოქმედების დარგში, უგულებელყო ქართული და რუსული კლასიკური მუსიკის დიადი ტრადიციები. დამახასიათებელია, რომ გენიალური კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის შემოქმედებამ ვერ პოვა განმგრძობი უფროსი თაობის საბჭოთა კომპოზიტორებს შორის.

ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ კომპოზიტორებმა შემოქმედებითი მუშაობა გარდაქმნეს. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურა ახალი აღმავლობის გზაზეა.

სასიხარულოა, რომ აღიარებულ კომპოზიტორებთან ერთად, როგორიც არიან შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, გ. კილაძე და სხვები, დიდ შემოქმედებითს აქტივობას იჩენენ ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები: საქართველოს სსრ ჰიმნის ავტორი ო. თაქთაქიშვილი, დ. თორაძე და სხვები.

ჩვენი კომპოზიტორების ამოცანაა ქართული, რუსული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის დიდი მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენების გზით შექმნან ყველა ჟანრის ახალი მუსიკალური ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებას, სტალინური ეპოქის ადამიანის სულიერ სახეს.

კომპოზიტორები მოვალენი არიან შექმნან სიმღერები თანამედროვე თემებზე როგორც სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებისათვის, ისე მრავალრიცხოვანი თვითმოქმედი კოლექტივებისათვის, რომლებიც საწარმოთა და კოლმეურნეობათა კლუბებში მუშაობენ. მათ ხელი უნდა შეუწყონ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის განვითარებას, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდეს პოტენციალურ შესაძლებლობას, ძალასა და სილამაზეს მოწმობს ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით ქართული ცეკვის შესანიშნავი ანსამბლის შემოქმედებითი მუშაობა.

*
* *

ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ვითარდებოდა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება. საანგარიშო პერიოდში მოეწყო რამდენიმე გამოფენა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები.

საქართველოს მოწინავე მხატვრებმა ახალი შესანიშნავი ტილოები შექმნეს. ფერწერის საუკეთესო ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის დიდი სურათი „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს". ეს შესანიშნავი ნაშრომი თემატიკურად ეკუთვნის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემებზე საქართველოს მხატვართა მიერ შექმნილ სურათების ცნობილ ციკლს. იგი დიდი გამომხატველობით გადმოგვცემს. თბილისის მუშების პირველ აშკარა რევოლუციურ გამოსვლას, რომელიც მოაწყო და რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი. ღრმა იდეური შინაარსი და ამავე დროს შესრულების უნაკლო ოსტატობა ამ სურათს ქართული საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვან ნაწარმოებად ხდის.

ქართველმა მხატვრებმა ბევრი ტილო მიუძღვნეს სამამულო ომის, კავკასიის გმირული დაცვის ეპიზოდების, საბჭოთა მეომრების გმირობის წარმოსახვას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ნაშრომი სრულფასოვანია, მაგრამ მათ შორის ბევრი კარგი სურათიც არის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მხატვართა რიგებს შეემატნენ ახალი ნიჭიერი კადრები. ყალმის ძველ ოსტატთა უმრავლესობა ძალების სრული გაფურჩქვნის პერიოდშია. ასეთ პირობებში ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ჩვენს მხატვრებს ღრმა იდეური შინაარსის და მაღალ მხატვრულ დონეზე მდგომი უფრო სრულყოფილი ნაწარმოებნი. ჩვენმა მხატვრებმა სრულად უნდა გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდი წარმატებებია მიღწეული ქართული სკულპტურის განვითარებაში. შეიქმნა ბევრი შესანიშნავი სკულპტურული ნაწარმოები. მათგან გამოირჩევა ის ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლებისა და ბელადების ლენინისა და სტალინის სახეები. საქართველოს სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მშვენიერ ნაშრომს—„ლენინი—ისკრის ორგანიზატორი"—მიენიჭა სტალინური პრემია.

მაღალი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული დიდი სტალინის მონუმენტური ფიგურები, რაც მოქანდაკე შ. მიქატაძემ და ვ. თოფურიძემ შექმნეს. ამხ. მიქატაძის მიერ ქვაზე შესრულებული ქანდაკება დადგმულია ქალაქის მოედანზე ქუთაისში, ხოლო ამხ. თოფურიძის ნაშრომი—მოედანზე ფოთში.

მაღალი შეფასება მიიღეს ამხ. ნიკოლაძის ისეთმა ნაშრომებმა, როგორიცაა „XII საუკუნის მოაზროვნე ჩახრუხაძე“, რომელსაც აგრეთვე მიენიჭა სტალინური პრემია, და გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ბიუსტი, რომელიც დადგმულია თბილისში.

საინტერესო ნაწარმოებნი შექმნეს მოქანდაკეებმა თ. აბაკელიამ, კ. მერაბიშვილმა, ს. კაკაბაძემ და სხვებმა.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და მხატვართა კავშირმა უკეთ უნდა მოაწყონ და წარმართონ ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი მუშაობა. ქართველი საბჭოთა მხატვრები მოვალენი არიან ღირსეულად შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიისადმი მიძღვნილ მომავალ გამოფენას, რომელიც მიმდინარე წლის დამლევს გაიხსნება.

*
* *

დიდი სამამულო ომის მოვლენებმა ახალი შინაარსით გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა და უფრო დაუახლოვეს იგი ხალხის მოთხოვნილებასა და მისწრაფებას.

ომის წლებში ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებში უფრო ძლიერად გაისმა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები. ამ პერიოდის ლექსები, პროზა და ნარკვევები მთელ ხალხს მოუწოდებდნენ ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ ფრონტის მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებს, ეხმარებოდნენ მათ მამაცურად გადაეტანათ ომის მკაცრი გამოცდა.

საუკეთესო ქართველმა საბჭოთა პოეტებმა: გიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ, ალიო მირცხულავამ, სიმონ ჩიქოვანმა, ალექსანდრე აბაშელმა, გალაკტიონ ტაბიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ და სხვებმა ომის პერიოდში შექმნეს შესანიშნავი ლექსები საბჭოთა მეომრებზე, გმირ ლენინგრადზე, სტალინგრადის ეპოპეაზე, კავკასიის დაცვაზე. მათ ამ ლექსებში გამოთქვეს საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისა, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა დიდი სტალინისადმი, რომლის მხედართმთავრულმა გენიამაც იხსნა ჩვენი სამშობლო ფაშისტური დამონებისაგან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოსახული კავკასიის დაცვის ამბები. პოემაში ყველაზე კარგია ადგილები, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი, რომელმაც უზრუნველჰყო კავკასიის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების სტალინური გეგმის განხორციელება.

ამ პერიოდის პროზაულ ნაწარმოებთაგან გამოირჩევიან დ. შენგელაიას „მერხეულა“, გ. ნატროშვილის „დასავლეთის ფრონტზე“, რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“, შ. დადიანის ზოგიერთი ნაწარმოები და სხვ.

ომის პერიოდში თვალსაჩინო ნაწარმოებნი შეიქმნა ჩვენი ხალხის გმირულ წარსულზე. მათგან უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი, რომელიც თუმცა მოკლებული არ არის ნაკლსა და შეცდომებს, მაგრამ მთლიანად საინტერესოა.

სამამულო ომის წლებში შემოქმედებითად მომწიფდნენ და დაწინაურდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები იოსებ ნონეშვილი და რევაზ მარგიანი. ამ

პოეტების მაღალმხატვრული ლირიკული ნაწარმოებნი, რომელნიც საბჭოთა ადამიანის მდიდარ შინაგან სამყაროს, მის კეთილშობილურ გრძნობებსა და განცდებს წარმოსახავენ, ფართო პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებს შორის.

ომის პერიოდში ლიტერატურას შეემატნენ მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლები, რომელთაგან ბევრი მონაწილეობდა ბრძოლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რაც ასახვის განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ მათს ნაწარმოებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის დამთავრების შემდეგ პირველ ხანს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში გამოცოცხლდა ზოგიერთი არასაღი ტენდენცია. ცალკეულმა პოეტებმა გამოაქვეყნეს ნაწარმოებნი, რომელთაც ახასიათებს უიდეობა, დაცემულობის განწყობილება, ისტორიული თემატიკით ცალმხრივი გატაცება.

„ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის იდეურ გაჯანსაღებასა და შემდგომ აღმავლობაში.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთაგან შინაარსითა და მხატვრული ღირსებებით ყველაზე შესანიშნავია ლეო ქიაჩელის ახალი რომანი „მთის კაცი“. კავკასიის დაცვის ამბებისადმი მიძღვნილ ამ ნაწარმოებში მწერალმა დიდი მხატვრული ძალით წარმოსახა საბჭოთა ადამიანები, მათი მორალური თვისებანი, მათი ერთგულება დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი.

ომისშემდგომ წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა აკაკი ბელიაშვილის რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. რომანი ისტორიულ თემაზეა დაწერილი, მაგრამ ცხოვლად ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. რომანში აწერილია ქართველი ხალხის ის გმირული ბრძოლა თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVIII საუკუნის დამლევს, რომლის მონაწილეც იყო ცნობილი ქართველი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი. ავტორი მხატვრული ხერხებით დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ქართველი ხალხისათვის, მაშინ შექმნილ პირობებში, ერთადერთი სწორი გზა იყო რუსეთთან შეერთების გზა. განსაკუთრებით ძვირფასია ის, რომ რომანში მკაფიოდ არის წარმოსახული ეპიზოდები რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენელთა შორის მჭიდრო მეგობრობის წარმოშობისა, მეფის გენერლების და მოხელეების წინააღმდეგობისა და ინტრიგების მიუხედავად.

უკანასკნელ ხანს იბეჭდება მოთხრობები, ნარკვევები და ლექსები საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი პერიოდის შრომასა და ცხოვრებაზე. მაგრამ ამ თემებზე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებნი ჯერ კიდევ არ ჩანს. ომის შემდეგ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლებისათვის შემოქმედებითი წარმოსახვის საგანი. ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობამ, მწერალთა კავშირმა სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ საკითხზე.

ბოლო უნდა მოეღოს ქართული საბჭოთა პროზის ჩამორჩენას. პროზა ჩვენი ლიტერატურის მთავარი ჟანრი უნდა გახდეს. ამასთან მწერალთა კავშირმა და ჟურნალმა „მნათობმა“ მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, რომ

წაახალისონ პროზაიკოსთა მიერ თანამედროვე თემატიკის დამუშავება, ლიტერატურამ მშრომელები, პირველ რიგში ჩვენი ახალგაზრდობა, უნდა აღზარდოს თანამედროვეობის მოწინავე იდეებით. ამ როლის შესასრულებლად ძხატვრულ პროზას უდიდესი უპირატესობა აქვს ყველა სხვა ლიტერატურულ ჟანრთან შედარებით.

უნდა ამაღლდეს მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილი უბანია.

მწერალთა კავშირი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ახალგაზრდა მწერალთა კადრების იდეური აღზრდისა და შემოქმედებითი ზრდის საკითხებს.

უეჭველია, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები გამოასწორებენ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ჩამორჩენილ უბნებს და შექმნიან ნაწარმოებთ, რომლებიც ღირსეულად წარმოსახავენ საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის — კომუნიზმის ამ ერთგული მშენებლების დიადს შემოქმედებითს შრომას, ცხოვრებას, გრძნობებსა და მისწრაფებას.

კინემატოგრაფიის შესახებ

1940 წლიდან დღემდე თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა 24 მხატვრული ხმოვანი ფილმი, რომელთაგან ბევრმა მიიღო საბჭოთა მაყურებლის მაღალი შეფასება. მაგალითად, ასეთია მონუმენტური ისტორიულ-პატრიოტული ფილმი „გიორგი სააკაძე“, რომელიც საუკეთესო ჩვენმა კინორეჟისორმა მ. ჭიაურელმა დადგა, და ფილმი „დავით გურამიშვილი“ რეჟისორების ბ. თუმანიშვილის და ნ. სანოვისა. მაგრამ არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი მიღწევა არის თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმული შესანიშნავი ფილმი „ფიცი“ რეჟისორ მ. ჭიაურელისა.

საყურადღებოა შარშან გამოშვებული სურათი „ქეთო და კოტე“, რომლის დამდგმელებმა რეჟისორებმა ვ. ტაბლიაშვილმა და შ. გედევანიშვილმა დიდი მხატვრული გემოვნება და წარმოსახვის საშუალებათა კარგი ცოდნა გამოიჩინეს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე პატრიოტული შინაარსით აღსავსე მუსიკალური ფილმი, რეჟისორების ს. დოლიძისა და დ. რონდელისა „ჯურღაის ფარი“.

მაგრამ ეს უდავო მიღწევანი საფუძველს არ გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ჩვენი კინემატოგრაფია საკმაოდ იყენებს ყველა თავის შემოქმედებითს შესაძლებლობას. თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული სურათების ერთი ნაწილი არ არის ქების ღირსი იდეური და მხატვრული თვალსაზრისით. ამ უკანასკნელ წლებში სტუდია ძალიან ცოტა სურათს უშვებს. იგი არ არის უზრუნველყოფილი კარგი სცენარებით. ისევე როგორც თეატრებს, ქართულ კინოხელოვნებასაც აფერხებს ჩვენი დრამატურგების არასაკმაო შემოქმედებითი აქტივობა.

ამჟამად კინოსტუდიის წარმოებაშია სამი სრულმეტრაჟიანი ფილმი, მაგრამ ეს ცოტაა. სტუდიას უფრო ინტენსიური მუშაობის შესაძლებლობა აქვს. საჭიროა კინოსტუდიის და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა მთელი

ყურადღება მიაპყრონ კინოსურათებისათვის სცენარების შექმნას თანამედროვე თემებზე.

ამასთანავე უკეთ უნდა მოეწყოს გადაღების სამუშაო, აღმოიფხვრას ხარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის, აქტიორთა კადრების არასწორი გამოყენების, სურათების გამოშვების ვადის დარღვევის შემთხვევები.

ქართულმა კინემატოგრაფიამ საბოლოოდ უნდა გარდაქმნას მუშაობა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც კინოხელოვნების წინაშე დასახულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებით კინოფილმ „დიდი ცხოვრების შესახებ“.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. თუ 1940 წელს 3.590 კოლექტივი და წრე იყო, 1948 წელს მათი რაოდენობა 4.611-ს შეადგენდა; ფიზკულტურელთა რიცხვი შესაბამისად გაიზარდა 165.330-დან 216.370-მდე, ანუ თითქმის ერთნახევარჯერ.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ. საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფო ასიგნობანი ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის მარტო 1948 წელს შეადგენდა 12.136.000 მანეთს.

ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სასპორტო ნაგებობათა ქსელის გაფართოებისა და სასპორტო ინვენტარის წარმოების გადიდების ღონისძიებებს, რომლებიც ამჟამად ხორციელდება საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

გასული სასპორტო სეზონი აღინიშნა ისეთი მოვლენებით, როგორიცაა 502 ალპინისტის ასვლა ყაზბეგის მთის მწვერვალზე; შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდა 1.500 კოლმეურნე ცხენოსანი საქართველოს 25 რაიონიდან; საქართველოს სასპორტო დელეგაციის მონაწილეობა ამიერკავკასიის სპარტაკიადაში, სადაც მან პირველი ადგილი დაიკავა.

ცალკე ოსტატებმა და რეკორდსმენებმა სხვადასხვა სახის სპორტში ახალი მნიშვნელოვანი მიღწევები გვიჩვენეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე წარმატებანი მასობრივი ფეხბურთის განვითარების საქმეში.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოში სპორტის ცალკეული მნიშვნელოვანი სახეების მიხედვით ყველაფერი რიგზე როდია. ცუდად არის, მაგალითად, გიმნასტიკის მდგომარეობა. საქართველოს გიმნასტებმა არა თუ არ განავითარეს, არამედ ვერც კი შეინარჩუნეს ის მაღალი მიღწევები, რომლებიც მათ ახლო წარსულში ჰქონდათ.

წინა წლებთან შედარებით ჩვენი სპორტსმენები უარეს ადგილებზე გადავიდნენ აგრეთვე კრივში, ფრენბურთში, კალათბურთში. ჯერ კიდევ ფართოდ არ გავრცელებულა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში სპორტის ისეთი საინტერესო სახე, როგორიცაა მოტო-ველო სპორტი.

ფიზკულტურულ მოძრაობაში ერთ-ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ფიზკულტურელთა ახალი კადრების გამოვლინების, შერჩევისა და აღზრდის დარგში, რომელთაც შეუძლიათ გახდნენ

ოსტატები და რეკორდსმენები. სწორად არ არის დაყენებული საწვრთნელო მუშაობა. ჩატარებულ ღონისძიებათა საორგანიზაციო მხარე მთელ რიგ შემთხვევებში არადამაკმაყოფილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ცუდად ახორციელებს პროფკავშირულ ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა მუშაობისადმი სახელმწიფო კონტროლის მისთვის მინიჭებულ უფლებას. ეს ორგანიზაციები ერთობ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ახლად შექმნილმა საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭომ უნდა გააძლიეროს პროფკავშირების ხაზით ხელმძღვანელობა ფიზკულტურული მოძრაობის მთელი საქმისადმი.

დიდი ამოცანა ეკისრებათ აგრეთვე კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც მთელი ფიზკულტურული მოძრაობის სული და გული უნდა იყვნენ. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად უნდა გააძლიერონ მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დარგში.

პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ ადგილებზე ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის ყოველმხრივ გაჩაღება.

მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სასპორტო ნაგებობათა აშენებლობას როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, კოლმეურნეობებში და ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩააბან რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები და მოსწავლეები.

IV. პარტიული მუშაობა

ბოლშევიკური პარტია საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმია. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხარისხი განსაზღვრავს წარმატებებსა და ნაკლოვანებებს სახელმწიფო მართვის ორგანოების, სამეურნეო და ყველა სხვა ორგანიზაციის მუშაობაში. მაგრამ იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, საჭიროა კარგად დავაყენოთ შინაპარტიული მუშაობა, სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის წევრთა თვისობრივი შემადგენლობა, ავამაღლოთ კომუნისტების იდეური დონე და საქმიანი კვალიფიკაცია.

სწორედ ამიტომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები თავისი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ შინაპარტიული ცხოვრების საკითხების გადაწყვეტას, პარტიის საორგანიზაციო, პროპაგანდისტულ და საგიტაციო მუშაობას.

პარტიული ორგანიზაციის ზრდა და შემადგენლობა

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციიდან საბჭოთა არმიის რიგებში წავიდა 52.600 კომუნისტი, ანუ საქართველოს კომპარტიის იმ რიცხობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, რომელიც 1941 წლის პირველი ივნისისათვის იყო.

მაგრამ არმიაში წასულთა ნაცვლად მთელი ომის წლების მანძილზე პარტია ინტენსიურად ივსებოდა ახალი წევრებისა და კანდიდატების მიღებით. 1942 წელს, ჩვენი არმიის დროებითი წარუმატებლობის პერიოდში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის რიგებში კანდიდატად შევიდა 7.034 კაცი, ხოლო

1943 წელს—12.108 კაცი. ჩვენი სამშობლოსათვის ამ მძიმე დროს პარტიაში ლტოლვის გაძლიერებით გამოხატულება ჰპოვა მშრომელთა უსაზღვრო ნდობამ ბოლშევიკური პარტიისადმი, მათმა ერთგულებამ ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი (ტაში).

შემდგომ წლებში პარტიული ორგანიზაციის ზრდა უფრო გაძლიერდა. დემობილიზაციასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციაში დაბრუნდა კომუნისტ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი რაოდენობა. ამის შედეგად ჩვენი პარტიული ორგანიზაციის რიცხვი ბევრად გადიდდა. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საქართველოს პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა 166.367 კომუნისტი, ნაცვლად 1940 წლის 88.951 კომუნისტისა. ამრიგად, საანგარიშო პერიოდში ჩვენი პარტორგანიზაცია გაიზარდა 77.416 კაცით ანუ 87 პროცენტით.

პარტორგანიზაციის შემადგენლობაში არის საკავშირო კ. პ. (ბ) 148.137 წევრი და 18.230 კანდიდატი.

კომუნისტთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალების რიცხვი. ამჟამად პარტორგანიზაციის შემადგენლობაში 39.136 ქალი ირიცხება. 1940 წელს ქალები შეადგენდნენ კომუნისტთა საერთო რიცხვის 13,3 პროცენტს, ხოლო ახლა შეადგენენ 23,5 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა კომუნისტთა განათლების დონე. 1940 წელს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტები შეადგენდნენ პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო რიცხვის 11.6 პროცენტს, ამჟამად ისინი შეადგენენ 17,2 პროცენტს. საშუალო და დაუმთავრებელი საშუალო განათლების მქონე კომუნისტთა პროცენტი გაიზარდა 1940 წლის 37,6-დან 47,8-მდე. ამავე დროს დაბალი განათლების მქონე კომუნისტთა პროცენტი შემცირდა შესაბამისად 50,8-დან 35-მდე. ეს ცნობები მოწმობენ, რომ რიცხობრივ ზრდასთან ერთად ჩვენი პარტორგანიზაციის შემადგენლობა თვისობრივადაც გაუმჯობესდა.

საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულთა შორის 8.390 წამყვანი პროფესიის მუშა, 750 ტრაქტორისტი და კომბაინერი, 8.890 კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბრიგადირი, 5.156 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, 7.179 მეცნიერი მუშაკი და უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებელი და 1.643 ექიმია.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოს პარტორგანიზაცია ივსებოდა მოწინავე ადამიანებით მუშებიდან, კოლმეურნეებიდან და ინტელიგენციიდან და, მაშასადამე, მისი ზრდა ძირითადად ნორმალურად მიმდინარეობდა.

ამჟამად ჩვენ რესპუბლიკაში გვაქვს 9.535 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ნაცვლად 1940 წლის 4.269-ისა. ამრიგად, საანგარიშო პერიოდში პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა კოლმეურნეობებში. ახლა ჩვენ გვაქვს 3.200 საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია, მაშინ როცა 1940 წელს 1.339 იყო. 21 წამყვან სასოფლო რაიონში პირველადი პარტიული ორგანიზაცია არის ყველა კოლმეურნეობაში. 6 რაიონში დარჩა მხოლოდ თითო კოლმეურნეობა, სადაც არ არის პირველადი პარტორგანიზაცია. მარტო იმ რაიონებში, სადაც ბევრია მაღალმთიანი სოფლები, ჯერ კიდევ რჩება წვრილ კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული სტაჟის მიხედვით ჩვენი პარტორგანიზაციის წევრთა შემადგენლობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

სტაჟით	1917 წლამდე ირიცხება	102	კომუნისტი
„	1917-დან 1921 წლამდე	3.065	„
„	1922-დან 1929 „	8.030	„
„	1930-დან 1940 „	39.157	„
„	1941-დან 1948 „	97.783	„

თუ 1941-დან 1948 წლამდე სტაჟის მქონე პარტიის წევრთა რაოდენობას მიუმატებთ პარტიულ ორგანიზაციაში მყოფ 18.230 კანდიდატს, მივიღებთ, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საერთო რიცხვის 70 პროცენტზე მეტს შეადგენენ ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც პარტიაში შევიდნენ ომისა და ომისშემდგომ პერიოდში.

ძველსა და ახლად მიღებულ კომუნისტებს შორის ასეთი რიცხობრივი თანაფარდობა გვავალებდა კი არ დაგვეჩქარებინა პარტიის რიგების შემდგომი ზრდა, არამედ პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება მიგვექცია ახალი შევსების ბოლშევიკური აღზრდისათვის. ამ საკითხზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილ მითითებათა შემდეგ პარტიული ორგანიზაციები უფრო მკაცრად ეკიდებოდნენ პარტიაში მისაღებთა შერჩევის საკითხებს, რის შედეგადაც პარტიის რიგების ზრდა მკვეთრად შემცირდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1948 წელს პარტიაში მიღებულ იქნა მხოლოდ 1.555 კანდიდატი, ნაცვლად 1947 წელს მიღებული 11.959 კანდიდატისა. მარტო გასულ წელს საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში მიღებაზე უარი უთხრეს 1.110 კაცს.

პარტიაში მიღების საკითხებთან ერთად საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი რიგების გაწმენდას იმ პირთაგან, რომლებიც არღვევდნენ პარტიის წესდებას და ვერ ამართლებდნენ კომუნისტის წოდებას. მარტო 1948 წელს პარტიიდან გარიცხა 2.871 კაცი, მათ შორის საკავშირო კ. პ. (ბ) 1.777 წევრი და 1.094 კანდიდატი. მათ შორის გაფლანგვებისა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გარიცხულნი შეადგენენ 12,3 პროცენტს, პარტდოკუმენტების დაკარგვისათვის—8,9 პროცენტს, პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და თავისი პარტიული მდგომარეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის—21,8 პროცენტს.

ეს ციფრები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება კომუნისტების ბოლშევიკური აღზრდისა და პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ამასთან ერთად, ისინი მოწმობენ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის არასერიოზულ დამოკიდებულებას პარტიაში მისაღებთა შესწავლისადმი, რის შედეგადაც პარტიის რიგებში შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ სხვადასხვა დანაშაულებრივი ელემენტები და ჩამორჩენილი ადამიანები. ამ მდგომარეობის დასადასტურებელი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ არა მარტო პირველადი პარტორგანიზაციების არამედ პარტიის რაიკომების პრაქტიკიდანაც.

ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნის-კაპანახჩის ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანიზაციამ 1947 წლის თებერვალში პარტიაში მიიღო იუსუბ მამედ ოღ-

ლი, რომელსაც წინათ სამხედრო ტრიბუნალის მიერ ათი წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიკომმა 1945 წელს პარტიაში მიიღო ვახტანგ ვიქტორის-ძე ედიგარაშვილი, რომელსაც რეგისტრაცია ჰქონდა დანაშაულის ჩადენისათვის. 1947 წლის აპრილში ედიგარაშვილს მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობისათვის.

ახალციხის სახალხო სასამართლოს პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო ვინმე ჩიქოვანი, რომელიც 1918—1919 წლებში ცაგერის რაიონის მენშევიკური მილიციის უფროსად მუშაობდა და ბოლშევიკებს აპატიმრებდა.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია იმდენად ჩქარობს პარტიაში მიღებას, რომ ყურადღებას არ აქცევს ელემენტარულ საწესდებო მოთხოვნათა დაცვასაც კი. მაგალითად, „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს განყოფილების პარტიულმა ორგანიზაციამ კანდიდატობიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად მიიღო ამხ. ალექსანდრე მიხეილის-ძე რუხაძე, რომელმაც მხოლოდ ერთი რეკომენდაცია წარადგინა (ს ი ც ი ლ ი).

არის შემთხვევები, მართალია მცირერიცხოვანი, როცა პარტიაში იღებენ რელიგიური ცრურწმენის მქონე ადამიანებს. 1948 წლის განმავლობაში რელიგიური წესების შესრულებისათვის პარტიიდან გაირიცხა 49 კაცი. დამახასიათებელია, რომ მათ შორის არიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებიც კი. მაგალითად ასპინძის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ეკატერინე ველიჯანაშვილმა და მისმა ქმარმა—საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს ინსპექტორმა ასპინძის რაიონში შალვა სანდოძემ (ორივე უმაღლესი განათლებითაა) თავიანთი ოთხი შვილი მონათლეს. ველიჯანაშვილი და სანდოძე გაირიცხნენ პარტიიდან. პარტიიდან გაირიცხა აგრეთვე საჩხერის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საშუალო განათლების მქონე ივანე უფლისას-ძე სამხარაძე, რომელმაც შარშან სექტემბერში დედის დასაფლავებაზე მღვდელი მიიწვია და იქვე იმავე დღეს თავისი ორი შვილი მონათლა. (ს ი ც ი ლ ი).

ეს ფაქტები კიდევ და კიდევ მოგვაგონებენ, რომ საჭიროა მოსახლეობაში ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერება. მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ კომუნისტთა შორის იყოს რელიგიურობის თუნდაც ოდნავი გამოვლინება.

საჭიროა სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიული მეურნეობის წარმოების საქმე, ზუსტად დავაყენოთ კომუნისტთა აღრიცხვა და სწორად გავაფორმოთ მთელი პარტიული დოკუმენტაცია.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მხოლოდ იმ პარტიულ ორგანოებში, სადაც პარტიული მეურნეობის საკითხები ჯეროვანი ყურადღებით არ სარგებლობენ, შეიძლება მოხდეს ამის მსგავსი ფაქტები:

ლაგოდეხის რაიკომმა აღრიცხვაზე აიყვანა არშაკ გასპარის-ძე საკოვი და შუამდგომლობა აღძრა მისთვის ახალი პარტიული ბილეთის მიცემის შესახებ, ვითომდა, დაკარგულის ნაცვლად. შემოწმების შემდეგ კი გამოირკვა, რომ საკოვი, საბჭოთა არმიაში ყოფნისას, პარტიიდან გაირიცხა ლაჩრობისა და პარტიული ბილეთის მოსპობისათვის.

ჩხარის რაიკომმა 1947 წლის 6 მარტს პარტიიდან გარიცხა აკაკი გიორგის-ძე გოგიაშვილი. აპრილში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა გოგიაშვილის გარიცხვა და თავისი გადაწყვეტილება რაიკომს გაუგზავნა. ამის შემდეგ რაიკომი რატომღაც კვლავ დაუბრუნდა გოგიაშვილის

საკითხს და იმავე წლის სექტემბერში მეორედ გარიცხა იგი პარტიიდან. (ს ი ც ი ლ ი დ ა რ ბ ა ზ ს ი). სწორედ ასევე მოიქცა ჩხარის მეზობელი ზესტაფონის რაიკომიც ნიკოლოზ შველიძის მიმართ, რომელმაც იგი პარტიიდან ორ-რეთვე ორჯერ გარიცხა: პირველად ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებამდე და მეორედ — ამ გადაწყვეტილების შემდეგ. (ს ი ც ი ლ ი).

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი საორგანიზაციო მუშაობაში. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს საკავშირო კ. პ (ბ) ყველა წევრთა და კანდიდატთა ჩაბმას პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში, პარტიული დავალებების სწორგანაწილებას და კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატურ ამაღლებას. საჭიროა ფხიზლად დავიცვათ პარტიის რიგების სიწმინდე და არ დავუშვათ პარტიაში საეჭვო და შემთხვევითი ადამიანების შეპარვა.

პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები, რომლებიც წინ უძღოდნენ ჩვენს ყრილობას, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა. საჭიროა აღმოვფხვრათ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი, გამოვლინებულნი ანგარიშებისა და არჩევნების პროცესში, და უფრო ავამაღლოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობის მორიგ ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციის საქმეში.

პარტიული პროპაგანდა

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში. მიმდინარე სასწავლო წელს კომუნისტთა პარტიული განათლება ბევრად უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე წინათ. იმისათვის, რომ პოლიტიკურ განათლებაში მთლიანად ჩაგვება უკანასკნელი წლების მანძილზე საკავშირო კ. პ. (ბ)-ში მიღებული კომუნისტები, რომელთაც არა აქვთ სათანადო პოლიტიკური მომზადება და წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები, წელს თითქმის ერთიხუთად გადიდდა წრეებისა და პოლიტსკოლების რიცხვი. ახლა რესპუბლიკაში 2.774 პოლიტსკოლაა, რომლებიც აერთიანებენ 48.000 მსმენელს, და „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი 2.012 წრეა რომლებიც აერთიანებენ 36.900 კომუნისტს. გარდა ამისა, პარტიის ფუძემდებლებისა და ბელადების — ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ 435 წრეში სწავლობს 5 460 კომუნისტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია 76 საღამოს პარტსკოლა, რომლებშიც ცოდნას იმაღლებს 2.162 პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

პარტიულ პროპაგანდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თბილისისა და ჭუთაისის საქალაქო კომიტეტებთან შექმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები, რომლებშიც სწავლობს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების 1.665 ხელმძღვანელი მუშაკი.

მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობა უფრო ორგანიზებულად დაიწყო და ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თავის დროზე დამთავრდა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა. წრეები და პოლიტსკოლები უზრუნველყოფილი არიან ერთიანი სასწავლო

გეგმებითა და პროგრამებით, ხოლო მსმენელები — სასწავლო ლიტერატურ.ით საკმარისია ითქვას, რომ მარტო პოლიტსკოლების მსმენელთათვის ადგილებზე დაიგზავნა 7 თემის მიხედვით თითქმის ნახევარ მილიონ ეგზემპლარი სასწავლო მასალა ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

თუ პოლიტსკოლებში სასწავლო მასალის გავლის ვადები დაცულ იქნა, უკვე აპრილ-მაისში კომუნისტთა ძირითადი მასა დაამთავრებს პოლიტსკოლებს და ახალი სასწავლო წლიდან შეძლებს შეისწავლოს პარტიის ისტორია წრეებში.

სკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში საპროგრამო მასალა თავის მხრივ ამოწურულ უნდა იქნას 15 თვის განმავლობაში. ამრიგად, პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის სწორად დაყენებისას მათში გაერთიანებულ კომუნისტთა დიდი უმრავლესობა—საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის თითქმის ნახევარი—2—2,5 წლის შემდეგ, გაივლის რა საწრეო მუშაობის სტადიას, შეუდგება მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და ბოლშევიკური პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლას.

მაშასადამე, პოლიტსკოლებისა და წრეების ამოცანა ის არის, რომ არა მარტო გაიარონ გათვალისწინებული პროგრამა, არამედ მსმენელებს ჩაუნერგონ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები.

პოლიტსკოლებისა და წრეების ქსელის გაფართოების მიუხედავად, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდად კვლავ რჩება კომუნისტთა დამოუკიდებელი მუშაობა თავის თავზე. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ცნობებით პარტიის დაახლოებით 60.000 წევრი და კანდიდატი მუშაობს პოლიტიკურ თვითგანათლებაზე. ამ რაოდენობიდან 49.000-ზე მეტი კაცი სწავლობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას, 4.000-მდე კაცი—დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, 2.000-მდე კაცი—პოლიტიკურ ეკონომიას.

საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მუშაობს პარტიული და საბჭოთა აქტივის 173 სემინარი, რომლებშიც საჭირო დახმარებას იღებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი 4.500 კომუნისტი, მათ დიდ დახმარებას უწევენ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, რომლებსაც პარტიული კაბინეტები ატარებენ.

პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ არის გაჩაღებული სალექციო პროპაგანდა. საქალაქო და რაიონული კომიტეტების ძალებით მარტო 1948 წელს ჩატარდა 20.000 -მდე ლექცია, რომლებსაც დაესწრო ერთ მილიონზე მეტი კაცი.

პარტიული განათლების მდგომარეობაზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი საჭირო არ არის, ვინაიდან ეს საკითხი ამას წინათ განხილულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სათანადო მასალები პრესაში გამოქვეყნდა. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი სკოლების, წრეების მუშაობაში და განსაკუთრებით დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი კონტროლისა და დახმარების საქმეში. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა წიგნზე ვითომდა დამოუკიდებელი მუშაობით კომუნისტები ფარავენ უდარდელ დამოკიდებულებას თავისი თეორიული დონის ამაღლებისადმი, ხოლო პარტიული ორგა-

ნიზაციები გვერდს უვლიან ასეთ ფაქტებს. ზოგიერთ წრეში დაბალია მეცადინეობაზე დასწრების დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეების, პოლიტსკოლების პროპაგანდისტებად, აგრეთვე სემინარების ხელმძღვანელებად, როგორც წესი, მომზადებული ამხანაგები მუშაობენ. მაგრამ არის დაკისრებული საქმისადმი ზოგიერთი მათგანის არასერიოზული მოპყრობის შემთხვევები.

მაგალითად, როგორ შეიძლება დაინტერესოს თავისი მსმენელები თეორიის შესწავლით ხაშურის პროპაგანდისტთა რაიონული სემინარის ხელმძღვანელმა ამხ. ბლუა'მვილმა, როცა იგი მეცადინეობაზე სერიოზულად ამტკიცებს, რომ, ვითომდა, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების თანახმად „პრაქტიკა ათასჯერ სჯობია ყოველგვარ თეორიას". (**სიცილი**).

საჭიროა სისტემატურად შევამოწმოთ პარტიული პროპაგანდის მდგომარეობა და აღმოვფხვრათ გამოვლინებული ნაკლოვანებანი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრების პროპაგანდას ეწეოდნენ მომზადებული, უნარიანი და ამ საქმის მოყვარული ამხანაგები.

პარტიული პროპაგანდისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ ჩვენი გაზეთები და ჟურნალები. ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად მუშაობს პრესისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე. ჩვენი ცენტრალური გაზეთები „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" ფართოდ და გასაგებად აშუქებენ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას და დროზე ეხმაურებიან საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებს. გაუმჯობესდა სხვა გაზეთების მუშაობაც.

მაგრამ გაზეთების, მათ შორის რესპუბლიკური გაზეთების, მუშაობაში სერიოზული ნაკლიცაა. პარტიული ცხოვრების განყოფილებები გაზეთებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, მათში საკმაოდ არ შუქდება პარტიული ორგანიზაციების საორგანიზაციო და პროპაგანდისტული მუშაობის საკითხები. რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთები არ ეწევიან ფართო აგროტექნიკურ პროპაგანდას, კერძოდ, მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიის მიღწევათა პროპაგანდას.

გაზეთების გამოხმაურებას ახალ წიგნებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ გასავრცელებლად მასებში. ამავე დროს, კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიას გაზეთების ფურცლებზე ჯერ კიდევ ჯეროვანი ადგილი არ უკავია. ახალ წიგნებზე ძალიან ცოტა რეცენზიები და ბიბლიოგრაფიული სტატიები იბეჭდება. გაზეთებს რატომღაც თავიანთ ვალად მიაჩნიათ კრიტიკული სტატიები დაბეჭდონ მხოლოდ იმ წიგნების შესახებ, რომლებიც უარყოფით შეფასებას იმსახურებენ, კარგ წიგნებზე კი ჩვეულებრივ არაფერი არ იწერება. გამოდის, რომ ჩვენ მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ მარტო მავნე და სუსტ გამოცემებზე. ეს სწორი არ არის. გაზეთებმა უნდა გააკრიტიკონ ცუდი წიგნები, მაგრამ ისინი მოვალენი არიან შეფასება მისცენ კარგ წიგნებსაც. ამ მხრივ ჩვენმა რესპუბლიკურმა გაზეთებმა მაგალითი უნდა აიღონ „პრავდიდან", რომელიც თითქმის ყოველ ნომერში ბეჭდავს ორ-სამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას ახალ გამოცემებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებართვით, ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ განვაახლეთ გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდი სტალინეცისა" და „ნორჩი ლენინელის" და საბავშვო ჟურნალების

„პიონერისა“ და „დილის“ გამოცემა. ამ ჟურნალებისა და გაზეთების ხარისხი დღითიდღე უმჯობესდება.

ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე გამოცემას. საანგარიშო პერიოდში გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 190 სახელწოდების ნაწარმოები ორ მილიონამდე ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მთელი იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ბელადების — ლენინისა და სტალინის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემას. უკვე გამოვიდა ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის სამი ტომი და ი. ბ. სტალინის თხზულებათა ოთხი ტომი. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა უნდა დააჩქაროს ლენინისა და სტალინის თხზულებათა დანარჩენი ტომების გამოცემა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პოლიტიკური აგიტაციის ხარისხის, მისი შინაარსისა და იდეური დონის ამაღლებისათვის. დაწინაურდნენ აგიტატორთა ახალი კადრები, განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში. ამჟამად აგიტატორებად და მოსაუბრეებად მუშაობს 60 ათასზე მეტი კაცი.

აგიტატორებისათვის დახმარების გასაწევად მოწყობილია 3 ათასამდე აგიტკოლექტივი, რომლებიც თვეში 3-4 მეცადინეობას ატარებენ. ქართულ ენაზე ითარგმნება და 20 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით გამოდის ბროშურები სერიიდან „აგიტატორის ბიბლიოთეკა“, რომელსაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილება უშვებს. 1943 წლის დეკემბრიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აგიტატორის დასახმარებლად ქართულ ენაზე უშვებს „აგიტატორის ბლოკნოტს“ 20 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით.

საჭიროა შემდეგშიც გავაუმჯობესოთ ბოლშევიკური აგიტაცია — პარტიის მძლავრი იარაღი მორიგი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში.

კადრების შესახებ

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა კადრების აღზრდისა და განაწილების დარგში განისაზღვრებოდა საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებებითა და მითითებებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურულ ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენებულია 14.772 კაცი. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა ომის წლებში დიდძალი მუშაკების არმიაში წასვლის გამო თანამდებობათა შესავსებად. მარტო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაში შემავალ თანამდებობებზე ომის პერიოდში წამოყენებულ და დამტკიცებულ იქნა 7.947 კაცი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ხელმძღვანელი კადრების მომზადებასა და გადამზადებას. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სკოლა და კურსები დაამთავრა 463 პარტიულმა, საბჭოთა და გაზეთის მუშაკმა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომი-

ტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ერთწლიანი კურსები 1947-1948 წელს დაამთავრა 16 კაცმა. დაუსწრებლად სწავლობდა ამ სკოლაში და კურსი დაამთავრა 52 კაცმა. ამჟამად კი სწავლობს 45 კაცი.

კადრების შერჩევის, მომზადებისა და დაწინაურების საკითხები კვლავაც უნდა იდგეს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

ამჟამად საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ხდება პარტიული ორგანოების აპარატის რეორგანიზაცია. კადრების განყოფილებები უქმდება და კადრებთან მუშაობის ფუნქციები გადაეცემა შესაბამის დარგობრივ განყოფილებებს. ეს ღონისძიება ახალ საფეხურზე აიყვანს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაკთა შერჩევისა და დაწინაურების მთელ საქმეს.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის შესახებ

საქართველოს კომკავშირი ჩვენი ახალგაზრდობის მასობრივი კომუნისტური ორგანიზაციაა. კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობაში ფაბრიკებსა, ქარხნებსა, კოლმეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამჟამად საქართველოს კომკავშირის რიგებში ითვლება 253 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 124.850 ქალიშვილი.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდნენ სასოფლო კომკავშირული ორგანიზაციები. რესპუბლიკაში ახლა მხოლოდ 64 კოლმეურნეობა დარჩა, სადაც კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია არ არის.

ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების მდგომარეობას ყრილობის დელეგატები კარგად იცნობენ საქართველოს ალკკ ამასწინათ ჩატარებული XVII ყრილობის მასალებით. მე აქ მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ ხაზგასმით აღვნიშნო კომკავშირის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლებისა და ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული კადრების მხრივ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი დახმარების გაძლიერების საჭიროება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის რიგების ზრდას ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის მიღებით და კომკავშირელთა პოლიტიკური განათლების საქმის გაუმჯობესებას.

პარტიულ ორგანიზაციებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მოზარდ თაობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებისათვის. სწორედ ამიტომ საჭიროა სისტემატურად ვიმუშაოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე, რომლებიც მოწოდებული არიან აღზარდონ საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით.

*
* *

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია. როგორც ომის დროს, ისე ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, იგი ყოველთვის იყო იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც ჩვენ გვისახავდნენ დიადი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი სტალინი.

მაგრამ ჩვენ მოგველის უფრო რთული მუშაობა, ვინაიდან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ზრდასთან ერთად ფართოვდება კომუნიზმის მშენებლობის ფრონტი და, მაშასადამე, იზრდება ჩვენ[illegible]

საქართველოს ბოლშევიკები მოვალენი არიან გამოიყენონ მთელი თავიანთი მდიდარი გამოცდილება, დაძაბონ მთელი ძალები იმისათვის, რომ ეს ამოცანები გადაწყვიტონ მეტი წარმატებით და ნაკლები ხარვეზებით, ვიდრე ეს წარსულში იყო.

საჭიროა გაუმჯობესდეს ჩვენი მუშაობის ხარისხი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ახალ საფეხურზე აყვანა და კი არ შესცვალონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში, არამედ მთელი მათი ძალები და შესაძლებლობა გამოიყენონ საქმის ინტერესებისათვის.

საჭიროა მუდამ ვიყოთ ფხიზელნი, ვინაიდან კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს და იგი განაგრძობს თავის მტრულ საქმიანობას ჩვენი დიდი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიის ნაწილებთან ხალხის კავშირის განმტკიცება, ჩვენი შეიარაღებული ძალების გარემოცვა ყურადღებითა და მზრუნველობით ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას მთელი რიგი წლების მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომელმაც ჩვენი ორგანიზაცია აღზარდა დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების და ყველა მისი მითითების უსიტყვოდ შესრულების სულისკვეთებით. საქართველოს ბოლშევიკები წარმატებებს აღწევენ იმიტომ, რომ წმიდად იცავენ და განუხრელად განაგრძობენ ამ ტრადიციას.

მთელ თავიანთ მრავალმხრივ სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობაში საქართველოს ბოლშევიკები კვლავაც ერთგული იქნებიან ამ სახელოვანი ტრადიციისა. ისინი კვლავაც ბოლომდე მოახმარენ მთელ თავიანთ ძალებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, რომელსაც მეთაურობს კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის შემოქმედი—პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი, დიდი **სტალინი, (ხანგრძლივი ტაში).**

დიდება ბოლშევიკების უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

(მჟუხარე ხანგრძლივი ტაში, რაც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

ლენინის დროშით

★

იანვრის ცაზე ილეოდა დღე ღრუბლიანი,
როცა თბილისმაც გაიგონა გლოვის ძახილი,
თითქოს უეცრად ჩაიფერფლა სხივი გვიანი, —
მეხდაკრულ ქალაქს დაეფინა დროშა დახრილი.

იყო სიჩუმე. არ არღვევდა დუმილს არავინ,
უხმოდ ბორგავდა მწუხარება უთქმელი ენით,
მხოლოდ ხანდახან გაისმოდა დაუფარავი
კვნესა გულისა და ძვირფასი სახელი: ლენინ!

განა ცოტაა დიდ საქმეთა ასანუსხავად
ოცდახუთი წლის მღელვარებით სავსე მანძილი?!
მაგრამ სულ მახსოვს, მტირალ თვალებს როგორ სუსხავდა
იმ ღამის ცრემლი, ატკივებულ გულით განცდილი...

უკვდავო ლენინ! ვერ შეგახო სიკვდილმა ხელი:
ვინც ხალხის გულში ბინა ჰპოვა—იგი არ კვდება:
დღესაც ჩვენთან ხარ, შეუპოვარ გმირების მზრდელი,
ჩვენს გზას ნათელი შენი სიბრძნის არ მოაკლდება.

მივყვებით ბელადს, შენთან ერთად ბრძოლებში ნაწრთობს,
ვინც იმ გლოვის დღეს დიდი ფიცის დროშა ასწია
ჩვენს დიდ ქვეყანას შენი სიტყვის სიმართლე ათბობს
და სტალინური ხუთწლედების ფრთები ასხია.

ვინ შეგვაჩერებს? ჩვენ გავივლით ამ გზას ბოლომდი,
ჩვენი მტრებისთვის დახშულია ირგვლივ კარები.
ლენინის დროშით და სტალინის წინამძღოლობით
ჩვენ კომუნიზმის დიად მზისკენ მივეჩქარებით.

21 იანვარი 1949 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ (ლოლაუ) ნადირაძე

ლენინი ოქტომბერში

★

ქარი გაჰკივის. შორით ისმის შრიალი ხეთა.
ჯარავში კაცი მაგიდასთან ზის მარტოდმარტო.
უძრავ თვალებით იგი თითქოს რაღაცას ხედავს
და დაძაბულა მისი შუბლი თეთრი და ფართო.

და ხედავს იგი, რომ ზღვასავით აზვირთებული,
დიდი რუსეთი, გატანჯული, მას ელოდება.
რომ უცდის ხალხი შეტევისთვის გამზადებული,
საბედისწერო ბრძოლის წუთი რომ ახლოვდება!

წარბებშეყრილი იგი ფიქრობს: რა დროს და როდის
უნდა იელვოს აჯანყების მრისხანე ხმალმა?
ფიქრში გართული წამოდგება და მიდი-მოდის...
ველსა და ჯარავს გადუქროლა წივილით ქარმა.

მას თითქოს ვიღაც ჩასჩურჩულებს, რომ ქვეყნის ბედი
აი ამ ღამით, ამ ჯარავში დღეს გადაწყდება;
რომ არის იგი მსოფლიოში ყველაზე მეტი —
ვის ხელშიც ძველი ისტორიის ძაფი გაწყდება.

რომელი რიცხვი — ოცდაექვსი, თუ ოცდახუთი?
თუ ოცდათხი? გადამწყვეტი მათში ერთია!
სასწორზე არის დადებული ყოველი წუთი,
მაგრამ... გადაჭრა ჯერ კიდევ ვერ გაუბედია.

და როცა ხეებს გარიჟრაჟი ფრთებს დააბერტყავს,
როს ალმასებით აინთება ჯარავთან ველი, —
დიდი ოსტატი აჯანყების ქაოალდს დახედავს
და რიცხვს ოცდახუთს შემოხაზავს იმისი ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ჟურული

სიმღერა დიდ ლენინზე

★

ლენინ, კრემლის კედელთან
დგახარ ერთა იმედად,
მიწას მისაბარებლად
ხალხმა ვერ გაგიმეტა.
გძინავს, მაგრამ შენს საქმეს
არასოდეს არ სძინავს,
უკვდავებას არ სძინავს,
ის სიცოცხლით აქ ბრწყინავს.
ხარ დიადი სამშობლოს
ბედის დაგვირგვინება,
ჩვენი ფიქრი, ოცნება,
ძარღვში სისხლის დინება.
შენ სიბრძნით და სიმართლით
ქვეყნად იელი მანამდი,
სანამ ოკეანეა
უშრეტი და მარადი.
ლენინ, შენი სახელი
გვათბობს, გულს უხარია,
თექვსმეტი ძმის მამული
შენი ღვიძლი მხარეა.

ჩვენ შენი გზით მიგვიძღვის
ხალხის მამა სტალინი.
ვოლგაც იმას ადიდებს
მოსკოვს შემოყვანილი.
შორი პორტ-არტურიდან
ძველ მესხეთის ქედამდე —
აგებს ახალ ქალაქებს,
ნეტავ თვალით ხედავდე!
ბაღად აქცევს უდაბნოს,
მწვანე ტყეებს ამრავლებს,
რწყავს გრიგალთა ნაოხარ,
გვალვით დამწვარ ტრამალებს.

ქვესკნელს რკინა შეება,
ზესკნელს ეგუგუნება,
ცოდნას ემორჩილება
გარდაქმნილი ბუნება.
მთასაც შეატრიალებს
იმ თაობის მშრომელი,
ვინც შპრეესთან მირეკა
ურდო დაუდგრომელი.

ლენინ, რაც გინატრია,
და რაც გულით ისურვე,
ახლა დიდი სტალინი
სიყვარულით გისრულებს.
ლენინ, შენი ანდერძი
გზაა ოქტომბერისა,
ამ გზით მიდის სტალინი —
ნატვრა ყველა ერისა.

ჩვენ მშვიდობას ვიცავდით,
ქვემეხს არ ვაქუხებდით,
ჩვენ მთადაბარს ვქარგავდით
ზვრებით და თავთუხებით.
კოლმეურნე ვაზს ჰყრიდა,
გრდემლთან იდგა მჭედელი,
ხუროს მაღლა აჰყავდა
ცათამბჯენის კედელი.
ყველა შრომას ეტრფოდა
მოხუციდან ნორჩამდე,
ხარაჩოთა ტყეებში
სასახლენი მოჩანდნენ.
მაგრამ უცებ დაგვესხა
მტერი ცოფით ამტყდარი.

ჯარს წარუძღვა სტალინი—
ხალხის ბაირახტარი.
ვინც დაპყრობას ლამობდა
ელვისებურ სიჩქარით,
შეეუნგრიეთ ბერლინში
ბრანდენბურგის ჭიშკარი.

ლენინ, დიდო ბელადო,
დედამიწის გენიავ,
შენი დროშის ნათელი
ქვეყნებს გადაჰფენია.
მეგობრობით განმტკიცდა
თექვსმეტი ძმის კავშირი—
შორ დიკსონის კონცხიდან
გონიომდე გაშლილი.
კვლავ ბობოქარ ზღვაში ვდგავთ
კლდეს გვაგონებს მამული,
კლდეს ტალღები ებრძვიან,
ვართ ბრძოლაში ჩაბმული.
მწვერვალისკენ მივდივართ
დიდი ბრძენის სარდლობით,
ვიმეორებთ შენს სახელს
ზუდამ ცამდე მადლობით.
ლენინ, შენი სურათი
გულში ჩახატულია,
ლენინი და სტალინი
ჩვენი ზზე და გულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი თოფურია

ლენინი ქოხში

★

... ფრთხილად და სწრაფად წავიდა, ფრთხილად და სწრაფად მოსული.
ტყეს მიეფარა ნაღვლიანს მხრებზე ფარაჯა მოსხმული.
გზა საშიშარი, საეჭვო დალია მგზავრმა ხალისით,
ქოხთან დაისი აენთო, ლურჯი და წყნარი დაისი!
მიწყდა, მინელდა ჩურჩული აშრიალებულ რტოების...
ქოხო, შენ მზე და დიდება, მდგარო აქ განმარტოებით.
მთვარე დაგნათის შუქსავსე, გააქვთ ციალი ვარსკვლავებს,
შენს ირგვლივ ნისლი კამკამებს, შენს ირგვლივ ღამე კამკამებს...
აი, ის კაცი, ის ბრძენი, ის „მთის არწივი“ მქუხარე,
ზის ახლა შენს წინ მარტო და სივრცეს გასცქერის მდუმარედ!
ხან შუბლს შეიკრავს მრისხანედ, გული მრისხანედ ენთება,
ახედავს ცას და კამკამა ვარსკვლავებს მიაჩერდება!
ხან დაიხრება, თვალები გაუბრწყინდება მარჯნებად,
სტალინის ბარათს უღიმის, როგორც საკუთარ მარჯვენას!
დაკეცავს, ისევ გადაშლის, გული სიამით ევსება,
სახეზე ბავშვის ხელივით ნიავი ეალერსება!
თითქოს მეასედ მოესმა თანამებრძოლის სიტყვები:
— გეძებენ!.. ხალხი ბობოქრობს!.. შენს გზას გმირულად მივყვებით!..
ტყისპირად რიჟრაჟს ეძინა — შეკრთა რიჟრაჟი მძინარე,
ჩიტებმა ჩიტებს გასძახეს, აფრინდნენ, გაუჩინარდნენ...
ასწია დილამ ჩქაფანით მთების და ქვეყნის სიმძიმე,
ამოანათა მზემ სახე ელვარე და მოციმციმე.
ქოხში სხივები მზისანი შეიჭრნენ ნება-ნებითა,
უეცრად გარეთ გავარდნენ თრთოლვით და გაოცებითა!
მათ სურდათ ბრძენი ენახათ ამ ქოხში ღამენათევი,
მათ სურდათ მისთვის მიეძღვნათ მზის ვარდი და მზის ნათელი!
მაგრამ სად არის? რა იქნა? რად არ სჩანს, რად არ ანათებს!
— ხომ არ მოგვტაცეს ქურდულად ან ჩაუვარდა ჯალათებს!
— ფრთხილად! ნუ ღელავთ სხივებო, რა გულუბრყვილო თქვენა ხართ,
მინდირებს გახედეთ ნამიანს, ნახეთ, ვინც უნდა გენახათ.
დაგასწროთ! დილა ადრიან წამოდგა მარჯვე გლეხივით,
ცელს იქნევს, თივა ეწყობა თივაზე გადაგრეხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგასწროთ! შრომობს ნიადაგ, ისვენებს ამ დიდ ხესთანა,
ხვალ ისევ ცეცხლთან გაჩნდება, რევოლუციის ცეცხლთანა!
გაჩნდება!.. ხალხში იელვებს, მტერს დაეცემა ლახვარად,
გაჰკრავს ელვიან ნაპერწკალს ქარიშხლის ამოსაყვახად!..

იმ სხივებს როგორ ეფიქრათ, იმ ნიავს, იმ ქოხს პატარას,
იმ ბინდვრებს, რძიან ბალახებს, იმ ხეებს, იმ ცვარ-მანანას,
რომ მათთან ხანაც მთიბავად, ხანაც ბრძნულ აზრთა დინებად,
ცხოვრობდა ხალხის ბელადი, ხალხის მზე, ხალხის დიდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გმირთა სისხლით*

★

XXIII

როცა ძილით გული ვიჯერეთ, დილის ოთხ საათზე წამოვდექით და შტაბის საძებრად გზა განვაგრძეთ.

იმხანად ჩემს განკარგულებაში ხუთასამდე პარტიზანი იყო. მათში მეტი წილი ისეთები იყვნენ, ვინც სხვა ასეულებს ჩამორჩნენ და ჩვენ შემოგვიერთდნენ.

ტუტუჩენკო ამ დროს ჩვენთან იყო; მან იცოდა სადაც ჩვენი შტაბი იმყოფებოდა და ამიტომ ალალ-ბედზე სიარული აღარ მოგვიხდებოდა.

დუსის საკმაოდ მაღალი მთა, სადაც ტუტუჩენკოს თქმით ჩვენი შტაბი იყო, დელიატინიდან ოც-ოცდახუთ კილომეტრზე მდებარეობდა. ამ მთამდე კარგა მოზრდილი ხეობა უნდა გაგვევლო. მზვერავები ვარაუდობდნენ, რომ ხეობაში შეიძლება მტერი ჩაგვისაფრდესო. ამიტომ მოსალოდნელი შეტაკებისათვის ვემზადებოდით. მით უმეტეს, რომ დელიატინიდან მოწინააღმდეგე ფეხდაფეხ მოგვდევდა. ხან გვერდიდან შემოგვიტევდნენ, ხან წინ დაგვიხვდებოდნენ ხოლმე. მათი რიცხვი არც ისე მცირე იყო. ხან ორასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გვხვდებოდა, ხანაც ჩასაფრებულთა რიცხვი ხუთასს აღწევდა ხოლმე.

ამ განუწყვეტელ დევნას თავისი მიზანი ჰქონდა. მტერი პირდაპირ ბრძოლაში რომ ვერაფერს გახდა, ახლა გადასწყვიტა ასე ნელნელა მოვექანცეთ, დავესუსტებინეთ, რომ შემდეგ ჩვენი განადგურება აღარ გასძნელებოდა.

მტრის ამ მუხანათობას ჩვენც სათანადო ღონისძიებანი დავუპირისპირეთ. ავირჩიეთ ისეთი გზები, რომ მდევარს სულ ავუბნიეთ კვალი და არაერთგზის ჩავშალეთ მისი გეგმა: ეს შესაძლებლობას გვაძლევდა მტერს ჩვენ თვითონ დავსხმოდით თავზე.

აი უკვე ხეობაში შევედით. ირგვლივ სიწყნარე იყო, პარტიზანები მაინც გაფრთხილებული მყავდა, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით, ცხადია, მზვერავები ფრთხილობდნენ: ხეობის ყოველ მეტრს დიდის სიფრთხილით სინჯავენ და წინ მიიწევენ.

სახიფათო ადგილზე გავედით. უეცრად მზვერავები, როგორც ერთი კაცი შედგნენ და ლოდების უკან ჩაწვნენ. ბიჭებმა მტრის ჩასაფრება შენიშნეს წუთიც და ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. პარტიზანების ერთი ჯგუფი მთის კალთებზე ავიდა და ძირს ჩასაფრებულ მტერს ხელყუმბარები დააყარა, მეორე ჯგუფმა ხეობაში ჩასაფრებული მტერი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაითრია.

---

* გაგრძელება, „მნათობი" № 12.

ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ თავზარდაცემული მტერი გაიქცა. იარაღი, საომარი მასალა, სურსათი უწესრიგოდ დაყრილი დასტოვეს. თოთხმეტი ფაშისტი ჩააძაღლეს ამ დღეს პარტიზანებმა, ჩვენ კი ამ ბრძოლაში დავკარგეთ ჩვენს რიგებში ახლადმიღებული მწყემსი გუცული. ისიც გადარჩებოდა, რომ გაუფრთხილებლად არ შეჭრილიყო მტრის ბანაკში. მან შესძლო ორი ფრიცის ავტომატით განგმირვა, მაგრამ ამასობაში გვერდიდან დახლილმა მტრის ტყვიამ გუცული წუთი სოფელს გამოასალმა.

გული დაგვწყვიტა მისმა სიკვდილმა. მწყემსი-პარტიზანი მთის კალთაზე დავმარხეთ და გზა განვაგრძეთ მტრისთვის გზის აბნევის მიზნით, დუსის მთის კალთას, სადაც კოვპაკი იყო დაბანაკებული, შორიდან მოვუარეთ და საღამოს უკვე შტაბში ვიყავით.

კოვპაკს ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა. ორივე ხელი მაგრად ჩამომართვა და მშვიდობით გადარჩენა მომილოცა.

დაღვრემილი, შუბლშეჭმუხვნილი ბაზიმაც იქვე, მასთან ახლოს, იჯდა. სიდორ არტემის-ძეც ძალზე დადარდიანებული იყო.

— მარჯვენა ხელის დაკარგვას ისე არ ვიდარდებდი, როგორც რუდნევის დაკარგვა მწყინს, დავით! — წარმოსთქვა მოხუცმა.

— სარწმუნოა, სიდორ არტემის ძევ, ეს ამბავი? — შეეკითხე კოვპაკს.

— სამწუხაროდ, მართალი უნდა იყოს. ხმები დადის, თითქოს რამდენიმე პარტიზანის თანხლებით კომისარმა თავი შეაფარა მთებსო, მაგრამ ეს ამბავი სწორი არ არის. ქალაქის ცენტრში, უსწორო ბრძოლაში, თანამებრძოლებთან ერთად დაეცა სიმონ ვასილის-ძე.

რუდნევის შვილი, პატარა რადიკი მოსვლისთანავე კისერზე ჩამოეკიდა მოხუცს. „მამასი თუ რამე იცი? სად არის ნეტავი მამა?“ — მუდარით მიმართავდა ბავშვი კოვპაკს.

— მამა მთაშია წასულიო, მტერს დაედევნა, გაანადგურებს თუ არა მოწინააღმდეგეს, დაბრუნდებაო, — წარმოსთქვა მოხუცმა და მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდა.

ბავშვმა გაოცებით შეხედა მოხუცს და არ ვიცი დაუჯერა, თუ არა. ეს კია, რომ მას შემდეგ პატარა რადიკი სულ დაეჭვებული იყო: ჩვენ ყველა გავაფრთხილეთ, რომ რუდნევზე არაფერი წამოსცდენოდათ. მგონი ხვდებოდა მგრძნობიარე ბავშვი, რომ მის მამას კარგი არა სჭირდა-რა. ორ-ორი, სამ-სამი პარტიზანი განმარტოვდებოდნენ ხოლმე და ხანგრძლივად საუბრობდნენ: „ნუთუ ვეღარა ვნახავთ მის სახეს, ვერ მოვისმენთ სიმონ ვასილის-ძის ნუგეშიანს და გამამხნევებელ სიტყვებსო“.

არც კულბაკა ჩანდა თავისი ბატალიონით. სად იყო სად არა—არაფერი ვიცოდით. მისი ბატალიონის ასამდე მებრძოლი ჩორნაია ოსლავაში ყოფნის დროს შემოგვიერთდა. არც მათ იცოდნენ სად იყო კულბაკა.

ჰოდა, ამ ვითარებაში ძალიან გაუხარდა მოხუცს, ხუთასი მეომრით კარზე რომ მივადექი, ეს შენაერთის მესამედს აღემატებოდა.

კოვპაკს მოვახსენე, რა ქარცეცხლი გავიარეთ დელიატინის ბრძოლების დროს. თან დაღუპული ამხანაგების სია წავუკითხე. როდესაც დაღუპულთა შორის სერგეი გორლანოვის სახელი გაიგონა, ჩუმად სთქვა „ეჰ, რა ახალგაზრდობა იღუპება! შვილივით მყავდა აღზრდილი სერგეი.“

გორლანოვის ორდენები გადავეცი მოხუცს. მან ეს ჯილდოები ხელში აიღო და დიდხანს უცქირა, განსაკუთრებით იმ ორდენს, რომელიც მტრის ტყვიას შუაზე გაეგლიჯა.

გორლანოვი შეუდარებელი მებრძოლი იყო, უშიშარი და გულადი. მე და

სერგეი ბრძოლებში ბევრჯერ დავხმარებივართ ერთიმეორეს, ხშირად ერთად გვიბრძოლნია. ეს საყვარელი ვაჟკაცი ისეთ დროს და ისეთ პირობებში გამოგვაცალეს ხელიდან, რომ მისი ღირსეული დაკრძალვაც ვერ მოვახერხეთ. გულისტკივილით შევჩივლე ამაზე **კოვპაკს.**

ეა რომ გაიგო, მოხუცი უარესად მოიღუშა. ერთხანს მძიმედ დაფიქრებული იყო, მერე წარმოსთქვა:

— ძნელია ამ დანაკლისთან შერიგება, მაგრამ რა ვქნათ. უსწორო ბრძოლა იყო. მაინც კარგად იბრძოლეს ბიჭებმა. მტრის ზარალი ჩვენსას ორჯერ აღემატება. ვფიცავ ძვირფასი მეგობრების ხსოვნას, ამ დანაკლისს მომავალში ერთი ასად ვიზღავთ. თუ ვინიცობაა შემდეგში ჩვენ კიდევ მოგველის დელიატინისებური ცეცხლის ქურაში გავლა, განსაცდელს არ დავერიდებით. თავს გავწირავთ, — რაღაც შთაგონებით დაამთავრა მოხუცმა. ის ისევ მძიმე ფიქრებმა წაიღეს, ცოტა ხანს შემდეგ კვლავ შემომხედა და მითხრა: — „დაღლილი არიან მეომრები, ამაღამ კარგად მოისვენონ, დილით მეთაურთა თათბირს მოვიწვევთო“.

ზაფხულის ცხელი დღე გრილმა ღამემ შესცვალა. ჩაიძინეს დაქანცულმა პარტიზანებმა.

ამ წყნარ ღამეში უეცრად ავტომატის მოკლე ჯერის შორეული ხმა მოისმა, სჩანდა მზვერავებმა ვიღაცა დალანდეს.

სროლა აღარ განმეორებულა.

ვწევარ და თვალს ძილი არ ეკარება. მაგონდება — ამ საღამოთი, ჯერ ისევ სინათლე იყო, დუსის მთის შორეულ კალთაზე ცხვრის ფარა დავინახე; როგორც სჩანს, გერმანელების ბრძანება პირუტყვის ბარში ჩამორეკაზე დუსის მთაზე მყოფ მეცხვარეებს არ შეეხებია. ეს გასაგებიცაა: კარპატების ამ მხარეზე ჯერ პარტიზანის ფეხი არ დადგმულა. მაშ, დუსელი გუცულები ხვალ ალბათ გაგვიმასპინძლდებიან.

სიმშილმა, ისე როგორც სატკივარმა, მძიმე შეტევები იცის. ახლა კი მოსალოდნელ სადილზე რომ გავიფიქრე, თითქმის სიმშილიც მიმავიწყდა და ჩამეძინა.

მშვიდი და წყნარი დილა გათენდა. პარტიზანების ბანაკში ჩვეულებრივი ფუსფუსია. მებრძოლები გულმოდგინედ სწმენდნენ ავტომატებს, იარაღის ჩხარა-ჩხურისაგან ყურთა სმენა აღარ არის.

კოვპაკმა მზვერავების ძლიერი ჯგუფი გაგზავნა, რომ კომისრის ცხედარი მაინც ეპოვნათ, მაგრამ ამაოდ, მზვერავები ხელცარიელნი დაბრუნდნენ:

— ის ადგილებ,ი სადაც ჩვენ ვიბრძოდით დელიატინში, მისი ახლომახლო მიდამოები, მტრის ჯარებს უჭირავთ ამჟამად. რა ზომები არ მივიღეთ, რა რიგ არ ვეცადეთ, მაგრამ კომისრის შესახებ ვერაფერი გავიგეთ,—სთქვეს დაბრუნებულმა მზვერავებმა.

— მეთაურებს შტაბში შეკრებაზე სთხოვენ! — აცხადებს ტუტუჩენკო. საჩქაროდ შევიკრიბენით.

კოვპაკმა თავისი ჭკვიანი თვალებით ჩამოურბინა სათითაოდ შეკრების მონაწილეთ, პაპიროსის ნამწვავი შორს გადაისროლა და ლაპარაკი დაიწყო; მან განმარტა განვლილი რეიდის გაკვეთილები, ვრცლად დაახასიათა დელიატინის ბრძოლების შედეგები.

— მთელმა ქვეყანამ გაიგო, თუ როგორ გაიმარჯვა ჩვენმა შენაერთმა. — სთქვა მოხუცმა ხელმძღვანელმა, — ახლანდელ ომში პარტიზანულმა ბრძოლებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს. ჩვენ სტალინურ რეიდს ბრწყინვალედ ვასრულებთ. ბრიანსკის ტყეებიდან მოყოლებული დელიატინამდე პარტიზანების ბრძოლას სამი მთავარი შედეგი მოჰყვა: პირველი — ჩვენ შევძელით გერმანელების მიერ დაპყრო-

ბილ ტერიტორიაზე მოკალათებული მტრის ჯარების ნაწილობრივ წელში გატეხა და შემუსვრა, მეორე — გავაცამტვერეთ მტრის ზურგში მოქცეული ფრონტის მასაზრდოებელი დოვლათი, მოვშალეთ და გავანადგურეთ ტრანსპორტი, ავაფეთქეთ უამრავი ხიდები, სადგურები, საწყობები და მტრის ეშელონები, მიწასთან გავასწორეთ ფრონტის მასაზრდოებელი არტერია — დრაგობიჩის ნავთის საბადოები, და მესამე — მტრის ზურგში მოქცეული მოსახლეობა ფეხზე დავაყენეთ და გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად დავრაზმეთ. აი რას მიაღწია ჩვენმა შენაერთმა განვლილი ბრძოლების დროს.

— დელიატინზე კი შემდეგს ვიტყვი, — განაგრძობდა კოვპაკი,—ამ ხანად დელიატინი მტრის დიდ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად არის ქცეული. არ არის დასამალავი: მტერმა დელიატინის ბრძოლებში ჩვენ შეგვავიწროვა, აქ ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი ადამიანი, — კომისარი რუდნევი, მაგრამ მტერს ანგარიში შეეშალა: ჩვენი დამორჩილება მან ვერ შესძლო. პირიქით, დღემდე ასეთი წარმატება არ მოგვიპოვებია, როგორც ეს გვხვდა დელიატინში; უტყუარი ცნობების მიხედვით დელიატინის ბრძოლებში გავეღლიტეთ მოწინააღმდეგის 420-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დავწვით 77 ავტომანქანა, ავაფეთქეთ რკინიგზის უზარმაზარი ხიდი და შარაგზის ორი ხიდი, გავანადგურეთ ნავთსაწყობები და მტრის ორი ეშელონი, სადგურის ახლო-მახლო ავყარეთ ლიანდაგი და მოვშალეთ ისრები. შტაბმა იქონია მსჯელობა ჩვენი შენაერთის შემდგომ ბედზე, ვიფიქრეთ თუ როგორი სტრატეგიული ნაბიჯები უნდა გადავდგათ მომავალში, და ამ საკითხებზე ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ: ხომ იცით, ბრძოლის მეტი ელასტიურობისათვის საჭიროა სწრაფი და მოქნილი მოძრაობა: „დაარტყი, გაანადგურე და იმ არე-მარეს საჩქაროთ [illegible] ხომ ჩვენთვის კარგად ცნობილი სამხედრო პარტიზანული ტაქტიკაა?! ჩვენ ამ ტაქტიკას თავიდან ვადექით და მას დღესაც ვიცავთ. ამავე დროს პარტიზანული ბრძოლების ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ ნათელჰყო, რომ შენაერთის ესოდენ მსხვილ ერთეულად არსებობა მიზანშეწონილი არ არის. 1400 მებრძოლისაგან შემდგარი შენაერთი აქ, მთებში ცოტა არ იყოს, მოუქნელია. ელვისებური დარტყმებისათვის მიზანშეწონილია დროებით პატარა-პატარა სამხედრო ჯგუფების შექმნა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დღევანდელ სამთო ბრძოლების პირობებში შენაერთი წვრილ ერთეულებად დავყოთ და ყოველ ერთეულს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება მივანიჭოთ. უდაოა ეს ღონისძიება თვალსაჩინო ეფექტს მოგვცემს.

კოვპაკის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი თათბირის მონაწილეებმა ძალზე სასარგებლო და საქმიან წინადადებად მიიჩნიეს. იგი ყველამ გაიზიარა. სიტყვებით გამოსულმა მეთაურებმა მოიწონეს შტაბის საქმიანი გადაწყვეტილება.

საქმეს ართულებდა დაჭრილ-დაავადებულების საკითხი. ამ უკანასკნელთა რიცხვი იმ ხანად ორასზე მეტ კაცს აღწევდა. აქაც, ამ შემთხვევაშიაც გამოინახა გამოსავალი: მზვერავების ცნობით, სოფელ კნიაჟნიდვორში (პეჩენიჟენაკის რაიონი, სტანისლავის ოლქი) ცხოვრობდნენ ძმები კოროტკინები, ულიანი და დიმიტრი. ეს ორი კაცი საიმედო პირებად იყვნენ მიჩნეულები, როგორც არალეგალური მუშაკები. მზვერავები სარწმუნოდ ამბობდნენ: „ჩვენ ვინახულეთ ძმები კოროტკინები, მათთან ხანგრძლივად ვისაუბრეთ, მათ ბევრი საჭირო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვაწოდეს; სრული დარწმუნებული ვართ, რომ ისინი საიმედონი არიან და შეგვიძლია დაჭრილები ძმებს კოროტკინებს გადავაბაროთო“.

მზვერავების ასეთი განცხადების შემდეგ საყოყმანო არაფერი იყო, მხოლოდ სად უნდა დაეწვინათ, სად უნდა მოეთავსებინათ ძმებს ესოდენ მრავალრიცხოვანი დაჭრილები? ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ყოველგვარ სადგომს ისევ ტყეში სჯობდა სახელდახელოთ საველე ჰოსპიტლის მოწყობა. ზაფხულის დღეები ამის სრულ შესაძლებლობას იძლეოდნენ. მაშინვე ვიხმეთ ძმები კოროტკინები. ჩვენს წინადადებაზე — ეკისრათ დაჭრილ-დაავადებულების მოვლა-პატრონობა, ისინი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ, კოროტკინებს გარდა დაჭრილებთან დარჩნენ მეათე ასეულის მებრძოლები ამხანაგ კურჩკინის ხელმძღვანელობით, ჩვენი ექიმი შევჩენკო და მოწყალების დები.

ლაზარეთი გავმართეთ დაბურული ტყის სიღრმეში, ფიჭვნარის სურნელოვან ჰაერზე. როგორც შემდეგში გავიგეთ, ძმებს კოროტკინებს, მათდა სასახელოდ, დიდი ამაგი დაედოთ ავადმყოფებისათვის. მათს გულთბილ და მეგობრულ მზრუნველობას შემდეგში სიამოვნებით იგონებდნენ გამოჯანსაღებული პარტიზანები.

შენაერთის დაშლა და პატარა ჯგუფებად დანაწილება შემდეგი წესით მოხდა: შენაერთი ხუთ ჯგუფად გაიყო, თვითეულ ჯგუფს სათავეში შტაბის წევრი მოექცა. ერთს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ჯგუფს სათავეში კოვპაკი ჩაუდგა, მეორეს — ვერშიგორა, მესამეს — მატუშჩენკო, მეოთხე—ბროიკო, მეხუთეს—პავლოვსკი და გორკუნოვი. ამ ჯგუფებს დამოუკიდებელი მოქმედების უფლებები ჰიეცათ. მეთაურებს დაევალათ პირველ რიგში პარტიზანების სიცოცხლის შენარჩუნებაზე ეზრუნათ, ცოცხალი ძალა გადაერჩინათ.

შტაბის გეგმის მიხედვით, საბოლოო შესაკრებ პუნქტად სოფელი კანატოპი იყო დანიშნული. ეს მით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ამ სოფელს ყველანი კარგად ვიცნობდით. აქ ვიყავით პარტიზანები დაბანაკებული სტალინურ რეიდის პირველ ხანებში. ახლა კი ამ ბელორუსული სოფლის ახლო-მახლო რაიონებში მოქმედებდნენ ჩვენთვის კარგად ცნობილი საბუროვისა და ბეგმას პარტიზანული შენაერთები და ადგილობრივი, ალევსკის რაიონის პარტიზანული რაზმი.

ცალკე გამოყოფილი ჯგუფების მეთაურებს, როგორც ვსთქვი, დაევალათ ამ სოფლამდე უვნებლად მიეყვანათ პარტიზანები და თანაც ბრძოლა არ უნდა შეეწყვიტათ. გზა და გზა, სადაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა, სადივერსიო საქმეებიც უნდა შეესრულებინათ, მტრისათვის სასიცოცხლო რესურსები ხელიდან უნდა გამოეტაცნათ.

ამრიგად, ორას კილომეტრიანი ფრონტით უნდა გაშლილიყო ჩვენი შენაერთი. უნდა გაგვევლო სტანისლავის, კამენეც-პოდოლსკის და ლვოვის ოლქები. კანატოპამდე დაახლოებით 700 — 800 კილომეტრიანი მანძილი უნდა დაგვეფარა.

კვლავ დაფაცურდნენ გერმანელები. ისევ ახალი ჯარის ნაწილებით აავსეს კარპატების მთები და ამ მთების ძირში მდებარე რაიონები.

გერმანული თვითმფრინავები ჰყრიდნენ ფურცლებს, რომლებიც კვლავ ახალ ჭორებს ავრცელებდნენ: „ალლო, ისმინეთ ყველამ, დიდმა და პატარამ! — ეწერა ამ ფურცლებში—კოვპაკის შენაერთი საბოლოოდ განადგურებულია, კოვპაკი 2—3 გადარჩენილი თანმხლებლით მთაში გაიქცა, მიღებულია ზომები მის ცოცხლად დასაჭე-

რად, თუ ვინიცობაა ვინმე მას იპოვის და ცოცხალს მოგვგვრის, დიდ ფულად ჯილდოს მიიღებსო“.

მოსახლეობამ კარგად იცოდა, რომ ეს კვლავ ბინძური ჭორი იყო. ამიტომ იყო, რომ ამ ფურცლებს არავინ უჯერიდა, ფაშისტების მიერ მოჩმახულ ამბა-უბდას უწოდებდნენ მას.

ამ დროს კოვპაკი თავისი ჯგუფით დაძაბულ ბრძოლებს უმართავდა გათავხედებულ მტერს კარპატების მთებში და ბარში. სასაცილო ის იყო, რომ გერმანელები ფურცლებით ქვეყანას აცნობდნენ პარტიზანების სრულ განადგურებაზე, სინამდვილეში კი კალიასავით ხტოდნენ, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადაჰყავდათ ჯარის ნაწილები, ავტომანქანები განუწყვეტლივ ერთი-მეორეს მისდევდნენ შარაგზებზე, კრაზანასავით შეუსიეს კარპატების მთებს ალპინისტი მეომრები. თუ კი პარტიზანები უკვე არ არსებობდნენ, რისთვის და ვისთვის ეწეოდნენ ფაშისტები ესოდენ თადარიგიანობას?

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“,— უთქვამს ხალხს. თავისი ტყუილები გერმანელებს თვითონ არ სჯეროდათ და აბა სხვა ვინ დაიჯერებდა.

წამოსვლისას ყველა ჯგუფს მიეცა რადიო-მიმღები. მეორე, მეოთხე და მეცხრე ასეულები ერთ ჯგუფს შეადგენდნენ. კოვპაკის ჯგუფში მესამე ასეული, შტაბის მზვერავები და ანისიმოვის ხელმძღვანელობით მებრძოლი არტილერისტები რჩებოდნენ.

დასასრულ კოვპაკმა ბრძანება გასცა—დაზგის ტყვიამფრქვევები და ბატალიონის ნაღმტყორცნები მიწაში ჩამარხეთო. თუ რომელი ჯგუფი როდის გავა ადგილიდან, ამაზე ჩემს ბრძანებას დაელოდინეთო.

იმ წუთებში, როდესაც შტაბში შენაერთის ჯგუფებად დაყოფაზე თათბირი მიმდინარეობდა შენაერთის ენაწყლიანმა პოეტებმა საინტერესო ლექსი დაწერეს კარპატებში გადახდილ ბრძოლებზე. მოგვყავს ეს ლექსის ტექსტი უცვლელად:

ПЕСНЯ ПРО КАРПАТСКИЙ ПОХОД

По высоким Карпатским отрогам
Там, где Быстрица — злая река,
По звериным тропам и дорогам
Пробирался отряд Ковпака.
Он гремел на Днепровских равнинах,
Шел на Припять и Прут голубей,
Чтобы здесь, на Карпатских вершинах,
Дать последний решительный бой.
Восемь вражьих полков налетело
Но отвагой борьбы обуян,
В бой неравный вступает умело
Кавпаковский отряд партизан.
Дни и ночи бои, канонады,
Только эхо по сопкам ревет,
Партизан не желает пощады
И на помощь к себе не зовет.
Но зовет он далекого друга,
Что на фронте за тысячу верст,
Из-за Дона и синего Буга
Не придет ему сменник на пост.
Пусть Синичка гора в полукружьи,
Пусть смыкается огненный круг,
Ковпаковцы не сложат оружья
Не изменит товарищу друг.
На Делятин рванулись герои,
Будто гром среди ясного дня,
Только отзвук боев за горою,
Только зарево с моря огня.
Город взят и с победою новой,
Ковпаковцы идут на Восток
И шумит им листвою кленовой
Каждой ветки зеленый росток.

XXIV

ხუთ აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე კოვპაკის ჯგუფმა პირველმა დასტოვა დუსის მთა და გავიდა აღმოსავლეთის მიმართულებით. ჯგუფში დაახლოებით 250 მეომარი შედიოდა. ისინი მხოლოდ ავტომატებით, ხელყუმბარებით და ხელისტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულნი.

წასვლის წინ გამარჯვება ვუსურვეთ მოხუცს, იგი იმედიანად გამოიყუ-

რებოდა. დამშვიდობების დროს მან ასე მოგვმართა: „მე მწამს, ამხანაგებო, მოკლე დროში უკლებლივ შევხვდებით კანატოპში ერთმანეთსო.“

კოვპაკის ჯგუფს თან კინოოპერატორი გაჰყვა.

კინოოპერატორი სტროკაჩთან ერთად მოფრინდა დიდი მიწიდან. ეს ახალგაზრდა კაცი თავისი საქმის ენთუზიასტი იყო; როდესაც პარტიზანები სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაებმებოდნენ ხოლმე—ის დადგებოდა ჩვენს მახლობლად აპარატით ხელში და იღებდა გააფთრებული ბრძოლების სურათებს.

სამწუხაროდ იგი ვერ დაბრუნდა სახლში. როგორც გადმოგვცა კოვპაკმა, ის ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს დაღუპულიყო.

კოვპაკის შემდეგ თითქმის ერთდროულად გადავიდნენ სხვადასხვა მხარეს დანარჩენი ჯგუფები. რიცხვობრივად ყველა ჯგუფებს ვერშიგორას ჯგუფი სჭარბობდა, ის 400 მეომარს აერთიანებდა, მას გაჰყვა შტაბის უფროსის მოადგილე ვოიცეხოვიჩი.

ვერშიგორა ასეთი რჩევით მიმართავდა ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფების ხელმძღვანელებს:

— მუდმივი კონტაქტი გვქონდეს ურთიერთს შორის, ეს არის ახლა მთავარიო.

და მართლაც ჯგუფების დამოუკიდებლად მოქმედება როდი ნიშნავდა, რომ ჩვენ ვითიშებოდით, პირიქით, საჭირო იყო სისტემატურად გვეცნობებინა ერთი-მეორისათვის სად ვიმყოფებოდით, რა გვიჭირდა რა გვილხინდა, და გაჭირვების წუთებში ერთი ჯგუფი მეორის დასახმარებლად დაუყონებლივ უნდა გამგზავრებულიყო.

ჩვენი ჯგუფი გასცდა თუ არა დუსის მთას ოცი კილომეტრით, მტრის ალყაში ამოვყავით თავი. ისე მოხერხებულად შევძელით მტრის ალყიდან თავის დაღწევა, რომ მოწინააღმდეგემ ვერც კი მიაგნო ჩვენს ადგილს, ვერ გაიგო, როგორ დაუსხლტით ხელიდან და საით წავედით. ჩვენ კი, მომარჯვებულ ადგილას ჩასაფრებულნი, თვალყურს ვადევნებდით გერმანელების ფუსფუსს, ვხედავდით, თუ როგორ დაგვეძებდნენ ენა-წამოგდებულები.

ამ ხანებში პირველად ვიგრძენი პარტიზანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის უპირატესობა დიდი მოცულობის შენაერთთან შედარებით.

ღამის ორი საათი იქნებოდა. მტრის ალყას რომ თავი დავაღწიეთ, შარაგზას წავაწყდით. დავზვერეთ ეს გზაც. ველოდით მარჯვე შემთხვევას, რომ გზაზე გადავსულიყავით. გარინდებულნი ვისხედით ხეების უკან. ყველაზე წინ ჩემი ასეული იყო, შემდეგ მას მეორე ასეული მოჰყვებოდა და უკანასკნელ რიგში მეოთხე ასეული იდგა.

შარაგზაზე კი ავტომანქანების განუწყვეტელი მოძრაობა იყო. „შიშს დიდი თვალები აქვსო“, ნათქვამია, ავტომანქანები ჩამქრალი სინათლით მიმოდიოდნენ.

ნაშუაღამევის სამი საათიდან გზაზე მანქანების მოძრაობა შედარებით შენელდა. ფეხაკრეფით გადავიყვანეთ გზაზე მეცხრე და მეორე ასეულები, მაგრამ გადარბენის დროს მეოთხე ასეულის პირველ წყებას მტრის ტანკებმა მოუსწრეს და კოლონა შუაზე გაწყვიტეს. შეუმჩნეველად გზაზე გადასვლა და დუსის მთის მოპირისპირე ლისაია გორაზე თავის შეფარება ყველა ასეუმალ ვერ შესძლო; მეოთხე ასეულიდან მხოლოდ მეთაურმა, პიატიშკინმა, რამდენიმე მებრძოლის თანხლებით მოასწრო გადმორბენა, დუსის მთის ძხარეზე კი დარჩა ასეულის თითქმის მთელი შემადგენლობა პიატიშკინის მოადგილის—ტუტერევის თანხლებით.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ᲰᲘᲐᲢᲘᲨᲙᲘᲜᲘ, როგორ მოქცეულიყო არ იცოდა: იმ ხანად თავის ნაწილთან შეერთებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო; არა და, ასეთი შემთხვევის დროს რაღაც სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო. მით უფრო, რომ გერმანელებმა ტყვიამფრქვევებიდან და ტანკიდან ცეცხლი გააჩაღეს.

სამშვიდობოზე გამოსულებმა თათბირი გავმართეთ, თუ როგორ მოვქცეულიყავით. კარგად ვიცოდით, ტუტერევი მაგარი მებრძოლი იყო, მტერი მის დამორჩილებას ვერ შესძლებდა და ამიტომ უაზრობა იქნებოდა ჩვენის მხრივ ტყუილ-უბრალოდ მსხვერპლის გაღება. ჩვენი მოსაზრება სწორი გამოდგა, შემდეგში კოვპაკმა გვაცნობა, რომ დუსის მთის ძირში ჩამორჩენილი მებრძოლები უკლებლივ მის ჯგუფს შეუერთდნენ.

ტუტერევი განსაცდელის წუთებში არ დაბნეულიყო, მტერი მოეგერებინა, ერთი ტანკი აეფეთქებინა და უმსხვერპლოდ სამშვიდობოზე გასულიყო.

მოწინააღმდეგემ კუპრივით შავ ღამეში ჩვენი დადევნება ვეღარ გაბედა და აი ლისაია გორას მივაღწიეთ.

ეს მთაც საკმაოდ მაღალი გამოდგა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან—2,235 მეტრია. დიდი ვაივაგლახით მოვექეცით მთის მწვერვალზე. ის-იყო დასასვენებლად ვემზადებოდით, რომ მზვერავებმა მოირბინეს და გაგვაფრთხილეს:

— საჩქაროდ წამოდექით ყველა, რა დროს დასვენებაა. აგერ სულ ახლოს, ას ნაბიჯზე გერმანელები არიან ჩასაფრებულნი, ყოველ წუთს შეიძლება თავს დაგვესხან.

მებრძოლები წამოიშალნენ, ყველამ ხშირ ტყეს შევაფარეთ თავი. სქელი ნისლის ბურუსი იყო ჩამოწოლილი, სწორედ ამან შეგვიწყო ხელი და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე შეუმჩნევლად გადავინაცვლეთ. თურმე გერმანელებმა ძალიან დიდხანს ირბინეს მწვერვალზე, გვეძებდნენ [illegible] მახლობ მიდამოებში, მაგრამ ამაოდ; რომ დარწმუნდნენ აქ არავინ არისო— ამოიჩარეს ავტომატები იღლიაში და უკანვე წაეთრიენ. ეს ცნობა რომ მივიღეთ, გული დაგვიმშვიდდა და მოკლე შესვენება მოვაწყეთ ტყეში. მერე ისევ გზა განვაგრძეთ.

გზაში, ჩვენი ყურადღება ისევ აუარებელმა ფურცლებმა მიიპყრეს, რომლებიც გერმანელებს თვითმფრინავებიდან გადმოეყარათ. ამ ფურცლებში ამოვიკითხეთ: „ოდესღაც პარტიზანები იყვნენ ჩვენს პლანეტაზე და ახლა უკვე აღარ არსებობენო“.

აგერ ნისლმა გადაუარა ლისაია გორას თავზე და მოღუშული მთის მწვერვალი განათდა. იმავე დროს გარკვევით მოისმა ბოხი, ჩახლეჩილი ხმა. სადღაც სულ ახლოს ძაღლიც ყეფდა. როგორც სჩანდა, მწყემსი გუცულები სულ ახლოს იყვნენ. მზვერავები გავგზავნეთ გუცულების საპოვნელად და მოსაყვანად. საათნახევარში დაბრუნდნენ უკან ისინი გუცულის თანხლებით.

— აქეთ, აქეთ, მწყემსო, აქეთ მოდი!—შევძახე მას.

ის მოგვიახლოვდა და მოგვესალმა, ჩვენც სალამით ვუპასუხეთ.

მწყემსმა გულდასმით ჩაგვათვალიერა და წარმოსთქვა:

— კარგი დრო შეგირჩევიათ აქ ამოსასვლელად, ზაფხულობით ჩვენს მთაში ყოფნას ქვეყანაზე არაფერი სჯობია!

— მართალი ხარ, ძმაო, — ვუთხარი მე,—ეგ ჩვენც ვიცოდით, ამიტომაც ამოვედით აქ სააგარაკოდ.

ამ სიტყვებზე მწყემსს გაეღიმა, მან ხომ კარგად იცოდა რანაირი „მოაგარაკენიც“ ვიყავით.

— გერმანელები ამ მთაზეც ბევრნი არიან? — კვლავ შეეკითხეთ მას.

— ბევრნი, ძალიან ბევრნი.

— რა განწყობილებაში ხართ მათთან?

— გერმანელებთან საერთო რა გვაქვს. ჭირივით გვეჯავრება ეს არამზადები,—სთქვა მწყემსმა და ბრაზიანად გადააფურთხა.

— თუ იცით ჩვენ ვინ ვართ?

— ვიცით!

— მაინც?

— წითელ არმიელები ხართ პარტიზანები.

— ეგ აგრეა, მაგრამ საიდან იცით ეს თქვენ?

— სამი დღის წინათ დელიატინში გერმანელები რომ დაიფრინეთ-თქვენ არ იყავით? გუშინაც აიარეს ამ ადგილზე პარტიზანებმა, დაახლოებით ორმოცი კაცი იქნებოდა. არსად შეჩერებულან, ძალზე სწრაფად მიდიოდნენ.

დელიატინის ამბები საიდან გაიგეთ, ვინ გითხრათ?

— ჯერ ერთი რა გაგება უნდოდა,—ღიმილით სთქვა მწყემსმა,—ზარბაზნების ქუხილი აქაურობას აყრუებდა. მეორე—ჩვენ მუდმივი კავშირი გვაქვს ბართან, მწყემსები ხშირად ჩადიან ქალაქში. ჩვენი თვალით ვხედავდით ამ მთის ძირში შარა-გზაზე როგორ გარბოდნენ დელიატინის დასახსნელად გერმანელების ჯარისკაცებით დატვირთული მანქანები.

— ცხვარი თუ გყავთ ბლომად? — ვკითხე მწყემსს.

— ძალიან ბევრი გვყავს.

— მაინც რამდენი ასეული?

— თვლით ვერ გეტყვით, ჩვენ ცხვარს არ ვთვლით, ან და ვინ დათვლის ამდენ ცხვარს!

აშკარა იყო, ჩვენი გუცული არითმეტიკაში მოისუსტებდა.

— მწყემსები ბევრნი ხართ ამ მთაში?

— მთა სავსეა მწყემსებით, ჩვენი ერთად-ერთი სარჩო-საბადებელი, ხომ ცხვარია!

— ხომ არ უბრძანებიათ გერმანელებს თქვენთვის — მთა დასტოვეთ და ბარში ჩამოდითო?

— ვიცი, რასაც გულისხმობთ! არის განკარგულება ბარში ცხვრის ჩარეკვაზე. წინათ ეს ამბად გვქონდა გაგონილი, სხვა მთებიდან გერმანელებმა ბარში ჩაარეკვინეს მწყემსებს ცხვარი.

— ახლა ჯერი თქვენზე მიდგა, რას იზამთ, რომ გიბრძანონ.

— თუ კი რამე გაგვივა, შეეცდებით თავიდან ავიცილოთ მაგ უემურების ძალმომრეობა!

— თქვენ ხომ ხედებით რატომ არიან მოწადინებულნი, რომ ცხვარი ბარში ჩაგაყვანინონ?

— თქვენ პარტიზანებთან გაქვთ კავშირი, პარტიზანებს ცხვრით უმასპინძლდებითო — ასე გვეუბნებიან.

— მართალია ეგ მერე?

— რასაკვირველია, არ არის მართალი. მე თქვენ დღეს პირველად გხედავთ. კიდევაც რომ მართალი იყოს, ვისმეს რომ ვუმასპინძლდებოდეთ, ეს რა მათი საქმეა. ცხვარი ხომ ჩემია. ახლა ისინი შარსა გვდებენ, ბარში უნდათ ჩაგვარეკონ ცხვარი და დაგვიჭამონ.

— ეს ასეა. სანამ შესძლოთ, გაუმკლავდით, არ მისცეთ ცხვარი, კიდევ ცოტა მათი აღსასრულის დღე მოახლოებულია.

— ნეტავ თუ მართლა აგრეა?

— აგრეა მაშ! გერმანელები მარცხდებიან, ყოველდღე სტოვებენ ქალაქებს და სოფლებს, წასულია მათი საქმე ხელიდან.

გუცულს სიხარულით თვალები გაუფართოვდა, სახე გაუბრწყინდა,

მღელვარებით იკითხა: მაშ, გერმანელები ომს აგებენ არა?

— ომი წაგებული აქვთ უკვე, მაგრამ ხავსს-ღა ეჭიდებიან ჯერ-ჯერობით.

— ძალიან კი იკბინებიან ამ ბოლო დროს. ამ დილითაც იყვნენ ჩვენთან გერმანელები. „პარტიზანები ხომ არ შეგხვედრიათო“ — შეგვეკითხენ. ამ ტყეებში ხეებიც კი პარტიზანებად ეჩვენებათ.

ამ მწყემსმაც ფურცლებზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ფურცლებითაა სავსე მთა, თვითფრინავებმა ჩამოყარეს, ალბათ თქვენც ნახავდით. ამბობენ ფურცლებში სწერია — პარტიზანები გავანადგურეთ, უკვე არ არსებობენო.

— ამბობენ და თქვენ არ წაგიკითხავთ?

— კითხვა როდი ვიცით ჩვენ, საიდან წავიკითხავდით!

— აბა ვისთვის უნდათ ეგ ფურცლები ამ მთაში, თუ თქვენ კითხვა არ იცით?

— მართალია ჩვენ კითხვა არ ვიცით, მაგრამ ქალალდები მაინც გამოვიყენეთ.

— როგორ?

— ამ წელიწადში პაპიროსის ქალალდის ძებნა არ დაგვჭირდება, იმდენი ავკრიფეთ.

— ესეც საქმეა, უნაყოფოდ არ ჩაუვლია გერმანელების აგიტაციას.

მწყემსმა გულიანად გადაიხარხარა. შემდეგ მოგვიბრუნდა და წარმოსთქვა:

— ჯერ ცოტა ხანს ხომ იქნებით ამ ადგილზე? სურსათს, რძეს ცხვრის ხოცს გაახლებთ. ამ მთაში ხომ არაფერი იპოვება, უჭმელი იქნებით!

— თავაზიანობისათვის გმადლობთ, თუ არ შეგაწუხებთ!

— რა არის აქ შესაწუხებელი. პირიქით, მოხარული ვიქნებით თქვენი გამასპინძლებით, მოგვალოდინეთ. ჩვენ ვართ საზრდო მოგაწოდოთ.

გუცულის თაოსნობა ძალზე დროული იყო, სიმშილისაგან ძლივს დავლასლასებდით. სახელდახელოდ გამოვყავით ხუთი პარტიზანი და გუცულს თან გავაყოლეთ.

მწყემსები მართლაც გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ. პარტიზანები სულ ჩქარა რძით სავსე ჭურჭლებით, ყველით და ცხვრის ხორცით დატვირთულნი დაბრუნდნენ. თან ოთხი გუცული მოჰყავდათ. დანაყრების შემდეგ საგზალი, ყველი და ხორცი პარკებში ჩავაწყეთ და ახალ შეღამებულში არხეინად გზას გავუდექით.

მზვერავებს გულდასმით შესწავლილი ჰქონდათ გზები. გაბედულად წავედით წინ, ფურდობებზე დაკიდებული ბილიკით. ისევ გუცულების სადგომებს წავაწყდით, კვლავ გაჩაღდა გულუხვი გამასპინძლება. თუნგულებით და ჯამებით ვსვამდით რძეს, გული ვიჯერეთ მსუქანი ცხვრის ხორცით. მწყემსები პურს არ ხმარობდნენ, სიმინდის ფქვილიდან მეგრულ ყაიდაზე ამზადებდნენ ღომს და იმას სჭამდნენ. ჩვენც ის შემოგვთავაზეს.

იმ ღამეს კარგად დავისვენეთ და დილით ადრე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გზა განვაგრძეთ. აქ მოულოდნელად კულბაკას წავაწყდით. გაოცებულნი დავრჩით. ოცდათოთხმეტი პარტიზანი იყო კულბაკასთან, მათ შორის შტაბის სადაზვერვო განყოფილების უფროსის მოადგილე ბერეჟნოი, მზვერავი ჟორჟოლიანი და რუდნევის ძმა — კოსტია.

ჟორჟოლიანს ხელი შეხვეული ჰქონდა. ჩემს შეკითხვაზე, სად დაიჭერიმეთქი — ხასონმა მიპასუხა: „ბელაია ოსლავასთან, ჯეჯილში რომ ჩაგვისაფრდა მტერი — მაშინ დამჭრესო“.

მომდევნო ღამეც უშიშარ ადგილას მთის კალთაზე გავათენეთ: თითქმის მთელი ღამე არ გვიძინია მე და კულბაკას, განვლილ ბრძოლებზე ვსაუბრობდით.

— რუდნევზე თუ გაქვს რამე გაგონილი? — ვკითხე კულბაკას.

— აბა, რა ვიცი, ამბობენ—ვიღაცას უნახავს თითქოს პარტიზანებს და გუცულებს მიჰყავდათ საკაცეთი მთაში ვიღაც შავ ულვაშება, დაჭრილი პარტიზანი, ორდენებით ჰქონდა გულმკერდი შემკობილიო. ჩამოთვლილი ნიშნებით ის დაჭრილი რუდნევი უნდა ყოფილიყო. მზვერავები დავგზავნეთ კომისრის საძებრად ყველა მიმართულებით, მაგრამ სანუგეშო და გარკვეული პასუხი არც ერთს არ მოუტანია. ეხ, ვატყობ სანუგეშო ამბავი არ არის.

იმ ხანად რუდნევზე ათასგვარი ხმა დადიოდა, საგულისხმო ის იყო, რომ არც ერთი ცნობა კომისრის დაღუპვას არ ადასტურებდა. დაჭრილი კომისარი ამა და ამ სოფელში ყოფილა, საიმედო გლეხის ოჯახში წევს და მკურნალობსო; მეორე ხმა იყო, თითქო მსუბუქად დაჭრილი რუდნევი დუსის მთაში უნახავთ გუცულებს, პარტიზანების ბანაკს კითხულობდაო და ა. შ.

მაგრამ ეს ხმები არ იყო მართალი. ეს მარტო სურვილები იყო პარტიზანებისა, რომელთაც არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ საყვარელი კომისარი ცოცხალი აღარ იყო.

მეორე დღეს ქვის მთას (ასე ეძახიან მას იქაური მცხოვრებნი) წავაწყდით. ის იყო ფიჭვნარის ჩრდილში დავისვენეთ, როცა, ჩვენთან მხარზე ნაჯახგადებული გუცული მოვიდა და მოგვესალმა. მან გვითხრა: „ამ რაიონში გერმანელების მოსვლის დღიდან ვიმალები, არალეგალურ მუშაობას ვეწევი და გერმანელები გაცოფებულნი დამეძებენო“. საიმედო კაცი სჩანდა, მან ბევრი საინტერესო ამბავი გვითხრა. რამდენიც ის აქტიური კომუნისტი ყოფილა. როგორც ომი დაიწყო, და „კარპატებში გერმანელები შეიჭრნენ — ეს გუცული ყოველგვარი ღონისძიებით ებრძოდა მათ, რაზმავდა მოსახლეობას მტრის წინააღმდეგ. „კარპატებში გერმანელების შემოჭრას მარტო კურკულები (კურკულებს კულაკებს უწოდებენ გუცულები) შეხვდნენ ზეიმითო“. ეს ვაჟბატონები უკლებლივ გერმანელების სამსახურში მოწყობილიყვნენ. კულაკებმა, პირველ რიგში, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ადამიანების სია შეადგინეს და ჩააბარეს გერმანელებს. „ამ სიაში პირველ ნომერზე ჩემი გვარი ეწერაო“ — გვითხრა ახლადგაცნობილმა გუცულმა.

— ამ დღიდან დამიწყეს ფაშისტებმა დევნა, სახლ-კარი დამინგრიეს, ჩემი ოჯახის თითო-ოროლა წევრმა ძლივს მოასწრო დამალვა. დედა და უმცროსი ვაჟი გესტაპოელმა ბაღლებმა ჩამომიხრჩვესო, — გვითხრა გუცულმა.

— როგორ მოგვაგენი-მეთქი, — ვკითხე მას.

— მწყემსებმა შემატყობინეს თქვენი აქ ყოფნა, იმათ მომასწავლეს. ორი დღეა დაგეძებთ და ახლა როგორც იყო, გიპოვეთ. თქვენთან მარტო ამბის საკითხავად და ჩემი თავგადასავლის საამბობად როდი მოვსულვარ. მოვედი როგორც რიგითი მებრძოლი პატრიოტი. გთხოვთ მიმიღოთ თქვენს რიგებში.

თხოვნაზე უარი არ ვუთხარით.

— აქაურ ადგილმდებარეობაში თუ ერკვევი, გზები თუ იცი კარგად? — შევეკითხე მას.

— თვალი რომ ამიხვიოთ, გზას გავიგნებ. ჩინებულად ვცნობ აქაურობას, — მიპასუხა.

— მაშ, კულაკები ამ ხანად ფარფაშებენ თქვენ სოფელში?

— ფარფაშებენ და როგორ?! გერმანელებს აჭარბებენ ხალხის აწიოკებაში.

— მაშ მოდი, იმათ ჭკუა ვასწავლოთ, რას იტყვი ამაზე?

— მაგას რა ემჯობინება. ოღონდ იმათ ჯავრს ნუ შემაჭმევთ, მე თვითონ წაგიძღვებით.

— ალბათ ეცოდინებათ, რომ ჩვენ აქა ვართ.

— გაიგეს, იციან. ორი დღეა თაგვის სოროებს ეძებენ.

გუცულს მართლაც გული არ დავწყვიტეთ: ხუთი არამზადა გავისტუმრეთ საიქიოს. არა მარტო ჩვენი გუცული, არამედ მთელი მოსახლეობა ისეთი მადლობელი დაგვრჩა ამის გამო, სიტყვები არ ჰყოფნიდათ თავისი სიხარულის გამოსახატავად.

ფაშისტების მიერ მოსყიდული არამზადების დასჯის ამბავი სწრაფად გავრცელდა და ამან მოსახლეობის მეტი ნდობა და სიყვარული მოგვიპოვა. სოფლელები მზად იყვნენ ყოველ ნაბიჯზე ჩვენთვის ესიამოვნებინათ. ახლა უკვე გაბედულად ვტოვებდით გლეხთა ოჯახებში დაჭრილ პარტიზანებს, როგორც საკუთარ შვილებს, ისე უვლიდნენ მათ.

XXV

მოულოდნელად ახალი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ: რაციამ შესწყვიტა მუშაობა. ბევრი იწვალეს რადისტებმა, უტრიალებდნენ აპარატს, ოფლში იწურებოდნენ, მაგრამ ამაოდ, სდუმდა რადიო-მიმღები. რაციის ასამუშავებლად საჭირო იყო ძლიერი აკუმულატორი, ეს კი ჩვენ არ გაგვაჩნდა.

1943 წლის 15 აგვისტოს საბოლოოდ დავტოვეთ ქვის მთა, გადავლახეთ პატარა მთის მდინარე და გარიჟრაჟზე კალამია-იაბლონის შარაგზაზედ გამოვედით. ამის შემდეგ წინსვლა შეუძლებელი გახდა. ფაშისტების ცნობით გერმანელების გარნიზონი სულ ახლოს იდგა, თანაც მტრის მრავალრიცხოვანი მზვერავები დაძრწოდნენ იმ არე-მარეში. ჩვენ შარაგზიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით ტყეს შევაფარეთ თავი.

ახლა უკვე სტანისლავის ოლქში ვიმყოფებოდით.

დილის რვა საათიდან შარა-გზაზე მოძრაობა გაჩაღდა. მტრის ავტომანქანების ქარავნები ორივე მიმართულებით მიდი-მოდიოდნენ. გარინდული ვისხედით პარტიზანები მაღლობ ადგილას ტყეში და ვუთვალთვალებდით მტრის მოძრაობას. ტყეში ამაოდ ყოფნას არავითარი აზრი არა ჰქონდა. ჩვენ ადგილის გამოცვლა გადავწყვიტეთ. ოცდაორი გამოცდილი მეომრისაგან მზვერავთა ჯგუფი შევქმენით და წინ გავუშვით, შარა-გზაზე გადასასვლელი უხიფათო ადგილი უნდა ეპოვათ. მზვერავთა ჯგუფს ბერეჟნოი და კოსტია რუდნევი ხელმძღვანელობდათ.

პატარა რადიკმა გაიგო თუ არა მზვერავები მიემგზავრებიანო, იმავე წუთს მთხოვა — ნება მომეცი თან გავყვეო. ისე გულით მეხვეწებოდა, რომ უარი ვეღარ ვუთხარი, ჩავაბარე თავის ბიძას და მზვერავებს თან გავაყოლე. სულ რაღაც სამი საათი თუ იყო გასული, რაც მზვერავები, წავიდნენ, რომ ძლიერი სროლის ხმა მოისმა. იმავე დროს ჩვენს ახლოს მტრის მეავტომატენი გამოჩნდნენ და ორი მხრიდან შემოგვიტიეს: მტერს მედგარი ცეცხლით ვუპასუხეთ. ფრიცების პირველი წყება რომ მოვცელეთ — დანარჩენები შედრკნენ და უკუიქცნენ. ჩვენ სამშვიდობოზე უმსხვერპლოდ გამოვედით. ამ დროს მაღლობიდან შარა-გზა დავინახეთ, საჩქაროდ დავეშვით დაღმართში და სწორ ვაკეზე ჩამოვედით. ის-ის იყო ავტომანქა-

ნების კოლონა ჩათავდა და გზაზე გადასარბენად ვემზადებოდით, მოულოდნელად მტრის ჩამორჩენილმა მანქანამ გზის მოხვეულში თავი გამოჰყო, ის საჩქაროდ გავაჩერეთ შოფერი ძირს გადმოვსვით და მანქანას აკუმულატორი ამოვაცალეთ. ახლა კი ეშველა ჩვენს რაციას. მისი ამუშავება უკვე ადვილი იყო. ისევ მთას შევაფარეთ თავი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მზვერავები როგორც კი გასულიყვნენ ჩვენი განლაგებიდან, მტრის ალყაში მოქცეულიყვნენ. მათ გაერღვიათ ეს ალყაც, მაგრამ საით წავიდნენ და რა ბედი ეწვიათ — ეს აღარავინ იცოდა. სარწმუნოდ გავიგეთ მხოლოდ ერთი სამწუხარო ამბავი: საწყალი რადიკი ამ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილიყო, ბევრი ეძებნათ იგი მზვერავებს, მაგრამ ვერ ეპოვნათ. სისხლიდან დაცლილი რადიკი ხრამში ჩაწოლილიყო. აქ იპოვნა თურმე ის ადგილობრივმა მცხოვრებმა ალექსი კიფიაკმა. ალექსის რადიკი სახლში წაეყვანა. კიფიაკის ოჯახში ადგილობრივ კომკავშირელს გრიშა ნიკიფორენკოს დიდი მზრუნველობა გაეწია დაჭრილი ბავშვისათვის, ყოველდღიურად უზიდავდა თურმე მას ქალაქიდან წამალს, არჯობდა და ეალერსებოდა, მაგრამ რადიკს სასიცოცხლო პირი არ უჩანდა, მას სისხლი მოსწამლოდა. უკანასკნელად მამის სახელის ბოდვა იწყო თურმე საწყალმა ბავშვმა. დაუძლურებულმა რადიკმა სული მშვიდად განუტევა, კიფიაკმა რადიკი თავის ბაღში დაასაფლავა.

ჩვენი ჯგუფი ისევ შარა-გზისაკენ დაეშვა, სირბილით გადავლახეთ ოთხი შარაგზა და ისევ კარპატებში შევედით. დაღლილ-დაქანცულები და დამშეულები დაცვივდნენ მიწაზე მეომრები და მკვდარივით ჩაიძინეს.

მე ძილი არ მეკარებოდა. პირაღმა ვიწექ, ცას შევყურებდი და ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში: ეფიქრობდი კოვპაკზე, მზვერავებზე, ჩვენს გამგზავრებაზე. შემდეგ რაცია გამახსენდა, წამოვდექი და რადისტ ვალოდიას დავუძახე:

— ვალოდია, — ვეუბნები მას, — ეგ რაცია ან ავამუშავოთ, ან და ხრამში გადავისროლოთ, რა ჯანდაბა გაეჩხირა მაგ ოხერს ხახაში, რომ ასე ჩაუწყვიტა ხმა?

— ჯიუტობს, ამხანაგო მეთაურო, საზოგადოდ ეს აპარატი ჯორის ხასიათისაა, — მეუბნება ის.

— სცადე ერთი, ჩემო ვალოდია, შესაძლოა რამე გამოვიდეს, ახლა ხომ გვაქვს მძლავრი აკუმულატორი?

— არის, ამხანაგო მეთაურო! — სთქვა ოადისტმა და საჩქაოოდ უკან გაბრუნდა. მე შორიდან თვალყურს ვადევნებდი. რადისტი ჩაუჯდა აპარატს და ბეჯითად დაიწყო მუშაობა.

ამასობაში ძილი წამომეპარა და ჩავთვლიმე.

— ამხანაგო მეთაურო! — ჩამესმა ძილში, — რაცია მუშაობს, კოვპაკი ვიპოვნე, — გახარებული ჩამძახის ვალოდია.

თვალები მოვიფშვნიტე, ზეზე წამოვდექი და ვალოდიას თანხლებით რაციასთან მივირბინე. თურმე არც პავლოვსკის სძინებია, ჩვენი საუბრისათვის ყური მოუკრავს. საზამთროსავით დარგვალებული პავლოვსკი ბაჯბაჯით გამოქანდა რადიომიმღებისაკენ. ბევრი უჩხაკუნა ვალოდიამ აპარატს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ისევ სდუმდა მიმღები. ვეკითხები რადისტს: „ელაპარაკე კოვპაკს“? — „როგორ არა, ვესაუბრე, ასე გადმომცა დუსის მთის სამხრეთ-დასავლეთით, 12 — 15 კილომეტრის დაშორებით ვიმყოფებიო, შემომიერთდითო“.

— აგერ, აგერ — წამოიძახა უცებ ვალოდიამ, — კვლავ გვპასუხობს კოვ-

პაკი: „შეგვიერთდით, შეგვიერთდით, შეგვიერთდით“ — სამჯერ გამეორდა ზედიზედ ერთი და იგივე სიტყვები და რაციის მოქმედებაც ამით დასრულდა. შეერთებას პირადად კოვპაკი თხოულობდა. ძალზე გაგვახარა ყველა ამ ცნობამ. მაშინვე გავემართენით მისკენ.

პური მინდვრებზე ახალი აღებული იყო. 1943 წელს პურის მოსავალი ოთხმოცდათუთხმეტ პროცენტზე მეტი გაზიდეს დასავლეთ უკრაინიდან თავის ქვეყანაში გერმანელებმა.

გზაში სამი გუცული შემოგვხვდა — ხორბალს მიეზიდებოდნენ. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორი იყო წელს პურის მოსავალი, გუცულებმა გვიპასუხეს:

— რა ეშმაკად გვინდა პურის მოსავალი, როდესაც ის ჩვენი არ არის. სტაროსტამ გვიბრძანა, საჩქაროდ გალეწეთ მოსავალი და პური სადგურზე მიზიდეთო.

გერმანელები გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოვებას და პურის თავის ქვეყანაში გაზიდვას ჩქარობდნენ. გუცულებს ვურჩიეთ — ცოტა ნელის ტემპით ეწარმოებინათ პურის გალეწვა, დრო მოეგოთ და ამასობაში მტერს პური კი არა, თავი დაავიწყდებოდა.

— ეგ რატომ? — გვეკითხება გუცული, ომს აგებენ არა?

— სწორედ რომ აგებენ და ამიტომ ჩქარობენ აქედან პურის გაზიდვას.

— თუ მოვახერხეთ, საქმეს გავაჭიანურებთ, პურს არ გავლეწავთ, — სთქვა ხანშიშესულმა გუცულმა.

გამოვეთხოვეთ გლეხებს და საჩქაროდ წინ გავსწიეთ. გვეჩქარებოდა ხალმძღვანელთან შეხვედრა. მისი ნერვიული გამოძახება „შემოგვიერთდითო“, უსათუოდ რაღაც განსაცდელით იყო გამოწვეული.

სრულიად მოულოდნელად მტრის ჩასაფრებას წავაწყდით. ახლა უბრძოლველად მტრისათვის გვერდის ავლა ჩვენი მხრივ უაზრობა იქნებოდა. მაგარი ბრძოლის გამართვაც დაგვჭირდა. ფრიცებმა პარტიზანების ცეცხლის ძალა რომ იგემეს, უთმენლოთ მოჰქუსლეს აქეთ-იქით, მაგრამ ამასობაში გერმანელების დიდი ნაწილი მოაწყდა ამ ადგილს და მათ იხსნეს თავისიანები. პარტიზანებმა ბრძოლა აღარ განვაგრძეთ, გეზი შევცვალეთ და სულ სხვა მიმართულებით წავედით. მაგრამ ეს იყო, რომ დაგვაგვიანდებოდა კოვპაკთან შეერთება.

საშინლად ბნელოდა. შავი, სქელი ღრუბლები გადაჰკროდა ცას. სჭირდა გზის გაკვლევა. ღამის მყუდროებას მდინარის შხუილი არღვევდა, მდინარე პრუტი ღრიალებდა, გამძაფრებით ასკდებოდა კლდოვან ნაპირებს. ეს მდინარე იყო ახლა ჩვენი გზის მიმართულების მაჩვენებელი: მივუახლოვდით პრუტს, დაზვერვას უკვე ფონი აღმოეჩინა, გადავეშვით მდინარეში და მეორე ნაპირზე გავედით. ყველა სამშვიდობოზე ვართ, ყველაფერი წესრიგზეა, კვლავ შარაგზას დავადექით, ფრთხილად მივუახლოვდით რკინიგზის ხაზს. გუშაგები არ სჩანდნენ, სახელდახელოდ გადავირბინეთ რკინიგზა და ტყეში შევედით.

თავისუფლად ამოვისუნთქეთ, უკვე ბარში ვიყავით. ბოლო მოეღო ჩვენს ხეტიალს მთებში. გულში გადავწყვიტეთ, რომ რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, როგორ წინააღმდეგობასაც არ უნდა წავაწყდეთ ახლა, მთაში აღარ შევალთ. მკვდრებს არავინ შეგვიტანსმთაში და ცოცხლები არასდროს იქ ფეხს არ დავადგამთ.

ყველამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ მშვიდობით, კარპატებო!..

გავსწიეთ წინ, კანატოპისაკენ. გზაგზა ვშლიდით რკინიგზების ლიანდაგს ვწვავდით სამხედრო მნიშვნელობის შენობებს.

ასე დამთავრდა ჩვენი ლაშქრობა კარპატებში.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

ახალწლის ღამე

★

არ მიყვარს ცრემლი, ბრძოლისათვის მზადა ვარ მუდამ,
ეს არის ახლა გულმართალი ჭაბუკის ბედი.
მშვიდობის ჭერქვეშ თქვენთან ერთად ვილხინო უნდა,
გუშინ ვინც მტერზე გამარჯვებას მახვილით ვწერდი.

უსაზღვრო ზეცას შიგა და შიგ ედება ჭორფლი,
ფარული ღელვით ველოდებით ბედნიერ წამებს,
და ახლა, როცა ახალი წლის გავარდა თოფი,
მე მაგონდება დანაღმული ფრონტული ღამე.

ათოვდა ველებს, ლამის დახრა ცხენმა ლაგამი,
კრთოდნენ ყინულის ლოლუები—დევის კბილები.
ხანგამოშვებით გასძახოდა სანგარს სანგარი
და შიგ ცვივოდნენ პეპლებივით თოვლის ფთილები.

თითქოს გარღვევას აპირებდა გულისფიცარი,
ქარი აშარი ზედ გვაყრიდა დამსხვრეულ ტოტებს,
გავარდა თოფი, როს საათის ლურჯი ისარი
შემოქნეული მახვილივით დაეცა თორმეტს.

და შევუტიეთ, ხელჩართული გაჩაღდა ბრძოლა,
ერუანტელს მივლის ის მშფოთვარე წუთები ეხლაც-
მახსოვს, მტრის ხაზი გავარღვიეთ უეცრად ორმა
და ნატყვიარი ძირს დავეცი გარუჯულ ხესთან.

ვფიქრობდი, ვეღარ დავესწრები ახალწლის დილას,
თოვლში, ყინვაში თონესავით მიხურდა სახე.
მიწუხდა გული, დაკოდილი ვკვნესოდი ხშირად
და ჭრილობაზე ზედ ვიხვევდი ფარაჯის ნახევს.

ავწიოთ ჭიქა, მომიშუშდა ჭრილობა მწვავე,
ჩვენი ცხოვრების მარადისი ვარსკვლავი ბრწყინავს.
ო, მე იმ ხესთან გამარჯვებულ ახალწლის ღამემ,
და ჩემი ქვეყნის სიყვარულმა გადამარჩინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

ჩაძირული ქვები

დრამა 4 მოქმედებად და 10 სურათად

ოსმალეთის ფარგლებში მოქცეული ქართველობა დიდი ხანია მოსწყდა თავისი მშობლიური კულტურის კერას; მის ზემოქმედებას ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებზე.

ეს მხარე მათი ცხოვრებისა ერთ წერტილზე გაიყინა და მათ შერჩათ ის ჩვევები, რაც ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი იყო იმდროინდელ საქართველოში.

ეს ადათ-ჩვეულებანი დღეს ჩვენთვის უკვე დრომოჭმულია, მაგრამ თანამედროვე მწერალი მათ გვერდს ვერ აუვლის, რადგან ჩვენთან ნათესაობის სხვა ნიშნები იქაურ ქართველობას ყოფა-ცხოვრებაში სხვა აღარაფერი მოეპოვება.

ავტორის შენიშვნა.

★

მოქმედნი პირნი

ჯემალ თურმან ოღლუ — ვილაიეთის უფროსის მოადგილე, 35 წ.
გაიანე — მისი და, 20 წ.
გოგიჩა — მათი ძმა, 12 წ.
ფატმა — მათი დედა.
შუქრი ჯაფარ ოღლუ — მეზღვაური, ჯემალის სიყრმის მეგობარი.
შამანდუხ — შუქრის დედა, შუახანს გადასული.
რუსუდან — გაიანეს მეგობარი ქალი.
ბექან აღა — ყოფილი მასწავლებელი, მოხუცი.
აბდულ სადაყი — ვილაიეთის უფროსი, შუახნის.
ჯონ რაიტი — ამერიკელი ინჟინერი.
მირზა — სადაყის მდივანი, მოხუცი.
საიდუმლო პოლიციის უფროსი.
ყავახანის პატრონი.
ხოჯა სულეიმან — ნაგურჯალი.
საზღვაო პოლიციის კაპიტანი.
მომღერალი ქალი.
მსაჯური ქალი.
ციხის დარაჯები, ჩაფრები, მეზღვაურები, ხალხი.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის პირი. მარცხნივ — ფართოაივნიანი ოდა, ნარინჯისა და ფორთოხლის ხეებით ჩრდილულ ეზოთი. ოდის წინ — დიდი ძირგადგმული ლეღვის ხე, მსხვილმტევნებიანი ვაზით გაბარდული. სიღრმეში პატარა, ძველებური ქალაქი მოსჩანს; მის შუაგულში — დიდებული ციხე-კოშკისა და ტაძრის ნანგრევები. მჭიდროდ მიყრილ შენობათა შორის რამდენიმე ვიწრო-გუმბათიანი მინარეთი ამართულა. ფარდის ახდისას გ ა ი ა ნ ე ეზოს ჰგვის.

ხ მ ა ს ა ხ ლ ი დ ა ნ — გაიანე, შვილო, რატომ ანაის არ დაუძახე?

გ ა ი ა ნ ე — ანაის, რატომ. დედავ? ბავშვი ჰყავს ავად... გესმის? იმას უმ-ღერიან... (ისმის ჩონგურზე შეწყობილი „ბატონებო“).

ფ ა ტ მ ა — (საჩეხში გამოვიდა, ერთმანეთზე შედგმული კეცები ბუხართან დააწყო) ვერ მოვასწრებთ, გოგო, ხელს შეგვაშველებდა,—ხომ იცი, დღეს ჩვენთან სტუმრად რა კაცი უნდა მოვიდეს!

გ ა ი ა ნ ე — თვალიმც დაუდგება, ჩვენც როგორც მოვასწრებთ, ისე დავხვდეთ.

ფ ა ტ მ ა — (ბუხარში ცეცხლს ანთებს) ეგ რა სათქმელია, შვილო!.. სტუმრის უკადრისად დახვედრა სად გაგონილა? ეგაც არ იყოს, ჩვენს ოჯახს რამდენი სიკეთე გაუწია! ვენაცვალე, თხუთმეტ წელიწადს თვალით არ გვენახა ჯემალი... ეგ კაცი რომ არა ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენ ხანს კიდევ ვერა ვნახავდით!.. მერე, სიკეთეც სიკეთესა ჰქვიან,—არც ერთ ჩვენებურ კაცს რომ არ ღირსებია, თავის მოადგილედ დანიშნა... ვი-ლაიეთის უფროსის შემდეგ ჯემალი მთელს ჩვენ მხარეში პირველი კა-ცია... მთელი ზიარეთი ეხლა შენს ძმაზე ლაპარაკობს... ბედნიერი დე-და ხარო, ყველა ამას მეუბნება...

გ ა ი ა ნ ე — წინანდელი უფროსი არც ერთ ზიარეთელს თვალით არ დაუნა-ხავს; რაც ეგ მოვიდა, სულ ერთთავად ქალაქში დაეხეტება! იმ დღეს მე და ანაი ზღვაზე ხალიჩას ვრეცხავდით, უეცრად ხალხმა გზა დააგდო, ვილაიეთის უფროსი მოდისო... ისე ერთბაშად წამოგვადგა, გვერდი ძლივს ავუქციეთ... თვალებით დაგვიწყო ჭამა,—ურცხვი ვიღაცა სჩანს!

ფ ა ტ მ ა — ალბათ მოგეჩვენა, ნასწავლმა ხალხმა ეგრე იცის, შვილო! თუ არა და,—განა გონჯი ხარ, ვაჟკაცმა არ შემოგხედოს?

გ ა ი ა ნ ე — შემოხედვაც არის და შემოხედვაც... კარგად რომ დაგვცილდა, ერთბაშად მობრუნდა, მხლებელს ჩვენზე რაღაც ანიშნა და გაიცინა... გუშინწინაც ჯემალთან სამსახურში რომ მიველ, თვალი არ მოუშორე-ბია,—იმის მაგივრად მე შემრცხვა... ჯემალს იმიტომ ვეღარ მოვუცა-დე და გამოვიქეცი...

გ ო გ ი ჩ ა — (შურდულის ქნევით ეზოში შემოიჭრა, ქვა გასტყორცნა, გ ა ი ა-ნ ე ს თ ა ნ მივიდა) გითხრა, — ბაბუა ბეჟან აღამ რა მასწავლა? გითხრა?..

გ ა ი ა ნ ე — შენა და შენი ბეჟან აღა! ბარემ ადექი და მასთან გადასახლდი... ბიჭო, დღედაღამ სულ იმ მოხუცთან უნდა ეგდო?!

გ ო გ ი ჩ ა — (მედიდურად) რა შენი საქმეა!.. კაცების საქმეში რას ერევი? ალბათ საჭიროა და იმიტომ დავდივარ...

ფ ა ტ მ ა — ღმერთო, ქვეყნის შემდგენელო,—დიდი ხანია არ გიჩხუბნიათ... ბიჭო, გოგიჩა, არ გესმის? — შეშა მომიტანე.

გ ო გ ი ჩ ა — (მთელი იღლია შეშა დედას მიუტანა) იცი, დედავ, ბაბუა ბეჟან აღამ რა მითხრა? თათრის ბიჭები გურჯს როცა გეძახიან, არ უნდა

იჩხუბო,—რა ვუყოთ, რომ გურჯები ვართ, გურჯობა განა სასიკვდილო საქმეაო?!

ფ ა ტ მ ა — მართალი უთქვამს, შვილო, სადაც ეხლა ვართ,—მთელ ... წყალი ძველად ჩვენი, გურჯებისა ყოფილა...

გ ო გ ი ჩ ა — დედავ, იცი, ბაბუა ბეჟან ალამ კიდევ რა მითხრა?! (შურდულში ქვა ჩადო, მოიქნია, გასტყორცნა). როცა ოსმალო გურჯს დაგიძახებს, შენ სამაგიეროდ ასე უთხარი—გუდით ... ოსმალები ამ არემარეში პირველად მოსულან, მათ თურმე უკან გუდამოკიდებული ქალები მოსდევდნენ და იმ გუდებში თურმე ბავშვები ესხდათ... მააშ! (ისევ შურდული დაატრიალა, ეზოს განაპირას მიიჭრა, კუნძზე შეხტა და შორს ვიღაცას გასძახა) ახმედ! ჰაუ ახმედ!.. გუდაა... გუდაა! (ქვა გასტყორცნა და ეზოდან გავარდა).

გ ა ი ა ნ ე — იმ მოხუცმა ბიჭი ერთიანად გადარია... (გოგიჩას თვალი გააყოლა). აი ხედავ?—ეხლაც ისევ იქითკენ გასწია!..

ფ ა ტ მ ა — ცალკე იმანა და ცალკე—შენმა მეგობარმა შუქრიმ... (ეზოში შუქრი შემოვიდა) აი თვითონაც, ხსენებაზე!..

(გ ა ი ა ნ ე შეკრთა, გაშლილი ნაწნავები მხრებზე გადაიყარა, შინ შევარდა).

შ უ ქ რ ი — შუადღე მშვიდობისა!

ფ ა ტ მ ა — მშვიდობა მოგცეს ქვეყნის შემდგენელმა! ეს კი იყო, შენ გახსენებდით... გოგიჩა ამტეხია, მეზღვაური უნდა გამოვიდეო... რაც შენ საქართველოში ნახული უამბე, ველარ დაგვიყენებია!

შ უ ქ რ ი — რა ურიგოა, მთელ ქვეყნიერებას მოივლის! ერთი ეს არის,—როდესაც შინ ყოფნა ყველაზე მეტად დაუტკბება, სწორედ მაშინ უბრძანებენ გამგზავრებას... აი ეხლაც ამიტომ მოველი: დღეს როგორ მინდოდა თქვენთან ყოფნა, ჯემალთან საუბარი, მაგრამ მოულოდნელად გამოგვიცხადეს,—გემი სასწრაფოდ უნდა გავიდესო...

ფ ა ტ მ ა — (ნაწყენი) რას ამბობ, შვილო, ჯემალმა დილასვე მითხრა, შუქრი არსად წავიდეს, რამდენი ხნის უნახავები ვართო... (შინ გასძახა) გაიანე, გაიანე!.. (ისევ შ უ ქ რ ი ს) ეხლა შენ იცი და გაიანემ... მე მაგ საქმეში ვერ გავერევი, შვილო.

(გადის).

გ ა ი ა ნ ე — (ნაწნავებდაწნული, ახალი კაბით საჩეხში გამოჩნდა) როგორ თუ მიდის?! სად მიდის?! (შ უ ქ რ ი ს მიეგება) ხუმრობ თუ მართალს ამბობ?!

შ უ ქ რ ი — რა ვქნა, განა მე კი მინდა, მაგრამ სამსახური...

გ ა ი ა ნ ე — (თამამად გააწყვეტინა) მე შენ ვერსადაც ვერ გაგიშვებ!

შ უ ქ რ ი — ნეტავი შენ იყო ჩემი უფროსი, მაგ ბრძანებას რა სიამოვნებით შევასრულებდი!

გ ა ი ა ნ ე — მე რომ შენი უფროსი ვიყო, მაშინვე დაგითხოვდი სამსახურიდან... (ნაზად, გაბუტული) დიახ, გააჭირა საქმე შენმა ზღვამა და სამსახურმა...

შ უ ქ რ ი — იქნებ ეგაც მალე მოხდეს... ამ ბოლო დროს გურჯი წარმოშობის მეზღვაურებს ალმაცერად გვიცქერიან... ამასწინათ მეორე გემზე, რომელიც შავი ზღვის ნავთსადგურებში დადიოდა, ხუთი გურჯი მეზღვაური იყო და ხუთივე დაითხოვეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ა ნ ე — როგორ თუ დაითხოვეს? რატომ დაითხოვეს? იმიტომ, რომ გურ-ჯები იყვნენ?

შ უ ქ რ ი — სწორედ იმიტომ... ამ ერთი თვის წინათ ჩვენი გემიც და მათი გემიც, ორივე მარმარილოს ზღვაში იდგნენ. მე ნავთსადგურში დავ-დიოდი, როდესაც მათი გემის საყვირი გაისმა. სწორეთ გემის გასვლის წინ, საზღვაო პოლიციამ ხუთი მეზღვაური ჩამოსვა ნაპირზე. რა მოხდა მეთქი,—შევეკითხე. იმის მეტი არაფერი, რომ გურჯები ვართო... უსაქ-მოდ, ულუკმაპურობოდ დარჩენილებმა არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. ჩვენი გემის კაპიტანთან მივასწავლე... თორმეტი მეზღვაური ავად გვყავდა,—აფრიკის სანაპიროზე დაბიცხულები ალექსანდრიაში დავტო-ვეთ... კაპიტანს ჯერ გაუხარდა, მაგრამ რა წამს შეიტყო, რომ გურჯები იყვნენ, ცივი უარი უთხრა!..

გ ა ი ა ნ ე — (დაღონებული) მაშ, მარტო იმისათვის დაითხოვეს, რომ გურჯე-ბი იყვნენ?!

შ უ ქ რ ი — ასე ამბობენ რიზეში მებადურებისთვის რაღაც ქართული გაზე-თები უპოვნიათ... რამდენიმე გურჯი დააპატიმრეს თურმე!

გ ა ი ა ნ ე — კი მაგრამ, ის მეზღვაურები რა შუაში არიან?!

შ უ ქ რ ი — კურდღლისა არ იყოს, ჯერ დაგჭედავენ, მერე დაუმტკიცე, რომ აქლემი არა ხარ!..

გ ა ი ა ნ ე — მაშ, შეიძლება შენც დაგითხოვონ?

შ უ ქ რ ი — რატომაც არა, ყველაფერი შეიძლება...

გ ა ი ა ნ ე — მერე?

შ უ ქ რ ი — ქვეყანა დიდია და ზღვაც ბევრია ქვეყანაზე...

გ ა ი ა ნ ე — მე კი მეგონა...

(გულდაწყვეტილმა თავი დახარა)

შ უ ქ რ ი — რა გეგონა? ვერ გავიგე, გაიანე!..

გ ა ი ა ნ ე — სულ ზღვა, გემი... გემი და ზღვა... აი, დღესაც მეგონა ჩვენთან ერთად იქნებოდი...

შ უ ქ რ ი — მერე და, სამსახურიდან რომ დამითხოვონ, განა აქ, შენთან დამ-ტოვებენ? ასე თქვეს, ისინი—ხუთივენი ყვითელ კუნძულზე გაგზავნე-სო... მერე იცი, ყვითელი კუნძული სად არის? აქედან ათი დღის სავა-ლია და კიდევ მეტიც...

გ ა ი ა ნ ე — (შეშინებული) შენც რომ იქ გაგგზავნონ, მერე? შუქრი, არ შე-იძლება ზღვას სულ მიანებო თავი?

შ უ ქ რ ი — მე თევზივით მხოლოდ ზღვითა ვცხოვრობ, გაიანე! ამ თხუთმეტი წლის წინათ მე და ჯემალი ერთად წაგვიყვანეს... ის სამხედრო სასწავ-ლებელში გაგზავნეს, მე პირდაპირ მეზღვაურად... მას აქეთ ზღვაზე ვარ... როდესაც ნაპირზე გადმოვდივარ, გული მეხურება...

გ ა ი ა ნ ე — (გული ამოუჯდა, თვალებზე ხელი მიიფარა) მაშ, ჩემი ნახვა არ გიხარიან?

შ უ ქ რ ი — როგორ არ გრცხვენიან, გაიანე!.. შენ რომ აქ არ მეგულებოდე, იმ გემიდან ფეხს ერთხელაც არ გადმოვდგამდი!..

გ ა ი ა ნ ე — (მოწყენილი) აკი სიზმარი მართალი არ არისო, ვიცოდი რაღაც საწყენი შემხვდებოდა... წუხელ, ვითომ, მე და შენ ზღვაში მივცუ-რავდით... უეცრად ჩემსკენ დიდი ტალღა წამოვიდა... საითაც მივბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, ყველგან წინ დამიხვდა. რამდენსა ვკიოდი, ვიძახოდი... მერე ამ ტალღამ ერთბაშად ზურგზე მომიგდო და შუა ზღვაში გამიტაცა.

შ უ ქ რ ი — შენ რომ მოგიტაცა, ის ტალღა მე ვყოფილვარ, არა — ბჯენა? აი საბუთი!

(ტბიდან რაღაც ქაღალდში შეხვეული ამოიღო, გაუწოდა).

გ ა ი ა ნ ე — რა არის?

შ უ ქ რ ი — აბა გამოიცანი!

გ ა ი ა ნ ე — (ველარ მოითმინა, გახსნა, აღტაცებულმა შესძახა) თეთრი მანდილი!

შ უ ქ რ ი — თუმცა ჩემს სიყვარულს საბუთი არა სჭირდება, მე მაინც წმინდა გულით მოგიტანე...

გ ა ი ა ნ ე — (მოწიწებით მკერდში ჩაიკრა) სამარეში ჩამყოლოდეს!

შ უ ქ რ ი — ჯემალსა და დედაშენს შენ გააგებინე, მე ვერაფერს ვეტყვი...

გ ა ი ა ნ ე — დედაჩემმა ყველაფერი იცის, ჯემალს კი—ვერც მე ვეტყვი!..

გ ო გ ი ჩ ა — (ხმა გარედან) ახმეედ, ჰაუ ახმეეედ... გუდაა, გუდااا! (შურდულის ტრიალით შემოვარდა, შ უ ქ რ ი დაინახა, მისკენ გაქანდა). ბაბუა ბეჟან აღამ მითხრა, შუქრი ბათუმში მიდისო!..

გ ა ი ა ნ ე — (წყრომით) როდესაც უფროსები ლაპარაკობენ...

გ ო გ ი ჩ ა — (არ დააცალა) რამდენჯერ მითქვამს კაცების საქმეში ნუ ერევი მეთქი!.. დიااახ! (შ უ ქ რ ი ს მოუბრუნდა) იცი, ბაბუა ბეჟან აღამ რა მითხრა? თუ შუქრი ქართულ წიგნს ჩამოგიტანს, კითხვას უფრო კარგად გასწავლიო... ჩამომიტან, შუქრი?

შ უ ქ რ ი — თუ ნაპირზე ჩამოსვლის ნება მომცეს, რა თქმა უნდა ჩამოგიტან!

გ ო გ ი ჩ ა — ნაპირზე ჩამოსვლის ნება? რატომ არ უნდა მოგცენ?

შ უ ქ რ ი — ამ ბოლო დროს ყველაფერი ხდება... გურჯი თუ ხარ, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს... (გ ო გ ი ჩ ა ს სახე მოეღრუბლა). რა იყო, მოიწყინე? როგორ არა გრცხვენიან?! ხომ გითხარი, ჩამოგიტან მეთქი! უეჭველად ჩამოგიტან...

გ ო გ ი ჩ ა — (შეხტა, ზედიზედ ტაში დაჰკრა) უუუ... წიგნიც მექნება!.. (შურდული დაატრიალა, კუნძზე შეხტა, გაღმა გასძახა). ახმეედ, ჰაუ ახმეედ! გუდااა... გუდااა...

(ქვა გასტყორცნა, ეზოდან გავარდა. გაბმული საყვირი გაისმა).

ფ ა ტ მ ა — (საჩეხიდან) შინ რატომ არ მოხვალთ, შვილო? გაიანე, ეზოში რას გაჩერებულხართ?

შ უ ქ რ ი—(კვლავ საყვირის ხმა) აი, გემზეც გვეძახიან... მშვიდობით გნახეთ, ქალბატონო ფატმა!

ფ ა ტ მ ა — უი, ჯემალს როგორ ეწყინება, შვილო!.. მშვიდობის გზა მოგცეს ქვეყნის შემდგენელმა!

(შ უ ქ რ ი და გ ა ი ა ნ ე საუბრით გადიან. გარედან ისმის ყვირილი. შემოდიან გაცეცხლებული ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა და ხ ო ჯ ა სულეიმანი. ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა ს გვერდით გ ო გ ი ჩ ა მოსდევს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ — (ბეჟან აღას) რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა — ჩემი არ იყოს, ხომ ხედავ, საცაა სულს ეშმაკს ჩააბარებ... არ გინდა საიქიოს ჯენეეთის კარზე პირთეთრად მიხვიდე?

ს უ ლ ე ი მ ა ნ — ავი კაცის შარისაგან ალლაჰმა დაგიფაროს... ზიარეთის პატრონობა შენ ვინ ჩაგაბარა? ვინა გკითხავს, მე იქიდან ქვას წავიღებ, თუ რას წავიღებ?

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — (ფატმას მიესალმა) მრავალი მშვიდობის დღე გაგიფენოს! ჯემალმა გვიკადროს, თუ შინ არის... კაცმა ამდენი ვიცხოვრე ქვეყანაზე და ჯერ საძართლის კარზე არა ვყოფილვარ... ეხლა (ს უ ლ ე ი მ ა ნ ს ე ბ ს აჩვენებს) ამ ეშმაკის სულმა საჩივარზეც დამაყენა!.. ბატონო ჩემო, ზიარეთში მისულა, ჩვენი მამა-პაპის დათლილი ქვები,—ჩვენი წმინდა ქვები, ურემზე დაუწყვია და სახლის ეზოში ფილაქანი დაუგია, რომ თავისი უწმინდური ფეხებით ყოველდღე ზედ იაროს!..

ს უ ლ ე ი მ ა ნ — შენ რა გინდა? შენი ქონება ხომ არ წამიღია?!

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — ჩემი ქონება რომ წაგეღო ხმას როგორ შეგძრახავდი?.. ქვეყანამ იცის, ცოლი მე არა მყავს, შვილი და სხვა ნათესავი მე არ გამაჩნია, ჩემი სიცოცხლე იმ ქვებს შევალიე... თუ რამე შესაწირავი შემოსულა, ჩემიც დაძიმატებია, რომ ის ჩვენი მამა-პაპის სამარხი არასოდეს არ მოშლილიყო. (უფრო გაცხარებული ფ ა ტ მ ა ს) მერე იმ ქვებთან ერთად, იცი, რა ქვა წაუღია? სიონის ქვა, მე რომ სამ წელიწადს ვეძებე და ბოლოს, მეჩეთის კარებთან მიწაში ჩაფლული ვიპოვე... (ს უ ლ ე ი მ ა ნ ს) ფუ, შენს კაცობას, ტყუილად კი არ გეძახიან ნაგურჯალს!..

(მათ ვერ შეამჩნიეს, მ ი რ ზ ა ეზოში როგორ შემოვიდა. იგი მოხუცებს შესცქერის. ხელში რაღაც ამანათი უჭირავს).

ფ ა ტ მ ა — კაცების დავაში დედაკაცს სიტყვა არ ეთქმის, თორემ ბექან აღას სიმტყუნე ამ ქვეყანაზე ვის გაუგონია? რა თქმა უნდა, ხოჯა სულეიმანი ჭკვიანი კაცია და სანამ სამართალი ეტყოდეს, იმ ქვებს ზიარეთშივე მიიტანს... ჯემალი, გენაცვალეთ, შინ არ არის, რაც იმ გზის მშენებლობა დაიწყო, ხან მუშებიო, ხან ინჟინრებიო,—დილიდან საღამომდე იქ არის!..

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — მზეგრძელი იყოს შენი ჯემალი! შარშან, შარშანწინ, უგზოობის გამო ხალხი დაიმშა! თითო ოყა ხენდრო და თხილი ვერსად გავიტანეთ, რომ სამაგიეროდ, ცოტაოდენი სიმინდი მაინც გვეყიდნა. ეხლა ხალხი ჯემალის მზესა ფიცულობს... რაკი გზა გვექნება, ამდენ გაჭირვებასა და სიმშილს თავს დავაღწევთო...

(წასვლა დააპირა).

ფ ა ტ მ ა — ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენთან, რომ ასეთ პატივსაცემ სტუმრებს ვერაფრით გეცით პატივი...

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — რასა ბრძანებთ! მშვიდობითა გნახეთ...

ფ ა ტ მ ა — მშვიდობა ნუ მოგიშალოთ...

(მოხუცები მიდიან, გ ო გ ი ჩ ა მათ აედევნა, ცერად შესცქერის ს უ ლ ე ი მ ა ნ ს)

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — (ისევ აბობოქრდა) სამართლის იმედი რომ არა მქონდეს, კაცის სისხლში გავერევოდი?

ს უ ლ ე ი მ ა ნ — ზიარეთისათვის რაც განძეული შეუწირავთ, შენს ოჯახში შეზიდე და მე ქვებსაც აღარ მანებებ? ვნახოთ ერთი, რას იტყვის სამართალი!..

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — ქვებს იპარავ და განძეული რომ არ შემენახა, აქამდის სტამბოლის ბაზარზე ჩაიტანდი... იმ დღეს ამერიკელ ოფიცერს ვისი ხალიჩა მიჰყიდე?

ს უ ლ ე ი მ ა ნ — ვისი და ჩემი საკუთარი!

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა — მაშ ყოფილ მეფრესეში რომ დიდი ხალიჩა იყო. სად წავიდა?

გ ო გ ი ჩ ა — (თვალები ეშმაკურად აუთამაშდა) ბაბუა ბექან-აღავ, გახსოვს, შენ რომ ზღაპარი მიამბე? ზოგმა ხალიჩამ ფრენა იცისო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულეიმან—ამ ღორის დინგს რაღა უნდა?!

(ჯოხი მოუქნია, გოგიჩა განზე გახტა, მოხუცები გადიან)

გოგიჩა—(ლეღვის ხეს ამოეფარა) ხოჯა სულეიმან, გუდაა... გუდა...

ფატმა—(გამოეკიდა) სუ, შე გასაქრობო...

(გოგიჩა ეზოდან გავარდა).

მირზა—(ფატმასთვის მოულოდნელად) როცა ოჯახში ბედნიერება შემოდის, წყევლას ძალა ეკარგება, ფატმა ხანუმ!

ფატმა—(ეხლა შენიშნა) რა გნებავთ?

მირზა—(ჭარბი თავაზიანობით) ღმერთმა კარგი ბაირამი და კარგი დღეები გაგითენოთ... სიხარულის ელჩი ვარ, ეს ამანათი თქვენს ქალიშვილს მოართვეს...

(გაუწოდა).

ფატმა—რა არის? (ჩამოართვა).

მირზა—ბედნიერება!

ფატმა—ვინ გამოგზავნა?

მირზა—ყველა სიკეთეს თვითონ ალლაჰი უგზავნის ადამიანს... როდესაც დრო იქნება, მაგასაც შეიტყობთ!..

ფატმა—მაინც?

მირზა—მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, მუდამ ასე სავსე იყავით სიკეთითა და სიხარულით!..

(მდაბლად დაუკრა თავი, გავიდა).

ფატმა—(ამანათი გახსნა, მანდილი გაშალა, სახეგაბრწყინებულმა შესძახა) თეთრი მანდილი! (სასოებით აღაპყრო ხელები). საბედნიეროდ დაეხუროს თავზე ჩემს გაიანეს! (შეხვია. ეზოში შემოსულ გაიანეს ხელებგაშლილი მიეგება). დედა გენაცვალოს, საპატარძლო მანდილს გიგზავნიან და მე არაფერს მეუბნები?

გაიანე—(დარცხვენილი. ჰგონია დედა შუქრის მოტანილ მანდილზე ეუბნება) არ ვიცი... მე არაფერი ვიცოდი...

(მანდილს ხელში კუმშავს).

ფატმა—თვითონ ალბათ, ვერ გაგიბედა, ელჩის ხელით ამიტომ გამოგიგზავნა... (მანდილი გაშალა, გაიანეს მოეხვია) სიხარულსა და ბედნიერებაში გაგაცვეთინოს, შვილო!

გაიანე—(გაოცებული მანდილს მისჩერებია) ეს რა არის, დედავ?

ფატმა—როგორა მგევხარ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. მეც ასე ენა ჩამივარდა, როდესაც საწყალმა მამაშენმა თეთრი მანდილი მომიტანა... როგორ თუ რა არის? ქორწილის დღე უნდა დავნიშნოთ... განა თვითონ შუქრიმ არაფერი გითხრა? საპატარძლო მანდილს სწორედ ამიტომ უგზავნიან, შვილო!

გაიანე—(გარინდებული) ამიტომ უგზავნიან, მაგრამ მე ვინ გამომიგზავნიდა, დედავ?

ფატმა—გენაცვალოს დედა, შუქრის მეტი ვინ იქნება?!

გაიანე—(ეტყობა გული ცუდს რაღაცას ეუბნება) არა დედავ, ეგ მანდილი—არ ვიცი... (ერთბაშად) შუქრის გამოგზავნილი არ არის, არა!..

ფატმა—(შეწუხებული მისჩერებია გაიანეს) აბა, სხვა ვინ იქნება, შვილო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ა ნ ე—არ ვიცი, დედავ... (დედა ებრალება) შეიძლება შუქრიმ გამოგზავნა, მაგრამ ვისი გამოგზავნილიც უნდა იყოს, არ მინდა არა!

ფ ა ტ მ ა—(შეშფოთებული) შვილო... გაიანე... (გაწვდილი მანდილი ხელში შერჩა).

ფ ა რ დ ა

მეოთხე სურათი

სცენა შუაზეა გაყოფილი. მარცხენა მხარეს — მისაღები ოთახი. ოთახში — მაგიდა, სკამები, კედლის საათი. მარჯვენა მხარეს — ვილაიეთის უფროსის კაბინეთი. კარ-ფანჯრებზე — ატლასის ფარდები, კედლებსა და იატაკზე — ხალიჩები. აღმოსავლური ჩუქურთმებით შემკულ ჭერში ფერადი მინით მოჭედილი ჯაღი ჰკიდია. ფარდის ახდისას ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი ს კაბინეთი ცარიელია. მისაღებ ოთახში მოწყენილი მ ი რ ზ ა მაგიდასთან კრიალოსანს არაწკუნებს, ხ ო ჯ ა ს უ ლ ე ი მ ა ნ მ ა ფრთხილად შემოაღო კარი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ—კაი ბაირამი და კაი დღეები ჩვენს მირზას!

მ ი რ ზ ა—(წამოდგა) მზეგრძელი იყოს ხოჯა სულეიმანი! რას შეუწუხებია მაჰმადის თავდაფიცული მსახური?

ს უ ლ ე ი მ ა ნ—მისი აღმატებულება აქ არის?

მ ი რ ზ ა—არა, ჯერ არ მობრძანებულა!

ს უ ლ ე ი მ ა ნ—მოადგილე?

მ ი რ ზ ა—არც ისა გხლებიათ! დაბრძანდით... (სკამი შესთავაზა) მალე მოვლენ, თქვენ რომელი გნებავდათ?

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ჩემთვის ერთია, რომელიც კარგად გადამიჭრის სამართალს.

მ ი რ ზ ა—ხოჯა სულეიმანს რა ესწავლება? სამართალს ხანჯალივით ორი პირი აქვს, რომელ პირსაც დუმით გაუპოხავ, ის პირი გასჭრის...

ს უ ლ ე ი მ ა ნ—სულთნობის დროს ეგრე იყო... ახლაც ეგრეა?!

მ ი რ ზ ა—მოადგილისა რა მოგახსენო, ახალი ცოცხია... მის აღმატებულებას კი ექვსი ქალიშვილი ჰყავს,—იმოდენა ჰარამხანას შენახვა არ უნდა? შენ მარტო იმათი კაბა-ქოშები იანგარიშე!..

ს უ ლ ე ი მ ა ნ—აკი უცოლო არისო?

მ ი რ ზ ა—ცოლი ჯენეეთში მაჰმადის სულის მოსალხენად გაუგზავნია... იმას მოგახსენებდი,—ჯამაგირით შენახულ ოჯახში ბუხარი ვერ გათბება... წინათ კიდევ რა გვიჭირდა! რაც ეს ამერიკელები გაგვიხდნენ მეგობრებად, თუ რამე კარგი იშოვებოდა, ყველაფერი გაჰქრა... აი მე, პირის გემო დამეკარგა... რამდენი ხანია ჩემს ოჯახში ლაბლაბო და ქიშმიში აღარ მოხარშულა!

ს უ ლ ე ი მ ა ნ—შენს ღიპს რომ არაფერი დასტყობია?

მ ი რ ზ ა—შენისთანა კეთილი ხალხი ალლაჰმა ნუ გამოლიოს, თორემ ეხლა იმ ქვეყანაში აბდულ ჰამიდის მექისედ ვიქნებოდი...

ჯ ე მ ა ლ ი—(შემოვიდა. საათს შეხედა, მერე მაჯისას დააცქერდა). ინჟინერი არ მოსულა? თათბირი უნდა ყოფილიყო...

მ ი რ ზ ა—კაცი გამოგზავნა, მალე მოვალო.

ს უ ლ ე ი მ ა ნ—(ლამის იატაკს გაეკრა) ვალის თანაშემწეს სიცოცხლე და დღეგრძელობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ ე მ ა ლ ი—(არ მოეწონა) ვიცი... ვიცი... ტყუილად სწუხდები... არ შემიძლიან!

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ბატონო ჩემო, იმდენი ხარჯი... შრომა... ის მოხუცი ტყუის...

ჯ ე მ ა ლ ი—ის მოხუცი კი არა, მთელი ზიარეთი გლანძღავს... გიმეორებ, ის ქვები დღესვე თავის ადგილას უნდა მიიტანო.

მ ი რ ზ ა—ბატონო ჩემო, შენს ალლაჰს შეხედე და ერთი სიტყვა მათქმევინე!

ჯ ე მ ა ლ ი—სთქვი, რა გინდა?

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ნამდვილად ვიცი, კომუნისტების მომხრეა...

ჯ ე მ ა ლ ი—(შეფიქრიანდა) ვინ არის კომუნისტების მომხრე?

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ვინა და ბეჟან აღა.

ჯ ე მ ა ლ ი—საიდან იცი?

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ნამდვილად ვიცი... აბა გასინჯეთ, გულზე ჯვარი ჰკიდია!..

ჯ ე მ ა ლ ი—(გაეცინა, ხელი ჩაიქნია) სისულელეს რომავ!..

ს უ ლ ე ი მ ა ნ—ბატონო ჩემო...

ჯ ე მ ა ლ ი—(მტკიცედ) ვთქვი და გავათავე!..

(მაგიდას მიუჯდა. ხ ო ჯ ა ს უ ლ ე ი მ ა ნ ი თავის ქნევით გავიდა. დუმილი ჩამოვარდა).

მ ი რ ზ ა—სულელი! ქრთამი შემომაძლია... მე რა ამ საქმის გამკეთებელი მნახა?

ჯ ე მ ა ლ ი—მერე? ამ საქმის გამკეთებელი რომ ყოფილიყავი, აიღებდი?

მ ი რ ზ ა—არა, მაგრამ... გაჭირვებამ შეიძლება შეაცდინოს კაცი...

ჯ ე მ ა ლ ი—ისე რამ გაგიჭირვა, რომ საციხედ გაიხადო საქმე?

მ ი რ ზ ა—ეეჰ, ცხოვრება გაძნელდა... ცოლი, შვილი, შვილიშვილები... ერთს უყიდი—მეორეს აკლია, მეორეს მიუტან—მესამე შემოგტირის...

ჯ ე მ ა ლ ი—(ქაღალდი დაწერა, მ ი რ ზ ა ს გაუწოდა) აჰა, მოლარეს გადაეცი!

მ ი რ ზ ა—რა არის?

ჯ ე მ ა ლ ი—გამომართვი... მერე კიდევ დაგეხმარებით...

მ ი რ ზ ა—მე, ისე ვამბობდი.

ჯ ე მ ა ლ ი—გამომართვი მეთქი... ისეთი ლაპარაკი აღარ გამაგონო!..

მ ი რ ზ ა—(გამოართვა) ჩემი ვალის თანაშემწე მიცოცხლოს... გურჯებს რომ ერთმანეთი გვიყვარს, თათრები ბრაზისაგან ამიტომ იხოცებიან...

ჯ ე მ ა ლ ი—მე შენ უფრო ჭკვიანი კაცი მეგონე... ეგ რა სათქმელია?

მ ი რ ზ ა—აი თვითონ ეს ხოჯა ისეთი სულძაღლია... გუშინ დალაქხანაში ლაპარაკობდა, რახან ვალის მოადგილედ გურჯი დანიშნეს, ნამდვილ მუსლიმანებს აქ აღარ გვეცხოვრებაო...

ჯ ე მ ა ლ ი—თავი ქვისათვის უხლია!

მ ი რ ზ ა—იმ უბედურმა არ იცის, ოსმალეთი დღემდე გურჯების შენახულია... აი თვითონ პაპაჩემი,—ძველად, სტამბოლში იანიჩარების იუზბაში ყოფილა... თურმე ვერც ერთი ფაშა და ვეზირი, ვერც ერთი სულთანი ტახტზე ვერ დაჯდებოდა, იანიჩარების იმედი რომ არა ჰქონოდა... (ჯ ე მ ა ლ ი სწერს). ეეჰ, დრო ისა ყოფილა, ცხოვრებასაც მადლი მაშინა ჰქონია!..

ჯ ე მ ა ლ ი—ეს ქვეყანა სამოთხედ რომ იქცეს, ძველ ხალხს მაინც ძველი დრო გირჩევნიათ... მაშ ის დრო სჯობდა, როდესაც მარტო იმისათვის, რომ სულთანი ცუდ სიზმარსა ნახავდა, ჯალათს ათი კაცისათვის უნდა მოეკვეთა თავი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა—ალლაჰი იყოს შენი მფარველი! მაშინ ერთი სულთანი იყო, ეხლა რამდენი უცხოელიც დადის...

ჯემალი—(უმალ გააწყვეტინა) მე შენ გუშინ რა გითხარი?

მირზა—გულმავიწყი ვარ, შვილო... სიბერემ გამომაყრუა... (დუმილი ჩამოვარდა) იმას ვამბობდი, ჩვენებური, ტრაპიზონული თუთუნი ხომ გახსოვს? თუთუნი კი არა, ნამდვილი ოქრო... დაილოცოს ვინც იმისი თესლი მოიყვანა! მთელი ზიარეთი რომ გადააბრუნო, წამლადაც ვეღარსად იშოვნი... სადაც მიხვალ, ყველგან იმ ამერიკულ ციგარებს გაჩეჩებენ... ესაც თქვენი ამერიკა! ასე ამბობენ,—თუთუნის მაგივრად შიგ თურმე გამხმარი კომბოსტოა, მაშ! ალლაჰი იყოს შენი მფარველი!

ჯემალი—(გულმოსული წამოდგა) მოხუცო, ძალიან ყბედი ხარ, არ მომწონს ეგ შენი ლაპარაკი!

ქაღალდებს ხელი დაავლო, სწრაფად გავიდა. თითქოს ჯემალის გასვლას უცდიდა, მაშინვე კარი შემოაღო საიდუმლო პოლიციის უფროსმა. მირზა ჭარბი თავაზიანობით მიესალმა).

ს. პ. უფროსი—(ხმადაბლა) კიდევ არაფერი?

მირზა—არაფერი! გურჯები ვახსენე, გამიწყრა... ამერიკელებზე ჩამოვუგდე სიტყვა,—ცეცხლი მოეკიდა. ძველს დროზე ხომ ლაპარაკიც არ უნდა!..

ს. პ. უფრ.—ჭკუით ხომ არ გვატყუებს?

მირზა—არა მგონია... პატიოსანი სჩანს!..

ს. პ. უფრ.—არაფერი შეგამჩნიოს, თორემ მე და შენ, ორივეს—ჯენეეთის გზას გაგვიყენებენ... (მოულოდნელად) შენ ეს მითხარი,—ბეჟან აღას ხშირად ხვდება?

მირზა—მასთან სულ არ მინახავს... მხოლოდ იმ დავაში ხოჯა სულეიმანი გაამტყუნა, ბეჟან აღა გაამართლა... (გაახსენდა). მართლა, კარგია მომაგონდა! (ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო). წეღან ფული გამომიწერა ფეშქეშად (იცინის). ალბათ ძალიან მოვისაწყლე თავი... უარი უხერხული იყო,—ინებეთ!

(მისცა).

ს. პ. უფრ.—ყოჩაღ, სწორია, ფულმა თვალის ახვევა იცის...

მირზა—(თავმოწონებით) ალლაჰი ჰხედავს, როგორი ერთგული ვარ...

ს. პ. უფრ.—შენი ერთგულების იმედი რომ არა გვქონდეს, ამ საქმეს როგორ დაგავალებდით?.. (ცილო შეიცვალა) არც ის გინახავს მასთან?—აი, აქაური მეზღვაური რომ არის,—შუკრი ჯაფარ ოღლუ...

მირზა—არც ის მინახავს!

ს. პ. უფრ.—აბა, შენ იცი, როგორც გითხარი, ფრთხილად... (ხელი ჩამოართვა).

მირზა—(კარებამდე მიაცილა) ალლაჰმა თქვენი სიკეთე ნუ მომაკლოს!..

ს. პ. უფროსი გავიდა. აბდულ სადაყი და ჯონ რაიტი კაბინეთში შემოვიდნენ ამერიკელმა პორთფელი მაგიდაზე დასდო. ვილაიეთის უფროსმა ფანჯარა გამოაღო. სიღრმეში ზიარეთის ნანგრევები გამოჩნდა).

აბდულ სადაყი—(ხელით აჩვენა) აი ამ ნანგრევებზე მოგახსენებდით...

ჯონ რაიტი—(დააცქერდა) რა ჰქვიან?

აბდულ სადაყი—ზიარეთსაც ეძახიან... თამარის ციხესაც...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—საოცარია, პირდაპირ საოცარი!.. მთელი ეს მხარე მოვიარე და სადაც კი რაიმე ნანგრევი ვნახე, ყველას თამარის ციხეს ეძახდნენ... სადაც კი ძველი ხიდი შემხვდა, ყველას თამარის ხიდი ჰქერიან!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—სწორეთ მაგას მოგახსენებდით... როდესაც ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა მინისტრმა სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა: როგორც ვიშინსკის გამოსვლა გენერალური ასამბლეის სხდომაზე, ისე ქართველ მეცნიერთა წერილები საბჭოთა პრესაში, ჩვენგან მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამგვარ პრეტენზიებს; და თუ ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში კიდევ სადმე გადარჩენილა ქართული კულტურის ნიშან-წყალი, დაუყონებლივ უნდა აღიგავოსო პირისაგან მიწისა!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ეს ამ ნანგრევებს შეეხებოდა?
(დაიცქერდა).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—დიახ! როგორც თქვენ თვითონაც შეგინიშნავთ, მთელი ეს მხარე ასეთი ძეგლებით არის მოფენილი... წინათ ბევრად უფრო მეტი იყო,—ვანგრევთ და ვერ გავათავეთ... კომუნისტები სწორედ ამ ნანგრევებს იყენებენ საბუთად, რომ მთელი ეს მხარე საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადონ...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—კი, მაგრამ,ამ ქვეყანაზე, ვინ იცის, სად, რამდენი ნანგრევია?!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ.—არა, ბატონო რაიტ, საქმეს აფუჭებენ წარწერები, ჩუქურთმები, ტაძრებისა და ციხეების არქიტექტურა... რა დაგიმალოთ, ყველაფერი ეს ნამდვილად ქართულია!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—(დაფიქრდა) ქართული?

ა ბ დ უ ლ ს ა დ.—დიახ, სამწუხაროდ ქართული... ამ წარწერებს ჩვენებური გურჯები დღესაც უვლიან. ეს ნანგრევები მათ წმიდათა-წმიდად მიაჩნიათ!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ო, მაშინ დაგვიანება არ ივარგებს... კომუნისტების ხელში ამისთანა საბუთი... ღმერთმა დაიფაროს!

ა ბ დ უ ლ ს ა დ.—მეც სწორეთ ამიტომ მეჩქარება.

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—თქვენი კეთილგონიერება ჩემს რჩევას არა საჭიროებს, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა მოგახსენოთ... ოსმალეთს ისეთივე მარცხი რომ არ შეემთხვას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, როგორიც მას შეემთხვა ძველად, სომეხთა საკითხის გამო, თქვენ, როგორც ვილაიეთის უფროსმა მეტისმეტად ფრთხილად უნდა იმოქმედოთ... ჩვენ, ამერიკელები, თქვენი დიდი ქვეყნის მეგობრები რომ ვართ, მრავალჯერ დაგვიმტკიცებია,—ამ შემთხვევაშიც მე მხოლოდ ეს მეგობრობა და კეთილი სურვილი მალაპარაკებს!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—უღრმესი მადლობა! რომ იცოდეთ თქვენმა რჩევამ, ჩემს მოადგილედ ადგილობრივი გურჯი დამენიშნა, რა ჩინებული ნაყოფი გამოიღო! მისი ერთი სიტყვა საკმარისია და, ხალხს ყველაფერი სჯერა... ხომ ხედავთ, რადგან გზატკეცილის ზიარეთში შემოყვანა მისი წინადადება იყო, მთელი გურჯი მოსახლეობა, როგორ ერთსულოვნად გამოდის სამუშაოზე!
(დუმილი ჩამოვარდა).

ჯონ რაიტი—(დაფიქრდა, ნანგრევს ხანგრძლივ დააცქერდა). მოიცათ, იქნებ მე თქვენ ამ საქმეშიც გამოგადგეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდულ სად.—სამაგიერო სამსახური ჩემზე იყოს!

ჯონ რაიტი—(ნანგრევებს თვალს არ აშორებს, რაღაც გადასწყვიტა) ამ გზას ხომ ხედავთ, საით მიემართება?

აბდულ სად.—დიახ...

ჯონ რაიტი—აგერ იმ გორაკიდან მარცხნივ რომ გავუხვიოთ, საკმარისია მხოლოდ ერთი პატარა ხიდი და,—გზა პირდაპირ ნანგრევებს მიადგება...

აბდულ სადაყი—(ხან გზას უცქერის, ხანაც ამერიკელს). ესე იგი?

ჯონ რაიტი—ესე იგი, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, თვითონ გზის მშენებლობამ მოითხოვოს იმ თქვენი თამარის ციხის დანგრევა...

აბდულ სად.—(აღტაცებული) ბატონო რაიტ!

ჯონ რაიტი—ცხადია, გზის პროექტის ამგვარი შესწორება ცოტაოდენ ხარჯს მოითხოვს...

აბდულ სადაყი—(მიუხვდა) მერწმუნეთ, უკმაყოფილო არ დარჩებით... ოღონდ ჩემი მოადგილე დღესვე ამ თათბირზეე უნდა დავარწმუნოთ, რომ გზის სხვა მიმართულებით გაყვანა ტექნიკურად შეუძლებელია...

ჯონ რაიტი—ეგ ადვილი სამსახურია.

აბდულ სადაყი—(ზარი დარეკა. მირზა შემოვიდა). ჩემს მოადგილეს სთხოვეთ!

მირზა—ეხლავე! (გავიდა)

ჯონ რაიტი—(მხრებს იჩეჩავს.). საოცარია, პირდაპირ საოცარი!.. ყოველი ნანგრევი, თამარის ციხე!.. ყოველი ხიდი—თამარის ხიდი!.. (იცინის).

აბდულ სად.—თქვენ რომ მხარს დამიჭერდეთ, ხვალ ერთიც აღარ დარჩებოდა...

ჯონ რაიტი—თქვენი კეთილგონიერება მაგას არ იზამს... სჯობია ნელა და საფუძვლიანად...

ჯემალი—(კარებიდანვე მიესალმა) ბატონ რაიტს უმდაბლესი სალამი!

ჯონ რაიტი—(შეეგება) მიხარიან თქვენი ნახვა. (აბდულ სადაყზე აჩვენებს) მათი აღმატებულება დიდად კმაყოფილია თქვენი დამსახურებული ავტორიტეტით ხალხში... ეს კარგია, ძალიან კარგი!

აბდულ სად.—(ორივე მაგიდასთან მიიპატიჟა) გთხოვთ! (ამერიკელმა პორთფელიდან ნახაზები ამოალაგა). ჩემს მოადგილეს მეტად სამწუხარო ამბავი უნდა ვაცნობო!..

ჯემალი—(შეფიქრიანებული) გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სად.—ვიცი გეწყინებათ, მაგრამ ზიარეთის გზის მშენებლობა უნდა შევაჩეროთ...

ჯემალი—(ნაწყენი) რა მოხდა?

აბდულ სად.—როგორც ბატონი რაიტი ბრძანებს, ეს იწვევს ზიარეთის ცნობილი ისტორიული ძეგლის დანგრევას,—ამას კი შეუძლია გურჯი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს, ვგონებ არ ვცდები, არა?

ჯემალი—დიახ...

აბდულ სადაყი—ჩვენ ხალხისათვის ვრზუნავთ, მისი სიკეთე გვინდა... თუ კი მადლობის მაგიერ, გავილანძღებით, ასეთი გზა რად გვინდა?!

ჯემალი—როდესაც გზის პროექტი წარმოგვიდგინეთ, მაშინ ამ ძეგლის შესახებ სრულიად არაფერი გითქვამთ, ბატონო რაიტ?

ჯონ რაიტი—დიახ, არაფერი... ჩვენ ამას არც ვფიქრობდით... მაგრამ, როდესაც ნიადაგი კარგად შევაძოწმეთ, მაშინ აღმოჩნდა, ერთმანეთ ძეგლის ორივე მხარეს, მიწის სიღრმეში, მუდმივი მეწყერებია.—ამასთან-ამ გზის გასაყვანად რჩება მხოლოდ ერთად ერთი ძიძართულება,—თვით ამ ძეგლის მიძართულება...

ჯემალი—(შეწუხებული) კიდევ რომ შევისწავლოთ, იქნებ რაიმე გამოსავალი აღმოჩნდეს!

ჯონ რაიტი—დრო აღარ ითმენს! თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, ამ გზის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა!.. მისმა აღმატებულებამ ბატონმა პრეძიერმა პირადად მთხოვა, რაც შეიძლება დავაჩქარო... ჩვენთვის ყოველი დღე ძვირფასია!

აბდულ სად.—(ვითომ შეწუხებული) ისევ პირვანდელ პროექტს უნდა მივმართოთ... სამწუხაროა, მაგრამ ზიარეთი უგზოდ დაგვრჩება...

ჯემალი—თქვენო აღმატებულებავ, ხალხმა ამდენი თანხა გაიღო, ამდენი ხარ-ურემი გამოიყვანა... ეს ხომ კიდევ უფრო დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს?!

აბდულ სად.—მაშ, როგორ მოვიქცეთ? ეხლა საკითხი ასე დგას,—გზა თუ ის ძეგლი! (ყოყმანობს) მე... არ ვიცი... (ჯემალს) ამ საკითხის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია... თქვენ აქაური ხართ და უკეთ იცით, რა აჯობებს... რასაც იტყვით, თანახმა ვარ!

ჯონ რაიტი—(თვითონვე კმაყოფილია, რომ ამ აზრს მიაგნო) გამოსავალი ვიპოვნე, ნამდვილად ვიპოვნე!.. ეს ნანგრევები თოვლსა და ქარბუქში, წვიმასა და ქარიშხალში დღეს არა, ხვალ ხომ მაინც დაიღუპება!.. განა უმჯობესი არ იქნება იმისათვის, რომ განადგურებას გადავარჩინოთ, ყველა ძვირფასი წარწერა, ჩუქურთმა, თუ ბარელიეფი, რაც კი დღემდე იქ შენახულა, ოსმალეთის სახელმწიფო მუზეუმში იყოს დაცული?

აბდულ სად.—აი, შესანიშნავი აზრი! (აღტაცებული) გზასაც გავიყვანთ, იმ შესანიშნავ ძეგლსაც გადავარჩენთ!.. (ჯემალს) რას იტყვით? ხომ თანახმა ხართ?

ჯემალი—მე კი, მაგრამ... ხომ მოგეხსენებათ, იმ ქვებს ხალხი როგორ უვლის!

აბდულ სად.—ხალხი კი არა, ის მოხუცი... როგორი ჯიუტი და შეუპოვარია... თუ ის დაითანხმეთ, ხალხიც თანახმა იქნება!

ჯემალი—თუ შეიძლება, საღამომდე მადროვეთ...

აბდულ სად.—კეთილი, საღამომდე იყოს...

ჯემალი—(ადგა). მაშასადამე, არ გეთხოვებით... ჩემთან გელით!

(გავიდა).

აბდულ სად.—(მეტისმეტად გახარებული) აზრი კი არა, ნამდვილი აღმოჩენაა!

ჯონ რაიტი—კი მაგრამ... ხალხს შეუძლიან გზაზე უარი სთქვას,—მაშინ?

აბდულ სად.—მაშინ... ამ თავმოყვარე გურჯს ჩემი მირზა დაუგებს ფაცერს... ძველი მებადურია!

ფარდა

მესამე სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე სანახაობა, რაც პირველ სურათში, — ჯემალის სახლის ეზო. ფარღის ახლისას გაიანე და რუსუდანი სტუმრების მოლოდინში აივანზე სუფრას ჰშლიან. ფატმა და შამანდუხ ეზოში გრძელ სკამზე ჩამომსხდარნი საუბრობენ.

რუსუდანი—იცი, ამ დილას ვინა ვნახე?

გაიანე—ვინა, გოგო?

სუსუდანი—ჯემალი... ისა და ვილაიეთის უფროსი გზის მშენებლობას ათვალიერებდნენ...

გაიანე—ასე დილაადრიან იქ რა გინდოდა?! აბა თვალებში შემომხედე!

რუსუდანი—რა იყო?!

გაიანე—(ღიმილით) რომ იცოდე, როგორი კაპასი მული გეყოლება!..

რუსუდანი—(ვითომ ნაწყენი) არა გრცხვენიან?

(დუმილი ჩამოვარდა)

გაიანე—რუსუდან, შეიძლება ვაჟმა ქალს ორი თეთრი მანდილი გაუგზავნოს?

რუსუდანი—ორი?! როგორ შეიძლება! რაზე მკითხე?

გაიანე—(ეწყინა, არ უნდა შეიმჩნიოს) ისე... არაფერზე... იმ დღეს გულქანმა დამიჩემა, შეიძლებაო... მე ჩემი თვალით მინახავს, ვაჟს რომ ერთი მანდილი თვითონ მიუტანია, მეორე ელჩის ხელით გაუგზავნიაო...

რუსუდანი—სისულელე უთქვამს... ქალს მხოლოდ ერთი მანდილი აქვს თავის სიცოცხლეში...

გაიანე—(ნაძალადევი ღიმილით) მეც ეგრე ვუთხარი, ორი მანდილი როგორ შეიძლება მეთქი! (რ უ ს უ დ ა ნ ი შინ შევიდა, გაიანემ ამოიოხრა). მაშ, ის მეორე ვინ გამოგზავნა, ღმერთო ჩემო?!

(დუმილი ჩამოვარდა).

რუსუდანი—(ხილით სავსე ხონჩა გამოიტანა) პირდაპირ ასე დავდგა?

გაიანე—რა ვიცი, როგორც გინდა...

რუსუდანი—რა იყო, გოგო? რას გაშტერებულხარ?

გაიანე—წუხელ არა ძინებია, ვერა ვარ კარგად...

(ისევ დუმილი).

ფატმა—გაიანე მოწყენილი დადის... შუქრის არაფერი უთქვამს? ერთმანეთს ხომ არაფერი აწყენინეს?

შამანდუხ—ხომ გაგიგონია, სიყვარული ვარდს ისხამს. ვარდი—ეკალსაო... ყველაფერი შეიძლება... თუმცა ახალგაზრდებმა თავისი გულის წამალი თვითონვე იციან... შუქრიმ მარტო ეს მითხრა,—ზიარეთობა დღეს უნდა ვიქორწინოთო...

ფატმა—შენს პირს შაქარი, ჩემო შამანდუხ, თორემ ვინ იცის, რა არ ვიფიქრე! (მ ი რ ზ ა და ჯ ე მ ა ლ ი საუბრით შემოვიდნენ. ფ ა ტ მ ა და შ ა მ ა ნ დ უ ხ წამოდგნენ).

რუსუდანი—(შემკრთალი) უი, ჯემალი!

(შინ შევარდა).

გაიანე—(უკან გაჰყვა) რა იყო, გოგო?

მ ი რ ზ ა—ალლაჰის მადლმა, ძალიან მეწყინა... რას იზამთ, ხალხი ასეთი უმადურია! ათჯერ რომ წამლად დაედო და ერთხელ გული ვერ მოუგო, იმდენ სიკეთეს წყალში გადაგიყრის!..

ჯ ე მ ა ლ ი—(შეწუხებული) მაინც რას ამბობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა—ისეთს არაფერს, ტრაბახა კაცი ყოფილაო...

ჯემალი—(მწარედ ჩაიცინა) მერე და,—ვინ უთხრა,—რომ გზის მშენებლობა შეჩერებულია?

მირზა—მუშები დაითხოვეს...

ჯემალი—როგორ თუ დაითხოვეს?

ძირზა—თქვენზე ამბობენ, საქმე ნაჩქარევად დაიწყო და ეხლა ამდენი შრომა და ხარჯი წყალში უნდა გადაიყაროსო...

ჯემალი—(აღელვებულია, ეტყობა მირზას სიტყვებმა მიზანს მიაღწიეს) მაშ, ასე ამბობენ ტრაბახა კაცი ყოფილაო?

მირზა—თქვენ კი გაიხარეთ, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ... ხალხი რას არ იტყვის? განა ყველაფერს უნდა ყური დაუგდოს კაცმა?!

ჯემალი—(გულნატკენი) რას ამბობ, მირზავ? ხალხმა თუ ერთხელ კბილი დაგადგა, მერე შენსას აღარაფერს იწამებს... (ჩაფიქრდა, აღელვებული დადის, მირზას დააცქერდა) მაშ, ასე ამბობენ, არა? მალე, ძალიან მალე შევაცვლევინებ მაგ აზრს!..

ფატმა—დედა გენაცვალოს, გაჯავრება როგორ არ გიხდება?

ჯემალი—რა ვქნა, დედაჩემო... ხომ ხედავ რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი? შენ ხომ იცი, აქ რამ ჩამომიყვანა! მინდა ჩემს ხალხს ვემსახურო, ჩემი ცოდნა, მთელი ჩემი ძალღონე ზიარეთის აყვავებას შევალიო... ეს გზაც მინდა გავიყვანო, ერთი სახელოსნო სკოლაც მინდა მოვაწყო... იცი, კიდევ რაზე ვოცნებობ?.. ერთი ხუთსაწოლიანი საავადმყოფო მაინც გავუხსნა ამ უბედურ ხალხს... ესენი კი, ხედავ? დახმარების მაგივრად ხელს როგორ მიშლიან!..

ფატმა—ხელი მოგიმართოს ქვეყნის შემდგენელმა... შუქრის დედა აღარ გახსოვს, შვილო?

ჯემალი—(მხოლოდ ახლა შენიშნა, გახარებული შეეგება.) დეიდა შამანდუხ! როგორ თუ არ მახსოვს?! (ხელი ჩამოართვა). ამათ ეზოში აი ამოდენა ფორთოხლებსა და ბროწეულებს ვიპარავდით... ჩემი ძმობილი შუქრი სადღა არის?

შამანდუხ—ძალიან უნდოდა შენი ნახვა, მაგრამ გემზე სასწრაფოდ დაუძახეს...

ჯემალი—მეც როგორ მინდოდა მასთან საუბარი! (წამით დაფიქრდა) არასოდეს დამავიწყდება... ერთხელ,—პატარები ვიყავით მაშინ, შუქრი ცურვაში შემეჯიბრა... ძალიან შორს შეველით ზღვაში... უეცრად ფეხზე ძარღვი გამენასკვა, კრუნჩხვა დამაწყებინა. ვეღარც ხელი გავმართე, ვეღარც ფეხი, ქვასავით ძირს წავედი. ვერ გავიგე შუქრიმ როგორ გამოგიტანა. როცა თვალი გავახილე, გვერდით მომჯდომოდა და ისე მოსთქვამდა, კაცი იფიქრებდა, წინ მიცვალებული უსვენიაო... მე დამტიროდა! (იცინის) ერთბაშად ისე მომეჩვენა რომ მართლა მკვდარი ვიყავი და მეც ტირილი დავიწყე... გახსოვს, დედი?

ფატმა—როგორ არ მახსოვს, დედა გენაცვალოს! (შამანდუხს) მე რომ დამინახეს, ტირილი უფრო მოუმატეს... ძლივს გავაჩერე... მერე ერთბაშად სიცილი აუვარდათ...

ჯემალი—მანამდე შუქრი ყოველ დღე მეჩხუბებოდა, ხან შურდულს წამართმევდა, ხან ქუდსა მტაცებდა... იმის შემდეგ ერთხელ არაფერი უწყენინებია..

შ ა მ ა ნ დ ო ს—შუქრის ეხლაც ძალიან უყვარხარ, შვილო!

ჯ ე მ ა ლ ი—არაფერია, მალე შევხვდებით!.. დედავ, მირზას სკამი მოართვით...

მ ი რ ზ ა—ნუ სწუხდებით...

ფ ა ტ მ ა—(გრძელ სკამზე აჩვენა) აქ დაბრძანდით, მე ეხლავე ...
(ფ ა ტ მ ა და შ ა მ ა ნ დ ო ს გავიდნენ).

გ ო გ ი ჩ ა—(ხმა გარედან) ახმედ, ჰაუ ახმედ... გუდაა! (შურდულის ტრიალით შემოიჭრა, ჯ ე მ ა ლ ს შეეფეთა) ძამიკო, ჯემალ... იცი, ბაბუა ბეჟან ალამ რა მასწავლა? სულ პირველად ოსმალები ამ არემარეში თურმე გუდებით მოუყვანიათ, მაშ!

ჯ ე მ ა ლ ი—ბეჟან ალას სისულელე უთქვამს... ეგ არასოდეს ალარ გაიმეორო!..

გ ო გ ი ჩ ა—(ჯიუტად) რატომაც არ გავიმეორებ? ბეჟან ალა სისულელეს არასოდეს არ ამბობს, ჩვენ გურჯები — ქართველები ვართ, ისინი კი ოსმალები არიან...

ჯ ე მ ა ლ ი—ერთი ამას უცქირეთ... ბიჭი სულ ერთიან გადურევიათ!
(გულმოსული შინ შევიდა).

გ ო გ ი ჩ ა—(მირზას) ჩემი რა ბრალია, ისინი თუ გუდებით მოიყვანეს?..

მ ი რ ზ ა—(ცდუნებით) ბაბუა ბეჟან ალა ჭკვიანი კაცია, კიდევ რა გასწავლა?

გ ო გ ი ჩ ა—(გულუბრყვილოდ) რა მასწავლა და—ქართული წერა-კითხვა!

მ ი რ ზ ა—ბიჭოს, ბიჭოს!..

გ ო გ ი ჩ ა—(კვეხნით) მაა! ეხლა შუქრიმ ქართული წიგნიც უნდა მომიტანოს!

მ ი რ ზ ა—ქართული წიგნი აქ საიდან უნდა გიშოვნოს!

გ ო გ ი ჩ ა—ბათუმიდან ჩამომიტანს... იქ თურმე იმდენია, რამდენიც გინდა!

მ ი რ ზ ა—კიდევ რას ჩამოგიტანო?

გ ო გ ი ჩ ა—კიდევ... კიდევ... მალე მე თვითონ მეზღვაური უნდა გამოვიდე!.. სულ საქართველოში ვივლი!

მ ი რ ზ ა—იქ რა გინდა?

გ ო გ ი ჩ ა—შუქრიმა სთქვა, ჩვენი ძველი სამშობლო იქ არისო... იქ თურმე არ შეიძლება, თათრის ბიჭმა, აქაო და გურჯიაო, გურჯის ბიჭი აგინოს... მაა!

მ ი რ ზ ა—განა შენ გაგინებს ვინმე?

გ ო გ ი ჩ ა—მაგინებს და ეგრე? სანამ ჯემალი ჩამოვიდოდა, ცალთვალა ახმედამ ორჯერ გამიტეხა თავი... (მუშტი შემართა) უჰ, მაგისი! (ალმა გასძახა) ახმეედ, ჰაუ ახმედ...
(ეკვნების ხმა და ცხენის თქარა-თქური მოისმა).

მ ი რ ზ ა—(ზეზე წამოხტა) მისი ალმატებულება!
(ჯ ე მ ა ლ ი და ფ ა ტ მ ა ეზოში გამოეგებნენ სტუმრებს. ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი და ჯ ო ნ რ ა ი ტ ი შემოვიდნენ).

ჯ ე მ ა ლ ი—კეთილი იყოს, თქვენო ალმატებულებავ, ჩემს ოჯახში თქვენი მობრძანება! აგრეთვე თქვენი, ბატონო რაიტ! (ფ ა ტ მ ა თავმდაბლა მიესალმა) დედაჩემი გახლავთ...

ფ ა ტ მ ა—თქვენი წყალობა ნუ მოაკლოს ჩემს ოჯახსა და ჩემს შვილებს, ბატონო!..

გ ო გ ი ჩ ა—(იგი არავის შეუნიშნავს, თამამად წავიდა მათკენ და ჯერ ვ ი ლ ა ი ე თ ი ს უ ფ რ ო ს ს გაუწოდა ხელი, შემდეგ ჯ ო ნ რ ა ი ტ ს) ხომ კარგად, როგორ გიკითხოთ, ბატონო!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(გაეღიმა) კარგად... ეს რა ვაჟკაცი ბიჭი ყოფილა?

ფ ა ტ მ ა—(წინ წავიდა) მობრძანდით, ბატონო...:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ეზოს ათვალიერებს) ჩინებული ეზო-კარი გქონიათ!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—(შორს გახედა) ეს თქვენი თამარის ციხეც საკმაოდ მოსჩანს აქედან.

ჯ ე მ ა ლ ი—(გაახსენდა) მართლა! ბატონო რაიტ, გზაზე მუშაობა შეგიწყვეტიათ?!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—თქვენი პასუხის მოლოდინში...

ჯ ე მ ა ლ ი—არა, დილიდანვე უნდა განვაახლოთ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—უკვე გადასწყვიტეთ?

ჯ ე მ ა ლ ი—მე ვუერთდები ბატონ რაიტის წინადადებას...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რა თქმა უნდა! გზასაც გავიყვანთ, ხელოვნების იმ შესანიშნავ ნიმუშებსაც გადავარჩენთ!

ჯ ე მ ა ლ ი—(წინ გაუძღვა) მობრძანდით, ბატონო!.. (ყველანი აივანზე ავიდნენ) გაიანე, რუსუდან! (ქალები გამოეგებნენ) ეს ჩემი და გახლავთ, ესაც მისი მეგობარი!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ხელს ართმევს) თქვენი დის ქება მთელს ზიარეთში დადის... (გ ა ი ა ნ ე ს დააცქერდა) ისიც ვიცოდი, მზის მეგობარი მთვარე იქნებოდა!.. (ქალებს უცინის, შინ შევიდნენ).

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ—გამიშვი მეთქი! შენ ამ სახლის დარაჯად ვინ დაგაყენა? (ხმაური გაძლიერდა. ჯ ე მ ა ლ ი აივანზე გამოვიდა, ხედავს — მ ი რ ზ ა ჭიშკარში წინ ეღობება ბ ე ქ ა ნ ა ღ ა ს, ეზოში არ უშვებს)...

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა—გამიშვი, მე ამ ოჯახში შინაური ვარ... (მ ი რ ზ ა ხელით მოიცილა) გამიშვი მეთქი!

ჯ ე მ ა ლ ი (მაშინვე მისკენ გაეშურა) მობრძანდით, ბატონო ბ ე ქ ა ნ ა ღ ა... მობრძანდით!
(წინ მიეგება).

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა—ეს პირველი შემთხვევაა, ზიარეთში ჩემთვის კარი დაეკეტოთ!

ჯ ე მ ა ლ ი—მისი აღმატებულება ბრძანდება ჩვენთან და...

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა—(გააწყვეტინა) მეც სწორეთ ამიტომ გიახელით! (ამრეზილი) ბატონო ჩემო, დავიჯერო, მართალია? ზიარეთის დანგრევას აპირებენო?

ჯ ე მ ა ლ ი—(სკამზე მიუთითა) დაბრძანდით, ბატონო... დანგრევას კი არა, გადარჩენას!

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა—ჯემალ, შენ ეხლა დიდი კაცი ხარ, მაგრამ ჩემს ხელში გაიზარდე და საწყენიც რომ გითხრა, ნუ გეწყინება!

ჯ ე მ ა ლ ი—რასა ბრძანებთ?
(მ ი რ ზ ა განზე დგას, გაფაციცებით უსმენს).

ბ ე ქ ა ნ ა ღ ა—მას შემდეგ, რაც შენ აქედან წახველ, დიდმა დრომ გაიარა და, ვინ იცის, აღარც კი გახსოვს, ჩვენთვის—გურჯებისათვის რა არის ზიარეთი! ამ ორმოცი წლის წინათ, როცა ჯერ ისევ ახალგაზრდა მასწავლებელი ვიყავი, ზიარეთში ერთი გამოჩენილი ქართველი ჩამოვიდა... მე მას მეგზურად ვახლდი შავშეთში, იმერხევსა და ჭანეთ-ლაზისტანში... იცი იმ მარადხსენებულმა რა მითხრა? სანამ ეს ნანგრევები დგას,—თქვენც ხალხში სწერიხართ, როცა ეს ნანგრევები მოიშლება,—მაშინ თქვენი სახსენებელიც ამოვარდებაო ამ ქვეყანაზე!..
(მ ი რ ზ ა განაბული უსმენს).

ჯ ე მ ა ლ ი—(მოხუცის ლაპარაკი არ მოსწონს) ეს ნანგრევები დღეს არა, ხვალ სულერთია მაინც ჩამოიშლება... რაც ავდარს გადაურჩება, იმას კაცის

ხელი მოუღებს ბოლოს... კიდევ კარგი, თქვენი თვალით მოიხილეთ, ხოჯა სულეიმანმა რაც გააკეთა.

ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა—(წარბები აზიდა) შენ ისე მელაპარაკები, ნამდვილად ეგონა გიწყვეტიათ!

ჯ ე მ ა ლ ი—ჩვენ გადავწყვიტეთ იმ დიდი ისტორიული ძეგლის მოვლა... ყველა ძვირფასი ჩუქურთმა, ქვაჭდეული თუ წარწერა, რაც კი დღემდე ზიარეთში შენახულა, ოსმალეთის სახელმწიფო მუზეუმში უნდა იყოს დაცული... ამაზე თითონ მისი აღმატებულება—ბატონი ვილაიეთის უფროსი ზრუნავს და ჩვენ გურჯებს მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა—(ხელები აუთრთოლდა, თანდათან ხმას იმაღლებს). შენ, ბალღო, გონი მიგხდომია, თუ განგებ გინდა ამ დასავსებ თვალებში ნაცარცხელი ჩამაყარო?!.. სამშობლო ჩვენ აღარ გაგვაჩნია და ეს ერთი გოჯი მიწა გვიწევს სამშობლოს მაგიერობას... (ფ ა ტ მ ა და შ ა მ ა ნ დ უ ხ დერეფნის კართან გაქვავებულნი უსმენენ). სოფელი დიდია, გზის გაყვანა თუ გინდათ, საითაც ბარს დაჰკრავთ, გზაც იქით წავა... რაღა ჩვენი მამა-პაპის ძვლები უნდა ამოჰყაროთ?

ჯ ე მ ა ლ ი—მე თქვენი სიკეთე მინდა!..

ბ ე ჟ ა ნ ა ღ ა—(წასვლა დააპირა) გაფრთხილებ ჯემალ, სანამ პირში სული გვიდგას, ზიარეთის დანგრევას ვერავის დავანებებთ!

(წავიდა, ჯ ე მ ა ლ ი მიაცილებს, მ ი რ ზ ა მ ორივეს თვალი გააყოლა).

შ ა მ ა ნ დ უ ხ—ბეჟან აღა მართალია... ჯემალს იქნება აღარც კი ახსოვს,—ჭირისუფლები ვართ, ჩვენი ნუგეში ზიარეთია, ავადმყოფი გვყავს,—ზიარეთია ჩვენი წამალი; დალხენილები ვართ,—მაშინაც ზიარეთია ჩვენთვის... აი ამ ზაფხულსაც გვალვამ რომ გადაწვა ჭირნახული, ოხვამეზე ვიყავით ზიარეთში და დაილოცოს იმისი მადლი, აკი წვიმაც გაიმეტა ჩვენთვის...

(ჯ ო ნ რ ა ი ტ ი აივანზე გამოვიდა, მიმავალ მოხუცს თვალი შეასწრო, ჯ ე მ ა ლ მ დაინახა, მისკენ წავიდა).

ჯ ე მ ა ლ ი—ბოდიში, ბატონო რაიტ!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ის მოხუცი ხომ არ იყო?

ჯ ე მ ა ლ ი—დიახ... უჰ, რა ჯიუტი კაცია!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—რას ერჩით? ყველა ჩვენგანს თავისი აზრი და შეხედულება აქვს!.. (აივანზე გაბარდული ვაზის მტევნებს სინჯავს) ამბობენ, მაგ მოხუცს ზიარეთის დიდძალი განძეული აქვს შენახულიო...

ჯ ე მ ა ლ ი—ასე მოგახსენებენ...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ვინ იცის, იმ ნივთებში ხელოვნების რამდენი შესანიშნავი ნიმუში მოიპოვება! (მტევნებს ხელის გულზე სინჯავს). ეს თქვენ, მხედველობაში უნდა იქონიოთ...

ჯ ე მ ა ლ ი—მართალსა ბრძანებთ...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—მაგ მოხუცს დიდი ოჯახი აქვს?

ჯ ე მ ა ლ ი—მარტოხელა კაცია.

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—(ერთბაშად) რა შესანიშნავი მტევნებია! საოცარია, მთელი ოსმალეთი მოვიარე, ამდენი ვაზი და ვენახი არსად შემხვედრია!

ჯ ე მ ა ლ ი—გურჯები ძველთაგანვე მისდევენ მევენახეობას... თუ ეზოში სადმე ვაზი დაინახეთ, იქ უსათუოდ გურჯი ცხოვრობს!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ო, ეს მეტად საინტერესოა!—ნაშიონალ საინ!

ჯ ე მ ა ლ ი—ძველად ეს ზღვის სანაპირო სულ ვენახებით ყოფილა დაფარული... ჩვენში ეხლაც ხშირად შეხვდებით მიწაში ჩაფლულ [illegible] ქვევრებს, ქვის საწნახლებს... დღესაც მე, თქვენ ჩვენებური ოჯალეშის გაგიმასპინძლდებით...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—საინტერესოა, ძალიან საინტერესო!..

(საუბარს განაგრძობენ. ეზოში ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი და გ ა ი ა ნ ე გამოვიდნენ. გ ა ი ა ნ ე თავდახრილი მოჰყვება სტუმარს).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მე თქვენ დღეიდან მინდა გიწოდოთ კამერტაბ... იცით, ეს სიტყვა რასა ნიშნავს?

გ ა ი ა ნ ე—(დარცხვენილი) არ ვიცი, ბატონო!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—კამერტაბ მთვარის შუქს ნიშნავს... ეს სახელი უწოდა განთქმულმა მუსტაფა ფაშა ბაირახტარმა ქართველ ქალს, რომელმაც პირველივე შეხედვით მოხიბლა... (თვალებში მისჩერებია). შემდეგ ეს ქალი მისი უსაყვარლესი ცოლი გახდა... იგი ქმართან ერთად დაიღუპა იანიჩარების აჯანყების დროს სტამბოლის ციხე-გალავანში... (თვალს არ აშორებს). თანახმა ხართ?

გ ა ი ა ნ ე—(გაუბედავად) რაზე, ბატონო?

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს სახელი რომ გიწოდოთ?

გ ა ი ა ნ ე—(ყოყმანობს) თქვენი ნებაა...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(კმაყოფილი) ნაშ თქვენ დღეიდან ჩემი კამერტაბ ხართ,—მე—თქვენი ფაშა ბაირახტარი...

(ხელები დაუჭირა).

გ ა ი ა ნ ე—(შეშინებული თვალები მიანათა) მე ეგ არ მითქვამს, ბატონო...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ნუ გეშინიათ... ჩემი გამოგზავნილი მანდილი ხომ მიიღეთ?

გ ა ი ა ნ ე—(ელდანაცემი) როგორ?.. ის მანდილი!.. თქვენ?! ღმერთო ჩემო!..

(თვალებზე ხელი აიფარა, ეზოდან გავარდა).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(მიიხედა, მის გვერდით მ ი რ ზ ა ვაჩნდა) შემდეგ როგორია გურჯების წესი?

მ ი რ ზ ა—ოჯახის უფროსს უნდა აცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, ჩემო ბატონო!

ფ ა ტ მ ა—(აივანზე გადმოდგა) მობრძანდით, ბატონებო...

(სტუმრებს სუფრაზე იპატიჟებს). ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი, ჯ ო ნ რ ა ი ტ ი, ჯ ე მ ა ლ ი, ფ ა ტ მ ა, რ უ ს უ დ ა ნ ი, შ ა მ ა ნ დ უ ხ, მ ი რ ზ ა, მაგიდას მოუსხდნენ. გ ა ი ა ნ ეს ვერცხლის სინზე შედგმული ვერცხლის სურები მოაქვს).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(წამოდგა) ვიდრე ლხინს შევუდგებოდეთ... ქალბატონო ფატმა, მინდა გაგიცხადოთ, თუ არ დამიწუნებთ, დღეიდან თქვენი ქალი ჩემი სახლის ქალბატონი უნდა იყოს!

გ ა ი ა ნ ე—დედავ!

(შეჰკივლა, სინი ხელიდან გაეშვა, აქვითინებული კედელს მიეყრდნო).

ფ ა ტ მ ა—შვილო! (შეწუხებული გ ა ი ა ნ ე ს მივარდა).

მ ი რ ზ ა—(სინი აიღო) არაფერი გატეხილა, ბოლო კეთილი იქნება!..

ფ ა ტ მ ა—(შეწუხებული) დაბრძანდით, ბატონებო... (მიტი ვერაფერი მოახერხა). არაფერია... ცრემლი ზოგჯერ სიხარულის ნიშანია!

ფ ა რ დ ა

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეორე

მეოთხე სურათი

ღამე, ზღვის პირი. მარცხნივ — ყავახანა დიდი აბრით „ოქროს ვირი". აბრაზე გამოსახულია ვებერთელა ვირის თავი. ყავახანის წინ მიწაში ჩარგულ ქოლგების ქვეშ — პატარ-პატარა თეთრ სუფრაგადაფარებული მაგიდები დგას. მაგიდებს უკან — ნახევარმთვარისებურად გამოყვანილი ესტრადა. მარჯვნივ პალმებით დაჩრდილულ ბაღში — რამდენიმე გრძელი სკამი. სიღრმეში, — ზღვაში ორი-სამი იალქნიანი ნავი და ერთიც დიდი გემი მოსჩანან. ფარდის ახდისას მაგიდებს მეზღვაურები უსხედან. ერთ მათგანს განცალკევებით ორი ამერიკელი მეზღვაური უზის. ესტრადაზე შავგრემანი გრძელსაყურებიანი ქალი, დაირით ხელში ცეკვავს. მაგიდებს შორის თვალ-წარბ შეღებილი მსახური ქალი ტრიალებს.

I მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—იბრაჰიმმა რად დაიგვიანა? აკი გუშინა სთქვა, ხვალ ბაირამი ერთად გავატაროთო?..

II მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—წუხელ მათ გემს მოულოდნელად გამოუძახეს. ზიარეთის ქვებით დატვირთეს და პირდაპირ სტამბოლში გაგზავნეს...

I მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—ძაღლის იღბალი აქვს... ბაირამი აბა იმას გასთენებია!.. თან ფულს გააკეთებს, თანაც ბერძნის ქალებში იქეიფებს...

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი—(ხელში დაირა შეათამაშა, სიმღერა დაიწყო):

ხან თუ ვარდის ეკლიანი კონა ვარ,
ხან გიჟმაჟი სიყვარულის მონა ვარ...
გადამრია შენი ეშხის ძალამ!
ბალამ, ბალამ, ბალამ!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ე ბ ი—(ერთხმად, ტაში). ვაშა... ვაშა... ბის... ბის!

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი—(დაირა შეათამაშა, თვალები მინაბა):

ავადა ვარ, ჩემი მკვლელი შენა ხარ,
ნეტავ ვაჟი ქვეყნად სულ არ მენახა...
თუ გიყვარვარ, მითხარ, რაღასა მალავ!..
ბალამ, ბალამ, ბალამ!..

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ე ბ ი—ვაშა, ბის!
(ტაში, ქ ა ლ მ ა მდაბლად თავი დაუკრა, გავარდა).

ა მ ე რ ი კ. მ ე ზ ღ ვ.—გოგონა!

მ ს ა ხ უ რ ი ქ ა ლ ი—რა გნებავთ?

ა მ ე რ ი კ. მ ე ზ ღ ვ.—ეგ მომღერალი მართლა გურჯის ქალია?

მ ს ა ხ უ რ ი ქ ა ლ ი—გურჯისა კი არა, ეშმაკისა... აქ ყველა გურჯის ქალად ასაღებს თავს.

II ა მ ე რ ი კ. მ ე ზ ღ ვ.—კვაიტ, რაიტ! (ხელი ჩაიქნია) მართალი ხარ!

მ ს ა ხ უ რ ი ქ ა ლ ი—აი მე, ნამდვილად გურჯის ქალი ვარ...

I მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—(გამოელაპარაკა) მოატყუე, რასა ჰკარგავ, იქნება ამერიკაში წაგიყვანოს! (აბრაზე გამოსახულ ვირის თავზე აჩვენებს) შენ ეს მითხარი, აი ეს შენი ბატონის სურათია?

II მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—მაგის ბატონისა კი არა, შენი... ერთ თვეს რასაცა შოულობ, ერთ დღეში სულ იმ ოქროს ვირს აჭმევ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახური ქალი—ერთიცა სცდებით, მეორეც... ეგ იმისი სურათია, ვინც ჩვენს ყავახანაში არ დაიარება!

I მეზღვაური—ხედავ ამას? (ამხანაგს) შეირთე, ბიჭო, ჭკვიანი ცოლი გეყოლება!..

I ამერიკ. მეზღვ.—ლამაზო! (ქალი შესდგა) ერთი ბოთლი ოქროს ვირი!

მსახური ქალი—გამოილია, მალე მოიტანენ.

II ამერიკ. მეზღვ.—ოქროს ვირი რაღა ჯანდაბაა?

I ამერიკ. მეზღ.—აქაური ბერძნული კონიაკი... თუ იმისი გემო არ იცი, მაშ ქვეყანაზე არაფერი დაგილევია!.. (ქალს) მაშინ, ვერცხლისა იყოს!

მსახური ქალი—ისიც გათავდა.

I ამერიკ. მეზღვ.—წადი და შენს დახლიდარს მოახსენე,—ამდენს რომ გვალოდინებს, ოქროს ვირი კი არა, ნამდვილი ვირი ყოფილა! (ქალი გაშტერებული მისჩერებია) არ გესმის?

(ქალი წავიდა, ამერიკელებიც ადგნენ)

ყავახანის პატრონი—(შეშფოთებული გამოვარდა, ქალიც უკან მოჰყვა) საით ბატონო? ფული... ანგარიში მიიღეთ!

I ამერიკ. მეზღვ.—ნიუ-იორკში რომ ჩამობრძანდებით, სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოს!

II ამერიკ. მეზღვ.—ვალლაჰ! (იცინის) გუდ ბაი!

(წავიდნენ).

ყავახან. პატრონი—დაიჭირეთ... ფულს არ იხდიან... თანაც ვირი მიწოდეს!

I მეზღვაური—ჩუმად, ხომ ხედავ, ვინ არიან?

ყავახანის პატრონი—უჰ, მაგარათი... განა პირველია?!..

(შემოვიდა შუქრი)

I მეზღვაური—შუქრი! (მეზღვაურები წამოიშალნენ) აქეთ შუქრი. (იგი ჩქარი ნაბიჯით მიდის, თითქოს მეზღვაურები არც კი შეუნიშნავს) რაზე გვებუტები?

(წინ გადაეღობა).

შუქრი—თუ ძმა ხარ, გამიშვი... მეჩქარება!

I მეზღვაური—რა იყო? ამ ბაირამის ღამეს რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

შუქრი—ამისთანა ბაირამის ღამესაც რა ვუთხრა... გამიშვი, თუ კაცი ხარ!

I მეზღვაური—არა, შენ თავს რაღაც ამბავია... სანამ არ იტყვი, არ დაგეხსნები!

შუქრი—გამოძიებას თავი დაანებე... თუ გაქვს რამე,—დაასხი, მეჩქარება...

(მაგიდასთან მივიდა).

I მეზღვაური—დღეს შენი სიფათი არ მომწონს... (ჭიქები აავსო).

შუქრი—ალბათ თქვენს კაპიტანსაც არ მოეწონა და იმიტომ დამითხოვა...

მეზღვაურები—(ერთხმად) რაო, რაო?

შუქრი—დღეიდან ხმელეთის მეზღვაური ვარ!

I მეზღვაური—ხომ არ გადაირიე? კაცს უშენოდ ზღვაში გემი არასოდეს გაუტანია და ეხლა რა სიზმარი ნახა?!

შუქრი—ეტყობა იმისი ბრალი არ არის... როდესაც მოვდიოდი, ასე მითხრა, შენისთანა მეზღვაური ბევრი არ შემხვედრიაო... თანაც გადამკოცნა!

I მეზღვაური—მაშ რაღა ჟამი შეუდგა? რატომ დაგითხოვა?

შ უ ქ რ ი—გამოძიებას დაეხსენ, მეთქი... ბიჭებო, ჭიქები აიღეთ! (მეზღვაურებმა ჭიქები ასწიეს) ეს, ამ ბაირამის ღამეს, ღმერთმა დასწყევლოს, ვინც ქვეყანაზე გურჯის სახსენებელი გააჩინა... რა იქნებოდა, ამ ცის ქვეშ ერთი სრულუფლებიანი კაცი მეცა ვყოფილიყავ?! (გადაჰკრა, მეზღვაურებმა აწეული ჭიქები ძირს დაუშვეს). ჰა, შეგეშინდათ? დალიეთ... რა პირები დააღეთ?

I მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—მაგას რათ ამბობ, ბიჭო? მე რომ ოსმალი ვარ, განა დალხინებული ვარ?!

(თავზე თეთრმანდილმოხვეული გ ა ი ა ნ ე გამოჩნდა, იგი ბაღში ვიღაცას ეძებს. შ უ ქ რ ი მ პირველმა შეასწრო თვალი, გ ა ი ა ნ ე ს ა კ ე ნ გაეშურა).

შ უ ქ რ ი—გაიანე, ამ შუაღამისას აქ რამ მოგიყვანა?

გ ა ი ა ნ ე—ჩემმა უბედურებამ... ასე მითხრეს გემი არსად გასულაო...

შ უ ქ რ ი—გამაგებინე, რა უბედურებამ?

(ორივე ხელი დაუჭირა)

გ ა ი ა ნ ე—აი, ხომ ხედავ, შენი მოტანილი მანდილი მხურავს... თუ გინდა, რომ ეს მანდილი არ მომეხადოს, დღესვე უნდა წამიყვანო აქედან!

შ უ ქ რ ი—წაგიყვანო? სად წაგიყვანო, რა მოხდა, გაიანე?!

გ ა ი ა ნ ე—(გულამომჯდარი) ვილაიეთის უფროსმა აბდულ სადაყმა...

(ვეღარ დაასრულა, აქვითინდა)

შ უ ქ რ ი—(გაოცებული) რა, აბდულ სადაყმა?

გ ა ი ა ნ ე—თეთრი მანდილი გამომიგზავნა...

შ უ ქ რ ი—სად... როდის?!

გ ა ი ა ნ ე—სწორედ იმ დღეს...

(ტირის)

შ უ ქ რ ი—(მტკიცედ) როგორც გამოგიგზავნა, ისე წაიღებს კიდეც...

გ ა ი ა ნ ე—ის არ წაიღებს, შუქრი... ვიცი, არ წაიღებს...

შ უ ქ რ ი—მაშინ შენ თვითონ მიუგდებ!

გ ა ი ა ნ ე—მაგას ვერ ვიზამ, ჯემალი თანახმაა...

შ უ ქ რ ი—(ერთბაშად აენთო). ჯემალი შენცა გყიდის, ჩვენს ხალხსაც... ოღონდ თვითონ ჩინ-მენდლებით აივსოს!

გ ა ი ა ნ ე—მაგას ნუ იტყვი, შუქრი... ჯემალმა ამ ჩვენი უბედურებისა არაფერი იცის...

შ უ ქ რ ი—დიახ, არ იცის.. არც ის იცის ზიარეთის ჩუქურთმებსა და ქართულ წარწერებს რომ ზღვაში ჰყრიან!

გ ა ი ა ნ ე—რას ამბობ... რასა ჰყრიან ზღვაში?!

შ უ ქ რ ი—ხალხი მოუტყუებიათ, მუზეუმში მიგვაქვსო... ამ უბედურებს იმოდენა ლოდები კაპარჭაზე თურმე თავისივე ხელით ააზიდვინეს, რომ მერე ღამით, ქურდულად ზღვაში ჩაეყარათ!..

გ ა ი ა ნ ე—ჯემალი მაგას არ იზამდა,—მომკალი და ვერ დავიჯერებ.

შ უ ქ რ ი—(ქუდი მოიხადა, აჩვენებს) ნურც ამას დაიჯერებ...—ამ ნატყვიარს ხედავ?

გ ა ი ა ნ ე—(შეშინებული) ეს რა არის?

შ უ ქ რ ი—ღელვამ ბერიმთის ყურისაკენ წაიღო ჩემი ნავი... მეც რა მქონდა საჩქარო, იქითკენ შევუხვიე... დღესავით ღამე იყო. უეცრად, ზღვის მოსახვევში დიდი კაპარჭა დავინახე. ახლოს მიველი, რას ვიფიქრებდი— შავ-ბნელი საქმის მოწმე გავხდებოდი! ყური ყოველი მხრით შეკრული იყო, მაგრამ მაინც აშკარად დავინახე, ზღვაში როგორ ჩაუშვეს ჩვენი

ზიარეთის ქვები... სულ პირველად ლომის თავი და ის დიდი ქვის დაფა ჩააგდეს, ბეჟან აღა თამარ მეფის ხელით დაწერილ წიგნს, რომ ეძახ-და. მინდოდა უფრო ახლოს მივსულიყავ, მაგრამ გემიდან შემნიშნეს და სროლა ამიტეხეს... აი, ქუდი გამიხვრიტეს!.. ღამემ მაინც მიშველა და ნა პირზე გამოვასწარ... ახლავე უნდა გავაგებინო ბეჟან აღას...

გ ა ი ა ნ ე—იქნება მიმალავ და რაიმე გაწუხებს?

შ უ ქ რ ი—მე მარტო ის მაწუხებს, ჯემალმა რომ ჩვენი ხალხი გაყიდა და ეხლა შენცა გყიდის!

გ ა ი ა ნ ე—(შეწუხებული) მაგას ნუ მეუბნები... ასე მგონია—მართლა გაყიდული ვარ და სადღაც შორს, უცხო ქვეყანაში მივყევარ, რომ ახლა სხვა ვაჭარს მიჰყიდონ ჩემი თავი... გეხვეწები შუქრი, სანამ გვიან არ არის, წადი, შენს უფროსს სთხოვე,—ამ ღამით გამოგიშვას!.. ახლავე უნდა წამიყვანო... სადაც გინდა წამიყვანე,—ოღონდ აქაურობას მომაშორე!..

შ უ ქ რ ი—ჩემს უფროსს თხოვნა არ უნდა, რადგან დღეიდან მე უფროსი აღარა მყავს...

გ ა ი ა ნ ე—(ელდანაცემი) უბედურებაზე უბედურება?

შ უ ქ რ ი—უბედურება კი არა, ბედნიერება, თორემ აქედან მართლაც ვერ-სად წაგიყვანდი... ეხლა კი, წადი, მოემზადე... მე მანამდე ბეჟან-აღას ვნახავ. დეე, ხალხმა შეიტყოს, სად და რისათვის მიაქვთ ზიარეთის ქვები!

გ ა ი ა ნ ე—მე შინ ვერ მივალ, შუქრი... იქ აბდულ სადაყის გამოგზავნილი მკერავები ჩემს საქორწინო კაბებსა ჰკერენ...

შ უ ქ რ ი—მაშინ... ამ ბაღში მოიცადე, ეხლავე დავბრუნდები!

გ ა ი ა ნ ე—აქ რომ ვინმემ დამინახოს?

შ უ ქ რ ი—აქ მხოლოდ ჩვენი მეზღვაურები დადიან... ჩემი სახელი უხსენე, ნურაფრისა გეშინიან!

(წავიდა, **გ ა ი ა ნ ე** ბაღის განაპირას სკამზე ჩამოჯდა. ყავახანიდან მომღერალი ქალის სიმღერა მოისმის).

გ ა ი ა ნ ე—ისეთ ადგილას სად უნდა წავიდეთ, აბდულ სადაყმა ვერ მოგვაგ-ნოს? მიწაში რომ ჩავძვრეთ, იქაც გვიპოვის... ძმასაც დამიღუპავს, შუქ-რიზედაც შურს იძიებს... (შემკრთალი წამოდგა). ღმერთო ჩემო, მე ვღუ-პავ შუქრის, ნამდვილად ვღუპავ და ისიც არაფერს ამბობს, თანახმაა ჩემთვის დაიღუპოს... მაშ, იქნებ ორივესათვის ისა სჯობდეს, დავთმოთ ერთმანეთი?! თუმცა ეს როგორ გამოსთქვა ჩემმა ენამ? შუქრი დავთმო და,—რიღასთვის ვიცოცხლო?

(სკამზე დაემხო. შორს რამდენიმე თოფი გავარდა, მას სასტვენების გაბმული სტვენა მოჰყვა, იგი ბაღშიც შემოიჭრა. შეშინებული გაიანე წამოვარდა, ღამის ჩრდილს შეეფარა).

III მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—(გულხეთქებით შემოვარდა) ბიჭებო, კაცი მოჰკლეს!..

I მ ე ზ ღ ვ უ რ ი—ვინ კაცი მოჰკლეს? რისთვის მოჰკლეს?

III მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—ეშმაკმა იცის, მე თვითონ არ მინახავს... (სასტვენების გაბმული ხმა) გესმით, რა ამბავია? პოლიციამ ქუჩები შეჰკრა, გზაში აღარავის უშვებენ!..

II მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—კისერი უტეხიათ! (ჭიქა მიაწოდა, თვითონაც აიღო) და-ლიე, რა ჩვენი საქმეა? მოკლული ღმერთმა შეიწყალოს, მკვლელსაც თავისი გზით გაუმარჯოს!..

(გადაჰკრა ყავახანიდან ნაცნობი სიმღერა მოისმა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი—

ავადა ვარ, ჩემი მკვლელი შენა ხარ,
ნეტავ ვაჟი ქვეყნად სულ არ მენახა...
გადამრია შენი ეშხის ძალამ,
ბალამ, ბალამ, ბალამ...

ძ ა ხ ი ლ ი—ვაშა, ვაშა... ბის, ბის!

(ყავახანიდან მოქეიფე მეზღვაურები ღრიანცელით გამოიშალნენ. მათ შუაში მომღერალი ქალი ჩაუყენებიათ. იგი თავმომწონედ ატრიალებს ხელში დაირას)

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი—არ შემიძლიან... დავიღალე, არ შემიძლიან!

I მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—ერთიც იმღერე, ერთიც... შენ გენაცვალოს აი ამისი ცარიელი თავი! (ამხანაგს თავზე ხელი წამოუტყაპუნა).

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი—ცარიელ ჯიბეს ცარიელი თავი სჯობია!..

(მეორე მეზღვაურს ხელი მოხვია).

II მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი—ზეინაბ ხანუმ, მაგას თავიც ცარიელი აქვს და ჯიბეც!

(ხმაურით მიიმალნენ ბაღში. შ უ ქ რ ი შემოვიდა, იგი გ ა ი ა ნ ეს ეძებს. ეტყობა, წელანდელზე უფრო შეშფოთებულია, გ ა ი ა ნ ე ხეივნიდან გამოეგება).

გ ა ი ა ნ ე—შუქრი, აქა ვარ... ეგრე მალე?

შ უ ქ რ ი—რაღა მალე... გზები შეკრულია, ვერსაიდან გავაღწიე, ბეჟან აღა მოჰკლეს!..

გ ა ი ა ნ ე—(შეშინებული) ბეჟან აღა მოჰკლეს? ვინ მოჰკლა?

შ უ ქ რ ი—აბა რა ვიცი... ამდენ გურჯობას ერთი მოსარჩლე გვყავდა, ისიც ამოაგდეს!

გ ა ი ა ნ ე—წავიდეთ... მეშინიან...

შ უ ქ რ ი—ამაღამ ვეღარსად წავალთ... გზებზე ყველგან პოლიციელები დგანან... გიცნობენ!..

გ ა ი ა ნ ე—მაშ, რა ვქნათ, შუქრი?

შ უ ქ რ ი—ეს ღამე როგორმე აქ უნდა გავათენოთ...

(ხელი ჩაავლო, ჩქარი ნაბიჯით ხეივანს მიეფარნენ).

ფ ა რ დ ა

მეხუთე სურათი

იგივე სანახაობა, რაც 'მეორე სურათში. მარცხნივ მისაღები ოთახი, მარჯვნივ—ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი ს კაბინეთი. ღამეა. ფარდის ახდისას ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი საწერ მაგიდას ეზისმის წინ ს ა ი დ უ მ ლ ო პ ო ლ ი ც ი ი ს 'უ ფ რ ო ს ი დგას, მას გვერდით ჩემოდანი უდევს.

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეხლა ეს მითხარი, მკვლელი ხომ კარგად დამალეთ?..

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—სანამ გემი გავიდოდეს, ჩემთან იქნება ბინაზე...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, იცოდე ამ ღამესვე უნდა მოაშორო აქაურობას!

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—მესმის, თქვენო აღმატებულებავ! (ჩემოდანს ხსნის) განძეული იმდენი არაფერი აღმოჩნდა... სულ ექვსი ვერცხლის სურა და შვიდიც აზარფეშა. მხოლოდ ერთი მათგანია ძვირფასი, პირი და სარტყელი მარჯნითა და ლალითა აქვს მოჭედილი. აი ეს ერთი პარკიც წვრილი ვერცხლის ფული იყო, მეტი არაფერი. (პარკი მაგიდაზე დადო).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს პარკი მკვლელისა იყოს... სურები და აზარფეშები კი, ჩემთან ყველაზე საიმედოა, აქ შევინახავ... (სეიფი გამოხსნა, სურებსა და აზარფეშებს შიგ აწყობს, ხელში ერთი აზარფეშა შერჩა). ოჰო, ეს

მართლა ძვირფასი რამ არის! ძველისძველი ზარნიში აქვს მოვლებული... აი, უცქირე, რაღაც წარწერაცა აქვს, ალბათ ქართულია... ეტყობა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—მესმის, თქვენო აღმატებულებავ!
(ჩემოდანი აიღო, მეორე კარით გავიდა).

• ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(მირზას) სთხოვე! (მ ი რ ზ ა გავიდა).

მ ი რ ზ ა—(ჯ ე მ ა ლ ს) მიბრძანდით... (ჯ ე მ ა ლ ი შევიდა, მ ი რ ზ ა თავს იქნევს). ვალლაჰ, ეს ქვეყანა ნამდვილი ოინბაზხანაა!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(კარებშივე მიეგება) ვინ იცის, როგორ დაიღალეთ... თქვენ არ შეგაწუხებდით, მაგრამ, ხომ იცით, ჩვენი პოლიცია... თუ ხელი არ მოუჭირეთ, ისე თავს არ შეიწუხებენ... ვერაფერს მიაგენით?

ჯ ე მ ა ლ ი—ვერაფერს, მაგრამ... მთელი ხალხი, დიდ-პატარა ერთხმად ხოჯა სულეიმანს ასახელებს... შესაძლებელია ეს მართალიც იყოს, რადგან უკანასკნელ ხანს ერთმანეთთან დანასისხლად იყვნენ!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მერე, დააპატიმრეთ?

ჯ ე მ ა ლ ი—სასულიერო პირის დაპატიმრება, ისიც ბაირამის ღამეს, ხომ მოგეხსენებათ, ცოტა არ იყოს, უხერხულია...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—არავითარი უხერხულობა! მკვლელი რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა აღმოვაჩინოთ... თქვენ ჩემზე უკეთ იცით, განსვენებული მთელ ზიარეთს როგორ უყვარდა,—მის სახელს როგორი პატივით იხსენიებდნენ!

ჯ ე მ ა ლ ი—მეორეს მხრით... ხოჯა და მკვლელი,—ძნელად საფიქრებელია!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—სისხლმა ხელობის გარჩევა არ იცის... მართალია, დაღლილი ხართ, მაგრამ ხოჯა სულეიმანი დღესვე, ამ ღამესვე უნდა დავაპატიმროთ... სულ რამდენი კაცი შეიპყარით?

ჯ ე მ ა ლ ი—ეს მესამე იქნება...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ცოტაა... თქვენ მეტისმეტად გაუბედავად იქცევით...

ჯ ე მ ა ლ ი—როდესაც პირდაპირი ნიშნები არ არის, მხოლოდ ეჭვით კაცის დაპატიმრება ძნელია...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—თვითონ მისი აღმატებულების, ბატონი მინისტრის დეპეშა მივიღე, სასტიკ ზომებს მოითხოვს... თქვენთვისაც ნათელია, მკვლელობა გაძარცვის მიზნით არის ჩადენილი!.. ხომ ასეა?

ჯ ე მ ა ლ ი—დიახ, აბა სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც მხოლოდ განძეულია წაღებული!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—საჭიროა აქაურ ოქრომჭედლებს დღეიდანვე საიდუმლო მეთვალყურენი მიუჩინოთ... ის რაღაც აზარფეშები, თუ სურები ყოფილა,—ადვილად შეიძლება მათთან მივიდეს...

ჯ ე მ ა ლ ი—მართალსა ბრძანებთ!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—გარდა ამისა, რადგან ნათესავი არავინ გააჩნია, საჭიროა ხვალიდანვე დაკრძალვის თადარიგსაც შეუდგეთ... მე გთხოვთ ყველაფერი ისე გააკეთო, რომ ხალხი, განსაკუთრებით გურჯი მოსახლეობა, უკმაყოფილო არ დაგვრჩეს! (ჯ ე მ ა ლ ი ფანჯარასთან მიიყვანა, საუბარს განაგრძობენ).

(მისაღებ ოთახში ოქრომჭედელი შემოვიდა. მას ხელში მოზრდილი, ხავერდგადაკრული კოლოფი უჭირავს).

ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ ი—კაი ბაირამი და კაი დღეები ჩვენს მირზას!

მ ი რ ზ ა—(წამოდგა) დიდება ალლაჰს... ეს ფული ხვალამდე სად გაგექცეოდა? ამ შუაღამისას აქ რამ მოგიყვანა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრომჭედელი—დალაქივით ბევრი ლაპარაკი ნუ გიყვარს, თვითონ შენმა ბატონმა მიბრძანა...
(პირდაპირ მიდის).

მირზა—თავი რომ აგიღია და პირდაპირ მიდიხარ, საიქიოს **კარი ხომ არა** გგონია, მუდამ ღია იყოს?

ოქრომჭედელი—როცა კაცს წინ ოქრო მიუძღვის, მისთვის საქაოშიც ყველა კარი გაღებულია. (კოლოფი აჩვენა) ამას ვერა ხედავ?

მირზა—რა არის?

ოქრომჭედელი—ბედნიერების სამკაულია...

მირზა—ბედნიერების ერთადერთი სამკაული—სიყვარულია!

ოქრომჭედელი—ჩემო მირზავ! სიყვარულმა ადვილად იცის ხელიდან წასვლა, თუ ოქროს ჯაჭვით არ დააბი... მააშ! (პირდაპირ შეაღო კარი). მუდამ კაი ბაირამი გაგთენებოდეთ, ჩემო ბატონო!

აბდულ სადაყი—იცოცხლე... ამ შუალამისას რაზე სწუხდებოდი?

ოქრომჭედელი—თქვენ ისე მიბრძანეთ, ოქროქსოვილისა და შიბის სანახავად, თვითონ ქალბატონი მობრძანდებოდა... მთელ დღეს ვუცადე, არ მოვიდა. შეგირდი გავგზავნე,—ვერსად იპოვა... ხვალ სახელოსნო დაკეტილი მექნება,—მოგეხსენებათ, ბაირამია და აქ ამიტომ მოგიტანეთ!

აბდულ სადაყი—უსტაბაშის ხელს როგორიც ეკადრება, ხომ ისეთი გამოგივიდა?

ოქრომჭედელი—(კოლოფი გახსნა, ძვირფასი თვლებით შემკული შიბი ამოიღო) ქებას ნახვა სჯობია!.. ეს თვლები სულთან სელიმის პირველი ცოლის ნაქონია, ოქრო თვითონ გამოვჭედე... ამისთანა შიბი ჯერ არც ერთ პატარძალს ყელზე არა ჰქონია!..

აბდულ სადაყი—(ჩამოართვა) აი სანდა საღოლ!.. მართლა კარგია!.. (ჯემალს) ხომ ჩინებულია?

ჯემალი—ბრწყინვალე!

აბდულ სადაყი—(საფულე ამოიღო) სულ რამდენია?

ოქრომჭედელი—დღეგრძელი იყოს ჩვენი ვალი!.. მისი ბედნიერებისათვის ფული რა სახსენებელია?

აბდულ სადაყი—გამომართვი, არა და,—ამ შიბს უკანვე წაიღებ!..

ოქრომჭედელი—რათა, თქვენო აღმატებულებავ? განა მარტო ჩემი,—მთელი აქაური ოქრომჭედლების ფეშქეშია,—ჩვენს ჰამქარს მოურთმევია!

აბდულ სადაყი—(ერთბაშად მოლბა) ეს კი მომეწონა... თქვენს ჰამქარს ჩემი მადლობა! გადაეცი, რომ აბდულ სადაყმა შაქარზე შაქრის მოყრა იცის!
(ხელი ჩამოართვა).

ოქრომჭედელი—ძილი ნებისა, ბატონო ჩემო!
(თავი დაუკრა, გავიდა).

აბდულ სადაყი—გაიანე ხომ არ იცით სად არის? მთელ დღეს ცალკე მკერავი ქალები უცდიდნენ და ვერა ნახეს, ცალკეც—ოქრომჭედელს უძებნია, ვერსად უპოვნია? საოცარია, სად წავიდოდა?

ჯემალი—რა მოგახსენოთ! დილას რომ გამოველ, მას შემდეგ შინ აღარ დავბრუნებულვარ... სად უნდა იყოს? ვინ იცის, ბედნიერებისაგან თავ-ბრუდახვეული მთელს ზიარეთს უვლის!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ამაღამ ალბათ ნახავთ,—უთხარით, ხვალ მაინც ნურ-
სად წავა... სტამბოლიდან ცნობილი შაშნ ხანუმ გამოვიწვევ, თუ ხვა-
ლაც ვერ შეუკერავს, მაშინ უკანვე უნდა გავგზავნო...

ჯ ე მ ა ლ ი—ქალს ამისთანა რამ კი გააგონეთ!.. ფეხით რომ გაუშვათ სტამ-
ბოლში,—ფეხით წავა, ოღონდ მისი ხელით შეკერილი საქორწილო
გულისპირი გაიკეთოს! (ქუდი აიღო). მაშ ასე,—თქვენ ბრძანებთ, ხოჯა
სულეიმანი ამაღამვე დავაპატიმროთ?..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—თქვენ ახლა მარტო ჩემი მოადგილე კი არა ხართ,
არამედ ჩემი ნათესავიც... იმოქმედეთ გაბედულად!

(ჯ ე მ ა ლ ი გავიდა, აბდულ სადაყმა ზარი დარეკა, მ ი რ ზ ა შემოვიდა).

შენ ეს მითხარი, მაშ, გაიანე შინ ნამდვილად არ იყო?..

მ ი რ ზ ა—არა, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—დედამისმა რა გითხრა.

მ ი რ ზ ა—მეგობარ ქალთან წავიდაო...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—საღამოს რომ იყავი?

მ ი რ ზ ა—საღამოს აღარც დედამისი დამხვედრია!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს ქალაქი სულ ორი მტკაველია და როგორ ვერ
იპოვნეთ?

მ ი რ ზ ა—ყველგან გახლდით, მაგრამ...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ჭირვეულად) გამეცალე აქედან! (მ ი რ ზ ა გავიდა.
ტელეფონმა დაიწკრიალა. ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ მ ა მილი აიღო) ალო,
ალო..! დიახ! შეიძლება კი არა, ეხლავე, ამ წუთში...: (ტელეფონი და-
დო. ზარი დარეკა. მ ი რ ზ ა შემოვიდა) შენ ეს მითხარი, იმ მეგობარ
ქალთან არ გიკითხავს?

მ ი რ ზ ა—არა, ქალბატონს არ ეწყინოს მეთქი, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—გაეთრიე! (ოთახში ბოლთა დაჰკრა. შემდეგ ისევ ზარი
დარეკა. მ ი რ ზ ა შემოვიდა) გახსოვს, იმ დღეს სუფრაზე რომ ატირ-
და? რასა ფიქრობ, მიზეზი რა უნდა იყოს?

მ ი რ ზ ა—თქვენ კი გაიხარეთ, ბედნიერებამ გადმოხეთქა... განა უბრალო
საქმეა, ქვეყანაში გამოუსვლელი ქალი ხელმწიფის ტოლმა კაცმა ცოლად
შეირთოს!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ჭკვიანი კაცი ხარ, ჩემო მირზავ, ჭკვიანი... (მხარზე
მეგობრულად დაადო ხელი) წეღან რომ გაგიჯავრდი, ხომ არ გეწყინა?

მ ი რ ზ ა—მაგას რასა ბრძანებთ? თქვენი გაჯავრება სხვის წყალობას მირ-
ჩევნია! (მისაღებ ოთახში ს. პ. უ ფ რ ო ს ი დ ა ს ა ზ ღ ვ ა ო პ ო-
ლ ი ც ი ი ს კ ა პ ი ტ ა ნ ი შემოვიდნენ). ჩემს ოთახში რაღაც ფეხის ხმაა!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ვიცი, ვინც არიან..: წადი, მათს გარდა ეხლა კარი
ყველასათვის დაკეტილია!

მ ი რ ზ ა—დასტურ, თქვენო აღმატებულებავ! (გავიდა, ორივეს) მობრძანდით,
ჩემო ბატონო!

(ს. პ. უ ფ რ ო ს ი დ ა ს ა ზ ღ ვ ა ო პ ო ლ ი ც ი ი ს კ ა პ ი ტ ა ნ ი ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ-
თან შევიდნენ)

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(კ ა პ ი ტ ა ნ ს მრისხანედ მიაჩერდა) ეს როგორ
მოხდა? თვალები სადა გქონდათ?

ს. პ. კ ა პ ი ტ ა ნ ი—თქვენო აღმატებულებავ, ზღვა ყოველი მხრით შეკრული
იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ბრაზისაგან კანკალებს) მიჰქარავ... მაშ ის ბურჯი მეზღვაური საიდან შემოგეპარათ?

ს. პ. კ ა პ ი ტ ა ნ ი—მეც ვერ გამიგია, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი — (რაც კი ძალა შესწევდა, კ ა პ ი ტ ა ნ ს სილა გააწნა) მაშინ გაიგებ, როდესაც ციხეში გამოგალპობ!..

ს. პ. კ ა პ ი ტ ა ნ ი—თქვენო აღმატებულებავ...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—გაეთრიე! (ს. პ. კ ა პ ი ტ ა ნ ი მიდის) მოიცა! იმ მეზღვაურის ადგილსამყოფელი მაინც ვერ შეიტყვეთ?

ს. პ. კ ა პ ი ტ ა ნ ი—აქაური, ზიარეთელი გახლავთ... სავაჭრო ფლოტის მეზღვაური—შუქრი ჯაფარ ოღლუ...

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—ვიცნობთ, თქვენო აღმატებულებავ... ორი დღის წინათ ჩვენი მითითებით მოხსნეს გემიდან...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(კ ა პ ი ტ ა ნ ს) შენს საქმეს სამხედრო-საზღვაო სასამართლო გაარჩევს... ეხლა გარეთ მოიცადე! (კ ა პ ი ტ ა ნ ი მიდის: ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ მ ა თვალი გააყოლა) გამოცდილი კაცია და ეს როგორ დაემართა?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—თვითონ ის მეზღვაური გახლავთ საეჭვო კაცი, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—საეჭვო კაცია და მით უარესი... (ოთახში ბოლთასა სცემს, შესდგა, დაფიქრდა. ერთბაშად სეიფის კარი გააღო, ის ძვირფასი აზარფეშა გამოიღო). ხედავ ამ აზარფეშას?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—ვხედავ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—იმ მეზღვაურის ბინა ამ ღამესვე უნდა გაჩხრიკოთ და ეს აზარფეშა იქ უნდა აღმოაჩინოთ! გესმის?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს ხომ საკმარისი იქნება შუქრი ჯაფარ ოღლუც მაშინვე დააპატიმროთ, როგორც ბეჟან აღას მკვლელი?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—დიდებულია, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მაშ, ნულარ იგვიანებთ... ჩხრეკასა და დაპატიმრებას ჩემს მოადგილეს ვავალებ!

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—(გაოცდა) თქვენს მოადგილეს?!.

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—არ მოგწონს?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—ბატონი ჯემალი იმ მეზღვაურის უახლოესი მეგობარია!...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—სწორედ ამიტომ არის საჭირო, მან თავისი თვალით ნახოს, როდესაც ამ აზარფეშას ჯაფარ ოღლუს ოჯახიდან გამოიტანთ!...

ფ ა რ დ ა

—.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

მეექვსე სურათი

შუქრი ჯაფარ ოღლუს სახლი. ოთახიც, მოწყობილობაც ისეთივე, როგორიც დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით როგორც სამეგრელოში იციან. ზურგის ფიცრულ კედელში — ბუხარი. მარცხნივ, — კედელზე მიდგმული სუფთა სუფრაგადაფარებული მაგიდა, იქვე მაღალი კიდობანი. მარჯვნივ — დიდი აღმოსავლური ტახტი ფერად-ფერადი მუთაქებითა და ბალიშებით. ფარდის ახდისას ხელებშებოჭილი შუქრი ჯემალის წინ დგას. მათს უკან საიდუმლო პოლიციის უფროსი და ორი ჟანდარმი. ტახტზე დამხობილ შამანდუხს ორი მოხუცი ქალი ამშვიდებს. გვერდის ოდნავ გამოხსნილ კარებში თავშალმოხვეული გაიანე აჩრდილივით ხან გამოჩნდება, ხანაც მიიმალება.

ჯემალი—(ხელში აზარფეშა უჭირავს) ეს აზარფეშა თქვენს ოჯახში საიდან გაჩნდა?

შუქრი—არ ვიცი...

ჯემალი—(აზარფეშაზე უთითებს) წინათ გინახავს სადმე?

შუქრი—როგორ არა, ბეჟან აღას ოჯახში მინახავს.

ჯემალი—მერე, თქვენს ოჯახში საიდანღა გაჩნდა?

შუქრი—არ ვიცი... იქნება თვითონ მოხუცმა მიაბარა დედაჩემს!

ჯემალი—(ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა შამანდუხს, მორიდებით). დეიდა შამანდუხ! (ქალი ძლივს წამოდგა, ნამტირალევი თვალები უმწეოდ შეანათა). აბა, კარგად გაიხსენეთ, ეს აზარფეშა თქვენთან იქნებ თვითონ ბეჟან-აღამ მოიტანა?!

შამანდუხ—ტყუილი როგორა ვთქვა, შვილო... ბეჟან აღას არ მოუტანია!

ჯემალი—მაშ, თქვენსა არც გუშინ, არც წუხელ, ან მეზობელი ან უცხო ვინმე არავინ შემოსულა?

შამანდუხ—არავინ, შვილო... ოღონდ წუხელ მირზამ გზის გადასახადის ქაღალდი მომიტანა, შინ არც კი უნდოდა შემოსვლა, ძალისძალად შემოვიყვანე! (ისევ ტახტზე დაეშვა) ვაი, შენს დედას, შვილო!

ჯემალი—(შუქრის მიუბრუნდა) მაშ, ეს მაინც მითხარი, წუხელ სად იყავი? ღამე ვისთან გაათიე?

შუქრი—(სდუმს).

ჯემალი—გემზე იყავი?

შუქრი—არა, გემზე არა ვყოფილვარ!

ჯემალი—არც შინ, შენს ოჯახში?

შუქრი—არც შინა ვყოფილვარ...

ჯემალი—ან იქნებ სხვაგან სადმე იყავი? ერთი კაცი მაინც დამისახელე, მარტო ერთი მოწმე, მეტი არ მინდა!

შუქრი—(სდუმს).

(გაიანე კარებში გამოჩნდა, ძლივს უძლებს მღელვარებას).

ჯემალი—(დაბეჯითებით) არ გინდა მიპასუხო?.. ვისთან იყავი?

შუქრი—მაგას ვერ გეტყვი...

გაიანე—(კარებში) ღმერთო!

(შიიმალა).

შუქრი—მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ გეფიცები, ჯემალ, მაგ უწმინდურსა და შავ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია!

ჯემალი—(ს. პ. უ ფ რ ო ს ს) წაიყვანეთ!

შ უ ქ რ ი—არა გჯერა? შენც თუ არა გჯერა, მაშ სხვა ვინღა დაიჯერებს, რომ მე ბეჟან ალას მკვლელი არა ვარ?!

ჯ ე მ ა ლ ი—შენ თავი არ გინდა იმართლო, არც ერთ კითხვაზე პასუხს არ იძლევი... რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალე... (ს. პ. უ ფ რ ო ს ს). წაიყვანეთ! (შ უ ქ რ ი თავდახრილი, ნელი ნაბიჯით მიდის. უკან პოლიციელები მიჰყვებიან. სულ უკან ჯ ე მ ა ლ ი).

შ ა მ ა ნ დ უ ხ—შვილო ჯემალ... ის მაინც გაიხსენე, პატარები, რომ იყავით... ერთად რომ თამაშობდით!.. (აქვითინებული უკან მიჰყვა, ქალები მიაცილებენ).

(გიანემ და რუსუდანმა შემოაღეს კარი)

გ ა ი ა ნ ე—(გულმოკლული) ხედავ, რუსუდან? შუქრი არ ამბობს იმ დაწყევლილ ღამეს სად იყო... ვისთან იყო...

რ უ ს უ დ ა ნ ი—ჰო და, თუ კი მართალია, რატომ არ ამბობს? ხომ გაიგონე, ჯემალმა რამდენჯერ უთხრა,—ერთი მოწმე მაინც დამისახელე, მეტი არაფერი მინდაო!

გ ა ი ა ნ ე—(სასოწარკვეთილი) რუსუდან, ეს მოწმე მარტო მე ვარ ამქვეყანაზე... მარტო მე!.. ჩემს გარდა სხვა არავინ იცის იმ ღამის საიდუმლო... შუქრის გადაუწყვეტია—სიცოცხლე ანაცვალოს ჩემი ოჯახის პატიოსნებას, ჩემს პატიოსანს სახელს... ვაიმე შუქრი! (ყრუდ ქვითინებს).

რ უ ს უ დ ა ნ ი—მერე და რა გატირებს, ქალო? თუ კი შუქრი ალალმართალია და შენ ეს იცი, რას დამუნჯებულხარ? მას თუ გადაუწყვეტია შენი გულისთვის დალუპვა,—დეე მოგეჭრას თავი, მთელმა ქვეყანამ შენი სახელი სათრევლად გაიხადოს, ოღონდ შუქრი გადარჩეს ცოცხალი!..

გ ა ი ა ნ ე—(გულამომჯდარი) არა გრცხვენიან, რუსუდან? განა ჩემს სახელსა და ქალობას ვუფრთხილდები? ნუ თუ გგონია, ერთ წამსაც კი დავფიქრდები, ოღონდ ჩემი სიცოცხლე წამლად დაედებოდეს შუქრის... მაგრამ ეს რომ გავამხილო, მაშინ ხომ ნამდვილად დავღუპე შუქრიც, ჩემი ძმაც, მთელი ჩემი ოჯახიც!.. ის რას იტყვის, ვილაიეთის უფროსი—აბდულ სადაყი რას იტყვის, როდესაც შეიტყობს რომ მე მისმა დანიშნულმა, ის ღამე შუქრისთან ერთად, ზღვის პირას—გზის ძებნაში გავათენე?! მაშინ ხომ შუქრის აღარაფერი უშველის!.. ღმერთო, ამ ცეცხლს თავი როგორ დავაღწიო?! (რუსუდანს თავი მხარზე დააყრდნო, აქვითინდა).

ფ ა რ დ ა

სურათი მეშვიდე

სცენა სამად არის გაყოფილი. შუაში მისაღები ოთახი. მარცხენა მხარეს — ჯ ე მ ა ლ ი ს სამუშაო ოთახი. მარჯვნივ — ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი ს კაბინეთის ის კუთხე მოსჩანს, სადაც საწერი მაგიდა დგას. ფარდის ახდისას ჯ ე მ ა ლ ი თავის სამუშაო ოთახში მარტო ზის, იგი თავდახრილი ხანგრძლივ დასჩერებია იატაკს.

მ ი რ ზ ა—(მისაღებ ოთახში ჟურნალ-გაზეთების დასტა აიღო, ჯემალის ოთახის კარი ფრთხილად შეხსნა). შეიძლება, ბატონო ჩემო?

ჯ ე მ ა ლ ი—(ჭირვეულად) ერთ წამს მაინც მარტო დამაყენეთ!

მ ი რ ზ ა—ბოდიში, ბატონო! (კარი სწრაფად გაიხურა).

ჯ ე მ ა ლ ი—(ადგა, ოთახში დადის, ეტყობა მძიმე ფიქრს შეუპყრია). ხუთ-მეტ წელიწადს არ მენახა... დასაპატიმრებლად რომ მიველ, ... დაიწყო,—ალბათ, ხუმრობა ეგონა... მაგრამ მალე დარწმუნდა, ... მწარე სინამდვილე იყო... მე ბავშვობაში სიცოცხლე გაჩუქე, რომ შენ ... ეხლა სამაგიერო ამით გადაგეხადაო... ჩემს სინიდისთან როგორც უნდა ... ვიმართლო თავი, არაფერი გამივა... მართალი მითხრა, ნამდვილად მარ-თალი! (ხმამაღლა) მირზავ!

მ ი რ ზ ა—(კარი ნელა შეაღო). თქვენ დამიძახეთ, ბატონო ჩემო?

ჯ ე მ ა ლ ი—(თავაუღებლად) წელან რა გინდოდა?

მ ი რ ზ ა—თქვენი სიცოცხლე, ახალი ჟურნალ-გაზეთები იყო... მოგართვათ?

ჯ ე მ ა ლ ი—გაზეთები მერე... აქ მოდი! (მირზა ახლოს მივიდა). რასაცა გკით-ხავ, ალალმართლად მიპასუხე!

მ ი რ ზ ა—დასტურ, ალალმართლად გიპასუხებ, ბატონო ჩემო!

ჯ ე მ ა ლ ი—იმ მეზღვაურს, შუქრი ჯაფარ ოღლუს კარგად იცნობ?

მ ი რ ზ ა—თქვენ კი გაიხარეთ,—თქვენც და ისიც, ორივენი, ჩემს თვალწინ არ დაიზარდენით?

ჯ ე მ ა ლ ი—(გული ეტკინა) შენ ჩვენს დაზრდას თავი გაანებე! ეხლა, აი ამ ათიოდე წელიწადში ხშირად შეგხვედრია?

მ ი რ ზ ა—ხშირად რასა ჰქვიან? როცა კი ზღვაში არ იყო, მუდამ და ყოველ-თვისა ვხედავდი...

ჯ ე მ ა ლ ი—მაშ, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, შეიძლება მას ბეჟან აღა მოეკლა?

მ ი რ ზ ა—ალლაჰის მადლმა, ჩემი სიყმის მზემ, იმ ზღვის დაშრობას უფრო დავიჯერებ!

ჯ ე მ ა ლ ი—(უმადურად) წადი, არაფრის მაქნისია შენი პასუხი!

მ ი რ ზ ა—(გაოცებული) რა ვქნა, ალლაჰს ტყუილად რომ ვერ დავიფიცავ?

ჯ ე მ ა ლ ი—(თითქმის მუდარით) წადი მეთქი, გამშორდი, თუ ღმერთი გწამს (მ ი რ ზ ა მხრების ჩეჩვით გადის) ნეტავი ამ ბებერ მელიას მაინც ასე არ ეთქვა! სუყველა რომ ეგრე ამბობს, ლამის ამიტომ გამისქდეს გული!.. (ცვლაე იატაკს მიაჩერდა. მისაღები ოთახის კარი ხ ო ჯ ა ს ულ ე ი მ ა ნ მ ა შემოაღო.. მას თავი თეთრი მიტკლით აქვს შეხვეული).

მ ი რ ზ ა—მექადან ხომ არ ჩამოსულხარ, ეგ თავი წმიდანივით რომ ახალი დოლბანდით შეგიმოსია?!

ხ ო ჯ ა ს.—დახმარების მაგიერად დამცინი კიდეც?

მ ი რ ზ ა—ჩემი დასახმარები ალლაჰმა ნურაფერი შეგახვედროს...

ხ ო ჯ ა ს.—რაღა ნურაფერი! ბაირამის ღამე მეჩეთის მაგივრად პოლიციაში მათევინეთ... გუშინ დილას, როგორც იყო, გამიშვით და ნეტავ შინ სულაც არ მივსულიყავი... იმ ლაწირაკმა—ბეჟან აღას შეგირდმა შურ-დულით კარ-ფანჯარა ჩამიმტვრია, ორი ქვაც თავში დამცა, თანაც მომ-ძახოდა: ბეჟან აღა შენ მოჰკალიო... სულ ერთია, ცოცხალს არ გა-გიშვებო!..

მ ი რ ზ ა—მერე აქ რა გინდოდა? პოლიციაში უნდა გამოგეცხადებინა!

ხ ო ჯ ა ს.—მე არაფერი ვიცი,—ყველაზე დიდი პოლიცია აქ არის... აქედანვე გიცხადებთ, თუ ამ მოკლე დროში რაიმე ამიტეხეს, იცოდეთ, ის ბიჭი იქნება, სხვა არავინ!

მ ი რ ზ ა—იმ ერთმა მტკაველმა ბიჭმა ეგრე როგორ დაგაშინა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოჯა ს.—შენ ერთი მტკაველი დაუძახე!.. გურჯები აკვანშივე გასაწყვეტნი ხართ,—რასაც იტყვით, კიდეც შეასრულებთ!.. (სწრაფად გავიდა).

ჯემალი—(იატაკს თვალს არ აშორებს. ხმამაღლა) მირზავ, რა იქენი?

მირზა—(უმალვე კარი შემოაღო) მე მეძახდით, ბატონო ჩემო?

ჯემალი—აქ მოდი... (საათს დახედა) საცაა შემოიყვანენ... ჩემზე უთქვამს,—თუ ის იქნება, ჩვენებას მოგცემთ, თუ არა და—არაო... მე მარტო მასთან ყოფნა არ შემიძლიან... თუ ღმერთი გწამს, აქედან ფეხი არ მოიცვალო!

მირზა—შენ გაიხარე, განა ყველაფერი გულთან ახლოს უნდა მიიტანო? ჩვენ—გურჯებმა ვიცით ასეთი მეგობრობა, თორემ...

ჯემალი—(თითქო გულში რაღაც ჩასწყდა) რამდენჯერ უნდა გთხოვო, მაგ ოხერ მეგობრობას ნუღარ ახსენებ! თხუთმეტი წელიწადია კაცი არ მინახავს და პირველი შეხვედრისთანავე ჩემს მოსახვევნად გამოწვდილი ხელები თოკით შევუკარი... ამაზე უკეთესი მეგობრობა განა კიდევ შეიძლება?! (გამწარებული დადის ოთახში. თოფიანმა დარაჯმა კარი შემოაღო. ჯემალი მაშინვე მაგიდასთან დაჯდა. მეორე თოფიანმა დარაჯმა შუქრი შემოიყვანა. ჯემალი ცდილობს, შუქრის თვალი აარიდოს. მღელვარების დასაფარავად ძლიერ ნელა ლაპარაკობს). ბრალდებულო ჯაფარ ოღლუ, მისი აღმატებულების ბატონ მინისტრის პირადი განკარგულებით, საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ხვალ უკვე შესდგება სასამართლო... წინასწარი გამოძიებით და ყველა იმ საბუთით, რაც ჩვენს ხელთ არის, შენს მიმართ წაყენებული ბრალდება სავსებით დასტურდება... შეგიძლია კიდევ რაიმე დაუმატო გამომძიებლისათვის მიცემულ ჩვენებას? (შუქრი ჯემალს თვალმოუშორებლად მისჩერებია. ხანგრძლივი დუმილი). ბრალდებულო ჯაფარ ოღლუ, შენ გეკითხები!

შუქრი—(თავს ძლივს იმორჩილებს) არ მახსოვს, გამომძიებელს რა ვუთხარი... ვის რა ვუთხარი... ან ეხლა რა გითხრათ? რა საბუთი მოგიტანოთ? საიდან მოგიტანოთ? ღმერთი არა გაქვთ?! ეს რამ გაფიქრებინათ, რო მე ბეჟან აღა მოვკალი? ჩემი თვალის ამხელი, ჩემი დამკაცებელი მოვკალი?

ჯემალი—(უჯრიდან აზარფეშა ამოიღო). მაშ ეს აზარფეშა შენს ოჯახში საიდან გაჩნდა, ვინ მოიტანა?

შუქრი—რა ვქნა... არ ვიცი... ვერაფერს გეტყვით...

ჯემალი—მაშ, არც ის იცი?.. იმ ღამეს, რა ღამესაც მკვლელობა მოხდა, ესე იგი,—ბაირამის ღამეს, სად იყავი? (შუქრის ეტყობა, თქმა ეძნელება. ჯემალი ცდილობს დაეხმაროს). აბა გაიხსენე; იქნება ზღვაზე იყავი?

შუქრი—არა, ზღვაზე არ ვყოფილვარ...

ჯემალი—ბაირამის ღამე იყო, იქნებ დაჰთვერი და აღარ გახსოვს ვისთანაც ქეიფობდი?

შუქრი—არც ზღვაზე ვყოფილვარ, არც ამხანაგ-ნათესავთან, არც მიქეიფნია სადმე... იმას კი ვერ გეტყვით, სად ვიყავი, ვისთან ვიყავი... მაგრამ რა დავიფიცო,—აი ამ დღის სინათლის მადლმა, ბეჟან აღას მკვლელი შე არა ვარ... კაცის მკვლელი არ ვარ!

ჯ ე მ ა ლ ი—(ნაძალადევი გულცივობით) ბრალდებულო ჯაფარ ოღლუ, ფიცი საქმეს ვერ უშველის... რადგან ვერაფერს ამბობ,—ეს აზარფეშა საიდან და როგორ გაჩხდა შენს ოჯახში; არც იმის დასახელება შეგიძლია—სად და ვისთან იყავი მკვლელობის ღამეს, ამიტომ ჩვენ დადასტურებულად მიგვაჩნია, რომ ბეჟან აღას მკვლელი ნამდვილად შენა ხარ... გთხოვ, საბრალმდებლო აქტის მიღებაზე აი აქ, ამ ადგილას მოაწერო ხელი... (ქაღალდზე აჩვენებს).

შ უ ქ რ ი—(მღელვარებას ველარ უძლებს) მაშ ასე? კიდევ უფრო დიდი კაცი გინდა გახდე? (წელში გაიმართა). გინდა და,—აჰა, გიხაროდეს,—მე ვარ ბეჟან აღას მკვლელი! აქ მომეცი ეგ საბრალმდებლო აქტი, ხელს მოვაწერ... რატომაც არ მოვაწერ? (ქაღალდების მთელი დასტა მოხვეტა, ნაკუწ-ნაკუწ აქცია, ნახევები იატაკზე გადაყარა). მოვაწერ, - მხოლოდ ისე არა, როგორც თქვენ გინდათ... რას შემომცქერით? დასწერეთ, ხელმეორედ დასწერეთ!.. დასწერეთ, რომ ბეჟან-აღა მე მოვკალი, მხოლოდ არა გაძარცვის მიზნით... მე სხვისი ქონების მტაცებელი და ქურდბაცაცა არასოდეს არა ვყოფილვარ! მე მოვკალ ბეჟან აღა, რადგან მას სძულდა ოსმალეთი! (გაოცებული ჯ ე მ ა ლ ი თვალებში მისჩერებია, შემინებული მ ი რ ზ ა კედელს ეყუდება). იგი საქართველოზე ოცნებობდა, თავისუფლებაზე ოცნებობდა და ამიტომ მოვკალი!. იცი, რატომ მოვკალი? მან შენს ძმას, პატარა გოგიჩას ქართული წერა-კითხვა ასწავლა... გახსოვს, მე და შენაც გვასწავლიდა ბავშვობაში და ამიტომ მოვკალი!.. თქვენ ზიარეთს ანგრევდით, რომ მისი ქართული წარწერები და ჩუქურთმები მუზეუმში გადაგეტანათ. ბეჟან-აღამ შეიტყო, რომ თქვენ ზიარეთის ქვები ღამით, ქურდულად შავს ზღვაში ჩასძირეთ,—აი რატომ მოვკალი!.. რაღას უყურებთ? დასწერეთ! ხომ ხედავთ თქვენი საქმე მიკეთებია და თქვენ კი, უმადურნო, იმის მაგიერ, რომ ჩემთვის ჯილდო მოგეცათ,—მასამართლებთ?

(მწარედ იცინის).

ჯ ე მ ა ლ ი — (აღელვებული დ ა რ ა ჯ ე ბ ს ა და მ ი რ ზ ა ს) ცოტახანს დამტოვეთ! (დ ა რ ა ჯ ე ბ ი და მ ი რ ზ ა გავიდნენ. ჯ ე მ ა ლ ი ზურგით მიეყუდა კარს და ერთბაშად, აქამდე შეუმჩნეველად მღელვარება დაეტყო ხმაში) შუქრი, ბიჭო... თავს რაზე იღუპავ?

შ უ ქ რ ი—ასე ტკბილად ნუ მელაპარაკები, მეტს მაინც არაფერს გეტყვი!

ჯ ე მ ა ლ ი—არ ვიცი, შუქრი, რით დაგაჯერო?.. კაცობას გეფიცები...

შ უ ქ რ ი—(ზიზღით) რომელ კაცობას?.. შენი ერთად-ერთი და,—გაიანე ჩინმენდლებზე რომ გაგაყიდვინა? ან იქნებ იმ კაცობას მეფიცები, რამაც ჩვენი ხალხის ის წმიდა სალოცავი ნაცარტუტად გაქცევინა?

ჯ ე მ ა ლ ი—შუქრი, გამიგონე... მე შენთან ეხლა როგორც შენი ძველი მეგობარი ვარ და არა როგორც გამომძიებელი!..

შ უ ქ რ ი—(თვალებანთებული) ჯერ ხელები შემიკარი და მერე მეგობრობას მეფიცები?.. ფუ მაგ კაცობას!

(შუქრის ყვირილზე მ ი რ ზ ა შემოვიდა).

ჯ ე მ ა ლ ი—(მღელვარებისაგან სიტყვა ვერ ოპოვნია. მ ი რ ზ ა ს ცერად შეავლო თვალი, შეუტია) შენ ვინ დაგიძახა? (მ ი რ ზ ა მაშინვე გაბრუნდა. ჯ ე მ ა ლ ი ერთბაშად მოეშვა, ხმა შეეცვალა). მოიცა, მირზავ!.. (შ უ ქ რ ი ზ ე უთითებს). წაიყვანეთ!.. (დ ა რ ა ჯ ე ბ ი შემოვიდნენ).

შ უ ქ რ ი—(დაცინვით) რამ შეგაშინა? რაც გითხარი ამ კედლებს იქით არ გავა... ან ეს სასამართლოს თამაშა რაში დაგჭირდათ? გურჯი! [illegible] სასამართლის ღირსია? აიღეთ და უბრალოდ მომკალით, გაქცევას—[illegible] თქო... ყაჩაღისა და მძარცველის შესახებ ვინ არ დაგიჯერებთ?

ჯ ე მ ა ლ ი—(დ ა რ ა ჯ ე ბ ს). წაიყვანეთ? (შ უ ქ რ ი მიჰყავთ. მირზაქ იატაკზე გაბნეული ქაღალდები მოკრიფა და შეუმჩნევლად გავიდა. ჯემალი უძრავად დგას). ზიარეთის ქვები ღამით, ქურდულად შავს ზღვაში ჩასძირეთო?! (აქეთ-იქით მიიხედა) მირზავ!

მ ი რ ზ ა—(უმალვე შემოვიდა). მე მეძახით, ბატონო ჩემო?

ჯ ე მ ა ლ ი—შენ მაინც მითხარი, ეს რა მოხდა? ვერაფერი გამიგია...

მ ი რ ზ ა—კაცს, დღეს არა, ხვალ, სიკვდილი ელის... ხომ ხედავთ, ჭკუაზე აღარ არის?

ჯ ე მ ა ლ ი—სისულელესა როშავ!..

მ ი რ ზ ა—ბატონო ჩემო...

ჯ ე მ ა ლ ი—(შეუყვირა) მომშორდი თავიდან! (მ ი რ ზ ა ფეხაკრეფით გავიდა). იგი საქართველოზე ოცნებობდა... თავისუფლებაზე ოცნებობდა... ამიტომ მოვკალიო... (სავარძელში მოწყვეტილი ჩაეშვა). არა, არამც და არამც შუქრი არ არის ბეჟან აღას მკვლელი!.. მაგრამ ის წყეული აზარფეშა?

ფ ა რ დ ა.

—.—

სურათი მერვე

სანახაობა იგივე, რაც მეშვიდე სურათში. ფარდის ახდისას ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი თავის კაბინეთში უგუნებოდ ბოლთასა სცემს. მაჯის საათზე მალიმალ იხედება. მან ფანჯარა გამოაღო. ზიარეთის ნანგრევებს გახედა, ღელავს.

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(საათს დახედა) რა დაემართათ? (ზარი დარეკა, მ ი რ ზ ა შემოვიდა) რატომ აგვიანებენ, შენ ხომ არაფერი შეგიტყვია?

მ ი რ ზ ა—არაფერი, თქვენო აღმატებულებავ!.. რა ვიცი, აქამდე უნდა აეფეთქებინათ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—არც ჩემი მოადგილე მოსულა?.. აქამდის უნდა დაერეკნა,—იქნებ იმან მაინც შეიტყო რამე!

მ ი რ ზ ა—ჯერ არა გხლებიათ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—წადი, მეტი არაფერი! (ფანჯარა მიხურა. მ ი რ ზ ა გავიდა) საოცარია, თორმეტი დაიწყო, ამდენი რად დაიგვიანეს?.. (მაგიდასთან მივიდა, ტელეფონის მილი აიღო) მშინებლობის პირველი უბანი! (გ ა ი ა ნ ე მ მოულოდნელად კარი შემოაღო. ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ მ ა მილი მაგიდაზე დააგდო, მას მიეგება) როგორ მოულოდნელად გამახარე? (ორივე ხელი დაუჭირა) ამდენ ხანს სად იყავ, რომ ასე მომანატრე თავი?

გ ა ი ა ნ ე—(ნაზად, ნაძალადევი ღიმილით) ჩემი მეგობარი რუსუდანი გახსოვთ? იმასთან ვქსოვდით, ჩემი მზითვის ხალიჩა მოვათავეთ... ახლა

კიდევ კაბა-გულისპირი, მერე ის თქვენი სტამბოლიდან ჩამოყვანილი შაშან ხანუმ... თანაც აქ მოსვლისა მერიდებოდა...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(თვალებში ჩასცქერის, ფანჯარასთან ნაბიჯებზე მიიყვანა) მგონი თვალი არ მატყუებს, ჩემს მთვარეს უჩინარი რამ ღრუბელი მოჰფენია.

გ ა ი ა ნ ე—(უფრო ნაზად) თქვენი ყურადღება მარწმუნებს, რომ თქვენი გულიც ისევე კარგად ხედავს, როგორც თქვენი თვალი!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(საკოცნელად ელამუნება). გურჯი ქალის სინაზე ბევრ გამოჩენილ ოსმალოს თავის სიცოცხლეში ნექტარივით უსვამს... რამდენი მრისხანე სულთანისა და ვეზირის გული გაუთბია მისი თვალების ჯადოსნურ ელვას,—მე კი ჯერ მხოლოდ შორი-ახლოს ვტკბები მისი მათრობელა ეშხით!..

(თავისკენ მიიზიდა).

გ ა ი ა ნ ე—(მაცდური ღიმილით) გურჯი ქალის სიყვარულმა ადვილად იცის საწამლავად ქცევა, როდესაც გულით კი არა, ენით დაუწყებენ ლაპარაკს...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ენას როგორ შეუძლიან იმისი გამოთქმა, რასაც გული ეუბნება! (კვლავ მიიზიდა). შენ ხომ ამიერიდან ჩემი ხარ!

გ ა ი ა ნ ე—(განზე გაიწია). მხოლოდ ქორწინების შემდეგ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს დღეც შორს არ არის... რადგან გურჯების სიძე გავხდი, მინდა ქორწილიც თქვენი წესის მიხედვით გადავიხადო ზიარეთში...

გ ა ი ა ნ ე—ზიარეთში? ზიარეთობა ხომ ხვალ არის!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—და შენც, ჩემო კოკობო, ხვალიდან პატარძალი ხარ!

გ ა ი ა ნ ე—გურჯები პატარძალს დედოფალსაც ეძახიან, რადგან იგი, რასაც ისურვებს, იმ დღეს ყველაფერი უნდა შეუსრულონ...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(მოხიბლული) რატომ მხოლოდ იმ დღეს? მერეც... მუდამ და ყოველთვის... როდესაც და რასაც კი ჩემი მზეთუნახავი ისურვებს!..

გ ა ი ა ნ ე—მართალს ამბობთ?

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ჩემს დედოფალს რომ ტყუილი ვუთხრა, მართალი ვისთვის შევინახო?

გ ა ი ა ნ ე—აბა დაიფიცეთ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ჩემი სიტყვა და ფიცი...

გ ა ი ა ნ ე—არა, დაიფიცეთ, მე დამიფიცეთ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ჩემს მზეს ვეფიცები...

გ ა ი ა ნ ე—მაშ, მე ერთი რამ მინდა გთხოვოთ... მხოლოდ ერთი რამ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მზად ვარ, ისეთი რა იქნება, შენთვის გამიძნელდეს?!

გ ა ი ა ნ ე—მე მინდა ჩემი ბედნიერების დღეს არავინ იყოს უბედური!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—როდესაც ლამაზ ქალს გულიც კეთილი აქვს, რარიგ წარმტაცია და მომხიბვლელი!

გ ა ი ა ნ ე—მინდა ჩვენი ბედნიერება არავინ დასწყევლოს და ის დღე ყველას კეთილად გაუთენდეს!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მაგდენი რომ შემეძლოს, ქვეყნის მპყრობელი ვიქნებოდი!

გ ა ი ა ნ ე—იმდენი ხომ შეგიძლიანთ, ხვალ, ზეგ... ზიარეთში სიკვდილის განაჩენი არავის გამოუტანონ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(გატაცებული) შენი გულისთვის არაფერია შეუძლებელი... სიტყვას გაძლევ!

(ყარი მოულოდნელად ჯ ო ნ რ ა ი ტ მ ა შემოაღო).

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ბოდიში დაუკითხავად შეძველი!..

(ეტყობა ეჩქარება).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ა მ ე რ ი კ ე ლ ს მიეგება) როგორ გეკადრებათ?

გ ა ი ა ნ ე—(თავისთვის) სიყვარულს თურმე ზოგჯერ სიძულვილიც გადაარჩენს...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(რ ა ი ტ ს) მობრძანდით, ჩემი კარი თქვენთვის მუდამ და ყოველთვის ღია გახლავთ! (გ ა ი ა ნ ე წარუდგინა) ვერ იცანით?

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—როგორ ვერა. ბატონ სადაყის მეუღლეს ჩემი უმდაბლესი სალამი! (ხელზე კოცნა დაუპირა. შემკრთალმა ქალმა არ დაანება. ა მ ე რ ი კ ე ლ ი სახტად დარჩა. ეტყობა ძალიან ეწყინა).

გ ა ი ა ნ ე—(ორივეს ღირსებით დაუკრა თავი). ეხლა დაგტოვებთ, თქვენ საქმე გაქვთ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ჩვენ მალე გავათავებთ... შორს მიდიხარ?

გ ა ი ა ნ ე—მკერავთან... სულ მალე დავბრუნდები!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(რ ა ი ტ ს) ბოდიში... მე მხოლოდ ერთი წუთით!..

(გ ა ი ა ნ ე გააცილა).

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—(მიმავალთ ცერად გააყოლა თვალი) ჩვენ ამ ხალხში კულტურა, ცივილიზაცია შეგვაქვსო... თქვენ ამ ხალხში ცხვრის ქონისა და მკბენარის მეტი არაფერი შეგაქვთ! დიახ!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(კარებიდანვე) ბოდიში, ბატონო ჯონ, ორმაგი ბოდიში! რაღაც უგუნებოდ მეჩვენებით... (საათს დახედა) აფეთქება რატომ დაგვიანდა?

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—მეც სწორედ ამიტომ გეახელით... რა ხალხი ყოფილა ეს გურჯები!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(თვალებში შესცქერის). როგორ?.. ხომ არაფერი გაწყენინეს?

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ჩვენთვის, ამერიკელებისთვის ყველაზე საწყენი ის არის, როდესაც უწესოების გამო საქმე ბრკოლდება...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ელაქუცება) როგორა ვწუხვარ, ბატონო რაიტ... ასე უგუნებოდ არასოდეს მინახვიხართ!..

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—უგუნებოდ კი არა... თქვენო აღმატებულებავ, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! ყველაფერი უკვე მზად იყო, ოთხივე ბურჯის საძირკველში ოც-ოცი კილო ტოლი ჩავდეთ და კაცი უკვე გავგზავნე ცეცხლის მისაცემად, რომ უეცრად, სამას-ოთხასი დედაკაცი ნანგრევებზე ამოცვივდა... სანამ რაიმე ზომებს მივიღებდი, ისინი უკვე შეეფინენ ნანგრევებს და კედლების ძირებში ჩაწვნენ... პირველად ვერ გავიგე, რა უნდოდათ. ასაფეთქებლად გაგზავნილი კაცი გავაჩერე და ქალებს ვაცნობე, დაუყონებლივ გასცლოდნენ იქაურობას, ნანგრევებს ვაფეთქებ-მეთქი. იცით, რა შემომითვალეს? ჩვენც ამ კედლებთან ერთად აგვაფეთქეთო!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რატომ მუშები არ დაიხმარეთ?.. მაშინვე უნდა აგეყარათ იქიდან!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—რის მუშები? თვითონ პოლიციამ ვერაფერი გააწყო!.. ხუმრობა ხომ არ გგონიათ ოთხასი დედაკაცი? როგორც მითხრეს, იმ ქვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაში ჩაყრის ამბავი შეუტყვიათ... ასე გაიძახიან, რაც დაანგრიეთ, იგმარეთ, რაც დარჩა, ეს მაინც დაგვანებეთო!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეხლაც იქ არიან?

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—იქ არიან კი არა, ხალხი ყოველი წუთით მატულობს... ვიფიქრე, ან სიმშილი შეაწუხებთ, ან წყურვილი-მეთქი... წყალსა და საჭმელს ბავშვები უზიდავენ, თვითონ ფეხს არ იცვლიან... დადუმებულნი წვანან იმ ხანგრეულებში... ახლა კიდევ ხვალ თურმე მათი დღესასწაულიცა ყოფილა!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ბოდიში, ბატონო ჯონ... ჩვენი გულისათვის ამდენი უსიამოვნება შეგხვდათ!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—ჩემი უსიამოვნება არაფერი... აქ უფრო სხვა დიდი უსიამოვნებაა მოსალოდნელი. ეს ამბავი ხვალ შეიძლება თქვენს მეზობელ ქვეყანაში,—საბჭოების ქვეყანაში შეიტყონ და მერე ჩემი უსიამოვნება, ადვილად შესაძლებელია, საერთაშორისო უსიამოვნებად იქცეს!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მართალსა ბრძანებთ, ბატონო ჯონ, მართალს...

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—თქვენ ისიც გაითვალისწინეთ, ამ ამბებს თვით რესპუბლიკაში,—შიგნით, რა შეიძლება მოჰყვეს!.. ქვეყნის არევას განა ბევრი რამ უნდა? მერე ისიც კომუნისტების მეზობელ ქვეყანაში! საკმარისია ხალხს ერთი ასეთი ტალღა კიდევ... მერე ზიარეთს პლატანა მიჰყვება, პლატანას—ტრაპიზონი და ესაც თქვენი რევოლუცია! ამერიკელებს ამიტომ გვეჯავრება ქუჩა... ჩვენ ფართო დემოკრატიის მომხრენი ვართ, პიროვნების თავისუფლებას პატივსა ვცემთ, მაგრამ ორი კაცის თავისუფლება ერთად უკვე, ღმერთმა დაიფაროს!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რასაკვირველია, ხალხი—ბრბოა!

ჯ ო ნ რ ა ი ტ ი—დღევანდელ აქაურ ამბებსაც ვაშინგტონში, ცხადია, სხვაგვარად ვერ შეაფასებენ, ამიტომ თქვენ მიერ მიღებული ზომები ძირშივე უნდა სპობდნენ შემდეგში ამგვარი ამბების განმეორების შესაძლებლობას!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რა თქმა უნდა?.. (ბოლთა დაჰკრა). მხოლოდ ერთმა შეცდომამ, ერთმა სულელურმა შემთხვევამ ჩაგვიფუშა ასე ბრწყინვალედ შემუშავებული გეგმა!.. საკმარისი იყო ის გურჯი მეზღვაური იქვე მოეკლათ და, ყველაფერი რიგზე იყო!.. (ზარი დარეკა. მ ი რ ზ ა უმალვე გაჩნდა) შენ ეს მითხარი, ზიარეთობა დღეს საღამოს იწყება, თუ ხვალ საღამოს?

მ ი რ ზ ა—დღეს საღამოს, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—გურჯების წესით ქორწინება დღეს უნდა მოხდეს თუ ხვალ?

მ ი რ ზ ა—ხვალ, თქვენო აღმატებულებავ!

(ჯ ო ნ რ ა ი ტ ი გაოცებული შესცქერის ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ს)

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეხლავე წადი და ბაზრის უფროსს გადაეცი, ხვალ დილით ზიარეთში ჩემს ხარჯზე ორი ძროხა და თორმეტი ცხვარი დაკლას... მთელს აქაურ გურჯობას ჩემს ქორწილში ვპატიჟებ... პირადად შენ გავალებ, დღესვე ჩამოუარო ყველას... არც ერთი კომლი, არც ერთი კაცი არ დაგრჩეს უთქმელი, თორემ!..

(ჯ ო ნ რ ა ი ტ ი მხრებს იჩეჩავს, მისი ლაპარაკი არ მოსწონს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა—თქვენ კი გაიხარეთ, ხვალ რომელი გურჯი დარჩება ზარეთს წაუსვლელი?.. ახლა კიდევ თქვენს მიპატიჟებას შეიტყობენ, და ბერმანიცა და კუტებიც კი მოუსვლელნი არ დარჩებიან!

აბდულ სადაყი—არა, ეგრე ზეპირად საქმის კეთება მე არ მიყვარს... ხვალისათვის არც ერთი კაცი არ უნდა გამომრჩეს... წადი, მემანქანეს უთხარი, ეხლავე ძეკომურთა დავთარი აიღოს და გურჯების ზუსტი სია ამომიბეჭდოს... (მირზა მიდის). მოიცა! არც ერთი კომლი... არც ერთი კაცი არ დააკლოს, ხომ გესმის?.. არავინ!..

მირზა—თქვენი სიტყვა და კანონი ერთია, თქვენო აღმატებულებავ!
(მისაღებ ოთახში გავიდა, შემდეგ გარეთ).

აბდულ სადაყი—(ჯონ რაიტთან ახლოს მივიდა, ნახევარი ხმით ეუბნება). როდესაც მაყრები და ნათესავები პატარძალს მოიყვანენ, საერთო სახალხო ღრეობა დაიწყება და ლხინში ჩაბმული გურჯები ვერაფერს შეიტყობენ, ასკერთა ორი ასეული გარს ისე შემოერტყმის მათ!.

ჯონ რაიტი—(კმაყოფილი) ხალხის აყრა?.. საოცარია, თითქოს ერთად მოგვეფიქრებინოს!.. მაშ, ანკარას ახლავე უნდა აცნობოთ!..

აბდულ სადაყი—რაღაზე შევაწუხო? მისმა აღმატებულებამ პირველსავე დღიდან მოქმედების სრული თავისუფლება მომცა!

ჯონ რაიტი—მით უკეთესი! დიდი სახელმწიფო მოღვაწის შესაფერი გადაწყვეტილებაა!.. (ერთბაშად) მაგრამ თქვენი მეუღლე? მოადგილე?.. მათი ოჯახი? ვინ იცის რამდენი მახლობელი და ნათესავი ჰყავთ?

აბდულ სადაყი—(იცინის) ოსმალური ანდაზაა,—როდესაც გემი დაიღუპება, ვისაც ნაპირზე ცოცხლად გამორიყავს, ის ზღვაში დაღუპულებს აღარა სტირისო...

ჯონ რაიტი—ნამდვილი ოსმალური სიბრძნეა!.. ოო, ჩინებული გადაწყვეტილებაა!.. ჩემთვის მხოლოდ ეხლა გახდა ნათელი, რამოდენა შეცდომას ვუშვებდით... ჩვენ ერთ საბუთს რომ ვსპობდით, მეორე საბუთს ვუტოვებდით კომუნისტებს!.. ვთქვათ — იმ ნანგრევებს მოვშლიდით, ახლა სხვა ნანგრევები აღმოჩნდებოდა! აქ ხომ რამდენი ციხეცა და ხიდიც არის, ყველა თამარის ციხე და ხიდია!.. ეს ციხეებიც ყველა რომ მოგვესპო,—თვითონ ხალხი? მისი ზნე-ჩვეულება? დედა-ენა?! რასაც ხუთი საუკუნე ვერ მოერია, ჩვენ ასე ერთის დაკვრით როგორ მოვშლიდით?

აბდულ სადაყი—რა თქმა უნდა?

ჯონ რაიტი—ოღონდ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ... ეს აყრილი ხალხი, შიგნით—ოსმალეთში ნაცარივით უნდა გაბნიოთ!

აბდულ სადაყი—რა თქმა უნდა? ჩვენი აზრი მუდამ შეწყობილია, ბატონო ჯონ!

ჯონ რაიტი—(ქუდი და პორთფელი აიღო. მიდის) მაშ ასე... ხვალ ვნახავთ გურჯებმა როგორი ქორწილი იციან... ხვალამდის!
(მისაღებ ოთახში ს. პ. უფროსი შემოვიდა, აბდულ სადაყთან შესვლა დააპირა, მაგრამ ლაპარაკი რომ შემოესმა, კარებში შესდგა).

აბდულ სადაყი—(კარებამდე მიაცილა) ხვალამდის, ბატონო ჩემო!

ს. პ. უფროსი—(ლაპარაკის ხმა რომ მისწყდა, მაშინვე შევიდა) ნება მომეცით, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი—როდესაც მარტონი ვართ, მაგ ბოდიშებს თავი გაანებე!

ჯ ე მ ა ლ ი—(თავისი სამუშაო ოთახის კარი შემოაღო. ეტყობა დაღლილია. საკარძელში მოწყვეტილი დაეშვა) ის დღე დასწყევლოს, რომ დღესაც ზიარეთში ჩემი დანიშვნის ამბავი მახარეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქალალდებს ფურცლავს).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—(პაკეთი ამოიღო) დღეს იმ მეზღვაურის საქმეზე სასამართლომ განაჩენი, უნდა გამოიტანოს, სასჯელის უმაღლეს ზომას თქვენი დასტური სჭირდება!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(შეყოყმანდა) უმაღლეს ზომას? (რალაც გაახსენდა). რანი არიან ეს ქალები!.. (ოთახში დადის, ერთბაშად შესდგა). დღეს იძულებული გავხდი, ფიცი მიმეცა, რომ ზიარეთობის დღეებში სიკვდილით არავის დაესჯიდით... (მისაღებ ოთახში გ ა ი ა ნ ე შემოვიდა. ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ თ ა ნ შესვლა დააპირა, მაგრამ მისმა უკანასკნელმა სიტყვამ შეაჩერა). ეხლა ამ ფიცის გატეხა მე არ შემიძლიან!.. (გ ა ი ა ნ ე კედელს აეკრა, სმენად იქცა).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—მაშ, ეს საქმე მე მომანდეთ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—შენ? მერე შენ რას იზამ?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—დღეს, ნაშუალამევს, ციხის კარს ღიად დავტოვებ...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მერე!

(გ ა ი ა ნ ე სულგანაბული უსმენს).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—გურჯს თავისუფლება უყვარს... ციხის კარებს ღიას დაინახავს და ციხეში დარჩება?

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მერე?

(გაიანე სულგანაბული უსმენს).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—ჩემი ხალხიც იქვე იქნება ჩასაფრებული!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—და გაქცევის დროს მოჰკლავენ, არა? ყოჩაღ, გატყობ, ძოკლე ხანში მაიორის ხარისხი არ აგცდება!..

(ელდანაცემი გ ა ი ა ნ ე კედელს ეკვრის).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—მადლობა მერე... მაშ ასე... ამაღამ?..

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—დიახ, თქვენო აღმატებულებავ... ნაშუალამევს, ციხის საათი სამჯერ რომ დაჰკრავს!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—შეუდექი... ეს საქმე შენთვის მომინდვია!.. (ს. პ. უ ფ რ ო ს მ ა წასვლა დააპირა). მოიცა! (საუბარს განაგრძობენ).

ა ი ა ნ ე—(კედელს მოსწყდა, ოთახს უმწეოდ მოავლო თვალი). ციხის საათი სამჯერ რომ დაჰკრავსო?.. ღმერთო! (ჯ ე მ ა ლ ი ს ოთახის კარისაკენ გაეშურა, დაურიდებლად შეაღო) ჯემალ... ძმაო... მიშველე!.. (მის წინ ჩაიჩოქა, მუხლებზე მოეხვია).

ფ ა რ დ ა

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეცხრე

მარცხნივ — საპატიმროს ძველებური, დაბალთაღებიანი საკანი. უკანა ბოლოში დატანებული აქვს ერთი ვიწრო, დარკინული სარკმელი და ერთიც კარი, რომელსაც პატარა საჭვრეტი აქვს. საკანში, მარჯვნივ — ქვის კიბე ადის, რასაც გვერდის კიბით სხვა ქვის კიბეზე გავყეფართ. ეს კიბე ციხის ეზოს უერთდება. ეზოს ძველებური გალავანი არტყია. გალავანს შუაში რკინის ალაყაფი აქვს დატანებული. ღამეა. საკანში მთვარის მკრთალი სინათლე ჩამოდის.

შ უ ქ რ ი—(რკინის საწოლზე ზის, იატაკს დასჩერებია). გაიანე შეიტყობდა, რომ სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს... ვინ იცის, თავის ძმას რამდენს ეძუდარა, სიცოცხლე შეენარჩუნებინა ჩემთვის!.. მან რა იცის, ცოცხლად ამ ქვის კუბოში ყოფნას რომ სიკვდილი მირჩევნია!.. (საწოლზე შედგა, სარკმელში დაიწყო ცქერა). ეს ზღვა მაინც არ იყოს ახლოს და მისი ტალღები ასე გაუთავებლად არა ხმაურობდნენ ამ დაყრუებულ საკანში!.. კოლხიდის სანაპიროდან მოიჩქარიან ისინი და ასე მგონია, სიყვარულით კოცნიან ზიარეთის ნაპირებს,—მაგრამ უპასუხოდ ბრუნდებიან უკანვე, რადგან ჩვენ—გურჯებს, ენაზედაც ბორკილი გვაქვს დადებული!.. ნეტავი ჩვენმა იქაურმა ძმებმა თუ იციან,—რა ძნელი ყოფილა, სამშობლოში იყო და სამშობლო არა გქონდეს!..

(რკინის ურდულმა გაიჟღრიალა, კარებში ჯ ე მ ა ლ ი გამოჩნდა).

ჯ ე მ ა ლ ი—შუქრი, გაიანემ ყველაფერი მითხრა, ყველაფერი... ჩემი დისა და ჩემი ოჯახის პატიოსნებისთვის შენ ამდენი წამება გადაიტანე!

შ უ ქ რ ი—რა გინდა ჩემგან? რატომ ეხლა მაინც არ დამეხსნები? გამოძიება ხომ დასრულდა, სასამართლოც... ალბათ შენი შემწეობით, განაჩენიც გამოტანილია, რომ ამ აკლდამაში ცოცხლად ვიყო დამარხული!..

ჯ ე მ ა ლ ი—ეხლა ლაპარაკის დრო არ არის... აქვე, ზღვის პირას ნავი გიცდის... აჰა, გასაღები!

შ უ ქ რ ი—რისი გასაღები?

ჯ ე მ ა ლ ი—დერეფნის კარი ღია დაგხვდება... ამით გვირაბის შესასვლელს გააღებ და პირდაპირ ზღვის პირას გახვალ.

შ უ ქ რ ი—ხალხმა არ დაგიჭერა, განა?.. და ეხლა ციხიდან გინდა გავიქცე, რომ ამით მაინც დაარწმუნო ქვეყანა,—რისთვის გარბოდა, თუ ნამდვილად მკვლელი არ იყოვო?.. არა, ამ კედლებში ჩალპობა მირჩევნია, ვიდრე გარეთ თავისუფლად ყოფნა და ბეჟან ალას მკვლელის სახელის ტარება!..

ჯ ე მ ა ლ ი—გასაღები გამომართვი-მეთქი... ხალხს მე ვეტყვი — რაც სათქმელია... ნულარ იგვიანებ, ნავთან გაიანე გიცდის!..

შ უ ქ რ ი—გაიანე?

ჯ ე მ ა ლ ი—ვიცოდი, არ დამიჯერებდი... აი საბუთი! (ჩაკუჭული მანდილი გაუწოდა).

შ უ ქ რ ი—ჩემი მანდილი! (მღელვარებამ სუნთქვა შეუგუბა). ჯემალ!

ჯ ე მ ა ლ ი—მოიცა, ჯერ ეს ბორკილი შეგხსნა!

(ბორკილის გახსნა დაუწყო).

შ უ ქ რ ი—ჯემალ, აბა თვალებში შემომხედე!

ჯ ე მ ა ლ ი—კიდევ არა გჯერა? ახია ჩემზე!

(ბორკილი იატაკზე გადააგდო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ ქ რ ი—ნუთუ ეს ყველაფერი მართალია?

ჯ ე მ ა ლ ი—სამშვიდობოს რომ გახვალ, ყველაფერს მაშინ გაიგებ...

შ უ ქ რ ი—ძმაო ჯემალ, მაპატიე!..

ჯ ე მ ა ლ ი—რა დროს ეგ არის? შენ ეს მითხარი, იმ ღამეს, როცა ზიარეთის ქვები ზღვაში ჩაჰყარეს, მცველებიდან ვინმე იცანი?

შ უ ქ რ ი—ვერავინ! სულ უცნობები იყვნენ!..

ჯ ე მ ა ლ ი—ძაღლები!.. თვალი როგორ ამიხვიეს!.. რა უნამუსოდ მომატყუეს!.. (საათს დახედა, აჩქარდა) ჩქარა, შუქრი... (არ უნდა ყველაფერი გააგებინოს, თანაც ეშურება). სანამ ციხის საათი სამჯერ დაჰკრავს, თორემ მერე... მერე დარაჯები შეიცვლებიან, გვიანღა იქნება!

შ უ ქ რ ი—მაშ, წავიდეთ!

ჯ ე მ ა ლ ი—მე... არა... ამ გზით მხოლოდ ერთი კაცის გასვლა შეიძლება... აჰა გასაღები!

შ უ ქ რ ი—შენა?

ჯ ე მ ა ლ ი—მე... შემდეგ წამოვალ!

შ უ ქ რ ი—ჯემალ, შენ რაღაცას მიმალავ?!

ჯ ე მ ა ლ ი—რას უნდა გიმალავდე?

შ უ ქ რ ი—რა ვიცი, ასე მომეჩვენა...

ჯ ე მ ა ლ ი—(სიყვარულით) წადი... წადი, ნულარ იგვიანებ... რაც შენი თვალითა ნახე,—იქ, საქართველოში უნდა გააგებინო!

შ უ ქ რ ი—ჯემალ...

ჯ ე მ ა ლ ი—(საათს დახედა) ჩქარა, მეთქი... საცაა ციხის საათი დაჰკრავს... გაიანეს გაუფრთხილდი... რომ იცოდე, რა კარგი ქალია... როგორ უყვარხარ!

შ უ ქ რ ი—მივდივარ... გახსოვს? იმ სულით განათლებულმა ბეჟან ალამ ერთხელ რა გვითხრა! შენ ჯაფარ ოღლუ კი არა, ჯაფარიძე ხარ... შენ კიდევ—თურმანიძეო... ჯემალ, ძმაო... ჩვენ ქართველები ვართ!

(გადაეხვია).

ჯ ე მ ა ლ ი—მშვიდობით!

შ უ ქ რ ი—მშვიდობით!

(ერთბაშად მოსწყდა კიბე აირბინა... შემდეგ მისი ჩრდილი გარეთ კიბეზე გამოჩნდა, სიბნელეს შეერია).

ჯ ე მ ა ლ ი—(საწოლზე შედგა, სარკმელში გაიხედა) გზა მშვიდობისა, შუქრი! ნეტავი შემეძლოს—მთელი ოსმალეთის გურჯობა შენს გზაზე დამეყენებინა!.. (ძირს ჩამოვიდა, საათს დახედა). ცოტაც და ციხის საათი სამჯერ დაჰკრავს. რა კარგი იქნებოდა, ჯერ იმასთან,—აბდულ საღაყთან გამესწორებინა ანგარიში!.. (პალტო შეიბნია, ქუდი გაისწორა, ერთბაშად კარები მიხურა და ზურგით მიეყუდა, თითქოს ეშინიან ვინმე არ შემოვიდესო. ციხის საათმა სამჯერ დაჰკრა). ერთი... ორი... სამი!.. (კარს მოსცილდა) აი თენდება ზიარეთობის დილა... როგორ მიხაროდა ამ დღის გათენება ბავშვობაში!.. ნუთუ იგი უკანასკნელია ჩემთვის?..

(კარი გამოაღო და ნელი, მტკიცე ნაბიჯით კიბეზე ავიდა, სიბნელეს მიეფარა. ეზოში, ქვის კიბის ძირას ორი ლანდი გამოჩნდა).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—სხვა გზა აქ არ არის,—ამ კიბეზე უნდა ჩამოვიდეს... ერთი ტყვიით თუ მოახერხებ, ნაკლები ხმაური იქნება!.. (სიბნელეში მიიკუჭა. მაღლა კიბეზე ჯ ე მ ა ლ ი გამოჩნდა. დარაჯმა მას თოფი დაუმიზნა. საიდუმლო პოლიციის უფროსმა დარაჯს თოფზე ხელი უტა-

ცა). არ ესროლო... ვერა ხედავ ვინ არის? (მიიმალნენ. ჯ ე მ ა ლ ი კიბეზე ნელა ჩამოვიდა, ეზოში სიბნელეს მიეფარა). ამ განთიადისას აქ რამ-მოიყვანა? (დარაჯს) აბა, ფრთხილად... აქ სხვა გზა არ არის! (ერეკულა ვერი მოიმარჯვა, კიბე სწრაფად აირბინა... დაცალიერებულ საკანს ფრთხილად მოავლო თვალი, სახტად დარჩა). აი, აქ რატომ მობრძანებულა! აკი ვამბობდი... რამდენჯერ გავაფრთხილე,—მეგობრები არიან ძეთქი, არ დამიჯერა... აჰა, ძაღლმა ძაღლის ძვალი მაინც არ გასტეხა!.. (კიბე აირბინა).

ფ ა რ დ ი

სურათი მეათე

გორაკზე — ციხე-კოშკის ნანგრევები. ირგვლივ დიდი, ძველებური გალავანი. მარჯვნივ — შუაზე ჩამორღვეული გუმბათი და ტაძრის შიგნითა კედელი. ამ კედელს ძველის-ძველი ქართული ფრესკის ნაკვალევი კიდევ შერჩენია. ბორცვზე ხავსმოკიდებული საფლავის ქვები მოსჩანს. ნანგრევებს შორის ჯგუფ-ჯგუფად დგანან მლოცველნი და სდუმან... მარცხენა მხარეს, უზარმაზარ, შტოებგაშლილ მუხის ქვეშ სუფრაა გაშლილი. იქვე მახლობლად — ცეცხლზე ვეება ქვაბებია ჩამწკრივებული... ქვაბებს მზარეულები დასტრიალებენ. მ ი რ ზ ა საქორწილო სამზადისს აწესრიგებს. ფარდის ახდისას დუდუკის ხმა ისმის. დუდუკს მალე ქართული სტვირი შესცვლის. მესტვირეს ბიჭები შემოსხდომიან... მათ შორის გ ო გ ი ჩ ა მოსჩანს. სტვირი ხმადაბლა ზუზუნებს, მისი ხმა მგლოვიარე ხალხის მოთქმას უერთდება.

ჩ ა ფ ა რ ი—(მ ი რ ზ ა ს თ ა ნ მივიდა, განზე გაიყვანა) რამაზან ალიმ შემოგითვალა, აბდულ სადაყს როგორმე შეატყობინე, შუქრი ჯაფარ ოღლუ ციხიდან გაიქცაო...

ძ ი რ ზ ა—რაო, რაო? ერთი კიდევ მითხარი, შენი ჭირიმე!

ჩ ა ფ ა რ ი—რაო და,—წუხელ ის მეზღვაური—ჯაფარ ოღლუ გაიქცა, მთელი ზიარეთი გადავაბრუნეთ, ვერსად მივაგენით, ასე. გონია, მიწამ ჩაყლაპაო...

მ ი რ ზ ა—მერე, მე რა შუაში ვარ?

ჩ ა ფ ა რ ი—შუაში კი არა ხარ, აბდულ სადაყს უნდა გააგებინო!

მ ი რ ზ ა—საგიჟეთიდან გამოქცეული ხომ არა გგონივარ? დღევანდელ დღეს ასეთი რამ ვუთხრა, ზიარეთიდან ხომ ბოლოკივით ძირიანად ამომაგდო?! არა, შენი ჭირიმე, მე მაგისი მთქმელი არა ვარ!..

ჩ ა ფ ა რ ი—მაშ, ასე გადავცე რამაზან ალის?
(მიდის).

მ ი რ ზ ა—მოიცა... (ნაძალადევად იცინის). შენ კი გაიხარე, ასე რად უნდა უთხრა? გეხუმრები... ვეტყვი, მაშ რა ჯანდაბას ვიზამ? (ჩ ა ფ ა რ ი გავიდა). როცა კარგი ამბავია, ლამის პირში ჩაუვარდნენ, მე არავინ მაცლის... როცა ღვთის ცეცხლია, მირზავ, შენ შეუკეთეო... უნდათ, ამ სიბერის დროს ერთი ლუკმა პური დამაკარგვინონ!..

(გალავანში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა საზეიმოდ გამოწყობილი ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი. მას უკან მოსდევს ჯ ო ნ რ ა ი ტ ი, სტუმრები და ამალა).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(მ ი რ ზ ა ს მკვახედ) გაიანემ რად დაიგვიანა? ან მაყრიონი აქამდე სად არის?

მ ი რ ზ ა—ეს არის, კაცი კიდევ გავგზავნე,—თქვენო აღმატებულებავ!..

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ამ ხალხს რაღას ჩამოსტირის თავპირი?.. ამათ მაინც მივხედავდი, რომ სტუმრებს ასე მგლოვიარედ არ დახვედროდნენ...

მ ი რ ზ ა—სუფრა რახანია, გავშალე,—ახლოს არავინ მიეკარა... ორი ფასტა მეზურნე დილიდანვე უკრავს,—ერთი ფერხულიც არ ჩაუბამთ, ერთი სამაიაც არ აუწყვიათ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—კიდევ იმ ქვებს მისტირიან?

მ ი რ ზ ა—ასე გამოდის, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—გამოიტანეთ ღვინო... დამუნჯებული ენის წამალი ის არის!

(მ ი რ ზ ა გატრიალდა, **ს ა ი დ უ მ ლ ო პ ო ლ ი ც ი ი ს** უფროსმა შეაჩერა)

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—შეატყობინე?

მ ი რ ზ ა—შენ კი გაიხარე... ეხლა ნაგას რა მათქმევინებს? კაცი ისეც გაცეცხლებულია!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(პ ო ლ ი ც ი ი ს უ ფ რ ო ს ი დაინახა. სწრაფად მივიდა მასთან, დამცინავი ღიმილით) ხომ კარგად გააქციე?

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—(შეშინებული) თქვენო აღმატებულებავ! არ ვიცი როგორ მოხდა... ყველაფერი მზად იყო, კაციც ჩასაფრებული მყავდა, მაგრამ...

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რა მაგრამ?!

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—სანამ მე მივიდოლი, მართლა გაქცეულა!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ვინ გაქცეულა?!

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—მეზღვაური, თქვენო აღმატებულებავ!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(გაცეცხლებული, სტუმრების წინაშე მღელვარების დასაფარავად). რაღას უყურებ, მირზავ?.. რატომ ხალხი არა მხიარულობს? ჩქარა ზურნა... ფერხული!..

(მ ი რ ზ ა ხალხში შეერია... დუდუკმა დაუკრა... ხალხმა უგუნებოდ დაიწყო ფერხულის ცეკვა).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—(ს. პ. უ ფ რ ო ს ს). შიგნიდან რომ დამხმარე არა ჰყოლოდა, მარტო როგორ მოახერხებდა ციხიდან გასვლას? ყარაულის უფროსი ვინ იყო?..

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—თქვენო აღმატებულებავ, არ ვიცი რაშია საქმე, მაგრამ ცარიელ სკანში თქვენი მოადგილე დაგვხვდა...

ჯ ე მ ა ლ ი—(ხალხის კედელი გამოარღვია) შეჩერდით... ხალხო, რა დროს ფერხული და მხიარულებაა?

(ხალხმა ფერხული მაშინვე შეაჩერა).

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ეს ვინ არის? ჯემალ, შენა ხარ? რატომ დაიგვიანეთ? გაიანე სად არის?

ჯ ე მ ა ლ ი—(ლოდზე შედგა) გაიანე? გაიანე და შუქრი წუხელ ზიარეთიდან გავიდნენ... შენი ძღვევარი მათ ვეღარ დაეწევა... ისინი უკვე თავის ნამდვილ სამშობლოში არიან!

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—ხომ არ გაგიჟებულხარ? რის სამშობლო? რომელი სამშობლო?

ჯ ე მ ა ლ ი—რომელიც გინდა გულიდან ამოგვაცალო, როგორც ეს წმინდა ქვები ამოაცალე ზიარეთს და ქურდულად ზღვაში ჩაჰყარე!.. რომელი სამშობლო?—რომლის სიყვარულისათვის შენ ქურდულად მოჰკალი ბეჟან ალა და მე, ჩემი მეგობრისათვის, ალალმართალი კაცისათვის ხელები შემაკვრევინე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ი—რამაზან ალი, შეიპყარით!.. გალავანი დაკეტეთ!.. ფეხი არავინ ძოიცვალოს!

(რ ა მ ა ზ ა ნ ა ლ ი და რამდენიმე პ ო ლ ი ც ი ე ლ ი ჯ ე მ ა ლ ს მ ი ს ც ვ ი ვ ლ ი ს.)

ჯ ე ძ ა ლ ი—(განზე გახტა) რა გეჩქარებათ, თქვენო აღძატებულებავ, ჯერ ანგარიში გავასწოროთ... გურჯმა ვალის გადახდა იცის...

(ა ბ დ უ ლ ს ა დ ა ყ ს რევოლვერი დაახალა, იგი უსულოდ პირქვე დაემხო).

ს. პ. უ ფ რ ო ს ი—ესროლეთ!

(პოლიციელმა ჯ ე მ ა ლ ს ზურგში დასცა თოფი. ჯ ე მ ა ლ ი დაეცა).

გ ო გ ი ჩ ა—(ჯემალს მივარდა). ჯემალ!..

ჯ ე მ ა ლ ი—(წამოდგომას ცდილობს). გოგიჩა... შენი ჭირიმე ბიჭო... ბეჟან აღა მართალს გეუბნებოდა,—ჩვენ ქართველები ვართ... ესენი კი ოსმალები არიან... გიყვარდეს შენი სამშობლო... საქართველო!

(სული დალია).

1948 წ. დეკემბერი.

ფ ა რ დ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული

ჯ ყ ი ბ უ ლ ი

ნარკვევი

★

თოვს, ქალაქი და ახლომახლო მთები თეთრად შეფუთვნილა. ავტომანქანამ მთავარ გზიდან გადაუხვია, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა. იქ ახალი მშენებლობა მიდის.

— სამხრეთ-აღმოსავლეთის შახტის მშენებლობა 44 წლის ივნისში დაიწყო. იმ დღიდან მიდის გამალებული მუშაობა, ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს მალარო, რომლის წლიური წარმადობა ათიათასობით ტონა იქნება,—მიხსნის სამხრეთ-აღმოსავლეთის უბნის ზედა მშენებლობის მთავარი ინჟინერი შალვა ცირეკიძე.

გზადაგზა მთის ფერდობებზე ორსამ-თვალიანი სახლებია აგებული; თითოეულ სახლს თავის პატარა ეზობოსტანი აქვს.

— ამ სახლებში ინჟინერ-ტექნიკოსები და წარჩინებული მუშები ცხოვრობენ; მათ ყველას აქვს საკარმიდამო ნაკვეთი,—განაგრძობს ჩემი თანამგზავრი.

მივედით გვირაბის კარებთან. დასვენების დროა, შახტის მშენებლობის უფროსი არ დაგვხვდა, მუშებიც საბაუზმოდ გაკრეფილან. მთავარ დერეფანში შევედით, აქ ჯერ გვირაბს სჭრიან, გზა შეჰყავთ, გზადაგზა რაც ნახშირი ხვდებათ, იმას ეზიდებიან. ამ სამუშაოებს ჯერჯერობით საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მოწაფეები ასრულებენ, პრაქტიკულ მუშაობას აქ სწავლობენ.

გამოვბრუნდით, ჩვენი მანქანა შორსა დგას, რკინიგზის ლიანდაგზე ვერ გადმოვიდა და დავტოვეთ. ცუდი ამინდია, სახეში თოვლ-ჭყაპი გვირტყამს. ორი კაცი გვიახლოვდება.

— ჩვენი სტახანოველები არიან, გაგაცნობთ,—მეუბნება ინჟინერი.

მოგვიახლოვდა ახოვანი, წყლისფერთვალება ბარტნოვსკი.

— ორგზის ორდენოსანია, — მაცნობს ინჟინერი,—სამამულო ომის მონაწილე, ომის დამთავრების შემდეგ ისევ ტყიბულს დაუბრუნდა; სამაგალითო მნგრეველია, დიდი გამოცდილება აქვს, კარგ ინჟინერსაც არ ჩამორჩება. ხუმრობა ხომ არ არის, თვეში თერთმეტი ათასი მანეთის გამომუშავება აქვს.

გავესაუბრე ბარტნოვსკის, მაგრამ ეტყობა სიტყვა ძუნწია, მოკლედმოჭრილ პასუხებს იძლევა: „ჰო, დიახ, კი, არა“; ყალიონს სწევს და თვალებდახრილი დგას.

— ესეც, მეაგურე შერეზადაშვილი, თავის საქმის დიდი სპეციალისტია, ორასოცი პროცენტით ასრულებს გეგმას. რაც აქ შენობებს ხედავთ, ადგილობრივი ავურით არის ნაგები.

შენობები კი მრავლად არის: საქარხნო-საფაბრიკო სკოლის დიდი შენობა, ორი სახლი ინტერნატისათვის, ექვსი

ათბინიანი სახლი, კლუბი, სასადილო, საბავშვო კერა, აბანო და სხვ.

— ჩვენ კიდევ მრავლად გვყავს წარჩინებული მუშები: ჩიტაძე, გვენეტაძე და სხვები, თვითოეული მათგანი თვეში რვა ათას მანეთზე ნაკლებს არ გამოიმუშავებს,—განაგრძობს ჩემი მეგზური.

ინჟინერმა წინადადება მომცა და საერთო ბინებში რამდენიმე ოჯახი ვინახულეთ. აქ არიან რუსები, ქართველები, სომხები. ზოგი მათგანი მშენებლობაზე ადრევე მოსულა, ზოგიც ომის პერიოდში, ზოგიც შემდეგ.

არიან ქართველთა ისეთი ოჯახებიც, რომელთაც წინათ ახლომახლო სოფლებში მწირ ხრიოკ მიწაზე ედგათ ქოხები, არც ქალაქის მცხოვრები იყვნენ და არც სოფლისა; ახლა, ცხადია, მათ არჩიეს დიდი საწარმოო ცხოვრების ფერხულში ჩაბმა და ცოლშვილიანად გადმობარგდნენ ახლად აგებულ კოხტა სახლებში.

გულს გიხარებთ მათი სუფთა ოთახები, სავსე სინათლითა და სითბოთი. თითქმის ყოველი ბინიდან ისმის მოსწავლე ახალგაზრდობის წკრიალა ხმები.

კარგა ხანს ვისხედით სტალინის სახელობის შახტის მართველთან გოგი რატიანთან. მას დიდი საქმე აკისრია. დაპირდა, რომ გამყვებოდა მაღაროში, მაგრამ მომსვლელებს თავი ვერ დააღწია. განუწყვეტლივ იღება კარები, შემოაქვთ ხილმოსაწერი ქაღალდები, შემოდიან შახტის ინჟინრები, მგეგმავები. ტექნიკოსები, უფროსი მუშები, პარტიული მუშაკები. ზოგს საკითხი აქვს შესაანხმებელი, ზოგს გასარკვევი, ზოგი შვებულების დროის შეცვლას თხოულობს; ზოგი სამუშაო ადგილის გადანაცვლებას. მმართველი ყველას უსმენს, ყველაფერში სწრაფად ირკვევა. მთელი ამ რთული მეურნეობის ნამდვილი გამგე და პატრონია. ხანდახან ხმასაც აუწევს, მაგრამ თავდაჭერილად, წრეს არ გადავარდნილა და შთამაგონებლად; ახალგაზრდა [illegible], მაგრამ გამოცდილება და საქმის ცოდნა ალბეჭდია სახეზე.

— ბოდიში, ცოტა ხანს დაგტოვებთ, — გვითხრა, როგორც ცოტა ძოიცალა. ათ წუთში ისევ მოვიდა. ტანსამოსი გამოუცვლია; მაღალყელიანი რეზინის ჩექმები და ბრეზენტის წამოსასხამი აცვია, ყურებიანი თბილი ქუდი ახურავს. ქვემო სართულში საწყობში შევედით; შემეკითხა, ჩავიცვამ თუ არა სპეციალურ ტანსაცმელს, მე უარი განვაცხადე ვერც აკუმულატორული ლამფა ავიღე, მძიმეა.

— არა უშავს, ჩვენ წავიყვანთ,— მეუბნება რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ტატიანა ბრეგაძე, რომელიც რაიკომიდან გამომყვა, ხელში მასაც მაღაროს ლამფა უჭირავს, ჩექმები და მსუბუქი წამოსასხამი აცვია; მის ღონიერ აგებულებაში და ამ ჩაცმულობაში მაინც გამოსჭვივის ქალური სისალუქე; საამო ხმა აქვს და დამაჯერებელი ტონი; ფილოლოგიური ფაკულტეტი დაუმთავრებია. ერთი წელიწადი ტყიბულში მასწავლებლად ყოფილა, ხოლო შემდეგ ამ სამუშაოზე გადმოუყვანიათ. ის ყველგან არის; რაიკომში, მაღაროში, საფაბრიკო სასწავლებელში, სამოქალაქო სკოლებში. საავადმყოფოში, ჩაის მეურნეობაში და მრავალ ადგილას; სადაც კი მივა, პატივით ხვდებიან, უყვართ მისი მადლიანი სიტყვა.

მთავარ დერეფანში შევედით, დერეფნის სიგრძე ასი მეტრია. ჰაერის გასასუფთავებელი ვენტილატორი გარეთ დგას, იგი ისე ძლიერ უბერავს, თითქოს მძაფრი ქარი ქრისო. ცივა. მივუხვიეთ განის დერეფანში.

— სად არის ის ალმამწევი კიბეები, კარიერებში რომ ავყავდით; ან ნახში-

რის ქვედამშვები კოდები?—ვეკითხები ინჟინერს.

— ალბათ თქვენ აქაურობა წინათაც გინახავთ?

— დიახ, ვყოფილვარ, ახლაც მახსოვს ამ წვრილ რკინის კიბეზე როგორი სისწრაფით არბოდნენ და ჩამორბოდნენ მუშები. მაშინ ვნახე, როგორ ანგრევდნენ ნახშირს; ერთი მუშა გამაცნეს, გვარი არ მახსოვს, მითხრეს: „სამი-ოთხი დღის ნორმას ერთ დღეში ასრულებს, თავისი სისტემა გამოიგონა, ბუდობს ორივე მხრიდან უდგება და ისე ანგრევსო“. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გახმაურებული სტახანოვური მოძრაობა. კარგი იყო, ამ მოძრაობის ერთერთი გამოვლინება რომ გამეხმაურებინა მაშინ, იქნებ ჩვენს მაღაროს აეღო პირველობა-მეთქი.

ინჟინერს გულკეთილად გაეღიმა და მითხრა:

— სულ ერთია, ჩვენი ქვეყნის დოვლათი და სიკეთე აქ გამოვლინდება თუ სხვაგან, ყველა საერთო ჯამში მიდის.

ინჟინერმა მკლავი დამიჭირა და—ნაბიჯი წინ გადადგა.

— თქვენ რომ გინახავთ, ახლა იმ სისტემით მუშაობა უარყოფილია,—განაგრძო მან,—თანაც კარიერები თითქმის გამოცარიელებულია, ნახშირის ძიებამ ქვემოთ დაიწია. წავიდეთ, გაჩვენებთ.

კიდევ გავუხვიეთ და ერთ მოედანზე სადგურს მივადექით, ლიფტის სისტემის ორთვალიანი გალია დგას, თითო მათგანი ორ-ორ ტონიან ვაგონს იტევს.

— გნებავთ—ჩავიდეთ?

— რასაკვირველია, უნდა ჩავიდეთ,—ვუპასუხე.

ხელი დამიჭირა და გალიაზე შევდექით. ზარი შემოკრეს. მემანქანემ ლიფტი აუშვა, სადღაც სტვენა გაისმა და დავიძარით. ასი მეტრის სიღრმეზე—ეს-და ჩავიდეთ. აქა-იქ [illegible] გაკრთება და ისევ დაბნელდება. ლიფტი დადგა, გადმოვედით. აქედან იწყება დერეფნები, სხვადასხვა მხრიდან აქ უნდა გამოვიდეს ნახშირი.

— ასი მეტრის სიღრმეზე, რომელიც ახლა ჩვენ ჩამოვიარეთ, ნახშირის ბუდობებია. ის უნდა დაიბურღოს, ნახშირი გამოიზიდოს და დაცარიელებული ადგილები ფუჭი ქანით ამოივსოს,—მიხსნის ინჟინერი,—ახლა აღარ ისმის წერაქვის ხმა. ყველაფერი მექანიზირებულია; დღეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით წარმოებს მუშაობა. გნებავთ, მივიდეთ სამუშაო ადგილებზე?

მომნგრევი ურო შეკუმშული ჰაერის საშუალებით იკვლევს გზას და უხვად ანგრევს ნახშირს; მბურღავი ელექტრომანქანებით იბურღება ნახშირის ფენები ანუ ლავები, შემდეგ საბურღში ნაღმს ჩასდებენ, მუშა იმ არე-მარეს გაეცლება, თავს ტეხილებში შეაფარებს და უცდის აფეთქებას; გაისმის გამაყრუებელი გრიალი, დერეფანი ბოლით გაივსება და ნახშირი ჩამოშვავდება. საფრიდან მუყაოს ქუდიანი მუშა გამოყოფს თავს, როცა დარწმუნდება, ნგრევა მშვიდობით ჩატარდაო, ძთლად გამოვა საფრიდან და ნახშირის ზვავთან მივა.

— 1937 წლამდე ცხენების საშუალებით წარმოებდა ნახშირის გამოზიდვა. მაღლა კარიერებიდან კოდებში დაშვებულ ნახშირს ძირს პატარა ვაგონეტები ხვდებოდა; ამ ვაგონეტებს ლიანდაგზე ცხენები მიაგორებდნენ. ახლა სხვა ამბავია; ვაგონები აკუმალატორულ ელექტრომავლით მოგორდება ამწევ გალიასთან და გალია მაღლა აიტანს. ახლა ავიდეთ მაღლა და გაჩვენებთ იმ

ძრავს, რომელსაც ეს გალიები მოჰყავს მოძრაობაში,—იქვე დაკიდებული ზარი ჩამორეკა... ორი წამი და ადგილიდან დავიძარით.

ისევ პირველ დერეფანში ამოვედით. მარჯვნივ გავუხვიეთ და საკმაოდ მშრალ ფართო დერეფანში გავედით. დერეფნის ბოლო გადაკეტილია მძიმე რკინის ჭიშკარით. ინჟინერმა ზარი ჩამორეკა, დერეფანი გაგვიღეს და ძალიან დიდ „დარბაზში“ შევედით. იქაურობა სავსეა სხვადასხვა მანქანებით, იარაღებით, მაჩვენებლებით და საზომი დაფებით. დარბაზიდან კიდევ შედის სიღრმეში წვრილი დერეფნები; იქ გამოკვეთილია ოთახები, შიგ საწყობებია გამართული; აუარებელი მასალა, ხელსაწყოები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჩამოუზიდავთ აქ.

დარბაზის თაღი ქოლგასავით წამოხურვია თავზე უზარმაზარ ძრავს, რომელსაც ახალგაზრდა ქალი მართავს. ის ტანით პატარაა, ქერა სახისა, შეკრეჭილი თმებით. ცოცხლად ლაპარაკობს.

— სადაური ხარ?—შევეკითხე.

— უკრაინელი!

— საქართველოში როდის ჩამოდი?

— ომის დამთავრების შემდეგ.

— ომის დროს სად იყავი?

— ტყეში!

— პარტიზანებთან?

— ჰო, ვშველოდი ცოტას, ფოსტა დამქონდა... მერე აქეთ წამოვედი...

— რატომ სახლში არ წახვედი?

ქალმა ოდნავ ამოიხვნეშა, თავი გაიქნია და თმები უკან გადაიყარა. შემომხედა, თითქოს მკითხა, შენ რად გაინტერესებს ეს ამბავიო...

— სახლი აღარ მქონდა, დედ-მამა აღარ მყავდა, ძმაც დამეღუპა... სულ ერთი იყო ჩემთვის საითაც წავიდოდი,—სთქვა ქალმა ნაღვლიანად.

— მერე აქეთ წამოხვედი?

— ჰო, მირჩიეს აქეთ წამოსვლა. ჩვენგან ბევრი მოდიოდა აქ...—ქალმა მანქანას მზრუნველი თვალით გაჰხედა, თითქოს ერთი წუთის წინ წამოსული დარდი სახიდან გადაეყარაო.

— მანქანა რამდენ ხანში შეისწავლე?

— ექვსი თვე დამჭირდა.

მინდა სახელი და გვარი ვკითხო, მაგრამ ამ დროს ზარის ხმა გაისმა, სიგნალია: „მაღლა აგვიყვანეთო“. ნახშირი მოდის. ქალმა მიმატოვა, სკამს მიაშურა, ჩემთვის აღარ სცალია; სპეციალურ სკამზე ზის, საჭეს მართავს, მანქანას აუშვებს, ვეებერთელა დოლზე გადაგდებული ღვედი აშრიალდება. ბორბალი სწრაფად დატრიალდება, გაისმის საოცარი ხმაური, გრიალი, თითქოს ადამიანის აზრისა და შრომის მარწუხში მოქცეული დედამიწა გმინავსო. ოცდაათი წამის განმავლობაში, პირველ მთავარ დერეფანში, თავის მოედანზე ამოვარდება ოთხტონიანი გალია და თან ამოათრევს თორმეტ ტონა ტვირთს. გალიიდან მოხსნილი ვაგონეტები სარჩევამდე ელექტრომავლით წავა; იქ ნახშირი დამუშავების სხვა პროცესში გადადის.

— სხვათა შორის უნდა გითხრათ რომ, მთელ საბჭოთა კავშირში იშვიათია ნახშირის ამგვარად გამოზიდვა,— ამბობს ინჟინერი.

— როგორ, დონბასში?—შევეკითხე.

— დონბასშიი... — გააგრძელა სიტყვა,—ამომწევი დინამო გარეთ დგას, მას შენობა აფარია თავზე; აქ კი მთა და დედამიწის გული არის ამისი თავშესაფარი, სწორედ ამაშია მთელი სიძნელე და, შესაძლოა... სილამაზეც.

წამოვედით, გრძელ დერეფნიდან გამოვხედე თაღადგამოჭრილ გვირაბის პირველ კარს, მზის შუქი მოსდგომოდა, მის მიღმა ხალხი მიმოდის, ლამაზი სანახაობა წარმომესახა. ის ხანი, რაც მაღაროში დავყავ, მზე არ მომგონებია. ახლა ჩვენი შახტები და მაღაროები ჯურღმულები არ არის. იქ ახლა შრომის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ამიტომ გასაგებია უკრაინელი გოგოხას ასეთი შერჩევა ასი მეტრის სიღრმეში გამოკვეთილ დარბაზთან. აქვე ძოძაგონდა რაიკომის მდივნის სიტყვები: „დამიჯერეთ, ორ თვენახევარს არ მიძინია. დღედაღამე მაღაროში ვიყავი. აქ, ამ დაწესებულებაში, ერთი ან ორი საათით თუ შემოვირბენდი, თორეძ დანარჩენ დროს სულ იქ ვატარებდი, იქ ვაღამებდი და ვათენებდი. იქ იყო ჩემი აკადემია, ვსწავლობდი ინჟინრისაგან ბრიგადირისაგან, მნგრეველისაგან, მზიდველისაგან, მტვირთველისაგან და ყოველი დარგის მუშისაგან. ტექნიკური პროცესის გარდა, თვით ადამიანები უნდა შემესწავლა; უნდა შემესწავლა მათი განწყობილება, მოთხოვნილებები და მისწრაფებები. აქ თქვენ შეხვდებით მუშებს, რომელიც ოცი, ოცდაათი და მეტი წელიც უმუშავნიათ მაღაროში; ბავშვი მოსულა და აქ გაჭაღარავებულა, თან შეზრდია მაღაროს, შესისხლხორცებია; მას უყვარს თავის ნაამაგარი, უყვარს მაღაროს თვითოეული მტკაველი მიწა, იგი მისთვის მშობლიურია; ასეთ კაცს სხვანაირად უნდა მოპყრობა. მას ოდნავი უხეშობაც კი ისე აწყენინებს და გულს ატკენს როგორც მშობლებს შვილისგან უდიერად მოქცევა. მას მაღაროში ბევრი რამ აუტანია, ბევრი რამ მოუთმენია, ეს მოთმენა და საქმის სიყვარული მამა-პაპიდან მოსდევს. ეს ხალხი უფრო ტყიბულის მკვიდრნი და ახლომახლო რაიონების მცხოვრებნი არიან“.

გამოვედით მაღაროდან.

— სხვა რა გაინტერესებთ?—მკითხა ინჟინერმა.

— მუშებთან შეხვედრა და მათთან საუბარი!

ახალი ცვლა ემზადება შახტში შესასვლელად. გვირაბის წინ მუშები ირევიან. ყველა თავის საქმით არის გართული.

მაცნობენ მოწინავე მუშებს.

ვალიკო ფოჩხიძემ 1906 წელს დაიწყო ნახშირის ნგრევა. [illegible] ქარის მომსწრეა, ახსოვს [illegible] ძვრებოდნენ გვირაბში; გვირაბი იმდენად დაბალი იყო, მუშას არ შეეძლო მუხლის გამართვა, ნახშირს წერაქვით ანგრევდნენ, წელში მოხრილი იყვნენ და ასე გამოჰქონდათ მონანგრევი. მაშინ არც აკუმულატორული ფანარი იყო, არც ოლფის ლამფა, რომელიც ახლა წინასწარ გვაუწყებს მაღაროს მდგომარეობას; არც მნგრეველი ურო გვქონდა, არც მბურღავი იარაღი, არც ჩვენს სიცოცხლეს უფრთხილდებოდნენ. მაგრამ რა გვექნა უმიწაწყლო გლეხობას? ხომ უნდა გვეძებნა საარსებო წყარო? და ჩვენც კბილით თუ ფრჩხილით ვეჭიდებოდით ნახშირს, შვილები მამების კვალს მივდევდით და ასე ვიწრთობოდით შთამომავლობითი მემაღაროელებად,—მითხრა მან. საამო იყო მისი გონიერი საუბარი. დღეს ვალიკო ფოჩხიძე არაფრის გულისთვის არ დათმობს მაღაროს. ჭრაქის მომსწრე, იგი ახლა დღესავით გაჩირაღდნებულ მაღალთაღიან დერეფნებში წელგამართული დადის, მთელ დღეს აქ ატარებს; თუ მაღაროში შესვლა ადრეა, მაინც აქ ტრიალებს, აქ ხვდება ამხანაგებს, მათ აზრს იზიარებს, აქ წაიკითხავს გაზეთს, გაიგებს ქვეყნის ამბავს. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებული ვალიკო კარგად მოწყობილ ოჯახშიაც წელგამართული და ბედნიერია.

ვასილ ცირეკიძე ოცდაერთი წელიწადია უნგრევს ფერდებს ტყიბულის მთას; მან ღირსეულად დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი.

სპირიდონ ლანჩავა, ისმაილ ობოლაძე, დავით სუქნიძე და მრავალი სხვა ამშვენებენ მოწინავე მეშახტეთა რიგებს.

შალვა ფურცხვანიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ხოლო ვლადიმერ სოფრომაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი.

ეს ადამიანები დაუღალავად იბრძვიან მეტი ნახშირის აძოღებისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კალინკა არსენიძე მეტად ხალისიანი ქალია. გესაუბრებათ და მის სახეს ნათელი ღიმილი დასთამაშებს.

— ძაღარო ჩემი მეორე ოჯახია, შვილები ამან დამაზრდევიხა, შუაქალობა მოვიტანე აქ, ოცდაორი წელიწადი ვიყავი შიგ. ცოტათი სახე ჩამომიბერდა, თორემ გული ისევ ჩიტივით მაქვს. ორი მედალი ძივიღე კარგი ბუშაობისათვის, მადლობელი ვარ ჯერ ჩვენი დიდი სტალინისა და მერე ჩემი აქაური ხელმძღვანელობის. ჩემს შრომას აფასებენ, ყოველთვის მაძლევენ ჯილდოსა და საჩუქარს. მარა მეც კაი ერთგული ვყავარ; ვაგონეტიდან გადმოვარდნილი ნახშირის გოროხი რომ ვნახო, კალთით მომაქვს და სახელმწიფო ქონებას ვუმატებ. აბა რავა გგონიათ? თქვენსავით ნასწავლი კი არა ვარ, მარა მეც ვაკეთებ ჩემ წილ საქმეს, ჩემი ქალიშვილი მოანვარიშედ მყავს, ისიც აქ მუშაობს,—კალინკამ თავსაფარი შეისწორა, ხელი ხელზე დაიდო და მომაჩერდა.

ინჟინერს რაიკომიდან სთხოვენ ტელეფონზე. ბოდიში მოიხადა და წავიდა.

ჩვენც დავტოვეთ სტალინის სახელობის შახტის ტერიტორია. წამოვედით და თან გამოგვყვა კეთილმოწყობილი შახტის შთაბეჭდილების გამამხნევებელი გრძნობა.

ეს დღე დაღამდა, დაღლილი ვარ და უნდა დავისვენო. სასტუმროს დერეფანში ხშირად მიდიმოდის მუშაობიდან დაბრუნებული თმაშეკრეჭილი ქალი, ჩაიდანით წყალი მოაქვს. პური მოაქვს, ალბათ საჭმელს იმზადებს. ლურჯი სპეცშარვალი და ტყავის ქურთუკი აცვია.

— უკაცრავად, ვინა ბრძანდებით — ვეკითხები. ქალი ჩემსკენ შემობრუნდა. შავგვრემანი მზისაგან დამწვარი სახე აქვს, ახალგაზრდაა, ოცდაჩვიდმეტ-ოცდაათი წლისა იქნება. სახე ჩქარი ტეხია, დაღარვია, მაგრამ ეს სახე მართალი სახეა, შუბლგაშლილი.

— ინჟინერი გახლავართ,—ბარბარე დიდებულიძე.

— თქვენ თითონ ვინა ბრძანდებით,—მკითხა.

მე ჩემი ვინაობა ვუთხარი.

— დიდად სასიამოვნო,—მითხრა და ხელი მაგრად ჩამომართვა. შემეკითხა: როდის ჩამოვედი, რა ვნახე ან რამდენ ხანს დავრჩები.

— დავათვალიერე ახალი შახტის მშენებლობა. სტალინის უბნიდან მოვედი და ხვალ ლენინის უბანზე წავალ.

— ისე არ წაბრძანდეთ, რომ ნაქერალას ქედი არ ნახოთ.

— იქ რა არის შესანიშნავი?

— ოო, დიდი საქმე კეთდება, გვირაბი გაგვყავს. იქიდან მერე ხარისთვალიც ინახულეთ.

— ხარისთვალი რაღაა?

— ტბა გახლავთ.

ვკითხე; დიდი ხანია რაც აქ მუშაობთ?

მან მოკლედ გამაცნო თავის ვინაობა: თბილისელია ორი ვაჟის დედა, ინჟინერის შვილია და ინჟინერის ცოლი, მამა და ქმარი ერთ დღეს დაღუპვია სამამულო ომში.

საუბრის დროს სახე დაუნაღვლიანდა:

— მამა და ქმარი ერთ საათში დავკარგე...

— რა ნაირად?—შევეკითხე.

— ორივე საგზაო ინჟინერი იყო და ორივე ერთ ნაწილში მოხვდა. ცდილობდნენ ერთმანეთს არ დაშორებოდნენ. მართლაც არც დაშორდნენ და ბიკვდილიც გაიზიარეს. ხიდის აფეთქებისას დამღუპვიან ორთავენი. ეჰ, მიგონია შევიშლებოდი, მაგრამ...—მან მხრები აიწია, თავი განზე გადიღო და ამით თითქოს მითხრა: „ხედავთ ცოცხალი ვარო“.

მე ვეღარაფერი შევეკითხე, მაგრამ მანვე გადაჰფანტა ღრუბელი, თავი გაიქნია, თმები უკან გადიყარა და დასძინა:—ამ უბედურების შემდეგ გაასკეცებით შევუდექი სწავლას, ჩქარა დავამთავრე ინსტიტუტი და აქეთ წამოვედი. კაცმა რომ სთქვას, საზოგადო საქმისათვის თავდადების უკეთესს, რას გააკეთებს ადამიანი მათი ხსოვნისათვის?

— აქ კმაყოფილი ხართ?

— კმაყოფილი გახლავართ! თანაც ეს საქმე ძალიან მიყვარს!

ლაპარაკს შევყევით, ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, ბოლოს ისევ შახტსა და მის მუშებს დავუბრუნდით. ამ ჟამად ეს საკითხი ყველაზე მეტად მაინტერესებდა.

— მითხარით, გეთაყვა, თქვენი აზრი მემაღაროე მუშათა სულისკვეთების შესახებ.

— მე ვიტყოდი, — აღტაცებით წარმოსთქვა მან, — ეს არის რაღაც მშვენიერი სამყარო — ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. მუშები მართლაც თავდადებით და შეგნებულად მუშაობენ. სიმართლე უნდა გითხრათ, მე მხოლოდ აქ ვიგრძენი საზოგადოებრივი შრომით დაბადებული, სულიერი კეთილშობილება. მართალია, აქა-იქ მუშათა შორის შეხვდებით ჩამორჩენილებს, მაგრამ დიდი უმეტესობა სულ სხვაა. ყოველი მათგანი იმას ფიქრობს, როგორ და საიდან მიუდგეს, რომ მომნგრევი ურითი უხვად დააშვავოს ნახშირი, რომ მბურღავი ელექტრომანქანა მარჯვედ მიუყენოს ფენას და მარჯვედ გაბურღოს იგი დინამიტის ჩასადებად, დროის ეკონომია გასწიოს, რომ სამი საათის საქმე ერთ საათში გააკეთოს. ხოლო, როდესაც ის თავის საქმეს მორჩება, გარედ გამოვა, იქვე სადმე ჩამოჯდება, საყელოს შეიხსნის და პაპიროსს მოუკიდებს, მხოლოდ აქ მოაგონდება სახლ-კარი, ცოლშვილი და ცხოვრების ყოველი წვრილმანი. თქვენ გაინტერესებთ, თუ სად მიიწევს მისი გული,—არა, არსაით, ის მეწახტეა, და ამაყობს ამ სახელწოდებით... ეგეთი სიტყვით, თქვენ თავად ნახავთ ამ ადამიანებს და გაეცნობით, — სთქვა და მაჯის საათს დახედა.

— სამუშაოდ მიდიხართ? — შევეკითხე.

— არა, სამუშაოდ არა, თავისუფალი ვარ და...

— უკაცრავად, გაგაცდინეთ,—მოვიბოდიშე და მეც წამოვდექი.

— არა, მინდა თავისუფალი საღამო გამოვიყენო. ახალი კინო-სურათი ჩამოუტანიათ და ის მინდა ვნახო.. ხომ არ წამობრძანდებით?—მითხრა და გამიღიმა. შავგვრემან სახეზე ერთნაირად ბრწყინავდნენ შავი თვალები და თეთრი კბილები.

მე აღარ დავფიქრებულვარ ქუდს ხელი დავავლე და თან გავყევი.

ლენინის სახელობის უბანზე შახტის მმართველი ინჟინერი ვინახულეთ. მან მოგვითხრო ტყიბულის მაღაროების ისტორია.

— ტყიბულის საბადოები 1830 წელს არის აღმოჩენილი, მისი დამუშავება კი 1847 წელს დაუწყიათ. საქართველოს მაშინდელი მთავარმართებელი ვორონცოვი სწერდა თურმე იმპერატორს: „ნახშირის ამოღების საქმეში დიდი მიღწევა გვაქვს, ერთ წელიწადში ათასი ფუთი ამოვიღეთო“. ახლო წარსულში ორმოცდაათტონიან ვაგონის გავსებას ორსაათნახევრის განმავლობაში სამი კაცი სჭირდებოდა, ახლა კი ოც წუთში ერთ მუშას შეუძლია 350 ტონა ქვანახშირის დატვირთვა, ესე იგი, შვიდი ვაგონის გავსება. ტყიბულის ნახშირის საბადო თვითწვის უნარიანობის გამო საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ახლა ეს საფრთხე მინიმუმამდეა შემცირებული. ჩვენს დროში ნახშირის მონგრევისა და ამოღების სისტემა სრულიად შეიცვალა. წინათ დანაკარგი სამოც პროცენტს შეადგენდა. საერთოდ

ცნობილია, რომ თუ ნახშირი ოთხიხუთი თვე დარჩა ისეთ ადგილზე, სადაც ჰაერი მოძრაობს და წყალიც არის, იქ უთუოდ ცეცხლი გაჩნდება. წინათ გამონამუშავებ ნაპრალებში ჰაერიც მოძრაობდა და წყალიც იყო, ამიტომ ხშირად ჩნდებოდა ცეცხლი. ხდებოდა აფეთქება და მსხვერპლიც ბევრი იყო. დღეს ყოველივე ეს თავიდან არის აცილებული. ნახშირგამოცლილ ადგილებს ფუჭი ქანებით ვავსებთ. წინათ ეს არც ისე ადვილი იყო:—ხელით უნდა ეზიდნათ ცარიელი ადგილების ამოსავსები მასალა და, რა თქმა უნდა, ვერ ერეოდნენ; ახლა წყლის ენერგიის საშუალებით ხდება მაღაროში შლამის ჩაშვება და ცარიელი ადგილების ამოვსება. ეს შლამი წინ ეღობება დაცარიელებულ ადგილებში ჰაერის მოძრაობას და ამით ისპობა ხანძრის გაჩენის საფრთხე.

ამ უბნის მოწინავე მუშებსაც გავეცანით. მათ შორის გამოირჩევიან ბიძინა თოიძე და ალექსანდრე დარსაძე. ესენი 200-დან 300 პროცენტამდე ასრულებენ გეგმას. ალექსანდრე დარსაძე მაღაროში 1914 წლიდან მუშაობს.

— ოცდაცამეტი წელიწადია ვეჭიდები ამ მთას, ვუფატრავ გულ-მუცელს, მაგრამ მაინც ვერ გამოვათავე,—მითხრა სიცილით დარსაძემ.

დავტოვეთ ლენინის უბანი. აღმართს შევუდექით. თვალს ატყვევებს დიდებული სანახაობა. სასახლის სვეტებივით გამოკვეთილი და გამოჩუქურთმებული პიტალო კლდე დარაჯად ჩასდგომია შუაში რაჭასა და ოკრიბას, თითქოს ორ მეტოქეს აზავებსო. ნაქერალის ქედის თავზე ამოწვდილ ხმლებივით მოსჩანს ფიჭვისა და სოჭის ხეები. ვგონებ, კიდევაც ატეხილა დავა ორ მეტოქეს შორის, მაგრამ ეს დავა უფრო სამოყვრობა, ვიდრე სამტრო. ვნახოთ რა აქვთ გასაყოფი ამ ძველ მეზობლებს.

ავტომანქანამ ოცდაექვსჯერ მოკეცა დაკლაკნილი გზა და ნაქერალის ქედის ძირს მივადექით. ავტომანქანიდან გადმოვედით და ქვემოთ დავუხვიეთ. მცირე მოვაკებაზე მშენებლობაა გაშლილი. აქ არის ინჟინერთა ორსართულიანი სახლი, მუშათა ბინები, ლაბორატორია, საზეინკლო და საწყობები.

ცამეტი კილომეტრის სიშორიდან გადმოვხედე ტაფობის ძირში გაშენებულ ქალაქს ერთ დროს „ურგებ ტყეებურად“ წოდებულს, დღეს კი საქართველოს დონბასს—ტყიბულს. გადმოვყურებ მაღლიდან და თან ვიგონებ, რა იყო ის 14 წლის წინათ და რა არის ახლა?

ოთხმოცდახუთი წლის მოხუცმა მეწისქვილემ მიამბო ლეგენდა ამ ადგილის შესახებ.

ერთი ჭაბუკი მონადირე რაჭიდან ირემს დასდევნებოდა. დამფრთხალ ირემს ჭაბუკი ოკრიბის მიდამოებში შემოუტყუებია. ვაჟს ისარი უტყორცნია, დაკოდილი ირემი დაცემულა, თვალთაგან ცრემლი გადმოდენია და ადამიანის ხმით უთქვამს: „მე გელალობებოდი, შენ კი მომკალ, რა დაგიშავეო?“. ვაჟს ელდა სცემია, მუხლებზე დაცემულა, ირმისთვის ჭრილობა გაუსინჯავს; ირემს ქურქი გადახდია და ვაჟს დაკოდილი მზეთუნახავი შერჩენია ხელში. მონადირეს ქალისთვის მალამო დაუდვია, ჭრილობა თავის ახალუხის კალთებით შეუხვევია.

ამ დროს ტყეში ღამე წვებოდა. ვაჟს სახელდახელოდ ფაცხა დაუწნავს, გვიმრით დაუხურავს, მზეთუნახავი შიგ დაუწვენია, ცეცხლი დაუნთია, ნანადირევის ხორცი შეუწვავს და მწვადი უჭმევია; „ხარისთვალიდან“ წყალი მოუტანია, უსმევია და მოურჩენია. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეჰყვარებიათ. ქალს უთხოვნია: — აქედან ნურსად ნუ წავალთ, აქვე დავრჩეთ; დადობილი მყავდა ირემი, ძუძუ მან მაწოვა, გამზარდა და მითხრა: „სადაც პირველი სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული გამოსცადო, იქვე დასახლდიო“. დედობილს აღვუთქვი, რომ მის ანდერძს არ შევშლიდი, ახლა გთხოვ ფიცს ნუ გამატეხვინებო.

ისინი ტყეში დარჩენილან, მათი გვირგვინი უფალს უკურთხეია და გამრავლებულან. ქმარი სანადიროდ დადიოდა; ხოლო ირემს აღარ ესროდა; ქალი ქოხს უვლიდა და შვილებს ზრდიდა.

ასე დასახლებულა აქ პირველი კომლი. შემდეგ მათ შვილთაშვილებს მთაზე ცეცხლი უნახავთ, მოუჩხრეკიათ და ნახშირი აღმოუჩენიათ.

ჭეშმარიტად, არ არის ისეთი ციხესიმაგრე, რომლის აღება არ შეეძლოს სტალინური წრთობის საბჭოთა ადამიანებს.

დასცქერით მთა-გორებში გაშენებულ ქალაქს და გული სიამოვნებით გევსებათ. შახტის თეთრად შეღებილი, წითელი კრამიტით დახურული სამსართულიანი ზედა ნაგებობანი ამაყად წამოჭიმულან.

შორს თვალსაწვდენზე თოვლით დაფარული კავკასიონის მთები მოსჩანს. მათ წარმტაც სილამაზეზე ბევრი უთქვამთ და ბევრიც დაუწერიათ. ჩვენ გვინდა ვსთქვათ მხოლოდ შრომის იმ საარაკო გმირებზე, რომლებიც ამ ციცაბო კლდეებს შეხიზნებიან და მთის ორწოხებში სათავეს უდებენ სიცოცხლის ახალ ნაკადებს. მათ ზამთარი სულ მალე გზას გადაუკეტავს და სანამ თოვლი არ გალხვება იშვიათად თუ ჩამოვლენ ბარში. იქ მუშაობენ თავდადებით, ბეჯითად, ხელიხელჩაკიდებულნი; ერთმანეთის მტკიცე კავშირით და ძმური სიყვარულით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, ანაოდებენ ბელადის დავალებას და ასე ჰქმნიან ქვეყნის სიკეთეს.

— ნემსაძე სად არის?—კითხულობს ჩემი თანამგზავრი ინჟინერი.

— ხვრელეთში წავიდა,—უპასუხეს მუშებმა.

შემოგვეგება შავწვერა, ოდნავ ჭალარაშერთული კაცი.

— ინჟინერი ქელბაქიანი,—გამაცვნეს ეგი.

მივედით ქვაბის კართან. გვირაბი ამრეცად მიდის. გვირაბის კედელს წვრილი არხი მისდევს, შიგ მთის ნაკადი მილიკლიკებს. გვირაბს შიგადაშიგ ტეხილები აქვს, გაჩაღებულია მუშაობა: გვირაბს აბეტონებენ.

— მამაჩემი სიჭაბუკეშივე თბილისში დასახლებულა, — მიამბობს ქელბაქიანი, — მაგრამ რაჭველია და მოგეხსენება რაჭველი კაცი ადვილად ვერ თმობს თავის კუთხეს. მამაჩემსაც, ვინ იცის, ეს მთები ფეხით რამდენჯერ გადუთელია. რაჭა მას ალბათ მიუვალ კუთხედ მიაჩნდა, რას იფიქრებდა, რომ ოდესმე ნაქერალას ქედი გაიბურღებოდა და მდინარე შაორი ოკრიბაში გადმოვიდოდა? ან მე კი ვიფიქრებდი, რომ მონაწილეობას მივიღებდი მის აფეთქებაში?

აი რა ჰქონიათ სადაო და გასაყოფი რაჭასა და ოკრიბას: მდინარე შაორი. მას ედგა თურმე შუაზე ნაქერალას ქედი. მაგრამ საბჭოთა ადამიანის მარჯვენამ მაინც გასჭრა ის და ცეცხლწაკიდებულ ნახშირის საბადოებს მიუგდო მდინარე შაორი.

— გვირაბის სიგრძე 165 მეტრია, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ას ოცი მეტრი გავიყვანეთ. ორმოცდა ხუთი მეტრი დავტოვეთ როგორც საფარი, რომ უეცრად მოვარდნილმა წყალმა დაბეტონების დროს ხელი არ შეგვიშალოს. დიდი საქმე გვაკისრია. მდინარე შაორს შახტების დასილვის გარდა სხვა მოვალეობაც აქვს. მან ორ დიდ ელექტროსადგურს უნდა მისცეს ენერგია. ორი სათადარიგო აუზი უნდა ავაგოთ, რომელიც ელსადგურებს გაუწევს მომსახურებას. თითო სადგური ოთხ-ოთხ თვეს იმუშავებს შენაცვლებით. ეს სადგურები საჭიროების დროს დაეხმარება

როგორც რიონჰესს ისე ზაჰესს. ტყიბულს და მის რაიონებს ხომ განუწყვეტლივ ექნებათ სინათლე. ჩვენი მოწინავე მუშები არიან: მატიგულიახი, ბარანოვი, ნიკოლოზ ჭალვარია, გივი გორდეზიანი, შოთა რატიანი. ესენი 150-დან 200 პროცენტამდე ასრულებენ გეგმებს—დაათავა სიტყვა ქელბაქიანმა.

— რატიანი მაღაროს კლუბში მუშაობდა. დამენანა, რომ ასეთი ღონიერი ვაჟკაცი შესაფერ ადგილას არ იყო. ვუთხარი: წამოდი შაორის სამუშაოზე, შენს ძალსა და ღონეს რას აჩლუნგებმეთქი. ერთხანს შეფიქრდა, მაგრამ ბოლოდეგ დამეთანხმა. საუკეთესო მუშა დადგა, საშუალოდ სამი ათას მანეთს აკეთებს თვეში, მადრიელიც არის. — გვითხრა კადრების განყოფილების უფროსმა ინჟინერმა.

უკან გამოვბრუნდით. ქელბაქიანმა მანქანამდე მიგვაცილა.

გზაზე მშენებლობის უფროსი შემოგვხვდა. უთხრეს, „ხარისთვალი“ გვინდოდა გვენახაო. მან თავის მანქანა გაღშვა, ჩვენს ვილისში ჩამოჯდა. ექვსი კილომეტრი ლარივით გამართულ გზაზე ვიარეთ. ორბის ფრთებივით დაშვებულ ორ მთათა შორის გავძვერით, მანქანამ მიუხვია და თავქვე დაეშვა. უკვე რაჭაში გადმოვედით: ტყიბულში მზიანი დილა იყო, თოვლის ნასახიც არ სჩანდა, აქ კი ზამთარია. მივყვებით წიწვიანი ტყით დაფარულ მთების ფერდობებს. ფიჭვისა და სოჭის ხეებს თოვლი ვერცხლის სამკაულივით შეჰყინვია ტანზე. დაბლობებში რკინის ლიანდაგებად გაწყობილი მილები შევნიშნე.

— მდინარე შაორიდან ამ მილების საშუალებით ვაწვდით წყალს ლენინის სახელობის შახტს,—მეუბნება მშენებლობის უფროსი.—ის სამამულო ომის მონაწილეა, ენა-წყლიანი და ოხუნჯი; გზადაგზა მოგვითხრობს ომის ეპიზოდებს, მის საუბარში ბევრია ხალისიანი ჰუმორი.

მანქანამ წრე გააკეთა და ახალგაჩეხილ ტყეზე გავიარეთ. შევვდეთ ჩიხში, მარცხნივ ნაქერალის ქედი, [illegible] რომელიღაც მაღალი მთა, წინ გზა მაღალი მთით არის გადაკვეთილი. კლდეებიდან წყლები ჩამოჩუხჩუხებს. ეს არის ხვრელეთი. გადმოვედით, ირგვლივ სულ წყალია, ნიადაგის ზედა პირიდან მოწანწკარებენ წყაროები; ამოქუხს ნემსისებრივი წვრილი შადრევნები. ასე გგონია, თიხნარიან მიწაზე საცერია გადაფარებული და ნახვრეტებიდან ამოდის წყალი. აქ არის პატარა ტბა, თუმცა სიღრმით იგი დიდია: თვრამეტ მეტრს აღწევს მისი სიღრმე. ტბის ანკარა წყალი ლურჯად კამკამებს. კალმახები დასრიალებენ შიგ. ვხედავთ ერთი კალმახი ყველაზე დიდია, წყალს განარავს, ჩაყურყუმალავდება და წყლის ბურთებს უშვებს.

მშენებლობის მთავარი ინჟინერი შემოგვეგება. იგი დინჯი და კეთილი გამომეტყველების კაცია, ზორბა და ახოვანი, იფიქრებ, როგორ დადის ამ კლდეღრეშიო. მან მკლავი დამიჭირა და საკმაოდ გრძელ „ბეწვის ხიდზე“ გავედით.

ამ მხარიდან გვირაბის პირი ექვს მეტრამდე გაუჭრიათ.

— ეს არის გვირაბის მთავარი კარი. აქედან წავა წყალი გვირაბში, გაივლის ქედის გულს, და ქვემოთ რომ სადგური ვნახეთ, იქ განტოტდება. დიდი მილების საშუალებით სამ ნაწილად გაიყოფა: ერთი ელექტროსადგურს აამუშავებს, სხვები შახტებს მოემსახურებიან.

— „ხარისთვალი“ სადღაა?—ვეკითხები. მაინტერესებს, რას წარმოადგენს ეს „ხარისთვალი“.

— ინჟინერს გაეცინა.

— „ხარისთვალასაც“ გაჩვენებთ!

ჩავსხედით მანქანაში და რაჭის მიმართულებით წავედით.

— ეს ველები, რასაც უყურებთ, სულ წყლით იქნება დაფარული. ათას ორასი

ჰექტარის ფართობზე აუზი გაკეთდება. აი, მოვედით! ესეც „ხარისთვალი“!..

ვათვალიერებ, რად დაარქვეს „ხარისთვალი“?.. განსაკუთრებით შესამჩნევი არაფერია, ტბა არც თუ ისე დიდია მოცულობით, სიღრმე კი ოცდახუთი მეტრი ჰქონია, მღვრიეა, არ არის ისე კამკამა როგორც ხვრელეთის ტბა. კალმახები აქაც დაცურავენ. გზის გადაღმა, მარჯვნივ, მეორე ტბაა, იმისთვის „ძროხისთვალი“ უწოდებია სოფელს.

— როცა ეს ტბები ადიდდებიან, მთელ მიდამოს ჰფარავენ, მდინარე შაორს უერთდებიან და ხვრელეთის კედლებს ადგებიან. ახლა ჩვენ ვიმორჩილებთ ბუნების ამ შესანიშნავ სტიქიონს, — ამბობს მშენებლობის უფროსი.

მივდივართ, ხელმარჯვნივ მთის გაყოლებით მიდის მდინარე შაორი და სოფელ ხერგაში უეცრად იკარგება სწორედ ამაზე იტყვიან—„დედამიწამ პირი უყოო“.

— ქუთაისის ქვემო, სოფელ ფარცხანაყანევში ახლახან უნახავთ მიწიდან ამომდინარე წყალი... ფიქრობენ; ხერგაში დაკარგული შაორიაო. ახლა ჩვენი ამოცანაა—შევაკავოთ წყლის გაპარვა. სწორედ აქ უნდა ჩავაგდოთ კაშხალი, რომ წყალი ვერ გაძვრეს.

— ეს ხომ უზარმაზარი ტბა იქნება,—შევნიშნე, — შესაძლოა, ზედ ნაოსნობაც გაიმართოს. ალბათ თევზიც გაჩნდება.

— თევზი და მერე რა თევზი, სულ ფორეჯებიანი კალმახები. — ალტაცებით განაგრძობს მოსაუბრე, — გამიგონია, მტკვრიდან რიონში და რიონიდან მტკვარში გადაჰყავდა თევზები დავით ალმაშენებელსო. ასე აშენებდა ჯიშებსო.

— როგორ, რანაირად?—გაიკვირვეს.

— სულ უბრალოდ. წყლიან საგსე საწნახლებს ურმებზე დადგამდნენ, შიგ თევზებს ჩაუშვებდნენ, მოუბამდნენ ყევარ ხარკამეჩს და წავიდოდნენ. წყალს გზადაგზა უცვლიდნენ.

— წარმოგიდგენიათ, იმ დროს რა სიძნელე იქნებოდა ასეთი საქმის შესრულება? მაგრამ მაინც აკეთებდნენ, არავითარი ტექნიკა კი არ გააჩნდათ. და ახლა რა გასაკვირია, რომ ტბაში თევზი მოვაშენოთ? — ამბობს ჩემი თანამგზავრი ქალი.

— მართალი ხარ, ამხანაგო, ჩვეხ ყველაფერი უნდა შევძლოთ, ხალხს მივცეთ ის, რაც მას ესაჭიროება, და ისტორიას კი უკვდავი ძეგლი დაუტოვოთ, ესიტყვება მას კადრების განყოფილების უფროსი.

წელან „ნიკორწმინდაში“ ტაძარი რომ ვნახეთ, მასწავლებელმა გვითხრა, მეთერთმეტე საუკუნის არისო. უნდა ითქვას, რომ ყოველ დროს ჰქონდა ოავისი ეპოქის დამახასიათებელი მშვენება. მაშინ თუ ეკლესიებსა და ციხეებს აგებდნენ და მიუხედავად იმდენი რბევა-აწიოკებისა მაინც შერჩა ეს ძეგლები ქვეყანას, ნაქერალას გვირაბი მეტ საუკუნეებს გაუძლებს და ამ დროის ძეგლი იქნება. ნაქერალას გვირაბი მომავალ საუკუნეებს სოციალისტური საზოგადოების სასწაულებზე მოუთხრობს. — დაამთავრა სიტყვა ახალგაზრდა ინჟინერმა.

უკან მოვდივართ. ნელი თოვა დაიწყო. შოფერი ჩქარობს, ეშინია უღელტეხილზე ღამემ არ მოუსწროს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბონდო კეშელავა

მეაბრეშუმე ცირა

★

ამოიპარა მთიდან ღრუბელი
და წეროსავით იწყო წრიალი.
ერთთან მეორეც მოცურდა უცებ.
შეიქნა ცაში ორომტრიალი.

იელვა, ელვა გაქრა და ისევ
იელვა... ზეცას შეშხუის ვერხვი.
ცა მშვენიერი შავღრუბლებს ისევს,
ჰექა-ქუხილში გავარდა მეხი.

თიკანს აუტყდა შიშით კანკალი,
კრუხს აცდენილი წიწილი წივის.
სახლზე დაეცა სეტყვის მარცვალი
და ახლოვდება ხმაური წვიმის.

ნახირი უხმოდ შეყუჟდა გზაზე,
ნიავს დასძლია ქარმა და ცივა.
თუთის ფოთოლის ტოტებით მხარზე
ეზოში მორბის გამრჯელი ცირა.

ფერმკრთალ სახეზე ჩამოწეწილ თმებს
წვიმის წვეთები წურწურით სცვივა.
მოღუშულ ზეცას თვალს შეანათებს,
სდუმს აივანზე ლამაზი ცირა.

ხანგრძლივი ავდრის შემდეგ არ ელის
თუ გაახარებს მათი ჩუმი ხმა.
თუ იშრიალებს ცახზე გამსვლელი
თეთრი ჭიები აბრეშუმისა.

სოველი კაბა გულმკერდზე ეკვრის,
შესწყრა ბუნებას, სდგას გაბუტული.
ჩაფიქრებულა, სიხარულს არ გვრის
მერცხლის ბარტყების სათნო ჟღურტული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გაზაფხულზე ღონე და ჯანი
რასაც შესწირა და შეალია.
ნუთუ ჩელტებზე ამდენი ხანი
თავშესაქცევად უშრიალიათ?!

ნუთუ?... არ უთხრან: „ჯანმა იდიდოს
შენმა“—და სოფლად იყოს ნაქები,
რომ შემდეგ თავის შრომით იყიდოს
ნაირნაირი ჩითის კაბები.

სწუხს უხმოდ იგი, ფიქრის ატანა
უძძიმს, ამოთქვა:—„არ გავიხარებ?
ყვითელ პარკების გადასატანად
მამა ურემს არ შეუბამს ხარებს?!“

სთქვა და შეჩერდა, ხედავს ავდრისგან
ვერვინ დაიხსნის. არვინ სჩანს მცველი.
გულზე მოაწვა ძალა დარდისა
მაყვლის თვალებში ჩაუდგა ცრემლი.

შერცხვა ცრემლის და თავი დახარა,
არ იცვლის სამოსს, თუმც ძლიერ სცივა.
ნეტავ სად არის დედა ჭაღარა,
რომ უთხრას: — შვილო შეჩერდა წვიმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია კინთო ლისაშვილი

ახალი მესხები

მწერლის ბლოკნოტიდან

★

მესხეთი! რომელ ქართველს არ ააღელვებს ეს სანუკვარი სახელი?

მესხეთი ქართველი ხალხის წარსულის საამაყო დიდი კერაა, მესხეთი — ძველი საქართველოს გულია! მარტო ის რად ღირს, რომ ამ კერამ ამოაბრწყინა უკვდავი რუსთაველი!

განა ამ გრძნობით გამსჭვალულს, შეუძლია გული სიხარულით არ უთრთოდეს, როცა მესხეთის მიწას გაჰყურებს? აქ ყველაფერი სიყვარულია,—მცირე კენჭებიდან წმინდა ჰაერით დამთავრებული! ვსუნთქავთ ამ ჰაერით და გულში დაუშრეტელი ძალის მატებას ვგრძნობთ.

მიჰქრის ჩვენი ავტო და უეცრად ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი ჟრიამული გვესმის, სადა ვართ? აწყურში?

ყმაწვილები წყაროსაკენ გარბიან, ერთმანეთს ეწევიან და გაჰკივიან: „ვერ გამექცევი“, „სად მიხვალ, ბიჭო“, „თაზო, აქ მოდი!“. ავტოს ვაჩერებთ და ჩამოვდივართ. ახალი მესხების წრეში შევდივართ, ყმაწვილები ვარსკვლავთვალებით შემოგვცქერიან, ისინი ახლა უფრო დაბალის ხმით, მაგრამ დიდის სიხარულით რაღაცაზე ჩიტებივით ჟღურტულობენ ერთიერთს შორის... გინდა მოეხვიო, გულში ჩაიკრა, მაგრად დაჰკოცნო ამ მიწა წყალზე ახლად მოსული პატარა მესხები, მაგრამ ვგრძნობთ, ეს ძლიერ ცოტაა იმ დიადი გრძნობის გამოსათქმელად, რასაც ეხლა განვიცდით. წყაროს ვუახლოვდებით, საითკენაც ყმაწვილები გარბოდნენ.

— წყალს არ მიირთმევთ?—გვეკითხება გოგონა. ჩვენ ახლა მოგვაგონდა, რომ გვწყურდა. ყელმაღალ, ქართულ სურას ვართმევთ გოგონას და წყაროს წყალს ხარბად ვეწაფებით, — ვსვამთ, ვსვამთ და ველარა ვძღებით. იქნებ იმიტომ ვერ მოვიკალით წყურვილი, რომ გვგონია, იმ სიყვარულის წყაროს ვსვამთ, რაც ამ მიწასთან ჩვენ გვაკავშირებს...

— შენ საიდან ხარ ბიჭუნი? — ვეკითხებით ერთს.

— ხარაგოულიდან.

— მესხი ხარ თუ იმერელი?

ყმაწვილი ჯერ ჩაფიქრდა, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ თამამად სთქვა:

— ქართველი ვარ!

სიცილი წაგვსკდა. ახლოს შეჩერებულმა ყმაწვილებმა ჩვენთან ერთად გადაიკისკისეს. ისინიც მიხვდენ, რომ ამ პასუხით იმ პატარა ბიჭმა გვაჯობა.

ავტო ისევ წინ მიგვაქროლებს.

აი, ახალციხე! გავცქერით მას და აქ ძველისა და ახალის საზღვარს დავეძებთ: მარჯვნივ ძველი ციხე-სიმაგრე, მარცხნივ — თანამედროვე ქალაქი.

ორსართულიან შენობაში შევდივართ. რაიკომის მდივანი, — ისაკ

ძებისაშვილი მეგობრული ღიმილით გვხვდება.

დიდხანს ვსაუბრობთ: ძველი მესხეთი, ახალი მესხეთი, — რაც იყო, რაც არის! აი თემა ჩვენი საუბრისა და ამ საუბრიდანაც ბევრი რამ ახალი გავიგეთ. მთავარი ის არის, რომ მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც აქ იმერლები დასახლდნენ და უკვე მესხეთის მკვიდრნი გახდნენ.

აი, პირველი სოფელი, — „კლდე". ყველა სოფლის სახელი ძველი ქართულია, შინაარსი კი ახალია. რამდენიმე საუკუნის წინად თურქთა ურდოებმა წაბილწეს წმინდა ხელით ნაშენი ქართული სოფლები. შემდეგ თურქთა ბატონობა მოისპო, მაგრამ საუკუნოებით დაგროვილი თურქული ჭუჭყი აქ დიდხანს დარჩა! ზევით ავდივართ, შორს გავჰყურებთ მესხეთის მთაგორაკებს, სადაც უფრო თვალნათლივ ვხედავთ თურქთა ურდოების ბოროტ ნაკვალევს: მათ გაანადგურეს ძველი მესხეთის არა მხოლოდ სოფლები, არამედ მიწაც! გაატიტვლეს, ტყეები გადასწვეს და ამ ტყეებთან ერთად მიწაც დამწვარა, გაძარცულა, - რამდენ ახალ სოფლებს დაიტევდნენ ეს ტრამალები, რომ პირვანდელი სიცოცხლის სუნთქვა არ დაეხშოთ მათთვის. მაშინვე მომაგონდა რაიკომის მდივნის სიტყვები: „ამხანაგმა ჩარკვიანმა წელს ოცამდე სარწყავი დანადგარი გამოგვიგზავნა, კიდევ მრავალს მოველით და სულ მალე უწყლობა ჩვენს მიწას ვერ შეაწუხებსო.

და მართლაც, თუ მესხეთისათვის რას ნიშნავს წყალი ამის მაგალითს ჩვენ აქაც ვხედავთ, ამ სოფელშიაც და ყველგან, სადაც წყლის მაცოცხლებელი ნაკადი წვდება. აი, აქვე ახალი ვენახი!— ქართველი კაცის თანამგზავრი დასაბამიდან. აქ ახლა ქართველები მოვიდნენ და ეს განუყრელი თანამგზავრი თან მოიყვანეს. ამ ვენახებზე არხიც მიუშვიათ და მთის წყაროებით სამუდამოდ გაუცოცხლებიათ დამწვარი მიწა. დავყურებთ ამ მიწას, რომელსაც ვინ იცის, რამდენი საუკუნეა ადამიანისათვის, არავითარი ნაყოფი არ მოუცია, და ვგრძნობთ რა დიდია აქ გასაქანი, თუ თურქების მიერ აოხრებულ მიწას ისევ ნამდვილი შვილის მშობლიური ხელი შეეხო.

აი, კალო! ახალი მესხები კალოს შესევიან, ყურს ვუგდებთ მათ საუბარს და გული ხარობს. ასე გვგონია იმერეთში ვართ.

ვენახში შევდივართ.

— აქ ქვას რომ წყალი დაასხათ, ისიც აყვავდება! მეორე წელია ეს ვენახი ჩავყარეთ და ხომ ხედავთ, რა ხდება!—ვაზმა ქვაში ამოჰყო თავი, ხელი გაშალა და გაიხარა!—გვეუბნება ახალი მესხეთის კოლმეურნე, გრძელ ჯოხს აქეთ-იქით აბორიალებს, მეორე ხელით პირში ჩიბუხი გამოუჩრია, აბოლებს და თან იღიმება.

ხილნარით გარემოცულ სოფელში შევდივართ. ახალი იმერული ოდები მტრედებივით ჩამსხდარან ეზოებში და თავმომწონედ გაჰყურებენ ახალი ცხოვრების მოწმენდილ ცას. მწვანე მოლით შემოსილ ეზოში ორი აკვანი ერთად დაუდგამთ. შუაში ათი-თორმეტი წლის გოგონა ზის და აკვნებს არწევს, თითქოს „ნანას" ეუბნებაო, რაღაცას თავისათვის ჩურჩულებს და მისი ხმით თითქოს ჩვენც ვმღერით:

> გაიზარდე შვილო ნესტანისაო,
> ახალი ხმით გაახარე მესხეთი, —

მივდივართ ახლოს. ჩვილნი ერთმანეთს გადაჰყურებენ და რაღაც შეუცნობელი სიამით იღიმებიან. განა იციან, რომ ისინი იმ სუნთქვას აგრძელებენ, რომელიც აქ ძველ მესხებს შეუწყდათ? განა მათ იციან, რომ რუსთაველის აკვანში წვანან? განა შესაძლოა ნახოთ ეს სურათი და არ გაიხაროთ? აი, როგორ მოდიან ახალი მესხები!

და ჩვენც ვამაყობთ, ყოველ ნაბიჯზე ამ სიამაყის გრძნობით თითქოს ვიზრდებით!

ჩვენი მანქანა ალმართს შეუდგა, მთას მიეძალა.

სულ ზევით ავდივართ, აქედან თითქმის ძთელი მესხეთი მოსჩანს, მახლობელ სოფლებს ვათვალიერებთ. აქ ყოველ სოფლებში ახლად დასახლებული იმერლები არიან.

აი, მთის კალთებზე თითქოს ახლად გაშენებული სოფელი სვირი! საოცარია: სამი საუკუნის წინ, თურქთა ურდოების შემოსევის დროს, მესხეთის სვირელებმა დასტოვეს თავისი მშობლიური სოფელი და იმერეთში გადაიხიზნენ. ნიშნად დიდი სიყვარულისა მათ ამ სოფლის სახელი იმერეთში წაიღეს და სადაც დასახლდნენ, იმ სოფელს შეარქვეს. როცა მათს საყვარელ მესხეთში თურქთა სახსენებელი სამუდამოდ გადაიბუგა, ისევ თავის პირვანდელ სოფელ სვირში მოვიდნენ იმ მიწაზე, რომელშიაც ვინ იცის, მათი წინაპრების რამდენი ძვალი მარხია. აქ ერთი ძველი სვირელი დახვდა ახალმოსულებს. დიდება მას, რადგან მისმა წინაპრებმა საკუთარ სხეულზე გადააატარეს სასტიკ საუკუნეთა სუსხიანი დღეები, მაგრამ მშობლიურ სოფელში ღრმად გადგმული მათი ფესვი მაინც ვერ მოთხარა მტერმა! შესაძლოა ამიტომაც ის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ აქ ახლად-მოსულებს. ეს მოგონილი ამბავი კი არაა, სინამდვილეა და როცა ხედავთ ყოველივე ამას, ვის შეუძლია მისდამი უღრმესი მოკრძალების გრძნობით არ აღივსოს...

სოფელ ჭვინთას ვუახლოვდებით. ამ სოფლის მისასვლელთან არხზე გადავდივართ. აქ ჭვინთის ახალი მოსახლეობა ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობას იწყებს. ზევით, სოფლის შუაგულში, ვეებერთელა კალო გაუმართავთ. ტრაქტორით კომბაინს ამუშავებენ და ოქროსფერი ხორბალი წყაროსავით იღვრება პირდაღებულ ტომრებში. კოლმეურნეები აგროვებენ ბზეს, ზოგს ხორბალით სავსე ტომრები მიაქვს, ზოგი ტრაქტორსა და კომბაინს ემსახურება და ამ საერთო შრომის ფერხულში გინდა შენც ჩაება. პუტრუ — ეს ბოსავალს კოლმეურნეებში მეტი სიცოცხლე შეუტანია, ხმამაღლა გასძახიან ერთმანეთს და იცინიან. აი, ფრონტიდან დაბრუნებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ცალხელა ალექსანდრე გელაშვილი გავიცანით. ჭიათურის რაიონიდან გადმოსახლებულ იმერელ კოლმეურნეებს ამ ახალი სოფლის მყარს ნიადაგში უფრო ძლიერი ფესვები გაუდგამთ: იმერული ოდების გვერდით კლუბის ახალი შენობაც აუგიათ, რომელშიაც დიდის ხალისით მართავენ სცენას, აწყობენ სკამებს.

მზე გადაიხარა. ჩვენ გვეჩქარება, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმერელი კაცის თავაზიანობით თავის ოჯახში გვეპატიჟება. უარის თქმას ვეღარ ვახერხებთ, მით უფრო, დიდი გზა გამოვიარეთ და მოღლილები ვართ, მეორეს მხრივ ძლიერ გვწყურია ახლა შიგნითაც ვნახოთ ის ოჯახები, რომლებმაც ამ ახალ სოფელში განახლებული ცხოვრება დაიწყეს!

კლდეზე გადმოდგმულ ორსართულიან შენობაში შევდივართ, ზედა სართულის გაშლილ აივანზე ახალგაზრდა ქალი დამჯდარა, ხელში პატარა ბიჭუნა აუყვანია და ძუძუს აწოვებს.

— ქართველო დედებო, აღზარდეთ ახალი მესხები!

დედა გვეგებება და მისი პირბადრი— ბიჭუნა გაკვირვებით კი არა, თითქოს რაღაც დიდი ნდობით შემოგვცქერის სახეში.

„ნორჩო ყლორტებო განახლებულ მიწისა, იმრავლეთ, გაიხარეთ და გაძლიერდით“—გავიფიქრე გულში.

დიახ, იბადებიან, იზრდებიან და მოდიან ახალი ბედნიერი მესხები.

იმერული სუფრა გაშალეს, მაგრამ გრძნობთ, ამ სუფრას აქაური, ძველ მესხური სიმსუყეც შეჰმატებია. ეს შეზავება ამდიდრებს სუფრას. ახალ-

გაზრდა დიასახლისი ერთი წუთითაც ალარ ჩერდება, მოღიმარი სახით თავს დაგვტრიალებს, — კოხტად გაშლილ სუფრას მწვანილით, ცხელი მჭადებით, შემწვარი ვარიებით, ყველითა და იმერული ღვინით ამდიდრებს. სადა ვართ? თავი საკუთარ ოჯახში გვგონია... ყველა სადღეგრძელო განახლებულ მესხეთს ეკუთვნის. ყველა ჩვენი საუკეთესო გრძნობები და სურვილები ამ ახალი მესხეთის ბედნიერების შემქმნელს ეკუთვნის.

მზე მთაზე ეშვება, აივანზე გამოვდივართ და მწვანით დაბურულ სოფელს დავყურებთ. ის უძველესი ქართული, სოფელი კატანისია. ეს სოფელი არწივის ბუდესავით შერჩენილა კლდიან ხეობაში და აქ 1626 წელს თურქების მიერ მოტანილ ზამთარს ვერ დაუნგრევია, — მას ისევ ქართულ გაზაფხულამდე უტარებია მშობლის სითბო, სახელი და სიცოცხლე, რომელი გული გაუძლებს სიხარულს, რასაც ამ სოფლის მკვიდრნი დღეს განიცდიან, — როცა სამასი წლით დაშორებულ ძმებს აქ დაბრუნებულს ხედავენ, როცა ამ ძმების იმედიანი ხმები გაისმის მათ გარშემო! მათი სიცოცხლე თითქოს ახლად იწყება, ნამდვილად ბედნიერი, — სანეტარო სიცოცხლე!

ვემშვიდობებით ჩვენს ძვირფას მასპინძლებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ კვლავ ვინახულებთ, ამიერიდან არასოდეს არ დავივიწყებთ.

ჩვენი ავტო ქვევით ეშვება. საქონლის ჯოგი, ცხენების რემა და ცხვრის ჭამრავი ფარა გვიღობავს გზას და ხშირად ვჩერდებით. ძლივს ვაღწევთ თავს ახალი მესხეთის ამ მოზღვავებულ ბარაქას.

ისევ ბორჯომისაკენ მიგვაქროლებს ჩვენი მანქანა. რამდენი რამ სასიხარულო გულით თან მოგვაქვს.

—:—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ მამფორია

მოხუცი მეგალე

★

აქ უსიცოცხლო მიწა გოდებდა,
მკერდგადამწვარი და დაშანთული.
ახლა კი მალე გამოქროლდება
ამ გზაზე ჩვენი ავტო ქართული.

ეს გზა ძვირფასი, ხეთა ჩრდილებში
ელვად იქნება ძირს გაგებული.
ზვიად ჭადრებით და ყვავილებით
იხარებს ბაღი შუქდანთებული.

ო, ეს მოხუცი გაუტეხელი,
მინდიასავით ხეებს დახარის.
თითქოს იმათთვის მოაქვს მზე ხელით,
ათოვს ყვავილებს სხივი ჭაღარის.

აიღებს ნერგებს, მკერდთან იფარებს
და მზე-ჭაბუკებს მის გულს გადუშლის.
— ეს ისე ქვეყნად ვერ გაიხარებს,
თუ არ გაიდგა ფესვი მამულში.

უსამშობლოოდ ვის უცოცხლია,
იგია ჩვენი აკვნის დამრწევი.
მე ხე შვილივით დამილოცია
მიტომაც მიწის მადლით გავძელი.

ჩემი ფესვებიც აქვე გამიდგამს
სამოცი წელი ტოტებს ვარხევდი.
და ქვეყნად რაც კი ხენი დამირგავს
ყველას სამშობლოს ჰქვია სახელი.

ჭაბუკურ ცეცხლით ახლაც ვგუგუნებ
მარჯვენას წლებს არ დავაჯაბნინებ
ბაღებში შრომის ჰანგით მიგულვეთ,
ლხინშიც დავჭექავ მრავალჟამიერს!

ღაღადებს ასე, თვალანთებული
ნერგებს შეხარის ის გატაცებით.
და დიდ ბელადზე ამღერებული
გარს ეხვევიან ახალგაზრდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჭიაურელი

გამარჯვებულთა ყრილობა

(საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის თხუთმეტი წლისთავისათვის)

★

1934 წლის 26 იანვარს მოსკოვში გაიხსნა საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობა.

XVII ყრილობის პერიოდისთვის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ განვლო გიგანტური ისტორიული გზა.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად სოციალიზმმა გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად. წარმოების დარგში ლიკვიდირებულ იქნენ კაპიტალისტური ელემენტები. მოსპობილ იქნა უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი სოფლად — კულაკობა. ამგვარად ამ ყრილობისათვის უკვე შექმნილი იყო სოციალისტური ეკონომიკის ურყევი საძირკველი. ლიკვიდირებულ იქნა სსრ კავშირის ეკონომიკის მრავალწყობიანობა და სოციალისტური წყობილება გახდა განუყოფლად გაბატონებული და ერთადერთი მთავარი ძალა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

საკოლმეურნეო წყობილებამ მოსპო სიღატაკე და სიღარიბე სოფლად, ხოლო სოციალისტურმა სისტემამ წარმოებაში მოსპო უმუშევრობა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აგების ლენინურ-სტალინური თეორია განხორციელდა ცხოვრებაში.

XVII ყრილობამ შეაჯამა საანგარიშო პერიოდში პარტიის მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა და აღნიშნა, რომ „პარტიის გენერალურმა ხაზმა გაიმარჯვა მთელი ხაზით“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვ. 389).

პარტიის XVII ყრილობა შევიდა ისტორიაში როგორც „გამარჯვებულთა ყრილობა“.

ამხანაგი სტალინი გამოვიდა ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით და აღნიშნა ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც მოხდნენ საბჭოთა კავშირში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები.

*
* *

თავისი მოხსენება XVII ყრილობაზე, ისე როგორც სხვა მოხსენებები წინანდელ ყრილობებზე, ამხანაგმა სტალინმა დაიწყო იმ კაპიტალისტური გარემოცვის ღრმა ანალიზით, რომელშიც იმყოფებოდა სსრ კავშირი. ის მიუთითებდა, რომ იმ დროს, როცა რუსეთი ურყევ კლდესავით იდგა და განაგრძობდა სოციალისტური მშენებლობის საქმეს, კაპიტალისტური სამყარო ცხოვრობდა გაჭიანურებული მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ვითარებაში. მართალია, თუმცა შესამჩნევი გახ-

და უდიდესი დაცემულობის წერტილიდან დეპრესიისაკენ გადასვლა, კაპიტალიზმმა მუშათა კლასის, გლეხობისა და კოლონიათა მშრომელების ექსპლოატაციის ხარჯზე მოახერხა მრეწველობის მდგომარეობის შემსუბუქება. მაგრამ, როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, იმ განსაკუთრებული სახის დეპრესიას, რომელშიაც შევიდნენ კაპიტალისტური ქვეყნები, როდი მოჰქონდა მრეწველობის ახალი აღმავლობა და აყვავება. და, მართლაც, ცხოვრებამ დაამტკიცა ამხანაგი სტალინის წინასწარმეტყველების სისწორე, ვინაიდან 1937 წლის ბოლოდან კაპიტალისტურმა სამყარომ ვერ დააღწია თავი დეპრესიას და ის კვლავ შევიდა ახალი ეკონომიური კრიზისის ზოლში. ამხანაგი სტალინი ამბობდა ყრილობაზე, რომ ბურჟუაზია კრიზისიდან გამოსავალის ძებნას დაიწყებდა პირსისხლიან ფაშისტურ დიქტატურასა და ახალი მსოფლიო ომის მზადებაში.

„საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლის გაძლიერებამ, თავისუფალი ვაჭრობის უკანასკნელი ნაშთების მოსპობამ... უკიდურესობამდე გაამწვავეს ურთიერთობა ქვეყნებს შორის, შეჰქმნეს ნიადაგი სამხედრო შეტაკებისათვის და დღის წესრიგში დააყენეს ომი, როგორც საშუალება მსოფლიოს და გავლენის სფეროების ხელახალი გად ნაწილებისა უფრო ძლიერი სახელმწიფოების სასარგებლოდ“ (სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 535, მე-11 ქართ. გამოცემა).

მანჯურიაში იაპონიის შეჭრასა და გერმანიაში ჰიტლერელთა მიერ ხელისუფლების დაპყრობას მოყვა ახალი მსოფლიო ომის ორი კერის ჩამოყალიბება.

ახალი მსოფლიო ომის ორი კერის შექმნის ღღიდანვე საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ეწეოდა გერმანიის ფაშიზმის აგრესიული ზრახვებისა და მსოფლიო ბატონობის მოპოვებისათვის მისი მისწრაფებების თანმიმდევრულ გამოაშკარავებას. ამხანაგმა სტალინმა ძალთა ჩვეული დიდი შორსმჭვრეტელის სიბრძნით პარტიის XVII ყრილობაზე დაახასიათა მებრძოლი იმპერიალიზმის მისწრაფებები და მოვლენათა მსვლელობა. ის მკვეთრად აკრიტიკებდა გერმანელ ფაშისტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ „მაღალ“ გერმანულ რასას, რომლის მოწოდება იყო „დაბალი რასის“, უწინარეს ყოვლისა კი—სლავების დამორჩილება. ამხანაგმა სტალინმა მოაგონა ფაშისტ პოლიტიკოსებს მაგალითი ძველი რომის დამპყრობლებისა, რომლებმაც განიცადეს დამარცხება იმათგან, რომელთაც ისინი „ბარბაროსებად“ და „დაბალ რასად“ სთვლიდნენ.

ამხანაგ სტალინის მოხსენება XVII ყრილობაზე ამასთან ერთად იყო ფაშისტური აგრესიისადმი ხელშეწყობის პოლიტიკის მკვეთრი გამოაშკარავებაც.

ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები, მხარს უჭერდნენ რა ჰიტლერულ გერმანიას, მიისწრაფოდნენ გამოეყენებინათ ის თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის, ისინი სთავაზობდნენ მას მნიშვნელოვან კაპიტალს, ხელს უწყობდნენ მის სამრეწველო განვითარებასა და შეიარაღებულ ძალთა აღდგენას. და მხოლოდ საბჭოთა დემოკრატიული სახელმწიფო, მხოლოდ ჩვენი სოციალისტური სამშობლო გამოდიოდა მშვიდობიანობის თანმიმდევრულ და დაუღალავ ქომაგად და ფაშისტ მტაცებელთა ამლაგმველად.

„ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია,—ამბობდა ამხანაგი სტალინი ყრილობაზე. — იგი არის მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არ აქვს დაემუქროს ვისმე და—მით უმეტეს —

თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას". (იქვე, გვ. 547).

სსრ კავშირის ეს როლი, მისი კეთილშობილი და პროგრესიული პოლიტიკა პირობადებული იყო ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებით. ის იყო პირდაპირი გაგრძელება და შემდგომი განვითარება ხალხთა შორის დემოკრატიული მშვიდობიანობისათვის იმ ბრძოლისა, რომელსაც უცვლელად ატარებდა ჩვენი სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე.

საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა აგრეთვე სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი აღმავლობის შესახებ განვლილი წლების განმავლობაში. მან დაწვრილებით გააშუქა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საქონელბრუნვისა და ტრანსპორტის საკითხები, და აგრეთვე მშრომელთა მატერიალური მდგომარეობისა და კულტურის საკითხი.

სოციალისტური სექტორი შეადგენდა ჩვენი ქვეყნის მთელი მრეწველობის 99 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორი შეადგენდა მთელი ნათესი ფართობის დაახლოებით 90 პროცენტს. საქონელბრუნვიდან მთლიანად განდევნილ იქნა კაპიტალისტური ელემენტები. შექმნილ იქნა წარმოების ახალი დარგები: ჩარხთმშენებლობა, საავტომობილო, საავიაციო, სატრაქტორო მრეწველობა და სხვა დარგები, როგორებიც არ ყოფილა ძველს რუსეთში.

ეს ძირითადი გარდაქმნები, რომლებიც მოხდნენ სსრ კავშირის ეკონომიკაში, — მიუთითებდა ამხანაგი სტალინი, — შეიძლებოდა განხორციელებულიყვნენ მხოლოდ სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ბაზაზე, კაპიტალისტური და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის სისტემის წინააღმდეგ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის ბაზაზე, ათეულ მილიონ ადამიანთა საზოგადოებრივი შრომის ბაზაზე.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და სახალხო მეურნეობის განუხრელი ზრდის შედეგად სწრაფად იზრდებოდა მშრომელთა კეთილდღეობა.

„პარაზიტული კლასების ლიკვიდაციამ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი, — მიგვიყვანა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობამდე. მუშისა და გლეხის შრომა განთავისუფლებულია ექსპლოატაციისაგან. შემოსავალი, რომელსაც ექსპლოატატორები ხალხის შრომიდან გამოსწურავდნენ, ამჟამად მშრომელთა ხელში რჩება და გამოყენებულია ნაწილობრივ წარმოების გასაფართოებლად და წარმოებაში მშრომელთა ახალი რაზმების ჩასაბმელად, ნაწილობრივ—მუშათა და გლეხთა შემოსავლის პირდაპირი გადიდებისათვის" (იქვე, გვ. 570).

ამხანაგ სტალინის მოხსენებაში დიდი ადგილი ეთმობოდა იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკითხს. ის ლაპარაკობდა, რომ თუმცა პარტიის მტრები — ყველა ჯურის ოპორტუნისტები, განადგურებულნი არიან, მაგრამ მათი იდეოლოგიის ნაშთები ჯერ კიდევ გამძლენი არიან და ხშირად იჩენენ თავს. ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ დარჩენილია კაპიტალიზმის გადმონაშთები, და სწორედ ეს გადმონაშთები ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენენ განადგურებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის გამოსაცოცხლებლად.

ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა კონტრრევოლუციური შ ხედულებები სოციალიზმის მტრებისა, რომლებიც ქადაგებდნენ, კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობის, სახელმწიფოებრი-

ვი ხელისუფლების შესუსტების „თეორიას“. მან დაგვანახვა, რომ მუშათა კლასის ძლიერი და მძლავრი დიქტატურა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კომუნისტური საზოგადოების ასაგებად.

ამხანაგმა სტალინმა ზუსტად ჩამოაყალიბა პარტიის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის სფეროში მდგარი ამოცანები: სათანადოდ ამაღლდეს პარტიის თეორიული დონე; გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობა პარტიის ყველა რგოლში; წარმოებდეს ლენინიზმის დაუღალავი პროპაგანდა პარტიის რიგებში; აღიზარდოს პარტორგანიზაცია და მის ირგვლივ მყოფი უპარტიო აქტივი ლენინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; არ მიიჩქმალოს, არამედ გაბედულად გაკრიტიკდეს მარქსიზმ-ლენინიზმიდან ზოგიერთი ამხანაგების გადახვევები; სისტემატურად იქნას გამოაშკარავებული ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილ მიმდინარეობათა იდეოლოგიის ნარჩენები.

პარტიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ამხანაგ სტალინის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ის ლაპარაკობდა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნიდან ორგანიზაციული მუშაობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე. საქმის წარმატებით უზრუნველსაყოფად როდი კმარა სწორი გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროა სწორად განაწილება ადამიანებისა, რომელთაც შესწევთ უნარი ცხოვრებაში გაატარონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები და მოაწყონ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

თავის საანგარიშო მოხსენების დამთავრებისას ამხანაგმა სტალინმა გაგვაფრთხილა: არ უნდა გაგვიტაცოს მიღწეულმა წარმატებებმა და არ გავმედიდურდეთ.

„... ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, — არამედ უნდა ვანვითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი, — არამედ უნდა ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, — არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა მოვახდინოთ, — არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში...“ (იქვე, გვ. 604).

დასასრულ ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა პარტიის ყველა წევრს ბოლომდის ერთგული ყოფილიყვნენ მარქსის“ ენგელსის, ლენინის საქმისადმი, ბოლომდის ერთგულნი ყოფილიყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისადმი, ყველა ქვეყნის პროლეტარების ძმური კავშირის საქმისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობამ გამოამჟღავნა ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ხაზის ზეიმი, მან გამოამჟღავნა უღრმესი ერთგულება პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, რომელსაც მტკიცედ და განუხრელად მიჰყავდა და მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინის დიად ანდერძთა განხორციელების გზით.

ამხანაგ სტალინის მოხსენება მოწონებული იქნა ყრილობის მიერ, რომელსაც ს. მ. კიროვის წინადადებით, არ მიუღია განსაკუთრებული რეზოლუცია არამედ დააკისრა ყველა პარტიულ ორგანიზაციას თავიანთ მუშაობაში ეხელმძღვანელნათ ამხანაგ სტალინის მოხსენებაში წამოყენებული დებულებებითა და ამოცანებით.

„... ამაო იქნებოდა თავი გვემტვრია იმ საკითხზე, — ამბობდა ამხანაგი კიროვი, — თუ როგორი გადაწყვეტილება, როგორი რეზოლუცია გამოვიტანოთ ამხანაგ სტალინის მოხსენების გარშემო. ჩემის აზრით სწორი იქნებოდა, — და ყოველ შემთხვევაში საქმისათვისაც ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ყოველი სხვა გადაწყვეტილება,—რომ მივიღოთ შესასრულებლად როგორც პარტიული კანონი ამ-

ხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენების ყველა დებულება და დასკვნა". (საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის სტენოგრამა, რუს. გამოც. გვ. 252).

*

* *

საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობამ მოისმინა ამხანაგ მოლოტოვისა და კუიბიშევის მოხსენებები 1933—1937 წლებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მეორე ხუთწლიანი გეგმა დამუშავებულ იქნა XVII პარტკონფერენციის დირექტივების საფუძველზე და დამტკიცებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის მიერ.

მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი პოლიტიკური ამოცანა იყო ყველა ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, მოსპობა იმ მიზეზებისა, რომლებიც წარმოშობენ ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციას და ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად საზოგადოების დაყოფას.

პარაზიტული კლასების ნარჩენების ლიკვიდაცია და საერთო ზრდა სახალხო შემოსავლისა, რომელიც მთლიანად მშრომელთა განკარგულებაში შედიოდა, ნებას იძლეოდნენ სახალხო განათლების დონის 2—3-ჯერ ამაღლების ამოცანის დაყენებისათვის.

მეორე ხუთწლედის ძირითადი და გადამწყვეტი სამეურნეო ამოცანა იყო მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის უახლესი ტექნიკური ბაზის შექმნა.

მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები განსაზღვრულ იქნა ამხანაგ სტალინის მიერ. ამხანაგმა სტალინმა დასახა აგრეთვე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების მთელი რიგი გეგმებისა.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის შემდგომ უდიდეს ზრდას: 1937 წელს [illegible] დონეს სახელდობრ 8-ჯერ უნდა გაძლაჭარბებია მრეწველობის ომამდელ დონისათვის. გეგმით გათვალისწინებული იყო, რათა მთელს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდება აყვანილ ყოფილიყო 133 მილიარდ მანეთამდე პირველი ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 64.4 მილიარდი მანეთის წინააღმდეგ.

ამ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტამ მოითხოვა გამოზრდა მილიონობით საბჭოთა ადამიანებისა, რომლებსაც უნარი ექნებოდათ დაემორჩილებინათ ახალი ტექნიკა, გამოეყენებინათ იგი ბოლომდის, ამოექაჩათ იმისგან ყველაფერი, რის მიცემაც მას შეეძლო. მრეწველობა ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა აყენებდნენ კვალიფიციური მუშახელის გრანდიოზულ და განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებას. ახალი სრულყოფილი ტექნიკა მოითხოვდა მშრომელთა მაღალ ტექნიკურ კულტურას. ასეთ პირობებში ტექნიკის ზრდისაგან კადრების მომზადების ჩამორჩენა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომ წარმატებებს.

აი ამიტომ თავის სიტყვაში წითელი არმიის აკადემიის მსმენელთა გამოშვებაზე 1935 წელს ამხანაგმა სტალინმა, როგორც მთავარი ამოცანა ახალს პირობებში, ჩამოაყალიბა ცნობილი ლოზუნგი „კადრები სწყვეტენ ყველაფერს".

ბოლშევიკურმა პარტიამ შეამჭიდროვა სსრ კავშირის ხალხები მეორე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. პარტიამ გაანადგურა მშრომელთა უბოროტესი მტრები—ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური აგენტები. ფაშისტური აგენტების განადგურება იყო ხუთწლედის წარმატებითი რეალიზაციის წინაპირობა.

ამგვარად დიდი ბელადის ხელმძღვანელობით წარმოიშვა და განხორციელდა სოციალიზმის აშენებლობის გრანდიოზული გეგმა მეორე ხუთწლედში.

საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობამ დიდის ყურადღებით მოისმინა აგრეთვე ამხანაგ კაგანოვიჩის მოხსენება „პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ორგანიზაციული საკითხები“.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამი იყო—„მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები — კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, უახლოეს ტექნიკურ ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება, ახალი ტექნიკისა და ახალი საწარმოების ათვისება, სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია და მისი პროდუქტულობის ამაღლება — მთელის სიმკვეთრით აყენებენ საკითხს ყველა დარგში მუშაობის ხარისხის, პირველ რიგში ორგანიზაციულ-პრაქტიკული ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლების შესახებ“. (საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციები, ნაწ. II, რუს. გამოც. გვ. 591).

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება, რომელშიც შეტანილი იქნა შესავალი ნაწილი კომუნისტური პარტიის როლისა და პროლეტარული დიქტატურის ორგანოთა სისტემაში მისი ადგილის მოკლე განსაზღვრით. ახალ წესდებაში დაწვრილებით იქნა ჩამოთვლილი პარტიის წევრთა ვალდებულებები. წესდებაში შეტანილი იქნა პარტიაში მიღების უფრო მკაცრი წესები და ახალი მუხლი თანამგრძნობთა ჯგუფების შესახებ. წესდებაში ახლებურად იქნა ჩამოყალიბებული მუხლები შინაპარტიული დემოკრატიისა და შინაპარტიული დისციპლინის შესახებ. პარტიული წესდების ახალ რედაქციაში განსაკუთრებით ხაზგასმით იყო აღნიშნული კომუნისტთა ვალდებულება დაეცვათ უმკაცრესი დისციპლინა, დაუფლებოდეს საქმის ტექნიკას, დაუცხოეთ ემუშავნათ თავიანთი იდეური შეიარაღების აძაღლებისათვის, დაუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს.

პარტიის XVII ყრილობამ ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მიიღო გადაწყვეტილება საკ. საკონტროლო კომისია—ძუ"ბგლეხინის ნაცვლად, რომელიც XII ყრილობის დროიდან ასრულებდა საბჭოთა და პარტიული კონტროლის ფუნქციებს, შექმნილიყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან პარტიული კონტროლის კომისია და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან საბჭოთა კონტროლის კომისია, რომელთა ამოცანაში შევიდა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებები, რაც ახარებდა: მუშებს, კოლმეურნეებსა და მთელს საბჭოთა ინტელიგენციას, აცოფებდა საბჭოთა კავშირში განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაძირალებსა და პარტიის მტრებს. მათი მეთაურები — საზიზღარი ორჭოფები, სამშობლოს მოღალატენი, ფაშისტური დაზვერვის აგენტები: ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი და სხვები, გამცემლები, რომლებიც ეწეოდნენ მავნებლობას, ტერორსა და დივერსიას, პარტიისადმი ერთგულ ადამიანებად შენიღბულნი ორჭოფულად გამოდიოდნენ XVII ყრილობაზე მომნანიებელი სიტყვებით, ხოტბას ასხამდნენ პარტიას და იმათრახებდნენ თავიანთ თავს. მაგრამ მათი სიტყვები, როგორც ამის შესახებ ლაპარაკობდა ს. მ. კიროვი ყრილობაზე, იყო არაგულწრფელი და ყალბი და მათი დაჯერება არ შეიძლებოდა. პარტიამ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა და ვერ ხედავდა, რომ გამოდიოდნენ რა ყრილობაზე დაშაქრული სიტყვებით, ეს

ვაჟბატონები ამავე დროს ამზადებდნენ ს. მ. კიროვის მუხანათურ მკვლელობას და ტერორისტულ აქტებს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

შემდგომში პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცე ხელით გაუსწორდნენ და საბჭოთა მიწის პირისაგან აღგავეს მთელი ეს კონტრრევოლუციური ხროვა, რომელმაც გასაოცარი ბოროტმოქმედებები ჩაიდინა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ. თავის მუშაობას პარტიამ საფუძვლად დაუდვა ამხანაგ სტალინის მითითებები XVII ყრილობაზე—ბოლშევიკური სიფხიზლის ყოველმხრივი ამაღლების აუცილებლობის შესახებ.

*
* *

პარტიის XVII ყრილობიდან განვლო 15 წელმა. ეს პერიოდი აღსავსეა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. სტალინური ხუთწლედების შესრულების შედეგად ძირფესვიანად გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკა. წარმოების სოციალისტური სისტემა გახდა განუყოფელი და გაბატონებული სსრ კავშირის მთელს სახალხო მეურნეობაში. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კომუნიზმის პირველი ფაზა—სოციალიზმი.

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა ამხანაგ სტალინის მრავალგზისი მითითებების, პროგნოზებისა და წინასწარჭვრეტის მთელი სისწორე, რომელიც გვაფრთხილებდა, რომ აგრესორთან შეთანხმების პოლიტიკა, მის წინაშე კაპიტულაცია კარგს არაფერს მოგვიტანდა. ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ამ პოლიტიკამ გააღვივა ფაშისტური სახელმწიფოების და კერძოდ ფაშისტური გერმანიის დამპყრობელური ზრახვები. ომის საფრთხე, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი XVII ყრილობაზე, სინამდვილედ გადაიქცა. კაპიტალისტურმა სამყარომ წამოიწყო მეორე მსოფლიო ომი. ფაშისტმა აგრესორებმა ფაშიზმის უღლის ქვეშ ხალხთა დამონების მიზნით გააჩაღეს ახალი საყასბო. ამ ომის ხანძარში გამოიბუგა და განადგურდა არა ერთი სახელმწიფო, დარბეულ და დანგრეულ იქნა მრავალი ქვეყანა, გაჟლეტილ და დამონებულ იქნა მრავალი ხალხი. ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანასაც, დაარღვია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა და უდიდესი ზარალი მიაყენა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას. მაგრამ საბჭოთა კავშირმა არა მარტო გაუძლო ვერაგი და საშიში მტრის შემოტევას, არამედ კიდეც გააცამტვერა იგი. საბჭოთა სახელმწიფო, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, რომელმაც თავის თავზე მიიღო მტრის მთავარი დარტყმები, — მატერიალურად, მორალურ-პოლიტიკურად და სულიერადაც განმტკიცებულნი გამოვიდნენ ამ ბრძოლიდან.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა, ძლევამოსილად დაამთავრეს რა ომი, დარწმუნებულნი თავიანთ ძალღონეში, ახლა ანხორციელებენ მეოთხე სტალინურ ხუთწლედს — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლედს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით, ჩვენი ხალხი მტკიცედ და ძლევამოსილად მიემართება მსოფლიო ისტორიული გამარჯვებებისაკენ, ახალი, კიდევ უფრო მეტად დიდი და შესანიშნავი აყვავებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი კალანდაძე

ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ

ამხ. გ. ჯიბლაძის წიგნის „ხელოვნება და სინამდვილის“ გამო

★

ქართულ საბჭოთა ლიტერატურულ ცხოვრებაში გ. ჯიბლაძის წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ესთეტიკის საკითხების სისტემატიზირებული გაშუქებისა. როგორც სჩანს, ეს შრომა დიდი მუშაობისა და მონდომების ნაყოფია და, როგორც ასეთი, უეჭველად ფრიად საგულისხმოა. სხვა რომ არა იყოს რა მარტო საკითხების დაყენებას, მასალის ერთგვარ სისტემატიზაციასა და გარკვეულ განსაზღვრათა მოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც გზის გაკაფვას. მაგრამ წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“ სცილდება ამ მოკრძალებული ამოცანების ფარგლებს.

ცნობილია, რომ ესთეტიკის თეორიაში ოდითგანვე იბრძვის ორი ფილოსოფიური ხაზი: მატერიალისტური და იდეალისტური. მატერიალისტური ესთეტიკა გამოდის ფილოსოფიური მატერიალიზმის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ადამიანის აზროვნება, მათ შორის მხატვრული აზროვნებაც, ასახავს ობიექტურ სამყაროს, რომელიც არსებობს დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არ არსებობს მისი ამსახველი სუბიექტი, რომ მატერიალური სამყარო წინ უსწრებს შეგნებას, როგორც თავის იდეალურ გამოხატულებას.

„თქმა არ უნდა, ქვეყანაზე არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ისინი უარყოფდნენ ერთმანეთს. პირიქით, იდეალური და მატერიალური მხარე ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე ბუნების ან საზოგადოებისა, ისინი უერთმანეთოდ წარმოუდგენელია, ერთად არსებობენ, ერთად ვითარდებიან, და მაშასადამე, არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ვითომ უარყოფენ ერთმანეთს“.[1] ამრიგად, მარქსისტული მატერიალიზმის თვალსაზრისით „შეგნება და მდგომარეობა, იდეა და მატერია — ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, რომელსაც საერთოდ რომ ვთქვათ, ბუნება ან საზოგადოება ეწოდება“.[2] ერთი და იმავე მოვლენის ეს ორი მხარე — შეგნება და ყოფიერება, იდეალური და მატერიალური არ წარმოადგენენ იგივეობას, მაგრამ ისინი შეადგენენ დიალექტიკურ ერთიანობას და, მაშასადამე, არ შეიძლება მათი მოწყვეტა ერთმანეთისაგან, არ შეიძლება საზოგადოებრივი შეგნება მოწყვეტილ იქ-

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 293 — 294.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 298.

ნას საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან, აზრი—ობიექტური სამყაროსაგან.

„თუ მატერიალურ მხარეს, თუ გარეშე პირობებს, თუ მდგომარეობას და სხვა ამისთანა მოვლენებს შინაარსს დავარქმევთ, მაშინ იდეალურ მხარეს — შეგნებას და სხვა ამგვარ მოვლენებს ფორმა უნდა დავარქვათ. აქედან წარმოსდგა ცნობილი მატერიალისტური დებულება: განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსს“.[1]

ხელოვნება არის საზოგადოებრივი ყოფიერების იდეალური მხარის, ე. ი. საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმა. და რაკი საზოგადოებრივი შეგნება არ შეიძლება მოვწყვიტოთ მის შინაარს — საზოგადოებრივ ყოფიერებას ან გარეშე მატერიალურ სამყაროს, არც ხელოვნება შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი საგნობრივი შინაარსის — ობიექტური სამყაროს გარეშე; არ შეიძლება ხელოვნება მივაკუთვნოთ „წმინდა“ ფორმის სფეროს, რადგან ყოველი ფორმა შეიძლება არსებობდეს როგორც ფორმა გარკვეული შინაარსისა, და, მაშასადამე, ფორმა უშინაარსოდ ისევე შეუძლებელია როგორც „შინაარსი უფორმოდ შეუძლებელია“.[2] იგივე ითქმის ესთეტიკის სპეციფიკური საგნის — მშვენიერების შესახებაც. მშვენიერება ხელოვნებაში არ შეიძლება ეკუთვნოდეს „წმინდა“ ფორმის სფეროს, რადგან მშვენიერების გრძნობას აუცილებლად შეესაბამება კონკრეტული ობიექტური სინამდვილე, როგორც მისი შინაარსი, წყარო და საფუძველი. მშვენიერება ხელოვნებაში შეიძლება არსებობდეს როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, როგორც სინამდვილის ამსახველი გრძნობა თუ წარმოდგენა. ასეთია, მოკლედ, მატერიალისტური ესთეტიკის გამოსავალი დებულება.

იდეალისტური ესთეტიკის საფუძველს კი შეადგენს შემეცნების იდეალისტური თეორია. თუ იდეალიზმის ერთი სახეობა — ეგრეთწოდებული ობიექტური იდეალიზმი ქადაგებს, რომ ბუნება და საზოგადოებრივი ცხოვრება აბსოლუტური იდეის მხოლოდ გარეგნული ფორმა, მისი თვითგანვითარების უბრალო გამოხატულებაა, იდეალიზმის მეორე სახეობა — ეგრეთწოდებული დუალიზმი ანუ აგნოსტიციზმი უარყოფს ობიექტური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას და, ამრიგად, იდეალურსა და მატერიალურს შორის გაჰყავს გაუვალი ზღვარი, ხოლო სუბიექტური იდეალიზმი სრულიად უარყოფს ობიექტურ რეალობას, იგი საგნებსა და მოვლენებს სუბიექტურ შეგრძნობათა კომპლექსებად აცხადებს. ამრიგად, იდეალიზმი შემეცნებას, მაშასადამე, ხელოვნებასაც, როგორც შემეცნების ერთ-ერთ ფორმას, აცლის თავის ობიექტურ შინაარს — ადამიანის აზრის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ სინამდვილეს. მაგალითად, ჰეგელისათვის ხელოვნება არის აბსოლუტური იდეის თვითგანვითარების გარკვეული საფეხური, ფილოსოფიურ შემეცნებაზე დაბალი საფეხური, ანუ აბსოლუტური იდეის გამოვლენა თავის უშუალო ფორმაში, საყოველთაოს გამოხატვა ერთეულში, კონკრეტულში. მაგრამ ეს ერთეული თუ კონკრეტული, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რეალური საგნები და რეალური მოვლენები ჰეგელის სისტემაში აბსოლუტური იდეის მხოლოდ მოჩვენებითი გამოვლენაა. ამრიგად, ხელოვნების ჰეგელისეული განსაზღვრაც, არსებითად, ხელოვნებას სტოვებს იდეალისტური აბსტრაქციის სფეროში. კანტიანიზმის თვალსაზრისით

[1] იქვე გვ. 297.
[2] იქვე გვ. 298.

ხელოვნება სავსებით დაცლილია ყოველგვარი შინაარსისაგან, იგი სავსებით მოწყვეტილია ობიექტურ სამყაროს, რეალურ ცხოვრებას; მას არ შეუძლია ასახოს სინამდვილე, ასახოს რეალური საგნები, რადგან შემეცნებას საერთოდ არ ძალუძს გადალახოს თავისი საზღვრები და მისწვდეს მის გარეშე არსებული ბუნების ნამდვილ არსს. აქედან ბუნებრივია, რომ კანტს ხელოვნების სფეროდ მიაჩნდა წმინდა ფორმა, წმინდა ფორმათა მშენებლობა, დაცლილი ყოველგვარი რეალური შინაარსისა და ინტერესისაგან. კანტისათვის ესთეტიკის სფერო წმინდა ფორმის სფეროა, გემოვნების მსჯელობა თავისუფალია ყოველგვარი ადამიანური ინტერესებისაგან. კანტის ესთეტიკასთან ძალიან ახლოს დგას სუბიექტური იდეალიზმის ესთეტიკაც. თუ „მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი „მე“ მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს გარეშე პირობები, რომლებიც ამ „მე“-ზე შთაბეჭდილებას ახდენენ“,[1] სუბიექტური იდეალიზმი კი, პირიქით, ამბობს, რომ სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სუბიექტი, რომელიც აღიქვამს მას, რომ საგნები არსებობენ მხოლოდ სუბიექტის შეგნებაში. სუბიექტური იდეალიზმი პირდაპირ მიღის აბსურდულ მტკიცებამდე, რომ ქვეყნად იმდენნაირი და იმდენი სამყარო არსებობს, რამდენნაირი სუბიექტიც არსებობს. ამ საფუძველზე სუბიექტური იდეალიზმი ხელოვნებას განსაზღვრავს როგორც სუბიექტური ფანტაზიის მიერ შექმნილ ფორმებს, როგორც სუბიექტური ხილვის თვითმყობადობასა და დამოუკიდებლობას. ამ სუბიექტურ ხილვას, რასაკვირველია, არავითარი საერთო არ აქვს თვით რეალურ საგნებთან და მოვლენებთან. ის არ ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ იძლევა თვით სუბიექტის მიერ თავისთავში დანახულ, ძალიან, თვით სუბიექტის საკუთარ წარმოდგენას. ამრიგად, სუბიექტური იდეალიზმის ესთეტიკაში ადამიანის აზრი, გრძნობა და წარმოდგენა მოწყვეტილია თავისი ნამდვილი შინაარსისაგან — ობიექტური რეალობისაგან, ფორმა მოწყვეტილია შინაარსისაგან. ასეთია, მოკლედ, იდეალისტური ესთეტიკის გამოსავალი დებულებანი.

როგორც ვხედავთ, იმ დროს, როდესაც მატერიალიზმი ხელოვნებას განიხილავს როგორც ცოცხალ ამსახველობით კავშირს ობიექტურ რეალობასთან, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, იდეალიზმი ხელოვნებას სწყვეტს სინამდვილისაგან, იგი სთიშავს ფორმასა და შინაარს, ხელოვნება გადააქვს „წმინდა“ ფორმის სფეროში.

დღეს, როგორც ვიცით, ფორმალისტური ესთეტიკის მებაირახტრედ გამოდის რეაქციული ბურჟუაზიის ხელოვნება და ლიტერატურა. და როგორც თავის დროზე, ყოველი ისტორიული ესთეტიკური თეორია შეპირობებული იყო გარკვეული სოციალური ვითარებით და ასახავდა გარკვეულ კლასობრივ ინტერესებს, დღესაც — თანამედროვე ფორმალიზმს ასაზრდოებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები. იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აშინებს ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი, რომლებმაც ის, რაც ოდესღაც მხოლოდ აჩრდილი იყო—აჩრდილი კომუნიზმისა, დღეს მეტად მრისხანე რეალურ ძალად აქციეს. „ისტორიის თხუნელა კარგად თხრის“... და ბურჟუაზია არამცთუ თვითონ არიდებს თვალს ობიექტური სინამდვილის პროგრესიულ ტენდენციებს, რაც მას მკაცრ განაჩენს უმზადებს, არამედ ცდილობს ხალხის მასებსაც აუხვიოს თვალი.

[1] ი. სტალინი. თხზ. ტ. I, გვ. 299.

სწორედ ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული თანამედროვე ფორმალიზმის კლასობრივი ფესვები. იგი აცხადებს, რომ რეალური სინამდვილე არარა არის, რომ საგნები და საგნების ნიშნები მხოლოდ სუბიექტურ შეგრძნობათა კომპლექსს წარმოადგენენ. ამიტომ ხელოვანი მხოლოდ ამ ნიშნების ანუ, უკეთ ვთქვათ, საკუთარი შეგრძნებების კომბინაციას ახდენს და ამ გზით ჰქმნის თავის საკუთარ საგნებს, თავის საკუთარ სამყაროს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ სინამდვილესთან. ფორმალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ფორმა დამოუკიდებელია შინაარსისაგან, რომ ფორმა გულგრილია შინაარსის მიმართ. ამიტომ ყველა ჯურის ფორმალისტი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის იმის შესახებ, რომ მისი „საკუთარი ფორმა", საკუთარი „მაღალი" ოსტატობა დამოუკიდებელია რეალური ცხოვრებისაგან.

არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ დღეს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლა ხელოვნების თეორიაში, ისე როგორც იდეოლოგიის ყველა სხვა დარგში, არის გამოხატულება თანამედროვე მსოფლიოს პროგრესიულ და რეაქციულ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლისა.

ამხ. გ. ჯიბლაძის წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე" საფუძვლიანად აშუქებს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ისტორიულ ბრძოლას ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. იგი ვრცელი ისტორიული მასალის ასპექტში განიხილავს ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულების საკითხს და ასაბუთებს მატერიალისტური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს. ყოველივე ეს შეადგენს ამხ. გ. ჯიბლაძის წიგნის უდავო ღირსებას. მაგრამ აშავე დროს ჩვენ ზოგ რამეში ვერ დავეთანხმებით ავტორს. კერძოდ, სრულიად გაუგებარია, რატომ უვლის გვერდს ამხ. გ. ჯიბლაძე ხელოვნების სხვადასხვა თეორიათა კლასობრივი ბუნების საკითხს. ცნობილია, რომ ხელოვნების სხვადასხვა თეორიების წარმოშობა ყოველთვის შეპირობებული იყო გარკვეულ ისტორიულ-სოციალური პირობებით, ესთეტიკური აზროვნების განვითარებას ყოველთვის განსაზღვრავდა სოციალური ფსიქოლოგიის განვითარება. ამიტომ ესთეტიკური აზროვნების განვითარება წარმოადგენდა ისტორიულ პროცესს და არა შეხედულებათა ერთი სისტემის მექანიკურ ცვლას მეორე სისტემით.

მთელი წიგნის მანძილზე ამხ. გ. ჯიბლაძეს არაერთხელ მოჰყავს ლუკრეციუსის, პლატონის, არისტოტელეს, რუსთაველის, ბუალოს, რუსოს, დიდროს, ლესინგის, კანტის, ჰეგელის, ლომონოსოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და სხვათა ესთეტიკური შეხედულებანი, მაგრამ იგი თითქმის სრულიადაც არ ცდილობს ახსნას, თუ რა კონკრეტული ისტორიული პირობები განსაზღვრავდნენ ამ შეხედულებებს, კლასობრივი ბრძოლის რანაირ ვითარებაში ყალიბდებოდნენ ისინი და როგორია მათი კლასობრივი ბუნება. საქმეს, რასაკვირველია, ვერ შველის კანტი-კუნტად აღნიშვნა, ვთქვათ, იმისა, რომ ბუალო მოღვაწეობდა მერკანტელიზმის ხანაში და მან ხელოვნების თეორიაში ყველაზე უკეთესად გამოხატა აბსოლუტიზმის იდეა, ან იმის თქმა, რომ ჰეგელის ესთეტიკა ბურჟუაზიული ესთეტიკა იყო. ბურჟუაზიული იყო რუსოს, დიდროს, ლესინგის, კანტის, შილერის და მრავალთა სხვათა ესთეტიკური მოძღვრებანი, მაგრამ საკითხის არსი სწორედ იმაშია, რომ მათში არეკლილი იყო ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა ისტორიული საფეხურის ფსიქო-იდეოლოგია.

მასალის ერთგვარი შიშველი გადმოცემის საილუსტრაციოდ საჭიროდ

მიგვაჩნია მოვიტანოთ საკმაოდ გრძელი ამონაწერი: „საკმაოდ ძლიერი ლიტერატურული კრიტიკოსი, — წერს ამხ. გ. ჯიბლაძე, — პერრო (1628—1703) ლიტერატურაში იცავდა იმ თვალსაზრისს, რომელიც უშიშრად აცხადებდა რომ მისმა თანამედროვე მწერლებმა თითქოს გადააჭარბეს ანტიკურ სახეებს და ამიტომ აღარ არის საჭირო ანტიკური სახე გამოყენებულ იქნას როგორც მიბაძვის ობიექტი. ბუალო ამ თვალსაზრისის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ფრანგულ ლიტერატურაში შემდეგ ჩვენ ვხვდებით ჟან-ჟაკ რუსოს ესთეტიკურ თეორიას, რომელიც, წინააღმდეგ გონებისა, გრძნობის პრიმატს აბატონებს ხელოვნებაში. რუსო უარყოფს ცივილიზაციას, რომელსაც გონება ჰქმნის, აყენებს ამოცანას ხელოვნებამ გამოხატოს გრძნობა, დაამშვიდოს ადამიანი, ბოლო მოუღოს იმ ნერვიულობას, რომელსაც ცივილიზაცია იწვევს. რუსო ხელოვნებას ამოცანად უსახავს ადამიანის აღზრდას, ხელოვნებისაგან მოითხოვს სინამდვილის ანალიზს კი არა, მის დაძლევას. თავისი შეხედულებით რუსო საფუძველს უყრის მთელ იმ ესთეტიკურ თეორიას, რომელმაც შემდგომს ეპოქებში გრძნობა წამოსწია ხელოვნებაში გონების პრიმატის ადგილზე. ასეთივე თეორიას, თავისებური ორიგინალური სახით, იძლევა რუსეთის დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი წიგნში „რა არის ხელოვნება?“

რუსოს ხელოვნებათმეტყველებას, — განაგრძობს ამხ. გ. ჯიბლაძე,—რადიკალურად უპირისპირდება ვოლტერი, ისე როგორც განსხვავებულია მათი მსოფლმხედველობა საერთოდ. მაგრამ მას არ შეუქმნია ისეთი ესთეტიკური თეორია, რომელიც გაიჩენდა მიმდევრებს და იბატონებდა ლიტერატურაში.

ხელოვნების ახალ მოძღვრებას საფუძველს უყრის დენი დიდრო, რომელსაც მიმდევრები უჩნდებიან, როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ ლიტერატურაში... დიდრომ ხელოვნების თეორიაში შეიტანა დემოკრატიული იდეები და მათ ნაყოფიერი წინაპირობაც შეუქმნა მთელს ევროპულ ლიტერატურაში. ის მოითხოვდა ხელოვნებას გამოეხატა ცხოვრება და უპირველეს ყოვლისა მეშჩანობა“.[1]

თითქმის მთელი ისტორიული მასალა მოცემულია ასეთი „მიუკერძებელი აკადემიზმით“, ლიტერატურული პროცესის ყოველგვარი კანონზომიერების ჩვენებისა და ახსნის გარეშე. თუ ჩვენ არ ვიცით ის საზოგადოებრივი პირობები და ინტერესები, რომლებმაც განსაზღვრეს ესთეტიკურ შეხედულებათა ამა თუ იმ სისტემის ხასიათი, არ შეიძლება ნათელი გახდეს ჩვენთვის ამ შეხედულებათა როლი და მნიშვნელობა ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. თუ გარკვეული არ არის რატომ ილაშქრებდა ბუალო პერროს წინააღმდეგ და რატომ დაუპირისპირდა ფრანგი განმანათლებლების ესთეტიკური შეხედულებანი ფსევდოკლასიციზმის ესთეტიკურ ნორმებს, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ ესთეტიკური აზროვნების განვითარების პროგრესიული და რეაქციული ტენდენციები. არ შეიძლება ხელოვნების სპეციფიკისა და ხელოვნების ფუნქციის საკითხების გადაწყვეტა სხვადასხვა თეორიებისა და ლოგიკური განსაზღვრების მექანიკური დაპირისპირების გზით. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: ისე როგორც ყოველგვარ იდეოლოგიურ ფორმას, ხელოვნებასაც, მის სპეციფიკასაც და ფუნქციასაც აქვს კონკრეტული ისტორიული შინაარსი. მეცნიერული კვლევა უეჭველად მოითხოვს ამ შინაარსის გახსნას. ავიღოთ თუნდაც რუსო და დიდრო. ერთიც და მეორეც აღმომავალი ბურჟუაზიის წარმომადგენელია, და ხელოვნების

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“ გვ. 44—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიაში არა მარტო დიდრომ, არამედ რუსომაც შეიტანა დემოკრატიული ელემენტები. მიუხედავად ამისა, მათი ესთეტიკური სისტემები არსებითად განსხვავდებიან. ამ განსხვავების სათავე უეჭველად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თუ დიდრო „მესამე წოდების" წამყვანი ბირთვის — სამრეწველო-საქალაქო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, რუსო „მესამე წოდების" წვრილბურჟუაზიული ელემენტების განწყობილებათა გამომხატველი იყო. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ისტორიული ვითარების ისეთი სურათი, რაც საჭიროა საკითხის საფუძვლიანი გაშუქებისათვის. მაგრამ ეს არის ის სწორი პოზიცია, საიდანაც შეგვიძლია გავარკვიოთ რუსოსა და დიდროს ესთეტიკური შეხედულებების ხასიათი და ამავე დროს ავხსნათ ის გავლენაც, რომელიც რუსომ მოახდინა რომანტიკული სკოლის მწერლებზე, მათ შორის ბაირონზეც, და ის გამოხმაურება, რომელიც რუსოს ესთეტიკამ ჰპოვა ლევ ტოლსტოის შეხედულებებში; ამავე პოზიციიდან შეგვიძლია ავხსნათ კანონზომიერება იმ უდიდესი გავლენისა, რომელიც დიდრომ მოახდინა ბურჟუაზიული რეალიზმის განვითარებაზე.

დამახასიათებელია რუსთაველის ესთეტიკის გადმოცემაც. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ იმ წესს, როდესაც ამა თუ იმ მწერალს, და მით უმეტეს რუსთაველს, განიხილავენ როგორც რაღაც განკერძოებულ მოვლენას, როგორც რაღაც ცოდან მოწყვეტილ გენიას, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს თავის ერის, თავის ხალხის სულიერი კონსტიტუციისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურთან. რუსთაველით ჩვენ სწორედ იმიტომ ვამაყობთ, რომ მასში უმწვერვალესი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გარკვეულმა ეპოქამ, ჩვენი ხალხის სულიერმა პოტენციამ, ე. ი. ხალხის სწორედ იმ თავისებურებამ და სპეციფიკამ, რაც, როგორც დიდი ბელადი გვასწავლის, ყველა ერს შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში. იმის გამო, რომ ამხ. გ. ჯიბლაძე გვერდს უვლის რუსთაველის ესთეტიკის ისტორიულ-სოციალური ბაზისის საკითხს, მის წიგნში არ სჩანს არც ის მემკვიდრეობითი ნაკადი, რომელიც რუსთაველიდან ერთვის მთელი ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებას. ასე, მაგალითად, როდესაც ავტორი ახასიათებს სხვადასხვა ქართველი მოაზროვნის ესთეტიკურ შეხედულებებს, იგი ხშირად და სამართლიანად მიუთითებს იმ გავლენებზე, რაც რუსული ესთეტიკური აზროვნების განვითარებამ მოახდინა ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაზე, მაგრამ ამავე დროს ერთი შტრიხითაც არ გვიჩვენებს, რომ ქართული ესთეტიკური აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, წამოიზარდა ქართული სინამდვილიდან და, მაშასადამე, რუსთაველის ესთეტიკიდანაც.

საოცარი სიადვილით გადადის ამხ. გ. ჯიბლაძე ხელოვნების ერთი თეორიიდან მეორეზე: „ფრანგულ ლიტერატურაში შემდეგ ჩვენ ვხვდებით ჟან-ჟაკ რუსოს ესთეტიკურ თეორიას"...[1] „დიდროს პარალელს წარმოადგენს მარტინ ოპიცის (1597—1639) შემდეგ ახალი ლიტერატურის ყველაზე დიდი მქადაგებელი გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი".[2] „ლესინგის შემდეგ ჰერდერი საფუძველს უყრის ისტორიულ ლიტერატურათმეტყველებას, მაგრამ ამ პერიოდში ყველაზე უფრო დიდი მოვლენა ხელოვნების თეორიაში იყო კანტის ტრანსცენდინტალური ესთეტიკა"...[3] „კანტის შემდეგ ჰეგე-

[1] „ხელოვნება და სინამდვილე", გვ. 44.
[2] „ხელოვნება და სინამდვილე", გვ. 45.
[3] იქვე, გვ. 54.

ლის ესთეტიკა წარმოადგენს უდიდეს ნაბიჯს წინ"...[1] და ა. შ. სიტყვა შემდეგ ყველგან ჩვენს მიერ არის ხაზგასმული და არა გადამლაშების ეინით, არამედ იმის გულწრფელი შეგნებით, რომ ისტორიული მასალის ასეთი ყავარჯნებით გადმოცემა მეცნიერული კვლევის სწორი ხერხი არ არის. ამავე წესით, მოკლე შინაარსის მოყოლის წესით, გვაცნობს ავტორი ლომონოსოვის, ტრედიაკოვის, სუმაროკოვის, ბესტუჟევ-მარლინსკის და სხვათა შეხედულებებს. ამავე დროს, როგორც წესი, გვერდს უვლის მათი შეხედულებების სოციალური, კლასობრივი ბუნების საკითხს. ავტორი შედარებით უფრო ვრცლად და ღრმად ახასიათებს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის და ზაიცევის შეხედულებებს ხელოვნებაზე. ამ ნაწილში, კერძოდ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მიმართ, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიოგრაფიული დეტალების გადმოცემას. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი ფაქტიური შეცდომა. ლაპარაკობს რა ბელინსკის ცნობილ ფორმულაზე, რომ „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო შეგრძნება, ანუ აზროვნება სახეებში", ამბ. გ. ჯიბლაძე დასძენს: „ბელინსკის ფორმულა შემდეგ გაიზიარეს პოტებნიამ და პლეხანოვმა"[2] გამოდის, რომ პოტებნიამ და პლეხანოვმა ერთნაირად გაიზიარეს ბელინსკის ფორმულა. ეს არ არის მართალი. იმ დროს, როდესაც პლეხანოვმა ეს ფორმულა ძირითადად მატერიალისტური თვალსაზრისით გააშუქა, პოტებნიამ მასში, არსებითად, სუბიექტურ-იდეალისტური შინაარსი ჩასდო. გამოდიოდა რა სიტყვების ესახო და სახობრივ სიტყვებად დანაწილების დებულებიდან, მართალია, პოტებნიას ხელოვნების სპეციფიკად მიაჩნდა სახობრიობა, მაგრამ მხატვრული სახე მას წარმოდგენილი ქონდა არა როგორც გარკვეული [illegible] გამოხატვისა და გადაცემის [illegible] არამედ როგორც სუბიექტურ განწყობილებათა აღმძვრელი საშუალება. მისი აზრით, მწერალი თავის სახეთა სისტემით ვერასდროს ვერ გადასცემს სხვებს თავის აზრებსა და გრძნობებს; მხატვრულ სახეთა საშუალებით იგი მხოლოდ აღძრავს მკითხველებში იმ განწყობილებებსა და გრძნობებს, რომლებიც შეიძლება ექნეთ თვით მკითხველებს სახეებში მინიშნებულ მოვლენებისა და საგნების მიმართ. ამრიგად, თუ პოტებნიას თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, „ანნა კარენინაში" ჩვენ ვკითხულობთ არა ტოლსტოის აზრებსა და გრძნობებს, არამედ ჩვენს საკუთარ გრძნობებს. მხატვრული სახე პოტებნიასთვის—ეს არის რაღაც ბუნდოვანი სიმბოლო, რომელიც ყოველ სუბიექტში იწვევს განსხვავებულ განწყობილებებს. აქედან ცხადია, ბელინსკის ფორმულის თუ რანაირ გაზიარებასთან გვაქვს საქმე იმ თვალსაზრისში, რომელიც არსებითად ხელოვნების სიმბოლისტურ თეორიას წარმოადგენს.

ამბ. გ. ჯიბლაძე უეჭველად ერთგვარ ობიექტურ აკადემიზმს იჩენს, როდესაც არასაკმაოდ, ზოგჯერ კი სრულიადაც არ აკრიტიკებს ხელოვნების ამა თუ იმ თეორიის რეაქციულ მხარეს. კერძოდ, მთელი წიგნის მანძილზე არსად არ არის გახსნილი კანტიანიზმისა და ჰეგელიზმის რეაქციული მხარე, მათი კლასობრივი ფესვები, და ამ რეაქციული მხარის გამოხატულება მათს ესთეტიკაში. ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს შეეძლო გაეკეთებინა ამბ. გ. ჯიბლაძეს. მაგრამ, როგორც ჩანს, მან უნებლიედ გადმოიყოლია სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან ერთგვარი „მიუკერძებლობა".

ამავე დროს ლიტერატურული მოვლენების ახსნის მარქსისტულ-ლენინურ

[1] „ხელოვნება და სინამდვილე", გვ. 90.
[2] იქვე, გვ. 56 — 57.

პრინციპზე ამბ. ჯიბლაძე საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს თავისი შრომის იმ ნაწილში, სადაც დახასიათებულია მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის, ლენინის, სტალინის და წულუკიძის შეხედულებები ხელოვნებაზე.

ამბ. გ. ჯიბლაძე მთელი რიგი საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში აქცევენებს არა მარტო ნაკითხობას, არამედ საკუთარი გააზრების სიღრმესა და ინტენსიურობასაც. ავტორი სავსებით სწორად განმარტავს შემეცნებაში ფანტაზიის როლის ლენინურ გაგებას. უნაყოფოა ოცნება, რომელიც მოწყვეტილია სინამდვილისაგან, მაგრამ ქმედითია ოცნება, რომელიც წინასწარ სჭვრეტს მოვლენათა განვითარების ტენდენციებს, სინამდვილისა და ადამიანის აქტიური აზრის ურთიერთობაში პოულობს ცხოვრების უკეთეს ფორმათა შესაძლებლობებს და ხელს უწყობს იმას, რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ იქცეს. სავსებით სწორია დებულება, რომელიც აქედან გამოჰყავს ამბ. გ. ჯიბლაძეს: „ჭეშმარიტ ხელოვანს, ჭეშმარიტ მწერალს მოეთხოვება იყოს მეოცნებე, მაგრამ მისი ოცნება სინამდვილის პროგრესიულ ძალთა ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდეს. ყოველი დიდი ხელოვანი ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას განასახიერებს თავის შემოქმედებაში და გვევლინება არა მარტო თავის დროის, არამედ მომავლის მხატვრადაც“.[1] მაგრამ ამის შემდეგ ავტორი აყენებს ერთობ საჭოჭმანო დებულებას. იგი წერს: „კლასობრივ საზოგადოებაში იდეოლოგიის კლასობრივი ხასიათი მას (ე. ი. მწერალს, ლ. კ.) კი არ ზღუდავს, პირიქით, უფრო აჩენს, ვინაიდან თუ ის რეაქციულ კლასს ეკუთვნის სოციალურად, მაგრამ ამავე დროს შეუძლია სწორად გადმოგვცეს თავის დრო, ეპოქა, თუ მისი თვალსაზრისი კი არ უგულვებელყოფს, ამავე ხედავს თავისი თანამედროვეობის პროგრესიულ ძალებს და ტენდენციებს, მაშინ მწერალი თაობებს გადასწვდება, საუკუნეებს გაუწვდის ხელს, უკვდავ სახელს დაიმკვიდრებს მსოფლიო ლიტერატურაში“.[1] ჩვენის აზრით ამ დებულების მეორე ნახევარი, რომელიც თითქოს ძირითადი აზრის პირობას შეიცავს, არსებითად არაფერს არ სცვლის ამ ძირითად აზრში. ძირითადი აზრი კი, როგორც ზოგადი სქემა, უეჭველად არ არის სწორი. ყოველი მარქსისტ-ლენინელისათვის უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ ერთადერთი იდეოლოგია, რომელიც არ ზღუდავს საზოგადოებრივ აზროვნებას, არამედ ხელსაც უწყობს მას შორს განსჭვრიტოს განვითარების პროგრესიული ტენდენციები — ეს არის სოციალისტური პროლეტარიატის იდეოლოგია— მარქსიზმ-ლენინიზმი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი კლასობრივი იდეოლოგია ასე თუ ისე უეჭველად ზღუდავს და გარკვეულ საზღვარს უდებს ადამიანთა შემეცნებას. ამას მეტად თვალსაჩინოდ მოწმობს ლიტერატურის ისტორია. თავისი კლასობრივი იდეოლოგიის შემზღუდავმა გავლენამ დააწერინა გოგოლს „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიმოწერიდან“; იმავე ფაქტორით იყო შეპირობებული ტოლსტოის ქადაგება ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობისა, ბალზაკის ლეგიტიზმი და საკუთრების აღიარება მარადიულ ინსტიტუტად, გოეთეს ფილისტერული ოპორტუნიზმი და სხვა მრავალი მსგავსი რამ. კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეოლოგია მეტად თუ ნაკლებად ყოველთვის ზღუდავდა ყოველ მწერალს. ამიტომ მტიცება, რომ კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეო-

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 141—142.

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“ გვ. 142.

ლოგია არ ზღუდავს მწერალს, არ არის სწორი. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თუ მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ რეაქციულ კლასს ეკუთვნის, მაინც ისეთ თვალსაზრისზე დგას, რომელიც „კი არ უგულვებელყოფს, არამედ ხედავს და გაძოხატავს თანამედროვეობის პროგრესიულ ძალებსა და ტენდენციებს“, ცხადია, ასეთი მწერალი ნაწილობრივ ან მთლიანად იზიარებს პროგრესიული კლასის იდეოლოგიას და ამდენადვე მას გადალახული აქვს თავისი კლასობრივი შეზღუდულობა. კიდევ მეტი: შესაძლებელია მწერალი თავისი იდეოლოგიით, თავისი შეგნებით იდგეს რეაქციული კლასის თვალსაზრისზე, მაგრამ სტიქიურად, თავისი შემეცნების ძალით, თავისი ფხიზელი რეალიზმით მან გადალახოს თავისი კლასობრივი შეზღუდულობა და მისწვდეს განვითარების პროგრესიულ ძალებს, როგორიც ეს გვიჩვენა ენგელსმა ბალზაკის მაგალითზე. ლენინის ცნობილი დებულება ტოლსტოის შესახებ, რომ „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, ზოგიერთი რამ რევოლუციის თუნდაც არსებითი მხარეებიდან მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში“, — მიგვითითებს იმაზე, რომ ყოველი დიდი მხატვარი სწორედ იმიტომ არის დიდი მხატვარი, რომ იგი მეტად თუ ნაკლებად იძლევა სინამდვილის სწორ სურათს, იძლევა გარკვეულ ობიექტურ ჭეშმარიტებას.

ენგელსის ცნობილი დახასიათება რენესანსის ეპოქისა, ჩვენის აზრით, სრულიადაც არ ასაბუთებს იმას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი იდეოლოგია არ ზღუდავს მწერალს. „ეს იყო ეპოქა,—წერს ენგელსი,—რომელიც საჭიროებდა ტიტანებს და რომელმაც კიდეც წარმოშვა აზრის, ვნებების, ხასიათის ძლიერებით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით ტიტანი ადამიანები. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამკვიდრებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მხოლოდ არ ყოფილან ბურჟუაზიულად შეზღუდული ადამიანები. პირიქით, ისინი ცოტად თუ ბევრად გამსჭვალული იყვნენ თავგადასავლების გაბედულ მაძიებელთა სულით... ისინი თითქმის ყველანი თავიანთი დროის ინტერესთა შუაგულში ცხოვრობენ, ცხოველ მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ ბრძოლაში, დგებიან ამა თუ იმ პარტიის მხარეზე და იბრძვიან, ვინ სიტყვით და კალმით, ვინ მახვილით, ვინ კიდევ ორივეთი ერთად. აქედან წარმოსდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რაც მათ მთლიან ადამიანებად აქცევს“. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია სწორედ იმაზე, რომ ეს ტიტანური ადამიანები ჯერ კიდევ არ ყოფილან შეზღუდული ბურჟუაზიული იდეოლოგიით, და არა იმაზე, რომ თითქოს ბურჟუაზიული, კლასობრივი იდეოლოგია არ ზღუდავს ადამიანებს. გარდა ამისა, ენგელსის ეს შესანიშნავი დახასიათება მიუთითებს იმას, რომ ყოველი ეპოქა წარმოშობს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მას ესაჭიროება, რომ გამოჩენილი პიროვნებანი არიან თავიანთი ეპოქის ღვიძლი შვილები, გამომხატველნი ეპოქის სოციალური ფსიქოლოგიისა. ენგელსი ახასიათებს იმ ინტენსიურ სულიერ ცხოვრებას, რომელიც აუცილებელი წინაპირობა იყო ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დასამკვიდრებლად და რომელიც ახასიათებდა ამ ფორმაციის იმ გრანდიოზულ შესავალს, რასაც აღორძინების ეპოქა ეწოდება. ენგელსის მიერ მოცემული დახასიათების მთელი სიღრმე და სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა კონკრეტული ეპოქის კონკრეტული ვითარების სწორ გამოხატულებას, რომ მასში მოცემულია ის მთავარი და ძირითადი ნიშანი, რაც მხოლოდ ამ ეპოქას ახასიათებდა და რაც განასხვავებდა სხვა ეპოქებისაგან. ენგელსი, რასაკვირველია, შორს

იყო ისეთი აბსტრაქტული სქემის შექმნისაგან, რაც ყველა დროსა და ყველა ეპოქას გამოადგებოდა თარგად; პირიქით, იგი გარკვევით ამბობს „იმ დროისათვის დამახასიათებელი თავგადასავლების გაბედულ მაძიებელთა“ სულისკვეთებაზე. ამიტომ, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი სწორი ბრძანება: „ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელი ისტორია განა იმას არ გვეუბნება, რომ ის, რაც რენესანსის ეპოქაში იყო, დამახასიათებელია საერთოდ იდეოლოგიისა და მისი თვითეული ფორმისათვის ყველა დროსა და ყველა ეპოქაში?“ [1] არა, ის, რაც რენესანსის ეპოქაში იყო, არ არის დამახასიათებელი ყველა დროისა და ყველა ეპოქისათვის. ყოველ ეპოქას თავის კონკრეტულ - ისტორიული შინაარსი აქვს, და რაკი ეს შინაარსი წარმოიშვა, მას განვითარების საკუთარი კანონზომიერებანიც გააჩნია.

ამა თუ იმ ხელოვანის მიერ თავისი კლასობრივი შეზღუდულობის დაძლევის ყოველი ფაქტი უნდა აიხსნას გარკვეულ კონკრეტულ - ისტორიული პირობებით.

სწორია ამხ. გ. ჯიბლაძის შემდეგი დებულება: „გენიოსი სწორედ იმიტომ არის გენიოსი, რომ აწმყოსთან ერთად მომავალს გამოხატავს, ნაციონალურთან ერთად ინტერნაციონალურს, კონკრეტულ ადამიანურთან ერთად ზოგადკაცობრიულს“.[2] ცხადია, რაკი ჭეშმარიტ დიდ მხატვარს შეუძლია და კიდევაც ასახავს ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ არსებით მხარეს, იგი კიდევაც ადის ობიექტური ჭეშმარიტების გარკვეულ საფეხურზე. ხოლო შემეცნების ყოველი ნაბიჯი, ყოველი საფეხური, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს, შეადგენს საზოგადოებრივი შეგნების იმ კრისტალს, რომლისგანაც იქმნება კაცობრიობის აზრის უმაღლესი მიღწევები. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტური ჭეშმარიტების იუ რა საფეხურზე ასვლას შესძლებს გენიოსი,—ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ისტორიულ-სოციალურ და კულტურულ ვითარებაში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა მას. ამიტომაც არის საჭირო ყოველი მხატვრული შემოქმედებისა თუ ხელოვნების ყოველი თეორიის ისტორიულ-სოციალური შინაარსის გარკვევა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ნათელვყოთ, თუ რამდენად შესძლო მხატვარმა თავისი კლასობრივი შეზღუდულობისა და თავის ეპოქის ჩარჩოების გადალახვა, და რამდენად არის ის მომავლის მხატვარიც. სწორედ ასეთი ღრმა მეცნიერული ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ლენინის ცნობილი სტატია ტოლსტოის შესახებ, სადაც წინააღმდეგობანი დიდი მხატვრის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში ახსნილია კონკრეტულ-სოციალური ვითარებით, და სადაც ნათლად ვხედავთ, თუ რამდენად შესძლო მხატვარმა თავისი კლასობრივი შეზღუდულობის გადალახვა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს: თუ საერთოდ ხელოვნების სხვადასხვა თეორიები განხილული უნდა იქნას არა როგორც ერთმანეთის გვერდით მდებარე მოვლენები, არამედ როგორც პროცესი, მით უმეტეს ხელოვნების მარქსისტულ - ლენინური თეორია განხილულ უნდა იქნას არა როგორც ერთ-ერთი სისტემა სხვა სისტემებს შორის, არამედ როგორც უმაღლესი საფეხური მეცნიერული აზრის განვითარებისა ამ დარგში. ამხ. გ. ჯიბლაძის შრომა ამ მხრივ წარმოადგენს საგულისხმო ცდას მაგრამ არა უნაკლოს.

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 143.
[2] იქვე, გვ. 143.

*
* *

ახლა შევეხოთ ესთეტიკის სპეციალური საგნის — მშვენიერების პრობლემას. როგორც ზემოთ დავინახეთ, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით მშვენიერება არ შეიძლება მიეკუთვნოს „წმინდა“ ფორმის სფეროს, რომ იგი როგორც ბუნებაში ისე ხელოვნებაში შეიძლება არსებობდეს, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. ხელოვნების შინაარს, ისე როგორც ყოველგვარი აზროვნების შინაარსს, შეადგენს ობიექტური რეალობა, რომელიც უშუალოდ თუ შუალობით არეკლილია ხელოვნებაში. მაშასადამე, ხელოვნების ერთ-ერთი ელემენტის — მშვენიერების შინაარსიც არეკლილია სინამდვილიდან.

„ვიყენებთ რა ჩერნიშევსკის დებულებას, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბუნებაში არსებული მშვენიერება ნამდვილი, ჭეშმარიტი და ერთადერთი მშვენიერებაა, რომელიც ხელოვნების დაუშრობელი წყაროა“.[1] — აი ის ძირითადი დებულება, რომლის მიხედვითაც აშუქებს ამხანაგი გ. ჯიბლაძე თავისი წიგნის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერების პრობლემას. ეს უდავოდ მატერიალისტური დებულებაა. თუმცა, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ვთქვათ, რომ ხელოვნების დაუშრობელი წყარო არის არა ბუნებაში არსებული „ერთადერთი მშვენიერება“, არამედ ცხოვრება, სინამდვილე. ეს კორექტივი საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ, როგორც პლეხანოვი ამბობს, „ხელოვნების სფერო გაცილებით ფართოა „მშვენიერების“ სფეროზე“.[2]

ამხანაგი გ. ჯიბლაძე ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერების პრობლემას ულეველად აცლის სხვადასხვა იდეალისტურ თვალსაზრისთა შრეებს და გამოაქვს იგი მატერიალისტური მსოფლმხედველობის სინათლეზე. ხელოვნური შემეცნება არის ესეფიკური ფორმა სამყაროს ათვისებისა. მასში არეკლილია მის გარეშე და მის დამოუკიდებლად არსებული რეალური სამყარო. სხვა საკითხია ის, თუ როგორ არის არეკლილი: მართლად თუ არა მართლად. ეს საკითხი წყდება კონკრეტულად ხელოვნების ყოველი ცალკე ფაქტის მიმართ. მაგრამ თავის განვითარებაში მხატვრულ შემეცნებას ძალუძს მისწვდეს თავისი საგნის ობიექტურ ბუნებას. მისი ერთ-ერთი საგანია მშვენიერება. მშვენიერება როგორც საგანი, როგორც რეალობა არსებობს ადამიანის შემეცნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ადამიანის მხატვრული შემეცნება მიილტვის ობიექტური მშვენიერების ე. ი. მშვენიერი საგნის, მშვენიერი მოვლენის, მშვენიერი ვითარების სრულყოფილად წარმოქმნისაკენ. არსებითად ეს არის აზრისა და არსის დამოუკიდებლობის საკითხი. ჩვენ კი შეიარაღებული ვართ ისეთი უძლიერესი მეცნიერული იარაღით, როგორიცაა ასახვის ლენინური თეორია. ამიტომ გზა გაკაფული გვაქვს. ამ გზას მიჰყვება ამხ. გ. ჯიბლაძეც. თუმცა იგი რატომღაც გვერდს უვლის ობიექტური მშვენიერებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დამოკიდებულების საკითხს. ამას კი, როგორც ქვემოდ დავინახავთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში.

ამხ. გ. ჯიბლაძე მშვენიერების ობიექტურობას ასაბუთებს შემდეგი მსჯელობით: „თუ ჩემი წარმოდგენა ბუნებაში არჩევს მაღალსა და დაბალს, ლამაზსა და ულამაზოს, მშვენიერსა და არა მშვენიერს, მაშასადამე, ბუნებაში ყოფილა რაღაც, რომელიც ერთნაირად კი არ მოქმედობს ჩემი შემეცნების ორგანოზე, არამედ სხვადასხვანაირად,

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“ გვ. 7.
[2] Г. В. Плеханов, соч. т. XIV, გვ. 180.

მაძლევს სხვადასხვა წარმოდგენას: ერთ შემთხვევაში ერთი საგანი ჩემთვის ლამაზია, მეორე ულამაზო, მშვენიერია ან არამშვენიერი. მაგრამ თუ თვით ბუნებაში არ არსებობს მათ შორის განსხვავება, როგორღა მიიღო ჩემმა ცნობიერებამ ეს ორი საგანი განსხვავებულად? თუ მართლაც ობიექტური რეალობა უარყოფს თავის თავში განსხვავებას მშვენიერსა და არამშვენიერს შორის, რატომ მოქმედებს ჩემზე ერთი საგანი უარყოფითად, ხოლო მეორე დადებითად? ბუნებაში რომ არ არსებობდეს ლამაზი და ულამაზო, მშვენიერი და არა მშვენიერი, ადამიანური შემეცნება მას ვერ შეიმეცნებდა; მაშინ რაღაც საშინელი ერთგვარობა ან ერთფეროვნება უნდა ყოფილიყო, ყველა საგანი და მოვლენა გათქვიფილი რაღაც განუსხვავებელ და წრეშეუწერელ უშინაარსობაში, უფორმობაში, და, ეშმაკმა დალახვროს, აღარ იქნებოდა აღარც შემეცნება, აღარც მოქმედება და განვითარებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი".[1] ვფიქრობთ, მთელი ეს მსჯელობა არც თუ ისე მკვეთრი საბუთია მშვენიერების ობიექტურობის სასარგებლოდ. აქ სრულიად ადვილად შეუძლიათ შეგვეკამათონ და გვითხრან: „მართალია, თქვენი წარმოდგენა ბუნებაში ერთ საგანს მიიჩნევს ლამაზად, მეორეს ულამაზოდ, მაგრამ სხვა წრისა და სხვანაირი აღზრდის ადამიანი იმავე საგანს, რაც თქვენ ლამაზად მიიჩნიეთ, მიიჩნევს ულამაზოდ და... კიდევ მეტი: შესაძლოა, თვითონ თქვენ ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში ლამაზად მიიჩნიოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში ულამაზოდ, იმის მიხედვით, თუ რა განწყობილებაზე იქნებით. მაშასადამე, — შეუძლიათ დაასკვნან მათ, — განსხვავება მშვენიერსა და არამშვენიერს შორის ადამიანის სულის სხვადასხვა ვითარების ნაყოფია, ეს განსხვავება ბუნებაში შეაქვს სუბიექტს".

ცხადია, ჩვენ ვერ ერთ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ამ შესაძლებელ მოწინააღმდეგეთა აზრს. ვერ დავეთანხმებით არა იმიტომ, რომ თითქოს არ ვაღიარებდეთ, რომ სხვადასხვა სოციალური წრისა და სხვადასხვა პირობებში აღზრდილ ადამიანებს შესაძლებელია ექნეთ სხვადასხვა წარმოდგენა მშვენიერებაზე და, მაშასადამე, მათთვის მშვენიერი იქნეს სხვადასხვა საგანი, ვერ დავეთანხმებით არა ჩვენი სუბიექტური წარმოდგენის მოტივით, არამედ იმის გამო, რომ ბუნების სხვადასხვაობისა და მრავალფეროვანების ობიექტურობას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიდასტურებს კაცობრიობის მეცნიერული შემეცნებისა და პრაქტიკის განვითარება, მათი ერთიანობა. „მატერიალისტისათვის სამყარო უფრო მდიდარი, უფრო ცოცხალი, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ის გვეჩვენება, რადგან მეცნიერების განვითარების ყოველი ნაბიჯი მასში აღმოაჩენს ხოლმე ახალ მხარეებს".[1]

„ჩვენი შეგრძნებანი"..., რომელთაგან ჩვენ ვქმნით ჩვენს წარმოდგენას მშვენიერებაზე ანუ ვქმნით ჩვენს იდეალს მშვენიერებისას, „...არიან სახეები ერთადერთი და უკანასკნელნი ობიექტური რეალობისა, უკანასკნელისა არა იმ აზრით, რომ ის უკვე შემეცნებულია ბოლომდის, არამედ იმ აზრით, რომ გარდა იმისა არ არის და არ შეიძლება იყოს სხვა რამ".[2] მაგრამ ობიექტური მშვენიერება არ მოიცავს მთელ ობიექტურ რეალობას, მთელ ობიექტურ ჭეშმარიტებას, რადგან არა ყოველი რეალობა შეიძლება იყოს მშვენიერი, ოარამედ მხოლოდ ის რეალობა, რომელიც ესთეტიკურად ატკბობს ადამიანებს ანუ შეესაბამება მათ

[1] „ხელოვნება და სინამდვილე" გვ. 272.

[1] В. И. Ленин, т. XIII (მე-3 გამოც). გვ. 105.

[2] В. И. Ленин, т. XIII, გვ. 105.

იდეალს მშვენიერებისას. მშვენიერება და არამშვენიერება ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობა თვით საგანში, თვით ბუნებაში. საგანი მშვენიერიც არის და არა მშვენიერიც, რამდენადაც მასში არის ის, რაც კვდება, რაც იხრწნება და ის, რაც ცოცხლობს და ვითარდება.

ამხ. გ. ჯიბლაძე თავის შრომის საკმაოდ დიდ ნაწილში არკვევს თუ რა არის მშვენიერება და იძლევა ცნობილ განსაზღვრას, რომ მშვენიერება არის ცხოვრება. ამ დებულების შემდგომი კონკრეტიზაციის საფუძველზე ავტორი დეტალურად აშუქებს მშვენიერების ცნების შინაარს ბუნებასა და ხელოვნებაში.

ამრიგად, კაცობრიობის პრაქტიკა, მისი მეცნიერული აზრის განვითარება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებს, რომ ბუნებაში არსებობს მრავალფეროვანება, უარყოფითი და დადებითი, მშვენიერი და არამშვენიერი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბუნება არ არჩევს და არც შეუძლია გაარჩიოს თეთრი და შავი, მშვენიერი და არამშვენიერი, დიადი და არადიადი. იგი ერთნაირად ანიჭებს არსებობის უფლებას ჭიანჭველასა და სპილოს, სულელსა და გენიოსს; მისთვის ერთი ფასი აქვს მშვენიერსა და არამშვენიერს, ბოროტებასა და სიკეთეს, ჭლექის ბაცილას და ყვავილის ნექტარს. ბუნება გულგრილია თავისი არსების მიმართ. მისი წესრიგი სტიქიურია. იგი „ერთფერად მტვირთელი არის საქმის თეთრის და შავისა“. მაშასადამე ბუნება მშვენიერიც არის და არამშვენიერიც. იმას, თუ რა არის მშვენიერი და არამშვენიერი ბუნებაში, არჩევს მხოლოდ ადამიანი თავისი შეგნებული იდეალების მიხედვით. ამიტომაც არის საჭირო ადამიანის შეჭრა გარე სამყაროს სტიქიაში, შეჭრა თავისი შეგნებული მიზნებით, მშვენიერების ადამიანური იდეალებით... და ხელოვნებამაც არა მარტო უნდა ასახოს ბუნება, არამედ კიდეც უნდა გარდაქმნას იგი, ანუ [illegible] მეოროს ბუნების მშვენ[illegible] კიდეც უნდა შექმნას იგი. და თუ ბუნებაში მშვენიერება არის საგნის ერთი ზხარე, ერთი ტენდენცია, ხელოვნებაში ყოველი ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება შეიძლება განხორციელდეს მშვენიერებად.

მშვენიერება არის ცხოვრება. მაგრამ ცხოვრებაში მუდამ არის ჭიდილი უარყოფითისა და დადებითის, „ცხოვრებაში მუდამ არსებობს ახალი და ძველი, მზარდი და მომაკვდავი, რევოლუციური და კონტრრევოლუციური“.[1] მაშასადამე, ცხოვრება მშვენიერიც არის და არამშვენიერიც. პროგრესიული საზოგადოებრივი შეგნებისათვის ცხოვრებაში მშვენიერი შეიძლება იყოს ის, რაც ზეაღმავალი, პროგრესიული და ჯანსაღია, — არამშვენიერი ის, რაც რეაქციული და მომაკვდავია. მაგრამ ხელოვნება ასახავს არა მარტო მშვენიერს, არამედ არამშვენიერსაც და ხელოვნებას არ შეუძლია აქციოს არამშვენიერება მშვენიერებად. ასეთი თილისმა არ არსებობს და მაშასადამე, ის არც ხელოვნებას გააჩნია. მაგრამ ხელოვნებას შეუძლია ყოველი ჭეშმარიტება აქციოს მშვენიერებად, მას შეუძლია შინაარსი (ჭეშმარიტება) და ფორმა (მხატვრული სახე) იმდენად გაამთლიანოს, იმდენად დაამთხვიოს ერთმანეთს, რომ ჩვენ უდიდესი ძალით გვაგრძნობინოს მშვენიერება ჭეშმარიტებისა, ე. ი. ხელოვნებას შეუძლია არამშვენიერება გამოსახოს იმ ძალით და იმ სიღრმით, რომ მეტად მძაფრად გვაგრძნობინოს ის, და მით უფრო მეტი ძალით აღძრას ჩვენში მისწრაფება მშვენიერებისადმი. მსგავსად იმისა, რომ „ჭეშმარიტება მაჩვენებელია თავისთავისა და მცდარობისა“ (მარქსი), მშვენიერება მაჩვე-

[1] ი. სტალინი. თხზ. ტ. I. გვ. 280.

ნებელია თავისთავისა და არამშვენიერებისა, და პირუკუოც.

ამხ. გ. ჯიბლაძე სამართლიანად აკრიტიკებს ბუნებაში არსებული სიმახინჯის ხელოვნებაში მშვენიერებად გადაქცევის იდეალისტურ, ფორმალისტურ თეორიას. იგი წერს: „... ბუნების სიმახინჯე ხელოვნებაშიაც სიმახინჯედ რჩება, ხოლო თუ ეს უკანასკნელი ჩვენ გვანცვიფრებს, მოგვწონს, გვგონია მშვენიერი, არა იმიტომ, რომ თვით გამოხატული საგანია მშვენიერი, არამედ იმიტომ, რომ ხელოვანის ოსტატობაა მშვენიერი, ოსტატობა, რომელმაც ასეთ განმაცვიფრებელ სიმაღლეს მიაღწია — მშვენიერად გამოხატა არა მშვენიერება, არამედ სიმახინჯე“.[1] მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ხელოვნებაში მშვენიერება მხოლოდ ოსტატობაა. ჩვენ ვიცით, რომ ოსტატობა ანუ ფორმა არ შეიძლება მოვწყვიტოთ შინაარსს, ჭეშმარიტებას, არ შეიძლება მოვსწყვიტოთ მასში ასახულ ობიექტურ რეალობას.

რეაქციული ბურჟუაზიის ხელოვნება, რომელიც დღეს ფორმალიზმის წუმპეშია ჩაფლული, სწორედ თავისი ოსტატობის, თავის ფორმის დამოუკიდებლობას ქადაგებს; მას ხელოვნების არსად სწორედ „წმინდა“ ოსტატობა მიაჩნია. მაგრამ თანამედროვე ფორმალისტური ესთეტიკა, არსებითად, ბურჟუაზიული სულის მხატვრულ იმპოტენციას მოწმობს. მით უმეტეს საჭიროა, რომ ყოველი ჩვენი დებულება ესთეტიკის დარგში იყოს მკაფიო და ნათელი, რომ არავითარ ორაზროვნებას არ ჰქმნიდეს. რასაკვირველია, სისულელე იქნებოდა მხატვრული ოსტატობის უდიდესი მნიშვნელობის ოდნავი უარყოფაც კი. პირიქით, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ამდიდრებს, აძლიერებს და აღრმავებს მხატვრული ოსტატობის მნიშვნელობას მით, რომ ის შიშველ ოსტატობად, ესთეტიკურ ფორმად არ მიაჩნია. მხატვრული ოსტატობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად, მართლად და კონკრეტულად ასახავს მხატვარი ობიექტურ რეალობას; მხატვრული ოსტატობა დაკავშირებულია ხელოვანის მსოფლმხედველობასთან, იმ მეთოდთან, რომლითაც იგი შეიცნობს გარემყარ სინამდვილეს. ხელოვანის ოსტატობა გვხიბლავს და გვანცვიფრებს იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატავს სიმართლეს ანუ სწორად ასახავს რეალურ საგნებსა და მოვლენებს. ამრიგად, როდესაც ხელოვნებაში გამოხატულ სიმახინჯეს შევყურებთ, ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ, რასაკვირველია, არა თვით სიმახინჯეს, არამედ მის შესახებ თქმულ სიმართლეს; ოსტატობა იმდენად გვხიბლავს, რამდენადაც იგი ნათლად, მკაფიოდ და გამომეტყველად ამჟღავნებს ამ სიმართლეს. მაგრამ სიმართლე სიმახინჯის შესახებ მისი ცივი და გულგრილი გამოხატვა კი არ არის, არამედ ისეთი გამოხატვაა, რომელშიაც უარყოფილია იგი როგორც სიმახინჯე. კაპიტალიზმი დღეს სოციალური სიმახინჯეა, და ჩვენში მხოლოდ იმ ხელოვანს შეუძლია აღტაცება გამოიწვიოს, რომელიც ამ სიმახინჯის ისეთ სურათს დახატავს, რომელშიაც გაცხადებული იქნება დიდი სოციალური სიმართლე კაპიტალიზმის მახინჯი არსისა და მისი გარდუვალი მოსპობის შესახებ. მაქსიმ გორკიმ შესანიშნავად დაგვიხატა ბურჟუაზიული პიროვნების რღვევა „არტამონოვების საქმეში“. და ჩვენ გვხიბლავს არა იქ დახატულ პიროვნებათა ბურჟუაზიული არსება, არამედ დიდი სიმართლე ამ ადამიანთა შესახებ, სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება ბურჟუაზიული პარაზიტიზმი, რაც იწვევს ბურჟუაზიულ ადამიანთა სულიერი ძა-

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 284.

ლების დაქვეითებას, პიროვნებათა რღვევას. და გორკის მხატვრული ოსტატობაც იმდენად გვხიბლავს, რამდენადაც მასში ცხოვლად და კონკრეტულად არის ხორცშესხმული ეს დიდი სიმართლე.

ყაზბეგის „მამის მკვლელში“ ჩვენ მთელი არსებით გვეზიზღება გირგოლა, მაგრამ ჩვენ გვხიბლავს ის სიმართლე, რომელსაც ანსახიერებს ეს მხატვრული სახე და რომელიც ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. ხელოვნებაში სიმახინჯის გამოსახვის პრობლემასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ ხოლმე ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“. კვაზიმოდო საოცარი სიმახინჯეა. ეს სახე მართლაც საოცარი ოსტატობით აქვს დახატული ჰიუგოს, და არა მარტო ეს სახე, არამედ მთელი რომანი აგებულია დიდი მხატვრული ოსტატობით. თვით ღვთისმშობლის ტაძარიც კი თავისი ქიმერებით, თავისი მძიმე და პირქუში ფორმებით, თავისი მისტიკური და იდუმალი ტალანებითა და სივრცეებით, თითქოს საოცრად მოგვაგონებს კვაზიმოდოს აღნაგობას. მთელ რომანში ჩვენ ვგრძნობთ საოცარი ძალის კონტრასტებს, ჩრდილისა და სინათლის საუცხოო თამაშს, ფერების ოსტატურ შეზავებას. მაგრამ საკმაოა ანგარიში მივსცეთ თავისთავს, თუ რა გვხიბლავს მთელ ამ მხატვრულ სახეთა სისტემაში, და დავრწმუნდებით, რომ გვხიბლავს სწორედ ფორმისა და შინაარსის მთლიანობა, გვხიბლავს ადამიანთა, საგანთა და მოვლენათა ჭეშმარიტი არსის გაცხადება თვით ამ ადამიანების, საგნებისა და მოვლენების სახეებში. თვითმიზნობრივი კონტრასტები, ჩრდილისა და სინათლის უაზრო თამაში, ფერთა უმიზნო შეზავება, შინაარსისაგან დაცლილი ფორმები ვერასოროს ვერ შექმნიან ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებს. ნამდვილი მხატვრული შემოქმედება იწყება სწორედ სიმართლის ძიებით და ამ ძიებით ნაკარნახევი მხატვრული ოსტატობით. ძველი არ არის მონახული ბუნებისა, თუნდაც ჩვენი, ქართული ლიტერატურული ცხოვრებიდან, როდესაც ესა თუ ის ხელოვანი შემოქმედებით მარცხს განიცდის სწორედ მაშინ, როდესაც ნაწარმოების შექმნას იწყებს ფორმალური ხერხებისა თუ ოსტატობის ძიებით და სიმართლე კი, სიმართლე, რაც ხელოვნების სულსა და გულს შეადგენს, ხელიდან უსხლტება.

ამრიგად, მხატვრული სახის შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია განუყოფელ მთლიანობაშია. სწორედ ეს მთლიანობა ჰქმნის ხელოვნების ნაწარმოებში ფორმისა და შინაარსის მთლიანობას, რაც ხელოვნების მშვენიერების აუცილებელი პირობაა.

როდესაც ჩემი შემეცნება სწვდება ობიექტურ ჭეშმარიტებას — ეს არის ჩემი ადამიანური არსების გამარჯვება, ჩემი სიხარული, ჩემი სასიცოცხლო ძალების დამკვიდრება, რადგან ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნება საშუალებას მაძლევს დავძლიო ბუნების გულგრილობა, დავძლიო მისი სტიქია, ჩემი ინტერესებისა და ჩემი იდეალების მიხედვით გავარჩიო ბუნებაში მშვენიერი და არამშვენიერი, სასარგებლო და უსარგებლო.

რეალობაში მშვენიერსა და არამშვენიერს ჩვენ ვარჩევთ ჩვენი ინტერესებისა და ჩვენი იდეალების მიხედვით. მაშასადამე, მშვენიერება ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს არ არსებობს საგნისადმი ჩვენი დამოკიდებულების გარეშე, „... რადგან ჩემი საგანი შეიძლება იქნეს მხოლოდ ჩემი არსების ერთ-ერთი ძალის დამკვიდრება, და, მაშასადამე, საგანს შეიძლება ჰქონდეს ყოფიერება ჩემთვის მხოლოდ ისე, როგორც ჩემი არსების ძალა არსებობს თავისთვის სუბიექტური უნარის სახით, რადგან საგნის აზრი (Sinn) ჩემთვის (აზრი აქვს მხოლოდ მის შესაბამის გრძნობისა-

თვის) მიდის იმდენად შორს, რამდენადაც შორს მიდის ჩემი გრძნობა...“ (მარქსი). ამრიგად, არის თუ არა საგანი ჩვენთვის მშვენიერი—ეს დამოკიდებულია ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ჩვენს გრძნობათა ორგანოების განვითარებაზე და, ცხადია, ჩვენს გემოვნებაზედაც. გემოვნების სხვადასხვაობა კი, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, იარსებებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებაშიაც.

იმისათვის, რომ ჩვენ ჩვენი არსების ძალები დავამკვიდროთ, რომ მშვენიერი საგნები ვაქციოთ ჩვენს საგნებად, რომ შევქმნათ მშვენიერებათა ახალი სახეები, საჭიროა მივწვდეთ საგანთა ობიექტურ ბუნებას, საჭიროა ვიცოდეთ სიმართლე საგანთა შესახებ.

„ს წ ე რ ე თ ს ი მ ა რ თ ლ ე!“ — დიდი სტალინის ეს ლოზუნგი შეადგენს საბჭოთა ლიტერატურისა და საბჭოთა ხელოვნების ძირითად პრინციპს, ლენინურ-სტალინური ესთეტიკის ქვაკუთხედს. პროგრესიული საზოგადოებრივი შეგნებისა და გემოვნებისათვის მხოლოდ სიმართლე, მხოლოდ მართალი და პროგრესიული იდეა შეიძლება განხორციელდეს ხელოვნებაში ესთეტიკურ ფაქტად. ყალბ იდეას, ყალბ აზრსა და ყალბ გრძნობას არც აქვს თავის რეალური საგანი, არც აქვს თავისი რეალური კონკრეტული ფორმა. ყალბი იდეა სწორედ იმიტომ არის ყალბი, რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, არ შეესაბამება ცხოვრებას. ხოლო ის, რაც არ შეესაბამება ცხოვრებას, რასაც არ გააჩნია კონკრეტული რეალური სახე, იგი არც შეიძლება იყოს ესთეტიკური, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ამხ. გ. ჯიბლაძე. რასაკვირველია, შეიძლება მრავალი ისეთი ნაწარმოების დასახელება, რომლებშიც გამოხატულია ესა თუ ის ყალბი იდეები, მაგრამ ისინი მაინც ინარჩუნებენ ესთეტიკურ მნიშვნელობას, ანდა, პირიქით, შეიძლება დასახელება ისეთი ნაწარმოებისა, რომელშიაც ძირითადი იდეა მართალია, მაგრამ ნაწარმოები მხატვრულად მაინც მდარე ხარისხისაა. აქ საქმე იმაშია, რომ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში მოცემულია არა ერთი ან რამდენიმე იდეა, არამედ იდეათა, აზრთა და გრძნობათა მთელი სისტემა. და თუ მასში ერთი ან რამდენიმე იდეა, თუნდაც ძირითადი იდეა, ყალბია — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში მოცემულ იდეათა მთელი სისტემაა ყალბი.

ტოლსტოის შემოქმედების გენიალური ანალიზი, რომელიც ლენინმა მოგვცა, ნათლად გვიჩვენებს, რომ მხატვრულობის კრიტერიუმს წარმოადგენს ობიექტური რეალობის მართლად გამოხატვა, მართალი იდეების, აზრებისა და გრძნობების გამჟღავნება მხატვრულ სახეებში. ლენინის შეფასებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ტოლსტოის შემოქმედებაში მაღალ მხატვრულ ფაქტებად განხორციელდნენ მხოლოდ მართალი იდეები, აზრები და გრძნობები: „რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები... კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუნდობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოსა და სახელმწიფო მმართველობის ოინბაზობის მხილება, წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა სიმდიდრის ზრდასა და ცივილიზაციის მონაპოვართა და მუშათა მასების სიღატაკის, გაველურებისა და ტანჯვის ზრდას შორის“...[1], ხოლო ტოლსტოის ყალბი იდეები: „რეგვენული ქადაგება „ბოროტებისადმი წინაღუდგომლობისა“ ძალადობით... რელიგიისა, მისწრაფება სახაზინო სამსახურის ხუცების ნაცვ-

[1] ლენინი, ლიტერატურის შესახებ, ქართ. გამოც. 1945 წ. გვ. 119.

ლად ზნეობრივი რწმენის მქონე ხუცესების დაყენებისა..." ᲩᲔ— ლენინს „ყველაზე უსაძაგლესი რამის ქადაგებად"[1] მიაჩნდა და, მაშასადამე, ისინი მისთვის არ შეიძლებოდა ესთეტიკურ ფაქტად ქცეულიყვნენ. რასაკვირველია, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ბნელეთის მოციქული სწორედ ამ ყალბ იდეებს მიიჩნევს ტოლსტოის მხატვრული გენიის გაშლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების ძირითადი იდეა მართალია, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები სუსტია მხატვრულად, საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როდესაც ნაწარმოების სახეთა მთლიანი სისტემა მართლად ვერ ასახავს სინამდვილეს და, მაშასადამე, ვერ შეადგენს ისეთ მხატვრულ ქსოვილს, რომელშიაც შეიძლებოდა მართლად გაცხადებულიყო ძირითადი იდეა.

სტალინის გენიალური დებულება, რომ მწერლები ადამიანის სულის ინჟინრებია, განსაზღვრავს ხელოვნების შემეცნებითს და ალმზრდელობით ფუნქციას. ეს არის შემოქმედებითი მარქსიზმის უმაღლესი პრინციპის შეტანა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიაში.

როდესაც მარქსმა შემეცნების თეორიაში შეიტანა პრაქტიკის კრიტერიუმი და წამოაყენა ცნობილი გენიალური თეზისი, რომ აქამდის ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ შეცვალოთ იგიო,—ეს იყო მთელი რევოლუცია ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მით, რომ ძველი მჭვრეტელობითი მატერიალიზმის მთავარი ნაკლოვანება გამოამზეურა, მარქსმა მატერიალისტური მსოფლმხედველობა სამყაროს უბრალო ახსნის იარაღიდან აქცია სამყაროს გარდაქმნის იარაღად. „მთავარი ნაკლი მთელი წინამორბედი მატერიალიზმისა,—წერდა მარქსი, — ფეიერბახის მატერიალიზმამდე ჩათვლით, მდგომარეობს იმაში, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობადობას განიხილავს მხოლოდ ობიექტის ფორმით ანუ ჭვრეტის ფორმით, და არა როგორც გრძნობად-ადამიანურ მოღვაწეობას, არა პრაქტიკის ფორმით, არა სუბიექტურად".

დიალექტიკური მატერიალიზმის ამ საფუძველთა საფუძველმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ლენინისა და სტალინის გენიალურ შრომებში. ლენინმა და სტალინმა არა ერთგზის დაასაბუთეს მეცნიერულად, რომ შემეცნება არის არა სარკისებურ-მკვდარი ასახვა გარემყარისა, არამედ აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულება ობიექტური რეალობისადმი, რომ „ადამიანის შეგნება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ჰქმნის მას".[1] ეს იმას ნიშნავს, „რომ სამყარო არ აკმაყოფილებს ადამიანს და ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს შესცვალოს იგი თავისი მოქმედებით".[2]

საბჭოთა კავშირში მთელი ნოწინავე მეცნიერული აზრი, რომლის ერთადერთი მიზანია ხალხის სამსახური, ეფარდება დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების საფუძველზე. ამ პრინციპების ბრწყინვალე თეორიულ დემონსტრაციას წარმოადგენს აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენება — „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში", რომელიც მან გააკეთა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე. საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებაში მტკიცედ გაისმა მიჩურინული პრინციპი: ჩვენ ვერ დაველოდებით ბუნების

[1] ლენინი ლიტერატურის შესახებ, ქართ. გამ. გვ. 119.

[2] იქვე, გვ. 119.

[1] Ленинский сборник, IX, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 241.

მოწყალებას, ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გარდავქმნათ ბუნება ჩვენთვის საჭირო მიმართულებით!

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკური თეორიის განვითარების ერთადერთი სწორი გზაც არის დიალექტიკური მატერიალიზმის გზა.

ამხ. გ. ჯიბლაძე თავის წიგნში არა ერთგზის იძლევა დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპების სწორ და მართებულ განმარტებას. და მით უფრო საოცარია, რომ თვითონ იგი ეშვება მჭვრეტელობითი მატერიალიზმის პოზიციებზე ხელოვნების თეორიაში. ასე, მაგალითად, იგი არსებითად იცავს და ანვითარებს ტრადიციულ ფორმულას რომელიც ხელოვნებას განსაზღვრავს როგორც ბუნების მიბაძვას. ნამდვილად კი ეს ფორმულა უკვე აღარ შეესაბამება ხელოვნების განვითარების თანამედროვე საფეხურს, მით უმეტეს იგი აღარ შეესაბამება საბჭოთა ხელოვნების ბუნებას. ბუნების მიბაძვა დღეს ხელოვნების მხოლოდ ერთ მხარედ, ერთ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მისი მეორე არსებით და ძირითად მხარეს შეადგენს მისი გარდამქმნელი როლი, არა მარტო ზეგავლენის თვალსაზრისით, არამედ შემეცნების თვალსაზრისითაც.

„ლენინიზმი სცნობს ჩვენი ლიტერატურის უდიდეს საზოგადოებრივ-გარდამქმნელ მნიშვნელობას. ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას თავისი ამ უდიდესი აღმზრდელობითი როლის შემცირება რომ დაეშვა, ეს უკუღმა განვითარების, „ქვის ხანაში“ დაბრუნების მომასწავებელი იქნებოდა“. (ჟდანოვი). ამხანაგ ჟდანოვის ამ დებულებაში მეტად ღრმა აზრია. ეს დებულება მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს ეპოქაში ხელოვნების ფუნქცია სულ სხვა არის, ვიდრე ძველ ეპოქებში იყო. ხოლო ფორმულა, რომ „ბუნება ჰქმნის მშვენიერებას და ხელოვნება მას სთარგმნის თავის ენაზე“ თავისუფლად მოგვგებოდა „ქვის ხანის“ ხელოვნებისათვის.

ამხ. გ. ჯიბლაძე „ბუნება ჰქმნის მშვენიერებას და ხელოვნება მას სთარგმნის თავის ენაზე, რათა აღბეჭდოს და გამოსახოს ის, რაც ცხოვრებამ ასე უხვად მიაფრქვია მას. ხელოვნება ამ მხრივ გვეხმარება ჩვენ და გვაძლევს სასიხარულო მოგონებას ბუნების მშვენიერებაზე... ხელოვნება ჩვენ მხოლოდ **მოგვაგონებს ამ მშვენიერებას, რათა** იმოქმედოს ჩვენზე, შეგვაყვაროს ბუნება, მოგვცეს გარკვეული მიმართება ან დადებითისაკენ (მაშინ პოზიტიურია ხელოვნების ფუნქცია) ან უარყოფითისაკენ (და მაშინ ჩვენ ნეგატიურად ვაფასებთ ხელოვნების ფუნქციას)“.[1] ამრიგად, გამოდის, რომ ხელოვნება არის ბუნების ასლის გადმოღება, ხოლო ამ ასლის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოგვაგონოს ბუნების მშვენიერება, შეგვაყვაროს იგი. ამით ხელოვნება უეჭველად პასიური ჭვრეტის ჩარჩოებშია მოქცეული. თქმა არ უნდა, რომ ბუნება მართლაც საოცარი ოსტატია, მაგრამ სტიქიური, შეუგნებელი. დაწყებული თვალდაუნახავი ნამცეციდან, ყურისთვის მიუწვდომელი ბგერიდან, გათავებული ციურ სხეულთა ფიქრმიუწვდომელი ანსაბლით — ბუნება გამსჭვალულია სტიქიური შემოქმედების დაუცხრომელი სულით. იგი მარად თვალმოუხუჭავი მხატვარია თავის არსებისა; მის განკარგულებაშია ამოუწურავი საღებავები და ფორმები. მაგრამ ყველაზე დიდი ქმნილება მის ქმნილებათა შორის არის ადამიანი, ეს ღიდებული ფენომენი, რომელიც ასეთი საოცარი გაბედულებით გამოჰყოფს თავისთავს ბუნებისაგან და თავის ამ ყოვლისმომცველ მშობელსა და მასწავლებელს მასწავლებლად უდგება.

ბუნება სტიქიურად, თავისთავად **არ** აზორციელებს ყოველივე სასურველსა

[1] „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 272—273.

და შესაძლებელს. ცხადია, ადამიანის აზრისა და პრაქტიკის ჩაურევლად, ბუნება ვერასდროს ვერ შექმნიდა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ საოცარ მიღწევებს, რითაც დღეს შეიარაღებულია კაცობრიობა. ეს მიღწევები, რასაკვირველია, არსებობდა ბუნებაში როგორც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესაძლებელი შედეგი, როგორც შესაძლებლობა. მაგრამ ეს შესაძლებლობა ადამიანის აზრის ჩაურევლად არასდროს არ იქცეოდა სინამდვილედ.

სტიქიურად, თავისთავად არ ხორციელდებიან არც ადამიანთა საზოგადოების განვითარების უკეთესი და შესაძლებელი ფორმები, არც ადამიანთა საზოგადოებრივი შეგნება ადის სტიქიურად სასურველ და შესაძლებელ სიმაღლემდე (მოვიგონოთ ლენინის გენიალური მტკიცება იმის შესახებ, რომ სტიქიურად მუშათა კლასი ძნელად თუ შესძლებდა მეცნიერულ სოციალიზმამდე ამაღლებას, რომ უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ტრედუნიონისტულ შეგნებამდე ავიდოდა); თავისთავად ბუნება და ცხოვრება არ ახორციელებს და ვერც განახორციელებს ყველა შესაძლებელ მშვენიერებას, სტიქიურად ვერც ადამიანის სული მიაღწევს შესაძლებელ მორალურ სრულყოფას... და რა ამომწურავი, უთვალავი შესაძლებლობანია კიდევ წინ ბუნებისა და ცხოვრების უსასრულო განვითარებაში. და თუ ადამიანის შემეცნების სხვადასხვა ფორმებს უფლება აქვს მიზნად დაისახოს ბუნებისა და ცხოვრების შესაძლებლობათა გადაქცევა სინამდვილედ, ხელოვნებასაც უფლება აქვს არა მარტო მიბაძოს ბუნებას, არა მარტო გადმოიღოს ბუნებისა და ცხოვრების მზამზარეული მშვენიერების ასლი, არამედ კიდევაც განახორციელოს შესაძლებელი მშვენიერება, დახატოს ადამიანის მორალური ბუნების შესაძლებელი სრულყოფილება.

ამხანაგი ჟდანოვი ლიტერატურის [illegible] ამის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურის [illegible] აღიარებულია „არა მარტო დღევანდელი დღის მიხედვით აჩვენოს ჩვენი ხალხი, არამედ მის ხვალინდელ დღეშიც ჩაიხედოს, დაეხმაროს — პროექტორით გაუნათოს წინსვლის გზა“. ამ ამოცანის შესრულებას საბჭოთა ლიტერატურა ბუნებისა და ცხოვრების პასიური მიბაძვით, რასაკვირველია, ვერ შესძლებს.

ხელოვნება ცხოვრების მოწაფეც არის და მასწავლებელიც. იგი წარმოქმნის იმ მშვენიერებას, რომელიც ბუნებაში და ცხოვრებაშია, და ამავე დროს ჰქმნის მშვენიერების ახალ იდეალს, ჰქმნის მშვენიერებას, რომელიც არსებობს როგორც შესაძლებლობა ხელოვნებისა და ცხოვრების დამოკიდებულებაში და რომელიც არ შეიქმნება თუ არ იარსებებს ხელოვნება.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა მოგვცეს სილამაზის უფრო მაღალი იდეალი, ვიდრე არსებულია, უნდა დახატოს ადამიანის ისეთი ამაღლებული მორალური სახე, ისეთი მორალური თვისებები, რომელთაკენ უნდა ისწრაფოდნენ ადამიანები, როგორც თავიანთი ადამიანური სრულყოფისაკენ. ამ აზრით უნდა გავიგოთ მ. გორკის შემდეგი დებულება: „ჩვენი ხელოვნება უნდა დადგეს სინამდვილეზე მაღლა და მასზე მაღლა უნდა აიყვანოს ადამიანი ისე, რომ არ მოსწყვიტოს მას“.[1]

„ლიტერატურა მოწოდებულია არა მარტო იმისათვის, რომ ხალხის მოთხოვნილებათა დონეზე მიდიოდეს, არამედ უფრო მეტიც — იგი ვალდებულია განავითაროს ხალხის გემოვნება, კიდევ უფრო აამაღლოს მისი მოთხოვნილებანი, გაამდიდროს იგი ახალი იდეებით, წინ წაიყვანოს ხალხი“ (ჟდანოვი).

[1] М. Горький, О литературе, 1937, 83-157.

ამიტომ ლიტერატურასა და ხელოვნებას არ შეუძლია განისაზღვროს მარტო ბუნებისა და ცხოვრების მიბაძვით. ამბ. გ. ჯიბლაძეს კი თავისი მსჯელობა ხელოვნების შესახებ ყოველთვის მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნება არის მიბაძვა: „რაღა დარჩა? — წერს იგი, — მხოლოდ ის, რომ მშვენიერება ჩვენ გამოვაცხადოთ ობიექტურ რეალობად, რომელსაც განასახიერებს ბუნება, ცხოვრება და რომელსაც გამოსახავს ხელოვნება—მიბაძავს რა პირველს“.[1] (ხაზი ჩვენია, ლ. კ.). თუ ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ იმას გამოსახავს, რასაც ბუნება თუ ცხოვრება თავისთავად, ადამიანის შემოქმედი აზრის ჩაურევლად ასახიერებს, მაშინ ადგილი არ რჩება ხელოვნების აქტიური დამოკიდებულებისათვის მოვლენებისადმი, ადგილი არ რჩება იმისათვის, რომ ხელოვნებამ გარკვეული იდეური თვალსაზრისით გადაამუშაოს, შეჰკრას და ორგანიზაცია უყოს ცხოვრებიდან და ბუნებიდან აღებულ მასალას

გამომგონებლობა მხატვრული შემოქმედების აუცილებელი ელემენტია. როგორც ყოველი კარგი ინჟინერი, ისე ადამიანის სულის ინჟინერიც — მწერალიც კარგი გამომგონებელია. — „მხატვრობა“ „გამოგონების“ გარეშე შეუძლებელია, არ არსებობს“ (გორკი).

მსგავსად იმისა, როგორც ყოველი მეცნიერული თუ ტექნიკური გამოგონება არის ბუნების ძალთა მიზანშეწონილი ორგანიზაცია, ყოველი მხატვრული გამოგონება არის ცხოვრებიდან და ბუნებიდან არეკლილი მასალის ორგანიზაცია გარკვეული იდეური თვალსაზრისის მიხედვით.

ამბ. გ. ჯიბლაძე თავის წიგნში „ხელოვნება და სინამდვილე“, რასაკვირველია, ლაპარაკობს, და ძალიან ხშირადაც, ხელოვნების აქტიური, გარდამქმნელი როლის შესახებ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველივე [illegible] ულად არ გამომდინარეობს ხელოვნების ამ კონცეფციიდან, რასაც ავტორი იძლევა.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ამბ. გ. ჯიბლაძეს აგრეთვე ფორმის ერთგვარი გაორების ცდაში, იმაში, რომ ფორმა შეიძლება გულგრილი იყოს შინაარსისადმი (საღი და დამპალი ვაშლის მაგალითი). ფორმა ბუნებაშიაც და ხელოვნებაშიაც ერთიანი და მთლიანია. ფორმა არ შეიძლება გულგრილი იყოს თავისი შინაარსის მიმართ. იგი შეიძლება ან კონფლიქტში იყოს შინაარსთან ან ჰარმონიულ მთლიანობაში იყოს მასთან. „შინაარსი უფორმოდ შეუძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესა თუ ის ფორმა, რადგანაც ის უკან რჩება თავის შინაარსს, არასოროს არ შეესაბამება სავსებით ამ შინაარსს, და, ამგვარად, ახალი შინაარსი „იძულებულია“ დროებით ძველ ფორმაში გამოეხვიოს, რაც კონფლიქტს იწვევს მათ შორის“.[1]

ხელოვნებასა და ლიტერატურაში როგორც მისი შინაგანი ფორმა—მხატვრულ სახეთა მთლიანი სისტემა, — ისე მისი გარეგნული გამოვლენა — მეტაფორები, შედარებები, ეპიტეტები, რითმა, რიტმი, საღებავები, ხაზები და სხვა კომპონენტები, არ შეიძლება გულგრილი იყოს ნაწარმოების იდეური შინაარსის მიმართ, მხატვრული ფორმის ყოველ ელემენტს გარკვეული აზრობრივი ფუნქცია აქვს. ხელოვნებაში ისეთი ფორმა, რომელიც კონფლიქტშია მის იდეურ შინაარსთან, უეჭველად აყალბებს ამ შინაარსს, და, პირიქით, როდესაც ფორმა ჰარმონიულ მთლიანობაშია იდეურ შინაარსთან, იდეური შინაარსი წარმოგვიდგება მთელი თავისი სიდიადით. სწორედ ჩვენი ეპოქის შინაარსის სიდიადის გამომხატველი

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 298.

ფორმების შექმნას მოითხოვს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი, როდესაც ამბობს: „ზოგიერთი ჩვენი არქიტექტორი, ჩვენი მომწიფებული ხელოვნების შესაფერი დინჯი ფორმების ნაცვლად გვაწვდის ახუხულავებულ მოცულობებს და უცნაურად ტეხილ, ზოგჯერ კი თითქმის ყრუ მძიმე ფასადებს“.[1]

აღსანიშნავია, რომ ჰეგელი აორებდა ფორმას, იგი მიუთითებდა ისეთ ფორმაზე, რომელიც თითქოს გულგრილია შინაარსის მიმართ. მაგალითად, „მცირე ლოგიკაში“ მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: წიგნის ყდა, როგორც გარეგნული ფორმა, გულგრილია წიგნის ტექსტის, ე. ი. წიგნის შინაარსის მიმართო. მაგრამ, არსებითად, წიგნის ყდა ხომ წიგნის შინაარსის ფორმა არ არის? წიგნის ყდა სულ სხვა საგანია და მას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს. ჰეგელს თავისი იდეალისტური სისტემისათვის ესაჭიროებოდა ფორმის გაორება, „წმინდა“ ფორმის მონახვა, და იგი ამ მიზნით ძალდატანებას ახდენდა სინამდვილეს მოვლენებზე.

ამით ვამთავრებთ ჩვენს ზოგად თეორიულ შენიშვნებს წიგნზე, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სამწუხარო ტექნიკური დაუდევრობა, რაც უეჭველად ატყვია წიგნის კორექტურასაც, სტილსაც და ზოგიერთ თარგმნილ მასალებსაც.

—:—:—

[1] ჟურ. „ბოლშევიკი“, 1946 წ., № 3—4, გვ. 129.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

სულხან-საბა ორბელიანი

★

...„რანი და მოვაკანი და, სახლი და კარი ბანი
და...
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი, და განიდა...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე, სივრცე, და განი-
და...
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავკარგე ძმანი დანი
და...“

ვახტანგ VI.

1.

ქართული ენის გენიას არა ერთი დიდკაცის პირით საცნაურუყვია თავისი ძალმოსილება. თუ ქართლოსანთა ნაშიერთ ოდესღაც განიყვეს საქართველოს მიწა, რათა ხელახლა შეეკრიბათ იგი, ქართული სიტყვაც სამკვიდროდ ჰქონდა მიჩნეული რამდენსამე თავკაცს ქართული მეტყველებისა.

ეს მათ ასახელეს ენა ჩვენი და ერი ჩვენი.

როგორც ჩვენმა დიდმა მეფეებმა: ვახტანგ გორგასალმა და ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელმა და გიორგი ბრწყინვალემ ხმლით დაიცვეს ის მიწა, რომელიც ისტორიის ნემეზისმა მიანიჭა ჩვენს წინაპრებს, შეკრიბეს ჩვენი დაქსაქსული ტომები, განაძლიერეს ქვეყანა ქართლისა, თავი მოუყარეს მამეულს, ასევე ქნეს, მაგრამ არა მახვილით, არამედ კალმით, ქართული ენის დიდოსტატებმა: იაკობ ხუცესმა და გიორგი მერჩულმა, რუსთაველმა და საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა და აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა ფშაველამ.

ისეთი დიდი როლი, როგორიც შეასრულა ქართულმა ენამ ჩვენი თვითცნობიერების ისტორიაში, იშვიათად თუ დაკისრებია რომელიმე სხვას, რადგან ზოგზოგი ხალხის ისტორიაში ენაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მირწყული რელიგიურსა და დინასტიურ მომენტებს.

ამიტომაც თქმულა: „ქართულად ყოველი ქვეყანა აღირაცხების, სადაც ჟამი ქართულად შეიწირვის“...

განუზომელად დიდია რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობა. ქართული ლექსის კულტურა ზენიტზე იდგა ისეთ საუკუნეში, როცა ევროპის კონტინენტის ხალხთაგანს ზოგს ნაციონალურ ენაზე ლექსის წერა ერცხვინებოდა, ჟარგონიზირებულ ლათინურ ურითმო ლექსებს სწერდნენ ამავე ეპოქის ევროპული პოეტები.

მათთვის უცხო იყო არა მარტო პოეზიის ისეთი რაფინირებული ფორმები, რომელთა უბრწყინვალესი ნიმუშები მოგვცეს შავთელმა, ჩახრუხაძემ და რუსთაველმა, არამედ ელემენტარულად

პროგრესიული იდეალები და იდეური შინაარსიცა.

ხსენებული ეპოქის დასავლეთური პოეზია (პროვანსალურს გარდა) ეს იყო გალექსილი დიდაქტიკა, უკეთეს შემთხვევაში ეს ქატოლოგიური ბნელმეტყველება.

ასე რომ ქართული პოეზია, რომლის მაღალი სარანგი იყო რუსთაველი, მთელი დასავლეთური ცივილიზაციის ფონზე უნდა ჩაითვალოს როგორც უხუცესი და უწარჩინებულესი.

იმ დიდი კატაკლიზმების მეოხებით, რომელიც არა ერთგზის თავს დასტყდომია ქართულ კულტურას, შეუძლებელია დადგინება ქართული პოეზიის ასაკისა, რადგან ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამ სამ დიდ პოეტს: რუსთაველს, შავთელსა და ჩახრუხაძეს, რომელთაც აბსოლუტურად სრულყოფილი ფორმითა და მაღალი ლექსის კულტურით ეგზომ ისახელეს თავი, წინამორბედები და გზისგამკაფავები არა ჰყოლოდათ და ასე იმანენტურად აღმოცენებულიყვნენ ისინი ქართული სასულიერო პოეზიის ნიადაგიდან.

ქართულ პოეზიაზე უფრო მეტად მხცოვანია ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა, რომლის წინაპრად იაკობ ცურტაველი გვყავს მიჩნეული.

ამ გასაოცარად რეალისტურ ქმნილებას გააჩნია თითქმის ყველა კომპონენტი დიდი სტილის პროზაული ქმნილებისა: უაღრესად დახვეწილი ენობრივი ინსტრუმენტი, ფრიად კანონზომიერი ჰარმონიულობა კომპოზიციისა და რაც მთავარია, უაღრესად ნათელი, რეალისტური მანერა ხატვისა და ხასიათთა გამოძერწვისა.

მით უფრო დაუჯერებელია, რომ იაკობ ცურტაველს წინამორბედი არა ჰყოლოდეს, წინამორბედი და ყამირის გამტეხელი.

ვინ იცის, იმ ბნელით მოცულ ეპოქაში, რომლის გამო მხოლოდ ცალკეულ, ფრაგმენტულ ცნობებს მოუღწევია ჩვენამდის, რა დაგვიკარგავს და რა დანთქმულა დავიწყების [illegible] მაძღარ ხახაში.

ერთი რამ ცხადია: ის რაც შემოგვრჩა პერმანენტულ ინვაზიებს გადარჩენილი, უსათუოდ ნამუსრევია იმისა, რაც შეგვიქმნია და რაც გაგვაჩნდა.

ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ზოგ შემთხვევაში უკეთესი პირობები ჰქონდა თავის განვითარების პირველ ეტაპზე, ვიდრე იტალიურს, ფრანგულს, რუსულსა და ინგლისურს. და ეგ იმიტომ, რომ ადრიან შუა საუკუნოებში ევროპის კონტინენტზე სამი ენა ჩრდილავდა ნაციონალურ ენებს: ბერძნული, ლათინური და ძველსლავური.

2.

ცნობილია: ქრისტიანულ ერთა მწერლობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა ბიბლიამ. რამდენადაც რეფორმაციამდის არც ერთ დასავლეთელ ერს ეს ქმნილება არ გააჩნდა ნაციონალურ ენაზე, ლათინური ენა უფრო დიდხანს ბორკავდა რომანულ ხალხების ლიტერატურათა განვითარებას, ვიდრე ჩვენსას.

ამ შემთხვევაში სავსებით სვებედნიერ გამონაკლისს შეადგენდა ქართული და სომხური ენები. რა თქმა უნდა, ბერძნული ენაც ჩრდილავდა ოდესღაც ქართულსა და სომხურს, მაგრამ ხსენებული ენები ევროპულ ენებზე ადრე დაადგნენ თავისთავადი განვითარების გზას.

ლიტერატურათა ისტორია მოწმეა იმისა, რომ ნაციონალური საერო ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნების გვერდით, ძლიერი ბერკეტი იყო შუა-საუკუნეთა ბნელმეტყველებასთან ბრძოლაში, ამ ფაქტორის დაწინაურება მუდამ სიმპტომად იყო მიჩნეული ერის წინწაწევისა პროგრესიული აზროვნების გზაზე.

ასე რომ პეტრარკა და ბოკაჩიო, დანტე და რაბლე, რუსთაველი და შავთელი ისეთივე დიდი კანდელები იყვნენ სქოლასტიციზმით დაბანგულ საუკუნეებში, როგორც ავიცენა და გალილეი, არისტოტელესი და პლატონი.

ქართულ პროზას გავლილი აქვს საკუთარი თავისთავადი გზა, ვიდრე სხვა ერების სიტყვაკაზმულ ლიტერატურათ.

ჩვენი ჰაგიოგრაფიაც არაფრით გავდა ბიზანტიურსა, იტალიურსა და ფრანგულს. გიორგი მერჩულის ეპოქაში ყოველად წარმოუდგენელი იყო ევროპაში ადამიანური ვნებების, სიყვარულისა და ქალისადმი ტრფიალის გამოვლინება.

შუასაუკუნეთა სქოლასტიციზმის ფონზე უნიკალური ფენომენებია როგორც მერჩული, ისე რუსთაველი და ჩახრუხაძე, რომელთაც ომახიანად უმღერეს სიყვარულსა და სხვა ადამიანურ ვნებებს.

ასე რომ ბოკაჩიოზე ადრე ბოკაჩიოსებურ მოტივებს ვხვდებით გიორგი მერჩულის შესანიშნავ პროზაში, რომელიც ქართული მწერლობის გზაწყვეტილებზე ისევე საოცარია, როგორც ზეციდან ჩამოვარდნილი უცნაური რამ მეტეორიტი.

ძველ ბერძნებს თანადროული გაგების პროზა არ გააჩნდათ, მათი ისტორიული პროზა იგივე იყო, რასაც ფრანგებმა „ბელლეტ“ შეარქვეს, ხოლო ჩვენ სიტყვაკაზმულ მწერლობას ვუწოდებთ.

დასავლეთ ევროპის ხალხთა ეპიური ლიტერატურა ბიბლიიდან ღებულობდა სათავეს, განსაკუთრებით დრამა და „ბელლეტრ“.

უფრო გვიანაც დანტეს კომედიას, მილტონის დაკარგულ სამოთხეს და გოეტეს ფაუსტის წარმოშვებასაც ბიბლიამ მისცა ბიძგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

ქართული ისტორიოგრაფია არასოდეს ისე ძლიერი არა ყოფილა, რომ მას გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა ქართულ პროზაზე. ჩვენი პროზის მთავარი სათავეები საძებარია ქართულ ჰაგიოგრაფიასა და მთელი შუასაუკუნეთა მანძილზე სახელგანთქმულ არაბულ-ირანულ რომანისა და ნოველისტიკის საწყისებში, რა თქმა უნდა, მისი განვითარების პირველ ეტაპზე.

საკმარისია ვისრამიანის ქართული ვერსია და სიბრძნე ბალავარისა ვახსენოთ. ქართულმა ენამ ამ ძეგლებში მიაღწია გამოთქმის შესაძლებლობათა მაქსიმუმს, უაღრესი ლაპიდარობა, უდიდესი ეკონომია სიტყვისა, ნაჭედობა ფრაზისა და ფერთა სიუხვე ამ ძეგლებში შერწყმულია ეტიმოლოგიურ სიღრმესა და სიმდიდრესთან.

თუ რუსთაველს არასოდეს გამოსჩენია ჯუფთი გენია ერთი პიროვნების სახით ქართულ პროზაში, სამაგიეროდ იმ დიდმა ღვაწლმა, რომელიც ქართულ ენას დასდვეს იაკობ ცურტაველმა და გიორგი მერჩულმა, გიორგი მთაწმინაელმა და ვისრამიანის გადმომღებმა ისეთ სიმაღლეზე ატყორცნეს ქართული სიტყვაკაზმული მეტყველების დონე, როგორსაც შესაბამისს ეპოქაში უთუოდ ინატრებდა არა ერთი მრავალრიცხოვანი ერის ლიტერატურა.

ცნობილია: ბოლორითმიანი ლექსი არაბულიდან შევიდა დასავლეთის პოეზიაში, დასავლეთური რომანისა და ნოველის ჟანრების განვითარებაშიაც არაბულმა შეასრულა უდიდესი როლი.

ასე რომ დასავლეთური პროზის უხუცესი წინაპართაგანი ჯიოვანი ბოკაჩიო დიდად დავალებულია ათას ერთი ღამის ეპოსისაგან.

ეს საწყისები ჩვენთან უფრო ახლოს იყვნენ, რამდენადაც ჩვენი პოლიტიკუ-

რი ცხოვრების სფეროში უფრო ადრე შემოიჭრნენ არაბები, ვიდრე ისინი სამხედრო იტალიასა და ესპანეთს მიაწვდიდნენ თავიანთ ზეგავლენას.

თუ ერთერთი ნაკადი ნაწილობრივი ზეგავლენისა, სახელდობრ ჰაგიოგრაფული, ენის მენტორობით წარმოშობილა, მეორე, აგრედვე ნაწილობრივი, მოდიოდა სპარსული რომანისა და არაბული ნოველისტიკის სათავეებიდან,— მიუხედავად ამისა ქართულ სიტყვაკაზმული მწერლობის თვით უძველეს ძეგლებს ამშვენებდა მუდამ უაღრესად ნაციონალური ფორმების სრულყოფა და იერი, როგორც ქართული პოეზიის შედევრებს.

ეს გარდუვალი კანონია ისტორიისა: არც ერთ ეტაპზე თვით უწარჩინებულესს ერებს კარჩაკეტილად არ უცხოვრიათ და თუ ვინმე შემთხვევით დარჩენილა საუკუნეთა გოლფშტრომების გამანაყოფიერ ზეგავლენათა კიდეგან, იგი მუდამ შემონახულა როგორც გაუვითარებელი, უნდილი პროდუქტი პროვინციულობისა.

ქართველ ერს მიუსაჯა ისტორიამ შრომა და ბრძოლა იმ ძნელად გასაძლის ხალხთა ხიდზე, რომელსაც კავკასია ეწოდებოდა ოდითგან; მართალია, ჩვენ აბჯარი შემოგვაცვითეს გამუდმებულმა ბრძოლებმა.

სამაგიეროდ ქართული კულტურა პერმანენტულად ნაყოფიერდებოდა სხვადასხვა დროის მოწინავე ხალხთა ფილოსოფიისა და მწერლობის დიდი და ცხოველმყოფელი იდეებითა, რომელთა კერანი იმყოფებოდნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცენტრებში: თბილისსა და მცხეთაში, ოშკსა და ხახულში, ათონსა და პეტრიწონში, არამედ დელისა და კალკუტას, ისპაჰანისა | და ბაღდადის, კონსტანტინეპოლისა და ქაიროს უმაღლეს სკოლებში.

და ეს სინტეტიური ხასიათი ჩვენი კულტურისა გენიალურად ასახა ქართული სიტყვის დიდმა ოქროპირმა რუსთაველმა, რომლის [illegible] ქმნულებაში ღღესაც მოგვესმის [illegible] ხილი მაჰაბარათას გმირული ეპოსისა, ჰომიროსის უკვდავი პოემებისა, პლატონისა და ემპედოკლეს ფილოსოფიისა.

ეს ყოველივე მოცემულია ნაციონალური ენის უბრწყინვალესი გამოსხივებით, ისეთის იგავმიუწვდენელის დიდოსტატობით,—მხოლოდ დიდად განსწავლილის თვალი და სმენა თუ გაარჩევს ეროვნულსა და ინტერნაციონალურს, მოტანილსა და შინმიღებულის ერთიერთისგან.

ამავე გზებით უვლიათ მუდამ მსოფლიოს სხვა უდიდეს გენიებს: ჰომიროსსა ნიზამი განჯელს, დანტესა და რაბლეს, შექსპირსა და გოეტეს.

ამ მომენტს შემოქმედებისას შესაფერი მოდუსი მოუძებნა კაცობრიობის უდიდესმა გენიამ, ჩვენმა დიდმა ბელადმა სტალინმა, როცა იგი მიგვითითებს ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის შექმნისაკენ.

4.

„ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულებით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახავდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა:

ავზე და კარგზე, საცინელზე და სატირალზე, სულ რატომ სტირიო?

მან აგრე თქვა:

რა ვქნა ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან. საუკუნო სასჯელი დავიწყებიათ და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერმე მას მოცინარს კაცსა ჰკითხეს.

შენ რა გაცინებსო?

მან ესრე თქვა:

ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, ყოველ კაცს ვუქადა-

გე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე და აწ სიცილს ძალი მივეცი".

როგორი უაღრესად ბიოგრაფიული, ლირიული პარაპოლაა ამ სტრიქონებში გამჟღავნებული. მრავალტანჯული მამულიშვილის გულიდან დაძრული ცრემლი გამოსჭვივის აქ, მსუბუქი ირონიის საბურველით შეფარული.

აი ასე მძიმე და გრძელი გზა გაიარა ამ იგავის ავტორმა.

სიბრძნე-სიცრუის ლეონიძისეულ გამოცემაში მოთავსებულია ახალგაზრდა საბას პორტრეტი.

პირმშვენიერი, ახოვანი ჭაბუკი ფეხმორთხმული უზის საწერ მაგიდას. თავზე მაღალი ფაფახი ახურავს, ყვრიმალების არეებში ქუდიდან გადმოღვრილი კულულები მოუჩანს.

განიერი შუბლი და სწორი, რომაული ცხვირი ამშვენებს უწვერული ჭაბუკის სახეს.

ამ სურათიდან საცნაურია ოდნავი სიგამხდრე ხორცისა, რომელიც ინტელექტით ძლიერ ჭაბუკებს სჩვევიათ ხოლმე.

ცხადია, ის უნივერსალური განსწავლულობა, რომელიც საბას ნაწერებიდან გადმოსჩქეფს, სიბერემოწეულს ერთის დაკვრით არ შეეძლო მოეხვეჭა.

ასეთ ბრწყინვალე ახალგაზრდას, ასპარეზიც უნდოდა დიდი, მაგრამ უბედობა სიყრმიდანვე თან დაჰყვა მას, რადგან დიდი მამულიშვილის კეთილშობილმა გულმა იუცხოვა ისეთი კარიერის არჩევა, როგორსაც დაადგებოდენ ხოლმე იმჟამინდელნი დიდგვაროვანი ქართველი აზნაურნი; იგი თავის ბედს უკავშირებს ბედდამწვარსა და სვეგამწარებულ ადამიანს, ვახტანგ VI-ს.

დიდი დრამატიზმით დატვიფრულია ვახტანგ მეექვსის ცხოვრება. ამ დიდად განათლებულმა მაგრამ ნაკლებად გამჭრიახმა ხელისუფალმა მთელი თავისი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო თავისი დაკარგული სამშობლოს მოსაპოვებლად და სწორედ ტიმოთესეულისას, რომელიც უფსკრულისკენ მიაბიჯებდა ვახტანგ მეფესა და მის თანადროულ საქართველოს, საბა ორბელიანმა დაუკავშირა თავისი ვარსკვლავი.

არა ერთი რომანი, ან ტრაგედია დაიწერება ალბათ ამ ტემაზე, მერმისში.

ჭეშმარიტად ავთანდილურის რაინდობით ემსახურება საბა ორბელიანი თავის სვეგამწარებულ ქვეყანას და მის პატრონს.

ეს იყო იგივე საქართველო, რომელსაც თავი გადააყოლა მეორე დიდმა მწერალმა, დავით გურამიშვილმა.

ვით მამალი სხვის მამალსა,
დაქოჩროს და წაეკიდოს"
. . . . . .
და ორივე დაღალული
ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს,
ეგრე ქართლი და კახეთი
დარჩა თურთქთა ლეკთა დიდოს."

უბადლო თავდადება მამულისათვის გამოიჩინა თავისი ეპოქის ყველაზე მეტად მოწინავე ახალგაზრდა სულხან ორბელიანმა. მას არ შეეძლო სხვა რიგად მოქცევა.

მისი საგვარეულო მამული ხომ ის მაღალი ციტადელი იყო, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა მტკიცე ბრუსტვერს საქართველოს სამხრეთიდან დაცვისა.

საბა ორბელიანი იყო ერთგული შვილი მეწინავე მედროშეთა მხარისა. ამ მხარის შელეწილ ციხეებს, მონასტრებსა და ეკლესიებს, მთელს მოსახლეობას ქვემო ქართლისას, დღესაც თვალნათლივ ეტყობა ის ჭრილობები, რომელიც მიადგა ამ ქვეყანას მრავალი საუკუნის პერმანენტულ შემოსევათაგან.

და განრთხმულა დღესაც ეს მხარე ჩვენს თვალწინ, როგორც იავარქმნილი ბაღნარი, ჩვენი ჯერაც მოუშუშებელი ტკივილების აღმძვრელი, დმანისის,

ბირთვისის, ფარცხისის და სამშვილდეს შემუსრული კარიბჭეები, ბრუსტვერები და ქონგურები, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების მოწმენი.

5.

უცნაური დეზორიენტირება ახასიათებდა მე17—18 საუკუნის ქართველ მეფეებსა და ჩვენი პოლიტიკის თავკაცებს.

მათ გადაავიწყდათ ის ტრადიციები ქვეყნის მართვისა, შინაურ და გარეულ მტრებთან ბრძოლისა, რომელნიც დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა მეფეებმა ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელმა, გიორგი მესამემ და თამარმა, ბაგრატ მეხუთემ და გიორგი ბრწყინვალემ:

ქართველი ტომების გაერთიანებისთვის ბრძოლა და ეროვნული ენერგიის ერთობლივი მიმართვა გარს მოჯარულ მტერთა წინააღმდეგ;

მოკავშირე მეზობელთა გონივრული შერჩევა, ერთი მტრის მეორეს წინააღმდეგ გამოყენება, რეალური და ფხიზელი პოლიტიკის წარმოება როგორც შინ, ისე გარედ.

მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფეთა შორის განსაკუთრებული მალემრწმენობითა სხვათაგან განირჩევა ვახტანგ მეექვსე.

მთელი მისი პოლიტიკა ქრისტიანული დოგმატიზმით იყო განმსჭვალული.

ჯერ კიდევ გიორგი I თავის პოლიტიკურ საქმიანობაში არ ურევდა რელიგიურსა და პოლიტიკურ მომენტებს ურთიერთში.

ამიტომაც არ მოერიდა ეს მეფე ქრისტიანულ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალიფ ალ ჰაკიმთან შეეკრა კავშირი.

არც დავით აღმაშენებელს მიუნიჭებია რელიგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა მან თურქული ტომი ყიფჩაღებისა გამოიყენა იმავე მოდგმის თურქებისაგან საქართველოს დაცვის საქმეში.

ხოლო პაპა მისი ბაგრატ IV ქრისტიანულ ბიზანტიას ისევე გააფთრებული ებრძოლა, როგორც სელჯუკიანთა მუსულმან სულტანებსა და ამირებს.

ეს მანევრირების პოლიტიკა, რომელიც შეადგენდა გიორგი I, ბაგრატ მეოთხის და დავით აღმაშენებლის პოლიტიკის თავკიდურს, სავსებით გადაავიწყდათ როგორც ვახტან VI, ისე მისი პოლიტიკის მიმდევართ.

თავისთავად ცხადია, ხსენებული თავკაცები ქართული პოლიტიკისა მართებულად სთვლიდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ძალი და ავტორიტეტი უნდა გამოეყენებინათ ისლამის ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან პეტრე პირველის რუსეთი გაცილებით უფრო პროგრესიული მოვლენა იყო, ვიდრე ირანისა და ოსმალეთის ტირანია. მაგრამ მთელი ეს პოლიტიკა ისე უმეცრულად და დაუფიქრებლად აწარმოვეს მათ, ყოველივე რეალური გარანტიების მოუპოვებლად, ისე მოუმზადებლად გააღიზიანეს ისლამური სახელმწიფონი, — ფიზიკური განადგურების კიდესთან მიაგდეს ქართველი ხალხი.

რელიგიური მომენტის პოლიტიკაში აღრევის კლასიკური მაგალითია ვახტანგ მეექვსის ყოველივე შორს გამჭვრეტელობასა და რეზონს მოკლებული ძიება დასავლეთ ევროპაში ერთმორწმუნე მოკავშირეთა.

რომის პაპის კურიის დიდი ხნის ოცნება იყო მთელი მსოფლიოს ქრისტიან სახელმწიფოთა ვატიკანის სადავეთათვის დამორჩილება.

ჯერ კიდევ მე-11 საუკუნიდან დაძრწოდნენ მთელს წინააზიასა და კავკასიაში პროპაგანდა დეი ფიდეს აგენტი მისსიონერები, რომელთაც ეწადათ როგორც სირიის სომხეთის, ანტიოქიისა

და საქართველოს, ისე ბიზანტიის ეკლესიების შემოერთება.

ცნობილია თამარის ასულის, რუსუდანისა და რომის პაპის ჰონორიუს III-ის მიწერმოწერა.

რუსუდანის ვაჟთან მეფე დავითთან პაპი გრეგორიუს IX აგზავნის ელჩებს. შემონახულია ეპისტოლენი რომის პაპების ნიკოლოზ III-ისა და ნიკოლოზ IV-ისა ქართველ მეფეთა და მთავართადმი. ასეთივე დიპლომატიური მიწერ-მოწერა ვატიკანსა და ქართული პოლიტიკის თავკაცებს შორის წარმოებდა XIV, XV, XVI საუკუნეების მანძილზე.

ეს ყოველივე სავსებით უშედეგოდ დამთავრდა. არც რომის კურიას, არც რომელიმე მეფეს დასავლეთურ სახელმწიფოთა, არაფრით აუტკივებიათ თავი, რათა რითიმე წამოშველებოდნენ ისლამური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს.

გიორგი XI-ს და ვახტანგ VI-ს ვერაფერი ასწავლა ისტორიის მწარე გაკვეთილებმა. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა მძიმე სულიერი ქენჯნის საფასით აღიარეს კათოლიკური რელიგია ხსენებულმა მეფეებმა, იმ იმედით, რომ მრავალტანჯული ქართველი ხალხისთვის მოკავშირენი მოეპოვებინათ.

ასეთი ილლუზიების წიაღში მოექცა თვით ისეთი უნივერსალურად განათლებული კაცი როგორიც იყო საბა-სულხან ორბელიანი.

ცხადია, არა დოგმატიურმა ამბებმა, მამულის გადარჩენის იმედმა მოითხოვა საბა ორბელიანისაგანაც მამაპაპეული სარწმუნოებისათვის ზურგის შექცევა და კათოლიკური რელიგიის აღიარება.

ამ დრამატიზმით სავსე მდგომარეობაში უცნაურია ერთი გარემოება. ვახტანგ VI დესპანად აგზავნის საბა-ორბელიანს რომსა და პარიზში და თანაც მიახლოებითი წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ხდებოდა იმჟამინდელ იტალიასა და საფრანგეთში.

. ვთქვათ საკუთარი, ანუ სარწმუნონი თუ არა ჰყავდა ქართველ მეფეს ამ ქვეყნებში, რომის კურიის მისსიონერები ხომ წარამარა დადიოდნენ იმჟამინდელ რომსა და თბილისს შორის?

ცენტრალური ევროპა სავსებით აღრეული იყო.

ლუდ XIV წაეკიდა რომის პაპს საფრანგეთის ელჩის რომში მისაღებ ექსტერიტორიალური უფლებების გამო და ბრძოლით აიღო ქალაქი ავინიონი.

1700—14 წლებში ლუდ XIV გახვეული იყო თავის მეზობელ სახელმწიფოებთან გამუდმებულ ომებში. ეს აურზაური ატყდა ლუის შვილიშვილის ფილიპ ანჟუს ესპანეთის ტახტზე ასაყვანად.

1709 წელს საფრანგეთის ჯარები ზედიზედ დაამარცხეს მოკავშირეებმა და საფრანგეთის სახელმწიფური საზღვრები გადმოლახეს ბრძოლით. ასე რომ არამც თუ სხვათადმი დახმარების უნარი არ გააჩნდა იმჟამინდელ საფრანგეთს, ლუდ XIV იძულებული გახდა გერმანიისაგან მიტაცებული მიწები უკან დაებრუნებინა ამ უკანასკნელისთვის.

ამ ომებისაგან საფრანგეთი სავსებით დაუძლურებული გამოვიდა. დაინგრა მთელი მისი ბიუჯეტი, 2 მილიარდი ოქროს ლივრი ვალი დაედო საფრანგეთს.

1711—14 წლებს შორის მთელი ოჯახი ამოუწყდა ლუდ XIV-ს, ხუთი ვაჟი ზედიზედ მოუკვდა.

სწორედ ასეთ დროს უხდება საბა ორბელიანს 800.000 ეკდუს სათხოვრად პარიზს წასვლა და ლუდ XIV წინაშე წარდგომა. სავსებით ნათელია, თუ როგორ უმწეო მდგომარეობაში ყოფილან იმჟამინდელი თავკაცები ქართული პოლიტიკისა.

*
* *

გარდა პოლიტიკური მომენტისა, ალბათ საბას წმინდა რელიგიური მომენტიც ამოძრავებდა შჯულის გამოცვლისას.

საბა ორბელიანი, როგორც დიდად განათლებული კაცი, კარგად ხედავდა, რომ ქართული ორტოდოქსია გაკოტრდა იდეურად. ცნობილია კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მოიშალა ორტოდოქსური ქრისტიანობის ცენტრი, ამ დიდი ფაქტორის გაუქმებამ ზეგავლენა მოახდინა მთელი აღმოსავლეთის ორტოდოქსურ ეკლესიებზე და დეგრადაციის გზაზე დააყენა ისინი.

ალბათ ამ მომენტსაც ანგარიშს უწევდა საბა ორბელიანი.

საბოლოოდ, იმ დროისათვის საკმაოდ გაბედულმა ნაბიჯმა, საბა ორბელიანის უბედობას კიდევ ერთი ბიძგი მისცა.

ორტოდოქსულმა ქართულმა ეკლესიამ და კლერიკალურად განწყობილმა არისტოკრატიამ საბას დევნისათვის ახალი საბაბი იპოვნა.

ცხადია, ყოველივე ამის გარეშეც საბა ორბელიანი უხერხული კაცი იქნებოდა თავის საუკუნისათვის, რადგან რეგვენთა და განუსჯელთა იდუმალი ღვარძლი ედოთ გულში ამ რჩეული კაცის მიმართ, ხოლო ქვები ჯიბეში ეწყოთ მის ჩასაქოლავად.

საფრანგეთში ვოლტერმაც ისე გააზელა დოგმატიკოსები და კლერიკალები,—ეკლესიებზე ეწერა: Deo ereuxit Voltaire. რადგან მისი Systéme de la nature—სისტემა ბუნებისა, ათეისტების ევანგელიად იყო მიჩნეული.

არც ისაა შეუძლებელი, რომ თავის სარკასტულ იგავებში მოლებისა და ხოჯების გამო, საბა დასცინოდა ქართულ სამღვდელოებას, ხოლო სამღვდროს ქვევრში ჩავარდნილი მელიის იერუსალიმს გამგზავრება ხომ შეუფარველი დაცინვაა კლერიკალი ფილისტერებისა, რომელნიც მოჩვენებითი ღვთისმოსავობით ლამობდნენ თავიანთი მუცელღმერთობისა და მსუნაგობის შეფარვას.

ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი სასოწარკვეთილი დაბრუნდა საბა ორბელიანი ევროპიდან. უეჭველია, მისი გაკათოლიკების საფუძველთაგანი მისი დიდი პატრიოტიზმიც იქნებოდა.

სანამდის საბა თავათ არ დარწმუნდებოდა, რომ ვერც რომის პაპი და ვერც საფრანგეთის მეფე ვერას უშველიდნენ მის უბედურ ქვეყანას, მას სწამდა, რომ კათოლიკური ქვეყნები მოეშველებოდნენ მუსულმანთა ტირანიისაგან ეგზომ შევიწროებულ საქართველოს.

თავის ეპოქის უბრწყინვალესმა კაცმა დასთმო ყოველივე პირადული.

შემოიარა მაშინდელი მსოფლიოს დიდი ქალაქები: ისპანანი, ფლორენცია, რომი და პარიზი.

შინ დაუხვდა ლეკებისაგან, ირანელებისაგან აოხრებული სამშობლო. ბედისწერამ კიდემდის სავსე ფიალა შეასვა საბა ორბელიანს. მან განიცადა კატასტროფა ოჯახურ ცხოვრებაში, კატასტროფა პოლიტიკურ და რელიგიურ იდეალებისა.

მან ნახა ვატიკანის, ფლორენციის, ვერსალისა და ისპანანის ბრწყინვალე სასახლეები, იცხოვრა დავით გარეჯის ბნელ სენაკებში, იმსახურა უმადურ მეფეთა კარზე და მათივე რისხვის სიმწარე იგემა კიდევაც.

შეიცნო სიბრძნისა და სიბერისგან მონაბერი სუსხი და ამ სოფლიურ ძნელბედობისაგან გულგასენილმა ვსესვიატსკაიას ცივ მიწას მიაბარა თავისი გაწამებული სხეული. რაც ამ გამუდმებულ ტანჯვასა და წვას გადარჩა, ეს არის მარადის შეუმუსვრელი, მისი დიდი შემოქმედება.

6.

საბა ორბელიანი თავისი უნივერსალური განსწავლულობით ძლიერ მოგვაგონებს ფრანგ ენციკლოპედისტებს.

თუმცა იგი ორგზის გვაუწყებს, რომ მას თითქოს ქართულის მეტი სხვა ენა არ სცოდნოდა, მაგრამ სხვას ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, ყოვლად წარმოუდგენელია მარტოოდენ ქართული ენის ცოდნით საბას თუნდაც თავისი ლექსიკონი შეედგინა. ამ შრომაში სჩანს მისი დიდი ერუდიცია ფილოსოფიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის ენათმცოდნეობისა და სჯულის კანონთა დარგებში.

ცხადია, ეს განცხადება მისი დიდკაცური თავმოდრეკილების ამბავი იყო.

გარდა თავდაბლობისა, ერთი მომენტიც საგულისხმოა: ქართული ენის დიდოსტატმა კარგად იცოდა,—ყოველი ენა ისეთი რთული ფენომენია, ერთი სიცოცხლის მანძილზე კაცს შეუძლია მხოლოდ ერთი ენა შეისწავლოს ზედმიწევნით.

ალბათ ასეთ ცოდნას გულისხმობდენ ის მეცნიერებიც, რომელნიც ამტკიცებდნენ: ჰომეროსმა მხოლოდ ბერძნული იცოდაო. საბას სხვა ჩვენებანი არღვევენ ამ განცხადებას.

საბა თვითონვე გვაუწყებს რომ მას ერთი სომხური ლექსიკონი გადაუკითხავს „ხოლო სამღვთო წერილთა და ღმთის მეტყველებათა პროკლეს პლატონურთა, დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირისა კატეგორიათაგან გადმოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვსწერე“.

სხვა ადგილას საბა გვაუწყებს:

„ამ წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნულად სიტყვა სწერია, რომელი წიგნით შევიტყვე სწორედ დავსწერე, და ერთი მღვდელმონაზონი იყო ბერძენი, ცოდნას ჩემობდა, რამდენიმე მისის სიტყვით დავსწერ, შემდგომ ვსცან: არა იცოდა რა.

ბიბლიოთეკა

საბა გვაუწყებს აგრეთვე: „მრავალნი სიტყვანი დამიშთენენ რომელნიმე არა სმენითა დაწერილა უნახაობითა, რომელნიმე ნუსხათა დაკარგვითა და დავიწყებითა, გარნა რაოდენ ძალმედვა, ვეცადე: ელინთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან დამით გამოვიღე“.

იქვე: „მე უწინარეს ლათინური და ელლინური ლექსიკონი ვერა ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვსწერდი, მას უკან ვნახე, დავუსხი“.

როგორც ამ ჩვენებათაგან, ისე საბას მთელი მემკვიდრეობიდან ნათლად სჩანს, რომ საბა ორბელიანს თავის სიცოცხლის მიმწუხრზე სცოდნია როგორც ბერძნული, ისე თურქული, ლათინური, რუსული, სომხური, იტალიური და არაბული.

ამის გარეშე, იმ დროს, როცა თარგმნილი ლიტერატურით ასე ღარიბი იყო კულტურული კაცობრიობა, საბას არ შეეძლო ქილილა და დამანას თარგმანში დაედო წილი, დაეწერა სიბრძნე-სიცრუისა, შეედგინა თავისი ლექსიკონი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს განსაცვიფრებელი უნივერსალიზმის დოკუმენტს.

ბოლოს სავსებით წარმოუდგენელია: ისეთ განსწავლულ მეფეს, როგორიც იყო ვახტანგ VI, რომის პაპისა და ლუდ XIV კარზე წარეგზავნა ისეთი ელჩი, რომელსაც ქართულის გარდა სხვა ენა არა სცოდნოდა, ისეთ ეპოქაში, როცა ყოველმა დიაკვანმა იცოდა ბერძნული და ყოველმა მეჯინიბემ არაბული, სპარსული, ან თურქული. საბა სულხანის მოკრძალებისა და თავმოდრეკილობის მომასწავებელი ჩვენება შემონახულა ერთი მისივე ლექსიკონის წინასიტყვაში:

„ვიცი, მრავალი საბასრებლად დასდებენ შრომათა ამათ ჩემთა. მათ თუმ-

ცა წერილნი უყვარან, მრავალნი სხვანი წერილნი არიან, საღმთონი და საეროონი და რომელნიც ენებოსთ, იგი იკითხონ, ხოლო ესე ჩემებრ უცებთათვის[1] დაუტევონ“.

ესე იგი ჩემებრ უმეცარს დაუტოვონ.

ასეთსავე დიდკაცურ თავმოდრეკილებას იჩენდა თავის ეპოქის უდიდესი ენციკლოპედისტი ვოლტერი:

„მე არ მოვსულვარ ბრძენთათვის ამ ქვეყნად, არამედ უმეცარ ხალხისათვის, რომელსაც მაქვს პატივი ვეკუთნოდე თავათაც“.

ვოლტერსავე მოგვაგონებს საბა არა მარტო თავისი ღრმა და უნივერსალური განსწავლით, არამედ გამუდმებული და დაუცხრომელი შრომის უწარით.

„უდიდესი საჩუქარი უფლის მიერ ადამიანისადმი ბოძებული, ეს არის შრომის აუცილებლობა“.

ფრანგი ენციკლოპედისტების ერთერთ მეგობრისადმი მიწერილი:

„ჩვენს არსებაში უნდა შემოვუშვათ ყოველივე შესაძლებელი სახეობანი ყოფისა, სულის ყველა კარიბჭე გავუღოთ ყოველგვარ მეცნიერებას, ყოველნაირ გრძნობათ. თუ ეს ყოველივე აღრეულად არ შემოიჭრა (ჩვენს ცნობიერებაში) ყველაფერი თავის ადგილს იპოვნის უთუოდ. მე მინდა ვისწავლო (მუდამ) და ჩემი მეგობარი მიყვარდეს“.

ეს იყო ნამდვილი ევანგელია იმ საუკუნისა, რომელსაც ეგზომ ამშვენებდნენ საფრანგეთში ვოლტერი და საქართველოში საბა ორბელიანი.

[1] უცები — უმეცარი — იხ. საბას ლექსიკონი.

არა მარტო დიდი განსწავლულობით, თავისი სარკასტული გონებამახვილობით მოგვაგონებს საბა ორბელიანი ვოლტერს, რომლის გესლიანი ენისა თავათ მეფეებსაც ერიდებოდათ.

და საოცარია: ეგზომ განებივრებულ დიდგვაროვან აზნაურს, სიძლიერით, მამულით, ფიზიკური სილამაზით აღჭურვილს, — სიყრმიდანვე რომ შეუდგამს მძიმე უღელი ლიტერატურული შრომისა, მერმე ისეთ ქვეყანაში, როგორიც იყო იმჟამინდელი საქართველო.

ჩვენი სვეგამწარებული ქვეყნის ბედი ბეწვზე ეკიდა იმ საუკუნეში და მხოლოდ დიდსულოვან ადამიანს შეეძლო დავით გარეჯის მონასტრის ბნელ საკანებში ეწერა და ეღვაწნა, მიუხედავად იმისა, რომ მთლად დარწმუნებული არ იყო, მისი მამული გადაურჩებოდა თუ არ გაუგონარ კატაკლიზმებს და ჟამთა სიავეს.

7.

არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური. ის მწერლები, რომელნიც სათაურის მოუფიქრებლად წერად დასხდებიან, უეჭველია მათ კარგად არ იციან რა დასწერონ, ისინი ბუნდოვანად გრძნობენ რაღაც უნდა დასწერონ, მაგრამ ბნელში ხელების ფათურით მიჰყვებიან კალამს.

სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფლოსი.

სათაურისა და წიგნის ურთიერთი-

სადმი დამოკიდებულება ისე სადავო როდია, როგორც გენეზისი კვერცხისა და ქათმისა. უთუოდ სათაურია პირველი დვრიტა შემოქმედებისა.

სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას.

ეს ყოველივე გვაფიქრებინა საბა ორბელიანის იგავების წიგნის სათაურმა: „სიბრძნე სიცრუისა“.

საბა ორბელიანის იგავების სათაურშივე მჟღავნდება მისი გენიის უდიდესი ორიგინალობა. და მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელთაც ეგზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდეს.

ორიგინალობა მეთქი, ვამბობ, თუმცა კარგად ვიცი, არც ერთი ქმნილება ასეთივე პარაბოლური ჟანრისა, როგორიცაა საბას წიგნი, არც ეზოპეს, არც ლაფონტენისა, არც კრილოვისა, ფაბულარული შინაარსით ზედმიწევნით ორიგინალურნი არ ყოფილან.

ფაბულის სესხება, განსაკუთრებით ხსენებულ ავტორთა შესაბამისს ეპოქებში, საუგო არა ყოფილა.

მწერლობაში უდიდესი გენიოსები საერთოდ უდიდესი მსესხებელნიც ყოფილან ხანდახან. ახალი აზრი, ან რომელიმე ბრძნული სენტენცია მარტო მისი საკუთრება როდია, ვინც იგი პირველად წარმოსთქვა და გაამჟღავნა, არამედ მისიცა, ვინც მას თავათ მოუძებნა ახალი ფორმა გამოთქმისა და ახალი საწყაული, მაგრამ ერთის პირობით, უფრო მაღალ ხარისხზე თუ აიყვანა მან თავისი საუწყებელი.

რუსთაველის მიერ უბრწყინვალესი აფორიზმების დედა აზრი რომ გავშიფროთ საქვეყნოდ ცნობილ ჭეშმარიტებად მოგვეჩვენება: მზე რომ თანაბრად მისწვდება როგორც ვარდს, ისე ნეხვს, ეს ყოველმა მებაღემ იმ დროშიაც ჩინებულად იცოდა, მაგრამ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ისეთი ფორმა მოუხვეჭა რუსთაველმა, აბა სცადოს ვინმემ უკეთ გამოსთქვას იგივე.

ადამიანის ჯოჯოხეთად ნაყენებ, ესე იგი მოგზაურობა ქვესკნელში, არც დანტეს დროს ყოფილა ახალი. დანტეზე ადრე გილგამეშიანში მოთხრობილია ასეთი რამ, ჰომიროსის პოემაშიაც ვხვდებით ჩვენ იმავე ტემას, დანტეს რომ ისეთ სიმაღლემდის არ აეყვანა ეს იდეა თავის კომედიაში, როგორც ეს მიღწეულია გილგამეშიანსა და ოდისეევში, კომედიის ავტორი ვერ მიაღწევდა გენიოსის რანგამდის.

გოეტეზე ადრე მარლომ დასწერა ტრაგედია დოქტორ ფაუსტისა, რომელმაც სატანას მიჰყიდა სული. ფაუსტურ ტემას უფრო ადრეც ვხვდებით ჩვენ ბიბლიაში. გოეტეს დამსახურება ესაა, რომ იგი თუმცა დაესესხა თავის წინამორბედებს, მაგრამ მანვე გამსესხებლებს გადააჭარბა რანგითა და გამოთქმის სიმძაფრით.

ქართული კლასიკური მემკვიდრეობის შეფასებაში ერთი უცნაური სენი დასჩემდა ჩვენს ლიტერატორებსა და მეცნიერებს. ასეთი მასალის კვლევისა და შეფასების პროცესში იწყებენ ჩხრეკას, ჩვეულებრივ ლიტერატურულ პარალელებსა და ანალოგიებს როდი სჯერდებიან, უთუოდ მიმბაძველად, გადმომღებად უნდა გამოაცხადონ ესათუ ის მწერალი. ამგვარი საქმიანობისათვის უამრავი მელანი დახარჯულა ჯერ კიდევ ჩვენი თაობების თვალწინ.

ცხადია, არც ერთ ხალხს ამ ქვეყნად კარჩაკეტილად არ უცხოვრია არც ანტიურ პერიოდში, არც შუასაუკუნეებში და არც ახალ დროში.

ეგვიპტელებსა და კიმერიელებს, ფინიკიელებსა და მესოპოტამიის ხალხებს ბერძნებზე მოუხდენიათ ზეგავლენა ოდესღაც, ასევე არაბების და ირანელებისა — გადასწვდენია იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის კულტურებს.

თანამედროვე ევროპული დიდი ერე-

ბი დიახაც დავალებულნი არიან საბერძნეთისა და რომის კულტურათა წინაშე.

ამ ურთიერთ ზეგავლენის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა ხალხთა სხვადასხვა ოჯახების წინსვლა.

ვის არ ახსოვს, თუ რა გულმოდგინედ ეძებდნენ ზოგიერთნი მეცნიერნი რუსთაველის უკვდავი პოემის პირველად თარგს ირანულ პოემაში და ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერთა შორის, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

ასეთივე ცდა გაიმეორეს ამას წინად საბა ორბელიანის მიმართაც, მე ვგულისხმობ იმ დიდ წინასიტყვას, რომელიც წინ უძღვის სიბრძნე სიცრუის გერმანულ თარგმანს, ერთი ათეული წლის წინად ბერლინში გამოცემულს.

საბას იგავების კრიტიკული მიმოხილვის ავტორი დიდ ერუდიციას იჩენს ამ იგავების „ფესვების“ გამოსაჩხრეკად, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ვრცელი ექსკურსი სხვადასხვა ხალხების ლიტერატურათა და ფოლკლორის წიაღში ჩვენის აზრით დადამღულია იმ სენით, რომელსაც ყოველივე უცხოურის წინაშე მონურად ქედის მოხრა უნდა ეწოდოს.

ლიტერატურული ანალოგიები დასაშვებია და საჭიროც, მაგრამ ამ ანალოგიებს უნდა გააჩნდეს სამანი.

სადავო არაა ის გარემოება, რომ საბას იგავებზე ზეგავლენა მოუხდენია ცნობილ „კალილაჰ და დიმნაჰს“, და „ათას ერთი ღამის“ ეპოსს.

ამ უკანასკნელმა, როგორც აღვნიშნეთ თავის დროზე, ბიძგი მისცა ევროპული, კერძოდ იტალიური ნოველისტიკის განვითარებას. დასაშვებია, რომ რამდენიმე იგავი სიჭაბუკეში დაეწეროს საბას, როცა იგი „ქილილაჰ და დამანაჰს“ გასცნობია.

საერთოდ თავისი „სიბრძნე-სიცრუისა“ ხელთა ჰქონდა მის ავტორს მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. „სიბრძნე სიცრუის“ დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შენიშნავს, რომ იგავების მრავალრიცხოვანი პერსონაჟი სხვადასხვა ნიღაბია თავისი თანადროული საზოგადოების მიმართ გულაყრილი ბრძენკაცისა, რომელმაც „სიცილს მისცა ძალი“.

ცნობილია: ყოველი ნაწარმოების გასაშიფრავად ყველაზე საიმედო და მარჯვე გასაღებია ავტორის პირადული ცხოვრება.

იმ საკმაოდ დესპოტურ სახელმწიფოში, როგორსაც საბას თანამედროვე საქართველო წარმოადგენდა, განუკითხავ მეფეთა ხუშტურის, კლერიკალური ფეოდალების გულმხეცობისა და დოგმატიზმის ეპოქაში, როგორ შეეძლო თავათ დიდგვაროვან აზნაურს, დიდებულთაგანს, რომელიც თავათ იყო მინისტრი და ელჩი, უნიღაბოდ გამოსულიყო და ირონიული ღიმილით გაექირდა მეფეთა გულმხეცობა, დიდაზნაურთა, ეპისკოპოსთა ობსკურანტიზმი და მუცელღმერთობა, ფლიდი კარისკაცების ოინბაზობა, მდიდართა მიერ ღარიბთა და უპოვართა დაბრიყვება.

სწორედ ამისათვის დასჭირდა საბას თბილისის, ქუთაისის, დმანისის ნაცვლად ბაღდადი, კონსტანტინოპოლი, ისპაჰანი, ვენა და სხვა.

რა ვუყოთ, რომ საბას იგავებში ნახსენებია: შაჰანშაჰ, შირვანის შაჰი, ბაღდადის ხალიფა, ჰალაბელი ვაჭარი, იტალიელი გრანდუკა, კაცი რომაელი, კეისარი, თავრიზი, ბეჩი (ვენა), სომხეთი და სხვა.

ეს შორეული გეოგრაფიული პუნქტები და სხვადასხვა სადაურობის უცხოელთა ხსენება ამ ქვეყნის ძალმოსილთა თვალის ასახვევად სჭიროდა გესლიან მეიგავეს.

მეფის, დიდაზნაურის, ხუცის ნაცვლად, შაჰი, სულტანი, ყადი, შეიხი, დერვიში, მოლაჰ და სხვა.

განა საბა ორბელიანს თავათ არ დაატყდა თავზე უმადურ მეფეთა რისხვა, განა იგი თავათაც ისეთ მდგომარეობა-

ში არ იყო ჩაყენებული როგორც მეფეთა კარისკაცი, როგორშიაც მოექცა მისივე გმირი მხატვარი, რომელსაც ცალთვალა ტირანი მეფე უნდა დაეხატა.

განა ჩვენმა ავტორმა თავათ არ იგემა ორტოდოქსული ქართული სამღვდელოების მიერ უმართებულო გაქირდვა და დევნა.

საბას ხანგრძლივი, ტრაგედიული ცხოვრება საკმარისი მანძილისა იყო და საკმაოდ უბედური გახადა იმ საზოგადოებამ, რომლის გამო ზედგამოჭრილი იქნებოდა ვოლტერის ნათქვამი: „ადამიანური საზოგადოება მე მაგონებსო დაღუპულ გემს“.

საბას დროინდელი საზოგადოების „ნაღები“, მაშინდელი ჩვენი უგუნური თავადაზნაურობა, განა ცოტა საკვებს მისცემდა საბას სარკაზმს. ეს ამორალური ხროვა დენაციონალიზებული და დეგრადირებული ადამიანებისა, რომელნიც საკუთარ თვისტომთა ბალღებს ქართლ-კახეთიდან, ან იმერეთიდან გაიტაცებდნენ და ახალციხის ფაშალიკში ყიდნენ;

ამ ზნედაცემული „ბრწყინვალე წოდების“ უძღები შვილნი, რომელნიც საკუთარ სამშობლოს ღალატობდნენ, რათა შაჰისა და სულტანისაგან მიეღოთ საპატიო ხალათი და ოქროს ხმალი.

ამგვარ კონდოტიერების მაგალითს აძლევდა თვით ქართლის მეფე გიორგი XI, რომელმაც მეამბოხე ავღანთა სისხლში არა ერთხელ გაავლო თავისი ხმალი.

შესაძლოა, ასეთ უზნეო საზოგადოების ყოველ ფენაში მოუძებნოთ პროტოტიპი საბას იგავების ანიმალურ ნიღაბში გამოვლინებულ გმირებს.

საბას შემოქმედების ამგვარი ანალიზის ნაცვლად ხსენებული ავტორი ეძიებს საბას შემოქმედების „ფესვებს“, ხან ჩოსერისეულ კენტენბერიულ მოთხრობებში, ხან გესტა რომანორუმის ეპოსში, ხან ჰინდურ პანტშატანტრაში, ხან იტალიურ, ხან სირიულ, ხან ბერძნულ, ხანაც რენარდ-ფოქსის ციკლიურ იგავებში.

ამ ანალოგიებით გატაცებული ავტორს ასეთ კურიოზამდისაც მიუღწევია: საბას იგავი ბეჩის აზნაურის გამო დაუკავშირებია შილლერის ფრიდოლინ — ლექსისთვის.

ხანგრძლივი უცხოდ ყოფნის დროს, ცხადია, საბას ზოგზოგი იგავის ან ანეკდოტის ფაბულა შესაძლოა ისპაჰანში, რომში, პარიზში, კონსტანტინოპოლში გაეგონა ან წაეკითხა, მაგრამ ყველაზე უფრო ხანგრძლივად მაინც თავის ქვეყანაში უცხოვრია „სიბრძნე-სიცრუის“ ავტორს.

განა, თუნდაც ერთი წუთით დასაშვებია ასეთი რამ, რომ ქართველი ხალხის მდიდარ ზეპირსიტყვაობას არ იცნობდა საბა და მშობლიურ ფოლკლორიდან მას არ შეეძლო ამოეკრიფა მრავალი ფაბულა?

საერთოდ უნდა ითქვას,—ეს ნიადაგი ფოლკლორულ ძიებათა, რომელზედაც ასე ხელაღებით შესდგებიან ხოლმე ზოგნი, ფრიად მერყევია და საცდურთა შემცველი.

თავათ ეს მეცნიერება ჯერაც სავსებით ახალგაზრდაა, და ფოლკლორისტულ გამოკვლევებში ხშირად იმდენი სუმბურია, იმდენი მელანი იხარჯება ამაოდ ამ „მოხეტიალე“ და „მოარულ“ ფოლკლორულ ფაბულების გამო, დიდი დაკვირვება და დაფიქრება სჭირია ყოველ ავტორს, კურიოზულ დასკვნებისკენ არ გადაუცდეს ფეხი.

უნდა გვახსოვდეს უპირველესად ყოვლისა ასეთი ჭეშმარიტება: კაცობრიული კულტურის მთლიანობა და სხვადასხვა მოდგმის ადამიანთათვის ურთიერთის გაგების უნარი ჩატეხილ ხიდთან იქნებოდა გაჩხირული, მთელი მსოფლიოს ენები და ზეპირსიტყვაობა ბოლოს და ბოლოს ერთგვარ თარგზე რომ არ ყოფილიყო გამოჭრილი.

რელიგიათა ისტორია იმის მოწმეა,

რომ თუნდაც ქრისტეს ღმერთკაცობის ამბავი რომ ავიღოთ, — მისი უფლისწულობის, სიკვდილისა და ცად ამაღლების ლეგენდა, — ათასგვარი ანალოგიები აქვს, მსოფლიო მითოლოგიაში ამ მითს მსურველი გამოიყვანს გინდ ბუდდჰას ცხოვრებიდან, გინდ დიონისოს აკუწვიდან, ჰომერულ მითოლოგიის სხვადასხვა მომენტიდან.

პლატონიური სულთა მიგრაცია, რომელსაც ბერძენი „მეტაფსიხოზეს", ან „მეტასომატოზეს" უწოდებდნენ, მოასწავებდა განმეორებით მობრუნებას ადამიანის სულისას, სხვა და სხვა ცთომილის, ან ცხოველის სახითა ამ ხილულ კოსმოსში.

ისეთივე მოძღვრება დადგენილია ჰომეროსის ხალხურ მითოლოგიაში. ეგვიპტელებსაც მოეპოვებოდათ მოძღვრება მეტენსომატოზესთვის, ანალოგიურ ამბებს ვხდებით ჰინდურ უფანიშადებსა და ბუდდჰისტურ რელიგიაში, რომლის მიხედვით, ადამიანის სული როგორც კი დააღწევს თავს პირველადი სხეულის „ტყვეობას" კვლავ მობრუნდება სამყაროში სხვა არსების სახით.

ამავე დროს ნამდვილი პლატონისეული სულთა მიგრაციის მითები მოეპოვებათ თვით ისეთ ველურ და უწიგნიერ ხალხების კოსმოგონიაში, როგორნიც იყვნენ ყიფჩაღები, პაჭანიკები და ტარტარები. (მიცვალებულთა სულის კვლავ მობრუნება ამ ქვეყნად გველის, შავი ძაღლის, ჭაკი ცხენის სახით და სხვ.).

რაიცა შეეხება ფოლკლორულ ფაბულებს, შესაძლოა რომელიმე შოტურ ან ინგლისურ იგავს, ან ზღაპარს, შესაფერი ანალოგია მოვუძებნოთ გინდ კავკასიურ, გინდ ჰინდურ, ან არა და ციმბირულ ხალხურ თქმულებებში.

ან თუ გნებავთ სირიული, ან იტალიური ზღაპრის მინაგვართ სკანდინავურში იპოვნით.

ეზოპის, საბას, ლაფონტენის იგავებს, საერთოდ ყოველი ხალხის პარაბოლურ არაკებს საფუძვლად უფევს ხალხებისა და ერების მიერ ცხოველთა სამყაროდან აღებული დაკვირვებანი.

ერთ გარემოებას არ უწევენ სათანადო ანგარიშს მითოლოგები და ფოლკლორისტები. მთელი კაცობრიობა თავის სიყრმიდანვე თხზავდა პარაბოლებს იმ ემპირიულ დაკვირვებიდან, რომელსაც ახდენდნენ ერები და ხალხები ცხოველთა ფიზიოლოგიური ქცევის მიმართ.

რა სათქმელია: ცხოველთა სამყარო ხომ ადამიანურ საზოგადოებასთან შედარებით უფრო მეტად ჰომოგენურია, რადგანაც პირუტყვი ინდივიდუაციასაა მოკლებული. მელია, ან ტურა, აზიაში იქნება იგი, თუ აფრიკაში, ევროპასა თუ ამერიკაში, მშიშარაა და ცანცარა, ხერხიანი და მარჯვე, ლომი ყველგან უფრო საშიშარია და გამბედავი, ვიდრე მგელი, რომელიც მგლურ ატრიბუტებს ამჟღავნებს როგორც მადაგასკარზე, ისე პამირზე, გინდ კავკასიაში.

ცხოველთა ამ ჰომოგენურმა თვისებებმა წარმოშვეს სტერეოტიპური დაკვირვებანი ნაირნაირ ხალხთა ცნობიერებაში, ხოლო ამ ერთნაირმა დაკვირვებებმა სტერეოტიპური იგავებიცა.

ანალოგიებზე მონადირე ფოლკლორისტები გამოუდგებიან ამგვარ იგავებს და აღმოაჩენენ ბოლოს, რომ თურმე ქართველი გლეხის მიერ შეთხზული იგავი მელიის ან მგლის გამო ბერძნულიდან, ან ჰინდურიდან ყოფილა ნასესხები, ან არა და შოტურ მითოლოგიას გადაასკვნიან ქართულს. ასე ითხზება ჰიპოთეზები და ზღაპრები ზღაპრების გამო.

მეორე შეცდომა, რომელიც ხშირად მოსდით ხოლმე ყოველივე უცხოურის წინაშე ქედმოდრეკილთა და ყალბ ანალოგიათა მჩხრეკელთ, ეს გახლავთ აბსოლუტური ცრუმორწმუნეობა ასეთი: თითქოს ისეთ დამპყრობელ ერებს,

როგორიც იყვნენ ისტორიაში ირანელები, ბერძნები და რომაელები მათ მიერ დაპყრობილ ერების ფოლკლორებზედაც უნდა მოეხდინათ ზეგავლენა უთუოდ.

ადამიანობის ისტორია სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, რომაელებმა თავის დროს დაიპყრეს ბერძნები, მათი ქვეყანა შემოიერთეს, მაგრამ ბერძნული მითოლოგიის ელემენტებმა საფუძველი ჩაუყარეს რომაულს, ხოლო რომი, გერმანელების მიერ განადგურებული, თავისი მწერლობითა და მითოლოგიით მრავალი საუკუნის მანძილზე ზეგავლენას ახდენდა ფრანგებისა და გერმანელების შემოქმედებაზე.

ახლა ვიკითხოთ, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ძველმა ირანელებმა და ბერძნებმა, რომელნიც მათ მიერ დაპყრობილ საქართველოში მოდიოდნენ ოქროს მისატაცებლად, თან წაიღეს საქართველოში განაგონი, ან ჩანაწერი მითები, იგავები და ზღაპრები?

არც ისაა გამორიცხული, რომ სწორედ ბერძენმა მეკობრეებმა ქართულ ფოლკლორიდან არ მიითვისეს თუნდაც მითი ამირანისა, სახე უცვალეს ამ თქმულებას და პრომეთეოსის მითად აქციეს იგი.

კარგია მდიდარი ანალოგიების გამოძებნა მკვლევარისა და კრიტიკოსის მიერ, არც თუ დიდი ერუდიციის გამოჩენა ავნებს ვინმეს, მაგრამ სასურველი მხოლოდ მაშინაა ნაყოფიერი, როცა იგი ჩრდილს არ აყენებს ისეთ ბრწყინვალე დიდოსტატს სიტყვისას, როგორიც არის საბა ორბელიანი.

9.

ჩემს ბავშვობაში დიდათ საამური გასართობი იყო ჩემთვის, ნიადაგ ხატვა საბა ორბელიანის მხციოთმოსილი სახისა. მისი შავი, ბერული თავსაბურავისა, მისი დარბაისლური გამომეტყველებისა, რომელიც დამშვენებულია თეთრი, თეთრი წვერითა.

ეს თეთრი წვერი სულხან საბა ორბელიანისა აწათებს დღესაც მისი თანადროული საუკუნის ბნელ ფონზე, როგორც ემანაცია უსპეტაკესი ბრძენკაცის უკვდავი სულისა.

მისი დიდი სიყვარული მამულისა და შრომისადმი, ყოფილა მუდამ მაღალი ჩიჩერონე ჩემი ცხოვრებისაც.

და ამ მცირე სტრიქონების დაწერის ნება მივეცი ჩემს თავს, საბას დაბადებიდან 290 წლის თავზე, ოღონდ ერთი მობოდიშებით:

„დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ, რომელიც მორჩილჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ენაკოლოფაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“-ს დაწერის ისტორია

განსვენებულ აკადემიკოს ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსულ „საქართველოს ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — „ჭარში ლეკები ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაჩნდნენ. მე-17 საუკუნიდან, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ, ლეკების ჭარში ჩამოსვლა განსაკუთრებით გაძლიერდა. ამავე დროს ჭარი კახეთის მარბიელ გადამთიელ ლეკთა სადგურადაც იქცა... კიდევ უფრო გაძლიერდა ლეკთა შემოტევა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. დაღისტნელი მტაცებლების გუნდები ჭარელებთან ერთად მუდამ დღე არბევდნენ კახეთის სოფლებს“.

ქართლ-კახეთში ლეკიანობა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754 — 1760 წლებში. მთებიდან ჩამოსვლის უმალ ლეკები წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ და მშვიდობიანი მოსახლეობის ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ. ნაძარცვ ქონებას და ტყვეებს ხშირად ახალციხეში აგზავნიდნენ, ახალციხის საფაშოდან კი სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში, ფაშამ ახალციხე ლეკების საბუდრად გადააქცია, საიდანაც ავაზაკთა ბრბოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს. მაგ., 1785 წელს ხუნძახის მფლობელი ომარ ხანი, კახეთის დარბევის შემდეგ, დებედას ხეობით, ახალციხეს მივიდა.

ლეკიანობის შესახებ ცნობებს არამარტო ქართული წყაროები იძლევიან. არსებობს ამის შესახებ ცნობა რუსეთის წარმომადგენლისა საქართველოში კაპიტან იაზიკოვისა (1770 წ.), აგრეთვე აკადემიკოს-ნატურალისტის გიულდენშტეტისა, რომელმაც 1772 წელს მოიარა ქართლ-კახეთი და სხვ.

მე-19 საუკუნეში რუსეთის მთავრობა დიდსა და ხანგრძლივს ომებს აწარმოებდა კავკასიაში, რათა საბოლოოდ დაეპყრა დაღისტანი. 1843 წელს, როდესაც შამილმა შესძლო მთელი ლეკეთის გაერთიანება, რუსეთიდან კავკასიის კორპუსის დასახმარებლად დიდძალი ჯარი იყო გამოგზავნილი. და მართლაც 1844 წელს საომარმა ოპერაციებმა ჯერ არნახული მასშტაბები მიიღო.

ამ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა ქართველთა ქვეითი ლაშქარიც, რომელიც ახალი შევსებით იყო გამაგრებული. ეს ლაშქარი, რომელიც ჯერ კიდევ 1831 წელს იყო დაარსებული იასე ანდრონიკაშვილის მეთაურობით, თითქმის მთლიანად, დაწყებული დაბალ თანამდებობიდან — გათავებული მეთაურთა შედგენილობით, ქართველებისაგან იყო შემდგარი. თავიდანვე ლაშქარს მძიმე პირობებში უხდებოდა მოქმედება, ე. წ. ლეკთა საკორდონო ხაზზე, კახეთის მისადგომების დასაცავად.

ქართველთა ქვეითი ლაშქარი შემდეგში ლეკეთის ახლადშემდგარ რაზმს შეუერთდა, რომლის მეთაური იყო გენ. შვარცი. უკანასკნელს უხდებოდა თავისი საომარი ოპერაციების კოორდინაცია გენ. მ. ზ. არღუთინსკის სამურის რაზმთან. ეს ის გენერალი არღუთინსკია, რომლის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ 1844 წლის 10 მაისის წერილში აღნიშნა „აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტა ხანშიო“.

სანამ საერთო საომარი ოპერაცია დაიწყებოდეს, ქართველთა ქვეითი ლაშქარი პირველი ეკვეთა ლეკებს. ამ ლაშქრის ადიუტანტი-ასისტავი ტიხონ ბარათაშვილი 1853 წლის გაზ. „კავკაზის“ ფურცლებზე სწერდა, რომ ლაშქრის ნაწილს 1844 წლის 27 თებერვალს სასტიკი შეტაკება მოუხდა „ლოფოთის ხეობაში, სადაც ნაწილის უფროსი სვიმონ ჯანდიერი და მილიციის დიდი ნაწილი საკუთარი მამაცობის მსხვერპლი შეიქნაო“.

სწორედ ეს ამბავი აქვს გათვალისწინებული ნიკოლოზ ბარათაშვილს, როდესაც თავის ლექს-

ში „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“ გაიძახოდა „ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა“-ო. ეს ბრძოლა დაწვრილებით აღწერილი არის ოფიციალურ „აქტებში“ და აგრეთვე ქართველთა ქვეითი ლაშქრის ისტორიკოსის ნ. ვ. ვოლკონსკის მიერ წიგნში „ქართველთა ქვეითი ლაშქრის ისტორია“. „გაზაფხულს, — სწერს იგი, — ლეკების დიდი ჯგუფი დაეცა სოფ. გრემს, გაძარცვა იგი, რამდენიმე კაცი ტყვედ წაიყვანა და ისევ მთებისკენ მოჰკურცხლა. სოფ. არტაანში იდგა ქართველთა ქვეითი ლაშქრის ასეული პოდპორუჩიკ სიმონ ჯანდიერის მეთაურობით. გაიგეს რა ლეკების მიერ ჩადენილი მხეცობის შესახებ, გადაწყვიტეს დაედევნონ მათ და ლოფოთის ხეობაში გზა გადაუჭრან. მართლაც დაეწივნენ მათ კიპრუჭის მთასთან, მაგრამ მამაც ჯანდიერს მხედველობიდან გამორჩა, რომ ლეკები არასდროს დიდ დარბევას ისე არ აწყობდნენ, თუ ზურგი ძლიერი რეზერვებით არ ექნებოდათ გამაგრებული.

შეიჭრა თუ არა ჯანდიერის რაზმი ხეობაში, ერთბაშად ორივე მხრიდან მას დაეცა ხუთჯერ მეტი ლეკთა ურდო. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ რაზმელები, რომ საფარში ჩაემწყვდნენ. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ლეკებმა მიამწყვდიეს რაზმელები ხეობის ფრიალო კლდეებთან და ხანჯლებით აჰკუწეს. გმირები იღუპებოდნენ ზედიზედ.

ჯანდიერი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, იარაღს ხელიდან არ უშვებდა და ხმამაღლა ამხნევებდა თავის მეომრებს... ბრძოლამ თითქმის ექვს საათამდე გასტანა, ხეობა გაივსო გვამებით. ლეკებმა მიზნად დაისახეს ჯანდიერის ხელში ჩაგდება, რომ შემდეგ გამოსასყიდი ფული მიეღოთ... ამიტომ ჯანდიერი და რამდენიმე მებრძოლი მიამწყვდიეს კლდესთან. მიმწყვდეული გმირების ირგვლივ გვამები დაზვავებულიყო. ბოლოს, ერთმა ყველაზე მეტად გაბოროტებულმა ლეკმა დაასრულა დრამა ჯანდიერის მოკვლით. იმავე წუთს ათისთავმა ვაჩნაძემ ხანჯლით განგმირა მკვლელი და რაზმის მეთაურობა იკისრა...

ს. ჯანდიერის მოკვლის შემდეგ მოქანცული ლეკები თითქმის აღარ იბრძოდნენ. ათისთავმა ვაჩნაძემ დარჩენილი მებრძოლები შეჯგუფა, უკანასკნელი ძალღონით გაარღვია რკალი და ვიწრო ხეობას თავი დააღწია. 230 რაზმელისაგან ვაჩნაძემ 70-მდე კაცის გამოყვანა შესძლო მხოლოდ, ისიც ღამის სიბნელის წყალობით“.

ჯანდიერი, იმავე ისტორიკოსის სიტყვით „სამაგალითო და მამაცი მებრძოლი იყო“. მან ჯერ კიდევ 1842 წლის 18 ოქტომბერს გაითქვა სახელი ლეკებთან ბრძოლაში.

ს. ჯანდიერის და მისი რაზმის უმრავლესობის ტრაგიკული დაღუპვის ამბავმა მთელი საქართველო მწუხარებაში ჩააგდო.

რამდენიმე წლით ადრე, ასეთივე შეტაკების დროს ლეკებისაგან დაიღუპა ასეულის უფროსის თანაშემწე ზაალ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი დათარიღებულია 1844 წლის 23 სექტემბერით. ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ქართველთა ლაშქარს, საგრძნობლად შევსებულს, დიდი წარმატება ხვდა წილად და ასე ვსთქვათ „რევანშს“ მიაღწია. მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან უკუგდებულ იქნა, ხოლო 24 სექტემბერს საბოლოო დამარცხება იგემა სოფელ შაქრიანთან. „აქ, — სწერს ტ. ბარათაშვილი, მათ შური იძიეს წინანდელი დამარცხებისა და განდევნეს მტერი მთავარ ქედის გაღმა“.

„ვის არა აღეტაცების სული ამ ამბავის მცნობელი“, — სწერს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსში: „ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა, მეფესა თავი შეჰსწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!“

ეს ლექსი პოეტმა უძღვნა თბილისის „ღუბერნიის მარშალს“, თავადს დიმიტრი თომას-ძე ორბელიანს, რომელსაც ქართველთა ქვეითი ლაშქრის მებრძოლებით შევსების საქმე ჰქონდა მინდობილი. დიმიტრი ორბელიანს, ისევე როგორც მის ძმას მამუკას, პოეტი ბავშვობიდანვე კარგად იცნობდა. პოეტის სიტყვით, დიმიტრი ორბელიანი „საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად“.

ლექსში მოხსენებულია აგრეთვე ერისთავი: „წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!“ ეს დავით ერისთავია, რომელიც იმ დროს ლაშქრის უფროს სპირიდონ ჭავჭავაძის

მაგიერობას სწევდა. „ქართველთა ქვეითი ლაშქრის ისტორია“-ში (გვ. 72) დავით ერისთავი 1839 წელს უკვე ასეულის უფროსად არის ნახსენები.

1844 წელს ლაშქარში ოფიცრებად ითვლებოდნენ: ზაქარია ქობულაშვილი, შემდეგში ამავე ლაშქრის უფროსი, რომლის შესახებ ისტორიკოსი სწერდა: „უშიშარი მებრძოლი იყო, დაუღალავი და დაუცხრომელი“; მიხეილ გიორგის-ძე ვაჩნაძე, რომელსაც შემდეგში არაერთხელ ეხმარებოდა თავის სამხედრო ნაწილებით გრიგოლ ორბელიანი; პრაპორშჩიკი გულასპაშვილი და სხვ.

საყურადღებოა რომ, როდესაც 1893 წელს ნ. ბარათაშვილის ცხედარი ფანტოფლის უბელისში გადმოასვენეს, გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ (№ 3207) ფურცლებზე მოთავსებული იყო მოკლე ცნობა, რომ პოეტის მეგობარს გულასპაშვილს აქვს „ბარათაშვილის უცნობი ლექსები“.

სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იჩენდა პოეტი ამ ლაშქრის საომარი ოპერაციების მიმართ, რადგან მის შემადგენლობაში მრავალი მისი მეგობარ-ნათესავი შედიოდა.

ამ ლაშქრის 1844 წლის სექტემბრის წარმატებამ აღაფრთოვანა პოეტი შესანიშნავი პატრიოტული ლექსის დაწერისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

ნ. ოსტროვსკი — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“

სამოქალაქო ომსა და მის გმირებზე ბევრი დაწერილა და იწერება. ამ თემაზე შექმნეს თავისი საუკეთესო ნაწარმოებები ა. ტოლსტოიმ, სერაფიმოვიჩმა, ფადეევმა, ფურმანოვმა, ვს. ივანოვმა და სხვებმა. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს ნიკ. ოსტროვსკის, მისი რომანით — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელმაც მკითხველთა ერთსულოვანი სიყვარული დაიმსახურა.

ეს რომანი, როგორც ცნობილია, უაღრესად ავტოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მასში მხატვრულ სახეებად გარდაქმნილია ავტორის ცხოვრების თავისებური ისტორია.

საბჭოთა ახალგაზრდობას ნიკ. ოსტროვსკის ცხოვრების მაგალითი ასწავლიდა და ასწავლის, თუ როგორ „იცხოვრო მაშინაც კი, როდესაც ცხოვრება აუტანელი ხდება; გახადო იგი ვარგისიანი“.

ნიკ. ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც. ჩვენი წერილის მიზანია ამ რომანის ქართული თარგმანის განხილვა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში თარგმნილ ლიტერატურას არა მარტო მასების კულტურულ მომსახურებისას, არამედ ხალხთა დაახლოებისა და მათი ურთიერთ ღრმად გაგების საქმეში.

ბევრი ნაწარმოები ითარგმნა და ითარგმნება ჩვენი მოძმე ხალხთა ლიტერატურიდან. ჩვენს დროში თარგმნის კულტურა ჯერ არნახულ სიმაღლემდე ავიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არაა.

მწერალმა ნიკ. ტიხონოვმა ერთერთს თავის გამოსვლაში (მწერალთა კავშირის გამგეობის X პლენუმზე), სთქვა: „... ჩვენ მრავალი ჩინებული მთარგმნელი გვყავს... მაგრამ ჩვენ ისეთ მთარგმნელებსაც ვიცნობთ, რომელთაც გამომუშავებული აქვთ გულგრილი, ხელოვნური მიდგომა იმ ავტორებისადმი, რომელთაც ისინი სთარგმნიან, და ზოგჯერ ამ საქმეში ზედმიწევნითი სიჩქარეს მთარგმნელნი სავალალო შედეგამდე მიჰყავს.

„... დაუდევრობა, სიზუსტის საჭიროების არად მიჩნევა და უმეცრებაც კი შემოიჭრნენ ამ დარგში, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მით უმეტეს, რომ მკითხველის გემოვნება გაიზარდა და ცხოვრება მოითხოვს თარგმნითი საქმიანობის კიდევ მეტად გაფართოებას... ამიტომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება თარგმნის საქმისადმი, არ დავუშვათ ცუდად თარგმნა“...

ამ საფუძველზე ჩვენც შევეცდებით შევაჯეროთ „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი რ. ქორქია) მის რუსულ დედანთან და აღვნიშნოთ თარგმანის ხარისხიანობა.

რუსული გამოცემის მეორე თავი ასე იწყება: „В маленький городок вихрем ворвалась ошеломляющая весть: „Царя скинули!“

ამ ამბავს მთარგმნელი ასე გადმოგვცემს: „პატარა ქალაქში გრიგალივით შემოიჭრა თავზარდამცემი ამბავი: „მეფე ჩამოაგდეს!“

ისმის კითხვა — მეფის ჩამოგდება ვისთვის იყო თავზარდამცემი? პირიქით — თითქმის ყველასათვის სასიხარულო ამბავი მოხდა, და ხალხს თავზარი კი არ დასცემია, არამედ სიხარულისაგან თავბრუ დაესხა.

26-ე გვერდზე რეიტუზზე ჩაყოლებულ კანტს, რატომღაც გრეხილს არქმევს მთარგმნელი, თოფის „трескотня“-ს კი უწოდებს „სროლას“ და არა „ტკაცატკაცს“. „хлынули“ (იგულისხმება ფრონტიდან) „დაიძრენ“. ამ დინჯ სიტყვას აჯობებდა მეტი დინამიკის შემცველი სხვა სიტყვა.

„მისი საბუთები იმდენად დამაჯერებელი იყო...“ საბუთები კი არა — მოსაზრებანი („доводы“).

28-ე გვერდზე მთარგმნელი წერს: „პავკა ცდილობდა მხედრის ცხენს არ ჩამორჩენოდა და ეუბნებოდა“. ვის ეუბნებოდა? ცხენს? უნდა იყოს: „პავკა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მხედარს. რომელსაც მოუთხრობდა“... (დედანში „рассказывал“ არის?).

მომდევნო გვერდზე და შემდეგშიაც არაერთხელ ქვემეხები გრიალით („прогромыхали") ჩაივლიან. ხანდახან სჯობდა გრუხუნით ან რახრახით მაინც ჩაევლოთ. გარდა იმისა, რომ ასეთი ტავტოლოგია მოსაბეზრებელია, ქვეშეხები სროლის დროს „გრიალებენ".

იქვე: „Пожилой, с проседью в волосах" — „გაჭაღარავებული" კი არ არის, არამედ ჭაღარაშერეული მხოლოდ. „Обращаясь к скуластому" — „ყვრიმალიანს" კი არ მიმართავს (აბა უყვრიმალო ვინ იქნება!), არამედ ფართო ყვრიმალ-ძვლიანს.

„Гетманец в жупане вылез на крыльцо и громко прочитал приказ коменданта" „ჟუპანიანი (რატომ არ შეიძლებოდა „კაბაჩიანი"?) გეტმანელი აფთიაქის პარმაღზე აცოცდა". პარმაღზე როგორ აცოცდა? „вылез на крыльцо" — აქ პარმაღზე გადმოდგომას, გამოსვლას, ნიშნავს.

გადავფურცლოთ წიგნი და შევჩერდეთ 41-ე გვერდზე.

„მცენარეულობით დაფარული ფანჩატური". შესატყვისი რუსული ადგილი: „У витой беседки". მთარგმნელი გულისხმობს, რომ ფანჩატური ხვიარა მცენარეებითაა დაფარული. ჩვენ კი ეჭვი გვეპარება ამაში და ვფიქრობთ, რომ ზედსართი სიტყვა витая — შეიძლება აქ ნიშნავდეს ფანჩატურის ხვეულ ხარისხს.

„ტონიამ (პავლე კორჩაგინის მეგობარი ქალიშვილია, მ. კ.) აიღო დაუმთავრებელი რომანი" (46 გვ.). როგორ დაუმთავრებელი? მის ავტორს იგი არ დაუმთავრებია? არა ნ. ოსტროვსკი სწერს: „Тоня взяла недочитанный роман"-ო. ესე იგი, აიღო წიგნი, რომლის კითხვა ტონიას ჯერ არ დაუსრულებია.

სამრეცხაოში ერთი მომუშავე ქალი უხსნის პავკას მის მოვალეობას. „გასაკეთებელი ბევრი არაფერი მოგეკითხება" — ხუმრობით ეუბნება ეს ქალი და ჩამოუთვლის უამრავ საქმეს, რომელიც პავკას ევალება. აქ ავტორს იუმორი აქვს ჩაქსოვილი. მთარგმნელი რატომღაც აცლის იუმორს ავტორის წინადადებას და დედანს უმატებს თავისას — „გასაკეთებელი კი ცოტა როდი გექნება".

ავტორის მიერ მოცემული ქალის სურათის დამატებითი შტრიხი: „Говорила она костромским говорком с ударением на „а"" (გვ. მე-9) რატომღაც გამოუტოვებია მთარგმნელს.

„А что мне сейчас делать, тётя?" და ირგვლივ ქალები ხარხარებენ, რადგან ეს „тётя" სულ რაღაც 17 წლის გოგონაა. მაგრამ, თუ „тётя" აქ დედად და არა ძალად ან ბიცოლად ვთარგმნეთ, შეიძლება ქალებმა ეს კი გაეცინოთ.

ხშირად მთარგმნელი ვერ მიმხვდარა ავტორის ინტონაციას, ადუნებს ფრაზის ექსპრესიულობას და სიტყვებს დინამიურობას უკარგავს. აი ნიმუშიც: „... Мальчишка, засунув руки в карманы, цыкнув сквозь сжатые зубы слюной и с видом презрительного превосходства взглянул на Павку слегка белесоватыми глазами, сказал тоном не допускающим возражения:

— Эй ты, шляпа! Завтра приходи в шесть часов на смену"!

„ბიჭმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ზიზღით გააპურჭყა, თავმომწონეთ შეხედა პავკას მოთეთრო თვალებით და მტკიცე ხმით უბრძანა:

— ეი, შენ, დოყლაპია,! ხვალ დილის ექვს საათზე მოდი შესაცვლელად". როგორც ხედავთ ქართული თარგმანი საკმაოდ გამარტივებულია და გაღარიბებული.

ეს მოხულიგნო ბიჭი განაგრძობს თავის ჟარგონით:

„А будешь много гавкать, то сразу поставлю тебе блямбу на фотографию. Подумаешь, пешка, только что поступили уже форс давит".

ამის შესატყვისად ვკითხულობთ (.. 4 გვ.): „ყეფა არ დაიწყო, თორემ სიფათში ჩაგაფარებ. ერთი შეხე ამ გლახას, ეს-ეს არის მოვიდა და უკვე იტყლარჭება".

აქ მხატვრული თარგმანის ნიუანსი არ იგრძნობა და ენის იდიომატიკური ელფერიც უგულვებელყოფილია.

„Обойдется, видно, без припарки" მთარგმნელი ამ სიტყვებს ქართულად ასე გადმოგვცემენ: „ალბათ, უცემა-ტყეპოდ ჩაივლის საქმე". არა! არტემი, ჩვენის აზრით, პატარა ძამიას „ცემა-ტყეპას" არას გზით არ გაუმართავდა! განა ავტორმა ძმების შეხვედრის მთელი ეს სცენა იუმორული ტონით არ ჩაატარა? მაშ, რა ცემა-ტყეპა უნდა ყოფილიყო?

პავკა კორჩაგინს ცოტა ხნის შემდეგ მზარეულთან გადაიყვანენ: „коптился в кухне поварёнком". მთარგმნელს ასე აქვს ქართულად: „ნახევარი წელიწადი მზარეულის თანაშემწედ წვალობდა სამზარეულოში". Поварёнок მზარეულის თანაშემწე როდია, არამედ მზარეულის შეგირდი. და, მართლაც, განა 12 წლის პავკას რკინიგზის კვანძის დიდი ბუფეტის მზარეული თანაშემწედ აიყვანდა? მთარგმნელი მაინც განმეორებით (მე-21 გვ.) ანიჭებს პავკას მზარეულის თანაშემწის ხარისხს.

პავკა გაკვირვებით ამბობს ოფიციანტებზე:

„Они гребут в сутки столько". მთარგმნელი თარჯიმანობს: „დღეღამეში რამდენს ღებულობენ". ღებულობენ კი არა, ხვეტავენ, და ეს უკვირს პატარა ბიჭსაც.

არ არის დაცული შემდეგი სიტყვების ნიუანსი: „... Стал наблюдать за загорелым черноглазым грубияном, так нелюбезно встретившим её". ქართული თარგმანი: „... თვალიერება დაუწყო მზეზე გარუჯულ შავგვრემან ბრიყვს (!), რომელიც ასე უზრდელად (!) შეხვდა..." პავკა კორჩაგინი საერთოდ და ამ შემთხვევაშიაც, არც ბრიყვია და არც უზრდელი. იგი რამდენადმე „მკვახედ" და „უთავაზოდ" მოიქცა მხოლოდ. „Леса" — ნემსკავის ძუაა და არა „ანკესის თოკი".

შემდეგ გვერდზე ავტორი გვეუბნება: „ხიდზე ორმა ახალგაზრდამ გაიარა, გიმნაზიელები იყვნენ". ერთ მათგანს ოსტროვსკი დამახასიათებელ შტრიხებით აგვიწერს და ასეთი ეპითეტებით ამკობს: „балбес и повеса". ამ გიმნაზიელს „с лихо закушенной папироской", რომელსაც დარდიმანდი არშიყის იერი აქვს, ავტორი ისეთი ტონით ალაპარაკებს, რაც შესაფერისია ამ ტიპისათვის. იგი თავის ამხანაგს ეტრაბახება, თუ როგორ, ერთ ნაცნობ ქალიშვილს. „... Как-то письмецо подкатил, в каком, заешь, возвышенном духе... и даже из Надсона выскреб стихотворенье". ქართული თარგმანით: „ერთხელ, იცი, წერილი გავუგზავნე იმას მაღალი სტილით (!)... ნადსონიდან ამოვიწერე ლექსი". ამრიგად ავტორის „სხარტად მოხაზული. სახე, თარგმანში პროზაიზმით იტვირთება. მთარგმნელის წყალობით, повеса და არშიყი გიმნაზიელი არც თუ ისე ქარაფშუტად გამოიყურება, როგორც მას ავტორი გვირდგენს. ამაში მეტად ნათლად დარწმუნდებით, თუ კიდევ ათხოვებთ ყურს მის ლაპარაკს, რადგან იგი, ქართული ტექსტის მიხედვით, სულ უფროდაუფრო სიდინჯით ამეტყველდება. ასეთია ყოველთვის შედეგი, როდესაც მთარგმნელი ცდილობს კონტექსტის „შელამაზებას" ან კიდევ „ფრჩხილების გახსნას" იქ, სადაც მას არავინ თხოვს ამას.

51-ე გვერდზე: „თავს წაადგა მთელი თავისი ვეებერთელა ფიგურით". ზედმეტია ასეთი „ფიგურალური" გამოთქმა. რუსულად არის „Надвинулся всей громадой".

„Невольно" თარგმნილია „უკმაყოფილოდ" და არა „უნებლიეთ". „Нельзя бить" — „არ შეიძლება დარტყმა", თუ „ცემა"?

პავკა ამბობს სკოლიდან გაძევებაზე: „меня выперли", კიდევ „меня вытурили". ქართულად: „მე გამომაგდეს". ორი სტრიქონის შემდეგ: „მე გამომაგდეს". სულ ერთი და იგივე, მაშინ როდესაც ქართულში უამრავ სინონიმს ვნახავდით: გაგდება, გამორეცხვა, გაძევება, გამოპანღურება. „Ну, прощайте, барышня" მთარგმნელს აქვს „მშვიდობით, ქალბატონო", — უნდა იყოს „მშვიდობით, ქალიშვილო".

65-ე გვერდზე ასეთ გაუგებრობას აქვს ადგილი. „პავკამ ამოიღო ყუთიდან „ჯუზეპე გარიბალდის" სამოცდამეორე გამოცემა და დაიწყო ამ საინტერესო რომანის კითხვა". ეს რა „სამოცდა მეორე" გამოცემაა? განა ამდენჯერ გამოიცა რუსულ ენაზე რომანი? დედანში სწერია: „вытащил из ящика шестьдесят второй выпуск"... აქ ლაპარაკია სამოცდამეორე ნაკვეთზე (ოდესღაც ეს რომანი იაფფასიან ცალკეულ ნაკვეთებად გამოდიოდა) და არა 62-რე გამოცემაზე. მთარგმნელმა выпуск მარტო ერთი მნიშვნელობით მიიღო მხედველობაში. თუმცა ისიც გასაკვირია, შემდეგში მაინც რატომ ვერ შეამჩნია თავისი შეცდომა. რამდენიმე გვერდის შემდეგ, პავკა ამბობს: „მე სამოცდარვა გამოშვება წავიკითხე. ხელფასის ყოველ მიღებაზე ხუთ-ხუთ ცალს ვყიდულობ". პავკა ეს-ეს იყო 62-ე გამოცემას კითხულობდა, ახლა კი 68-ეს. მეორეც ის, რომ პავკა „ხუთ-ხუთ" რომანს რომ არ იყიდდა, განა ისედაც ცხადი არ უნდა იყოს? თვალნათლივ ჩანს, რომ საქმე აქ მთარგმნელის დაუდევრობაშია.

პავკა დედას თხოვს ხალათი მიყიდეო. დედაც მზად არის სურვილი შეუსრულოს თავის ვაჟს და ეუბნება: „конечно, конечно". თარგმანი: „რასაკვირველია, რასაკვირველია". სჯობდა კი — „უსათუოდ, უსათუოდ".

ავტორი ამბობს: „Парикмахер разбитной парень". მთარგმნელი: „დალაქი გაქნილი ყმაწვილი იყო". „Разбитной" არის მარჯვე, მოხერხებული, გერგილიანი, ყოჩაღი. „Атаман... захватывал власть". „ატამანი... მიიღებდა ძალაუფლებას" (73 გვ.). როგორ თუ „მიიღებდა"? ნებასურვილით თუ გამოძალვით?

„Партизанские отряды" უნდა ითარგმნოს არა „პარტიზანულ ნაწილებად", არამედ „რაზმებად".

„Всыпали ему плёток с двадцать". „ოცი როზგი (!) დაარტყეს". ერთი რომ, „плётка" — მათრახია. გამოდის მათრახით სცემეს. „როზგი" რაღა შუაშია? ანდა, თუ მაინც და მაინც „розга" გვინდა, „розга" ხომ წკეპლაა.

„ბუფეტში ზორბად სვამდნენ პერვაჩსა და სამოგონს" (76-ე გვ.) „Изрядно накачивались в буфете первачом, самогоном" მთარგმნელს ჰგონია ორი სხვადასხვა სასმელია ეს რაღაც „პერვაჩი" და „სამოგონი". სინამდვილეში კი „პერვაჩი" იგივე „სამოგონია", მხო-

ლოდ, „სამოგონის“ პირველ ნახად არაეს ეძახიან „первач“ (ასე ვთქვათ, „первичный“ — პირველადი). დედანში ხომ ასე სწერია: „первач, самогон“ და არა „первач и самогон“.

„რუხმა ფაშატმა“... (85-ე და კიდევ 95-ე გვ.). რუხი — უფრო მგელზე იტყვიან. ცხენს შეეფერება: სისვი, ნისლა და სხვა.

„Во избежание возможных осложнений“ — „ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“. გაუგებრობის აცილება კი არა, შესაძლებელი გართულების.

89-ე გვერდზე: რამდენი სიცოცხლე დაიმტვრა“. რაა ეს სიცოცხლის „დამტვრევა“? ავტორი გოდებს: „Сколько исковерканных, разорванных жизней“. — ბოგრომის შედეგად.

„გაღღილპიჯაკიანი“ (99-ე გვ.) თუ პიჯაკგახსნილი?

„ქალმა დიდი თავსაფარი დაიგო“ — „Женщина разостлала большой платок“, თუ — ქალმა თავშალი დაიგო?

„კუთხეში ჩრდილი შეინძრა“ (118-ე გვ.). ჩრდილი კი არა, ლანდი. „Тень“ ზოგან, ჩრდილი არაა.

129-ე გვ. „ჰკითხა თაროზე ჩამომჯდარ მოხუცს“. „Нары“ — უფრო ტახტია. მაშ, „ტახტზე ჩამომჯდარს“. (თაროზე ჩამოჯდომას ძალიან მარჯვე კაცი უნდა და არა მოხუცი).

128-ე გვ. „მოშორდა ცხაურს“. აქ „решётка“ — გისოსია.

127-ე გვ. „დაიკარგეთ აქედან, თორემ თქვენ ხორციდან კატლეტებს გავაკეთებ“. ასეთ ქართულს, ვფიქრობთ, მთარგმნელიც იშვიათად შეხვდება. ჩვენ კი არც ერთხელ არ გვსმენია. გაგვიგონია: — „კატლეტივით დაგკეპავ!“ სიტყვა „лязг“ ყველა შემთხვევაში მთარგმნელს „ჟღარუნით“ აქვს გადმოცემული. (144-ე, 276-ე გვ. და სხვ.) მაგ. ჯავშნიანი ავტომობილის ჟღარუნი, ძალაყინის ქვაზე მოხვედრისას ჟღარუნი, ტრამვაის ჟღარუნი და ა. შ. საჭირო იყო კი ეხმარა: ზოგან ჩხარუნი და, განსაკუთრებით ღრჭიალი.

იგნატევა — წყნარი, თავდაჭერილი ქალია (выдержанная) (147-ე გვ.). უნდა იყოს მტკიცე, ურყევი. იმას მიანდო პარტკომმა „საბჭოთა ორგანოების ჩამოყალიბება“.

გვარი Пыжицкий რატომღაც გადაკეთებულია ტიჟიცკით და გამეორებულია ერთი ხუთჯერ (147 — 148-ე გვ. გვ.).

„Прощайте, товарищи, ушедшие в подполье“ (რუს. 135-ე გვ.) „მშვიდობით, ამხანაგებო, სარდაფქვეშ ჩასულნო“ (169-ე გვ.). უნდა იყოს — იატაკქვეშ მომუშავენო.

უხეიროდ დაიწყო 169-ე გვერდზე მერვე თავის თარგმანიც. მდინარე „журчит по прибрежным камешкам-голышам“. „რიყის ტიტველ (!) ქვებზე რაკრაკებს“. მდინარე იმიტომ „არაკრაკებს“ ნაპირზე, რომ იგი აქ კენჭებზე გადარბის. „Голыш“ — კენჭია, უბრალო კენჭი!

„სტეპის სიცხით გადამწვარი მეომრები“ (172-ე გვ.). გატრუსული, ან გარუჯული — „зноем опаленный“.

„Коридор из жандармов“ — „ჟანდარმთა დერეფანი“ (186-ე გვ.). აქ აჯობებდა „კორიდორი“ დაგვეტოვებია. ასევე „палаш“ — უკეთესია ითარგმნოს „მახვილი“ (თარგმანით: „ხმალი“). იქვე: „откидывающийся столб“ — „გადაწეული ბოძი“ — უფრო სწორი იქნება — გადასაკეცი, ან გადასაგდები ბოძი. (საჭიროებისას ბოძს გადაკეცდნენ და ზედ ათავსებდნენ ფიცარნაგს).

აფეთქების გამო ფანჯრის „მინები წვრილი ნაფოტებივით (щебень) ცვივოდა“. (190-ე გვ.). (წერილი) ღორღივით — რადგან щебень ღორღია.

„Павел закусил губы“. „პავლემ თითზე(?) იკბინა“. (198-ე გვ.).

„სადგური საალყო წესებით ცხოვრობდა“. (ამავე გვერდზე) „Вокзал в те дни переживал настоящую осаду“ — ჭარბად მოწოლილ მგზავრებისა გამო, სადგური თითქოს გარემოცული იყო.

„ვაგონის სამაჯურს მოჰკიდა ხელი“ (212-ე გვ.). სამაჯური — მანეეტი, პერანგის გახამებული სახელოს ბოლო უნდა იყოს .

„Блатная брашка“ (რუს. ტექსტ. 172-ე გვ.). „ავაზაკი“ (ქართ. — 215-ე გვ.). როგორც მოთხრობიდან ჩანს აქ საქმე ეხება ოთხ პირს — „ხულიგან ძმა-ბიჭებს“ брашка ბრატვა), და „თავისუფალი“ თარგმანი — „ავაზაკი“ (ისიც მხოლობით რიცხვში) არც თუ ისე „ზუსტია“.

„Тихо в кадетской роще. Высокие молчаливые дубы“ ღა სხვ. თარგმანი (227-ე გვ.): „კადეტების“ ფიჭვნარში (!) სიწყნარეა. დგანან მაღალი, მდუმარე მუხები... (ზაზი ჩემია — მ. კ.) როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, ქალიშვილს, „пушистые ресницы“ აქვს (ავტორით). მთარგმნელს: „ბუსუსიანი წამწამები“ და ამ

ხავერდოვან წამწამებს თავის მხრივ ურთავს — „შავი პეპლის ფრთებს ჰგავდაო“ (229-ე გვ.).

233-ე გვერდზე „предгубисполком“-ის შესატყვისი სიტყვაა „რუსულბასი“. უნდა გამოვტყდეთ: ვერ მივხვედრილვართ თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა?

„Тут и жевать нечего“. იმ აზრითაა ნათქვამი, რომ მიკიბულ-მოკიბულად ნუ ლაპარაკობო, პირდაპირ ითქვეთ: მთარგმნელს აქვს: „დასაღეჭი არაფერია“ (233-ე გვ.)

„В шелястую дверь дул ветер“. „კარის ნახვრეტიდან (!) ქარი შემოქროდა“ (თუ უბერავდა? მ. კ.) (239-ე გვ.) კარი, ალბათ ცუდად მორგებისა და დაზიანების გამო, ჭუჭრუტანებიანიც იყო და მოფარღიატოც (шелястая).

„...Подвижной как ртуть“. „სინდიყივით მოძრავი“ (240-ე გვ) ჩვენში კი ამბობენ: „ვერცხლის წყალივით მოძრავიო“.

ერთმა უფეხო მეომარმა „ვიღაც უფროსს ხეთქა პალო თავში“. (274-ე გვ.). „Ударил какую-то власть по голове клюшкой“. Клюшка — ყავარჯენია და არა პალო. (ყავარჯენი ხომ უფეხომ „ხეთქა“?).

ქართულ თარგმანში სრულებით გამოტოვებულია რუსული ტექსტის ექვსი გვერდი (247 — 252-ე გვ). მთარგმნელს გამორჩენია რომანის ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდი, სახელდობრ, პავლე კორჩაგინის მიერ ცნობილი ბანდიტის „Васка череп“-ის იძულებითი მკვლელობა.

აქ დაუდევრობას აქვს ადგილი, რადგან განმეორებით წავაწყდით თარგმანში რუსული ტექსტის სამი გვერდის ხარვეზს. (რუს. ტექსტით 342, 3, 4 გვ. — ქართულით 422-ე).

„Пегая кобыла чувствует шенкеля“ (256-ე გვ. რუს. ტექსტით) „ამლაყი ჭაკი გრძნობს აღვირს“ (313-ე გვ.) шенкель ნიშნავს ცხენისათვის დეზის ოდნავ კვრას. ასე რომ, აღვირი აქ არაფერი შუაშია.

„არა ერთი ათასი დაქანგული ქანჩი ჩაუხრახნია გასაღებით შეიარაღებულ მის ხელებს“ (317-ე გვ.). „გასაღებით“ კი არა, ქანჩს უჭერენ ქანჩსაღებით ან საბრუნით.

ავტორი ახსენებს: Сермяжная Русь (რუს. ტ-ის 259-ე გვ.) მთარგმნელი გვიხსნის: ჩამორჩენილი რუსეთიო (317-ე გვ.) ვიცით რევოლიუციამდელი რუსეთი ჩამორჩენილი რომ იყო. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში როდი ყმარა ასეთი „ახსნა“. „Сермяжная Русь“-ით გამოხატავდნენ ცნებას, რომ რუსეთი — „გლეხური რუსეთი“-აო. სიტყვა კი წარმოიშვა გლეხის ტანსაცმლისგან — сермяга ხიფთანი.

„В ассенизационном обозе“. „საასენიზაციო საბარგულებში“(389-ე.) — კი არა — „აღალში“ (უფრო სწორედ — აღალით), რადგან „საბარგულებში“ ზიდვა მოუხერხებელიცაა და ანტისანიტარულიც.

389-ე გვერდზე გამოტოვებულია რომანისის დასახელება: „Пылала ночь восторгом сладострастья“ რატომ? ავტორი კი ამ დამახასიათებელი რომანსის აღნიშვნით, გვამცნობს, თუ რას წარმოადგენდა „ნეპის“ დროს ესტრადა თავისი „მსუბუქი“ ჟანრით.

ჯერჯერობით ეს მაგალითებიც საკმარისია.

ის გარემოება, რომ ზოგან ესა თუ ის აბზაცი კარგადაა თარგმნილი, სავსებით მაინც ვერ გამოისყიდის თარგმანის საერთო დაბალ დონეს, რადგან, გარდა დაუშვებელი შეცდომებისა, ასეთი თარგმანით სრულიად არ შეიცნობა ნ. ოსტროვსკის არც წერის მანერა და სტილი, არც მისი ინდივიდუალობა.

მიხ. კაკაბაძე

ვლ. ტატიშვილი — „ქართველები მოსკოვში“. ისტორიული ნარკვევი

პატივცემულ ვლ. ტატიშვილის ნაშრომი „ქართველები მოსკოვში“ მეტად საყურადღებო საკითხისადმია მიძღვნილი. ამ საკითხის შესახებ მასალები ნაკლებადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის. ავტორს მიზნად დაუსახავს ამ ხარვეზის შევსება. ამასთანავე ავტორი ცდილა თხზულებისათვის მიეცა „ისტორიული ნარკვევის“ ხასიათი. ეს პრეტენზია აშკარად ეტყობა სარეცენზიო შრომას, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით ეს წიგნი ისტორიული ნარკვევის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, თუმცა მასში არაერთი ისტორიული ძეგლია გამოყენებული.

ისტორია არ არის რომელიმე ძეგლში მოცემული ამბის მარტო მხატვრული თხრობა, ისტორიულ ნარკვევს ჩვენ სხვა მოთხოვნებს ვუყენებთ. ოფიციალური ხასიათის ძეგლებში დაცული ცნობების მხატვრული თხრობა რომ საკმარისი იყოს ისტორიული სინამდვილის აღსადგენად, მაშინ იოანე IV (მრისხანედ წოდებული) ყველაზე გულჩვილ ადამიანად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც საქართველოს უბედურებით თვალზე ცრემლი არ შეშრობია

„Два года тому учинилась весть государю нашему, что Иверскую землю Кизылбаш воевал, и государь наш вельми о том скорбел и до слёз“ (С. Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. LIV).

ამ სიტყვებით უნდა ელაპარაკნა ინსტრუქციის მიხედვით იოანე მრისხანის ელჩს პოლონეთის სამეფო კარზე 1558 წელს.

ძეგლის გადმოწერა და ისიც მისი მხატვრული თხრობა არ კმარა იმისათვის, რომ ისტორიული მოვლენების არსი გავიგოთ. ავტორს არ აუხსნია საკითხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან .დროის გარკვეული მონაკვეთის ფარგლებში. წიგნში არ არის ახსნილი, თუ რა მოსაზრებით იქნა წაყვანილი ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში. ვერც იმაზე ნახავთ სწორ პასუხს, თუ რატომ სცემენ პატივს ქართველ უფლისწულს სასახლეში, ან რატომ ენიჭება ერეკლეს უპირატესობა ციმბირელ ან სხვა უფლისწულებთან შედარებით. ამ ისტორიულ ნარკვევში ერეკლე ბატონიშვილის სახელიც კი უგულვებელყოფილია და რუსული ძეგლის მიხედვით ერეკლე ბატონიშვილი ნიკოლოზ ბატონიშვილად არის გამოცხადებული (გვ. 6). ხალხთა შორის მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ არავითარი სხვაობა ძველი, რევოლუციამდელი ისტორიკოსებისა და ვლ. ტატიშვილის თვალსაზრისს შორის არ მოჩანს. ავტორის აზრით იმთავითვე სიყვარული, კაცთა შორის სათნოება და მეგობრობა არის აღმოცენებული მოსკოვის მეფესა და ქართველ პოლიტიკოსებს შორის. მე-11 გვერდზე ვკითხულობთ: „ვერც თავადმა ვოლკონსკიმ, რომელიც სასულიერო პირთა დიდი ამალით კახეთს ჩავიდა, ვერც თავადმა მიშეცკიმ, რომელმაც თეიმურაზს ხელმწიფისაგან ნაბოძები სიგელი, ოცი ათასი ეფიკმა და ორმოცდაექვსი სიასამური მიართვა, ვერ გააკეთა ის, რაც მთავარი იყო: მათ ვერ უამბეს ხელმწიფეს და ვერ დაარწმუნეს იგი, თუ რა დიდად მოიგებდა მოსკოვი და მთელი საქრისტიანო, თუ საქართველო, ქვეყანა, სადაც ინახებოდა კვართი უფლისა და სადაც მართლ-მადიდებელთა უამრავი ტაძარი იყო, უსჯულოთა შემოსევისაგან დაცული იქნებოდა“.

როგორც ვხედავთ, წიგნის ავტორისათვის რუსეთის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად და გამოსავალ წერტილად „კვართი უფლისა“, მართლმადიდებელთა უამრავი ტაძარი და ქრისტიანობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რუსეთის ელჩები ვოლკონსკი და მიშეცკი აღმოჩნდნენ უვარგისები, მათ ვერ დაარწმუნეს რუსეთის მეფე, თორემ მიხეილ რომანოვი ყველაფერს გააკეთებდა და რუსეთი დიდად მოგებული დარჩებოდა მართლმადიდებლური საქართველოს ეკლესიების დაცვით. პატივცემული ვლ. ტატიშვილი ბოდიშს ხდის [illegible] რომანოვს, რომელსაც თითქოს საბინლად ეცოდებოდა ქართველი მეფეები, თითქოს ელჩები, ეფიმკები და სიასამურის ბეწვიც სიბრალულის გრძნობის შედეგად იგზავნება კახეთის მეფის მისამართით. ასეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსების ხელში რუსეთი არასოდეს არ ყოფილა.

საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩები პირნათლად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ელჩებმა უდავოდ სწორი ინფორმაცია მიაწოდეს რუსეთის დიპლომატებს და მათ ხელმძღვანელს — მეფეს და, რომ რუსეთის პოლიტიკოსები ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარების კურსში იყვნენ, ეს იქიდანაც ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ რუსეთი მე-17 საუკუნეში საქართველოს საქმეებში აქტიურად არ ჩაერია. ავტორი ფიქრობს „საქართველო ბევრს როდი ითხოვდაო“ (იხ. გვ. 48). მაგრამ ასეთი მსჯელობა აშკარა გულუბრყვილობაა. ქართველ დიპლომატებს რუსეთის თურქეთ-ირანის წინააღმდეგ ომში ჩაბმა სურდათ. ქართველი მეფეები რომ დავიანთ წერილებში მარტივად წარმოუდგენდნენ საქმეს რუსეთის სამეფო კარს დახმარების თხოვნის დროს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე მარტივად დასაძლევი იყო ან და თვით ქართველ პოლიტიკოსებს საქმის სირთულე არ ესმოდათ.

ჩვენში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ირანი და თურქეთი ვერ შეურიგდებოდნენ რუსეთის შემოჭრას ამიერკავკასიაში, მაგრამ რუსეთის ძლიერების იმედი ჰქონდათ მე-17 საუკუნეში. მე-16 საუკუნეში საინტერესო ფაქტი გვაქვს იმის გასაგებად, თუ რა კარგად ერკვეოდნენ ქართველი პოლიტიკოსები შექმნილ ვითარებაში. ცნობილია, რომ გარკვეულ ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე ლევან კახთა მეფეს იოანე მრისხანემ დამხმარე რაზმი გამოუგზავნა მე-16 საუკუნის სამოციან წლებში. ამ რაზმით კახეთის ციხეებს იცავდა ლევანი რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ როგორც კი ირანმა გაძლიერება დაიწყო შაჰ თამაზის დროს, ლევან მეფემ რუსთა რაზმი რუსეთში გააბრუნა. რას ნიშნავს ლევანის მოქმედება? რუსული ორიენტაციის უარყოფაა თუ არა? რა თქმა უნდა, საბოლოოდ არა. ლევანი აშკარად ხედავდა, რომ იმ ხანად რუსეთს არ შეეძლო ამიერკავკასიაში ბატონობისათვის ხანგრძლივი ომების წარმოება, კახეთში მყოფი რუსთა რაზმი მხოლოდ ირანის გაღიზიანებას შესძლებდა და კახეთი განადგურდებოდა. ამიტომ რუსთა რაზმის კახეთში ყოფნა ზიანის მეტს არაფერს მოიტან-

და და მისი რუსეთში გაბრუნება ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო იმ პირობებში.

მე-17 საუკუნეში კი ქართველებს რუსეთის ძლიერების იმედი ჰქონდათ. რუსეთი საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიისადმი და მოსალოდნელ რუსეთ-თურქეთ-ირანის ხანგრძლივ ომში ქართველობის შენარჩუნების პერსპექტივა მკაფიოდ ესახებოდათ საქართველოს — მართველ წრეებს. რუსეთი ხომ სარწმუნოებრივადაც მისაღები იყო, ხოლო სხვა მხრივ რუსეთი მაშინ არავითარ საშიშროებას არ ჰქმნიდა. ამას გარდა რუსული კულტურა, რომელსაც ქართველები უკვე იცნობდნენ, რუსეთთან მჭიდრო კავშირს მიმზიდველს ხდიდა. რუსეთი იმ დროს აღმოსავლური საქონლით იყო დაინტერესებული, ამავე დროს იგი ამ საქონლის სატრანზიტო გზაც იყო და საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებზე დაყრდნობით რუსეთის სავაჭრო კაპიტალის საქმეების მოწესრიგებასთან ერთად ფეოდალურ ექსპანსიას გზას უხსნიდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ასეთ რეალურ ინტერესებზე იყო აღმოცენებული რუსეთისა და საქართველოს ფეოდალთა გარკვეული წრეების ურთიერთობა და არა ქრისტიანული კაცთმოყვარეობისა და მონასტრების გადარჩენის პრინციპებზე და ვინც მე-17 საუკუნის რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობას იცნობს, მისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ რუსეთს არავითარ შემთხვევაში არც მიხეილ რომანოვისა და არც ალექსი მიხეილისძის დროს თურქეთ-ირანის წინააღმდეგ ხანგრძლივ ომში ჩაბმა ამიერკავკასიის უბანზე არ შეეძლო.

ქართველი პოლიტიკოსები კი რუსეთისაგან ამ ხანგრძლივ ომში ჩაბმას მოითხოვდნენ. უმართებულოა საქართველოში მოვლენილი რუსი ელჩებისადმი ავტორის მიერ წაყენებული ბრალდება. მოსკოველ მეფეებს საბოდიშო არაფერი აქვთ — კერძო საკუთრების პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს ნორმალურ მესვეურებს პირველ რიგში ამ სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად უნდა ემოქმედნათ. ქართველი ბატონიშვილის რუსეთში მძევლად წაყვანა რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო გამოწვეული. თეიმურაზი რუსულ ორიენტაციაზე მტკიცედ იდგა, მაგრამ თეიმურაზის გვერდით, მეზობელ ქართლში, იყო როსტომ მეფე, რომელიც ირანს ეყრდნობოდა. მაშასადამე, რუსული ორიენტაცია ერთადერთი ღონისძიება არ ყოფილა ქართველ პოლიტიკოსებს შორის. რუსეთს უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ თეიმურაზის გარდაცვალების შემთხვევაში რუსული ორიენტაცია არ გამქრალიყო საქართველოში. [illegible] რუსეთისათვის ხელსაყრელი [illegible] ომის დროს. ერეკლე ბატონიშვილს [illegible] რუსეთის სამეფო კარზე აღზრდა სწორედ რუსეთის შორეული გეგმის ერთი ნაწილის რეალიზაციის ცდა იყო.

ქართველ ბატონიშვილს რუსეთის სამეფო კარზე თავისი უფლებები ჰქონდა და ეს უფლებები ფეოდალური საზოგადოების პრინციპებზე იყო აღმოცენებული. ციმბირელ ბატონიშვილებსაც თავისი საკადრისი პატივი ჰქონდათ. რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს ცნობილი თანამშრომელი, თეიმურაზ პირველის და ერეკლე ბატონიშვილის თანამედროვე და მათი მოსკოვის სასახლეში მიღების უშუალო მოწმე გრ. კოტოშიხინი თავის შესანიშნავ თხზულებაში წერს: „... Да в царском ж чину царевичи Сибирские Касимовские, крещены в христианскую веру. Честию они бояр выше; а в думе ни в какой не бывают и не сидят, потому что государства их и они сами учинилися в подданстве после воинского времени, недавне“.[1]

აქ კოტოშიხინი ხაზს უსვამს ერთ გარემოებას: ციმბირელი ბატონიშვილები ომის შედეგად არიან რუსეთის მეფის ქვეშევრდომები. თუ რას ნიშნავს ეს ფეოდალურ საზოგადოებაში, ამას იმავე გრ. კოტოშიხინის მიერ საქართველოს შესახებ მოყვანილი მაგალითებიდან დაინახავს მკვლევარი. კოტოშიხინი წერს:

„... А как грузинской царевич с материю своею был на Москве, или впред будет, и ему честь была такова, что природному сыну царскому... и за него может быть что царь выдаст дочь или сестру свою царевну, понеже он не полоненыи есть, но единые с ним веры, а землею его царь (იგულისხმება რუსეთის მეფე) не владеет...“[2]

მაშასადამე, ერეკლე ბატონიშვილის პატივი ფეოდალური მოსკოვის სამეფო კარზე ორმა ფაქტორმა განსაზღვრა — ჯერ-ერთი, საქართველოს პოლიტიკურად არსებობამ და მეორეც — რუსეთის ინტერესებმა სამხრეთში. ასეთია რეალური საფუძველი ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვის სამეფო კარზე პატივისა ციმბირელ თათ-

[1] Гр. Котошихин. О России в царствование Алексея Михаиловича. 1906. გვ. 27.

[2] იქვე.

რების მოდგმის უფლისწულებთან შედარებით და არა იმთავითვე თავისთავად არსებული სიყვარული.

რაკი ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვის მეფის სასახლეში ყოფნაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე ერთ შეცდომაზე გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ. ავტორი, აღწერს რა ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვის მეფის სასახლეში მიღებას, ეს თერთმეტი წლის ქართველი ბატონიშვილი, საზეიმო სადილებზე მიპატიჟებული სასმელით სავსე — „ფიალას“ (გვ. 22) ან „ათასყაშულს“ (გვ. 24) სცლის, ზოგჯერ „დინჯად, აუჩქარებლად, თანაბარი ყლუპებით“ (გვ. 22), ზოგჯერ (გაუგებარი მიზეზების გამო) „წარბებმოღუშული, ტუჩებთან ნაოჟით, ნაცრისფერი უდარდელი თვალებით...“ „დაცალა თასი და დაუბრუნა იგი პეტრე ჩერკასკის“... (გვ. 25). მოსკოვის არქივში დაცული თეიმურაზ მეფის ერთი წერილიდან კი, რომლის რუსული თარგმანიც იქვეა მოცემული, ავტორი დაინახავდა, რომ ერეკლე ბატონიშვილისათვის რუსული სასმელი სრულიად არ უნდა დაელევინებინათ. ერეკლეს რუსეთში გამგზავრებისას თეიმურაზი მოსკოვის მეფეს ალექსი რომანოვს წერს: „... А царевича Ираклия не поите горячим вином, понеже оному не извечен, только понемного красого питья давайте“. [1]

გაუგებარია, რატომ სჭირდება ამხ. ტატიშვილს, რომ ერეკლე ბატონიშვილი სიყრმისას კარგ მსმელად დაანახვოს ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

რუსული წყაროების ტექსტის გაუგებრობაზე აღმოცენებული მსჯელობაც მოიპოვება რეცენზირებულ ისტორიულ ნარკვევში. 46-ე გვერდზე ავტორი წერს: „ხელისუფლების სათავეში იდგა იმერეთის მეფე ალექსანდრე, ძალაუფლება ხელთ ეპყრა სამეგრელოს მფლობელს, მთავარს ლევან დადიანს, ქართლში მეფობდა როსტომი, მაგრამ ივერთა ქვეყნის მეფედ სთვლიდნენ არა იმას, არამედ თეიმურაზს, კაცს, რომელიც უკვე ორმოცდაათი წლის მანძილზე ეომებოდა სპარსეთის შაჰს... კაცს, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა რუსეთის მეფე ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანეთა მფარველად“. იგივე მოსაზრება ავტორს განმეორებული აქვს 83-ე გვერდზე.

აქ მოცემული დებულება მოსკოველ პოლიტიკოსებს არ ეკუთვნით. იგი აღმოცენებულია გაუგებრობის ნიადაგზე. რუსულ წყაროებში თეიმურაზ მეფე იწოდება ივერიის სახელმწიფოს მეფედ. ამხ. ტატიშვილის ივერია საქართველოს შესატყვის ტერმინად მიაჩნია და მის შეცდომებლობითი შინაარსი აქვს ჰგონია. სინამდვილეში იმ დროის რუსულში „ივერია“ მხოლოდ კახეთს ეწოდებოდა, და როცა წერდნენ „Иверской царь“, იგულისხმებოდა კახეთის მეფე. რუსეთში სრულიადაც არ არსებობდა ისეთი გეგმა, როგორიც ამხ. ტატიშვილმა მოგვცა ზემოთმოყვანილ ამონაწერებში. ავტორს რომ გულდასმით შეესწავლა რუსული ფიცის წიგნი, რომელზედაც მოაწერეს ხელი კახეთის მეფეებმა და უკანასკნელად თეიმურაზ პირველმა, დაინახავდა, რომ თეიმურაზს მეფის ტიტულის დატოვებასაც ედავებოდა რუსეთის დიპლომატია. ფეოდალურ სამყაროში თხა და მგელი სრულიადაც ერთად არ სძოვდა. არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ორი სხვადასხვა მოვლენა: რუსეთი ირან-თურქეთთან შედარებით პროგრესიული მოვლენა იყო, ქართველ პოლიტიკოსებს ალღო სწორი ჰქონდათ, ორიენტაცია რუსეთზე უდაოდ გამართლებული იყო, მაგრამ რუსეთის მეფე და მისი ბოიარი ისეთივე მტაცებელი და საკუთარი სახელმწიფოებრივი მიზნებით მოქმედი იყვნენ, როგორც ყოველი სხვა, კერძო საკუთრების პრინციპზე აგებული სახელმწიფო. რუსეთის სახელმწიფოს მართლმადიდებლობა იმ ხანაში ერთიორად ამარტივებდა ქართველობის შენარჩუნების საქმეს, მაგრამ არც აქ მოქმედებდა კაცთმოყვარეობის პრინციპი. ეკლესია პოლიტიკური იარაღი იყო, სულ ერთია—ქრისტიანული იყო ის თუ მაჰმადიანური.

ამხ. ტატიშვილს არა ერთი მცდარი დებულება აქვს წამოყენებული არჩილ მეფის თავგადასავალის თხრობის დროსაც.

მე-17 საუკუნის მოვლენები ცალკე შესასწავლია. მე-17 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის რუსული ძეგლების მხატვრული თხრობა საკმარისი არ არის. აქ საჭიროა საქართველოს ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა პირველწყაროებზე დაყრდნობილი.

წიგნში ერთგან აღნიშნულია, რუსეთის ელჩნა მიშეცკიმ თეიმურაზს სხვა საჩუქრებს შორის „ორმოცდაექვსი სიასამური მიართვაო“ (გვ. 11). საიდან აიღო ავტორმა სიასამურის ბეწვის რიცხვი (46), გაუგებარი დარჩა ჩვენთვის, სანამ არ წავიკითხეთ წიგნის ბოლოში დართული „ძველ ტერმინთა და გამოთქმათა განმარტება“. სამურის (ან სიასამურის) ბეწვი იგზავნებოდა რუსეთის სამეფო კარიდან საჩუქრად ან გასაყიდად სათვალავით. მისი თვლა ჩვეულებრივი წესით არ ხდებოდა. ტექსტში

[1] ЦГДА Дела грузинские 1652 — 1654. ст. 2 № 4 Приезд царевича... გვ. 66.

მის სათვალავს ასე ამოვიკითხავთ: „один сорок в 250 рублев, сорок во 150 рублев, два сорока по 100 рублев“ რას ნიშნავს სიტყვა „сорок“? ამხ. ტატიშვილს ასე აქვს ეს სიტყვა განმარტებული (გვ. 161): „сорока“ — საზომი ერთეული სიასამურის ან სხვა ცხოველთა ტყავების დასტების დასათვლელად. მაგ. сорок соболей ციფრს 40-თან არაფერი საერთო არ აქვს“. განმარტება სწორი არ არის. „сорока“ ძველ რუსულში ეწოდებოდა იმ ბოხჩას, რომელშიც დასტობით აწყობდნენ თავდაპირველად სამურის ბეწვს (და არა ტყავს). თვითეულ „сорокаში“ ორმოცი ცალი ბეწვი იყო, რადგანაც ერთი რუსული დიდი ზომის „შუბას“ სჭირდებოდა ორმოცი ცალი სამურის ბეწვი. აქედან შემდეგ რუსულ ენაში დამკვიდრდა სიტყვა „сорок“, როგორც ორმოცი (რიცხვითი სახელი). მანამდე კი ორმოცის (რიცხვის) აღმნიშვნელი სიტყვა „ჩეტირედესიატ“ იყო, როგორც „დვადესიატ“, „პიატდესიატ“ და ასე შემდეგ. ისე რომ ორმოცდა ექვსი სიასამურის ბეწვი კი არ გამოუგზავნიათ თეიმურაზისათვის არამედ ორმოცდაექვსი ორმოცეული (сорок) 2220 მანეთად ღირებული.[1]

ეხლა თუ ჩვენ მე-17 საუკუნის მანეთს შეკუდარებთ მე-19 საუკუნის ოქროს მანეთს დავინახავთ, რომ თეიმურაზისათვის გამოუგზავნიათ რუსეთიდან (2220 × 14) 31.080 ოქროს მანეთად ღირებული მარტო ბეწვეული. იქნებ ვინმემ იფიქროს ამ ანგარიშს ისტორიული ნარკვევისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ ფაქტიდან ჩვენ ვხედავთ თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის კახეთის მეფესთან მტკიცე კავშირი. უანგარიშოდ არავინ არავის არაფერს არ გაუგზავნის.[2]

წყაროს საფუძვლიანად შეუსწავლელობის კვალი ერთი არ არის ამხ. ტატიშვილის ნარკვევში.

ნაშრომში ხშირად იხსენიება „გრანოვიტი პალატა“, სადაც რუსეთის მეფე საპატიო სტუმრებს იღებს, მათ შორის ერეკლე ბატონიშვილსაც. ავტორს ამ სიტყვის განმარტებაც მოუცია (გვ. 159) „Гранновитая палата — დარბაზი კრემლის სასახლეში. ამ პალატას საფუძველი ჩაუყარა იტალიელმა არქიტექტორმა პეტრე ანტონიმ 1787 წელს; აგება დამთავრდა 1791 წელს...“ ეს განმარტება მცდარი არის. როგორ მოხდა, რომ მე-18 საუკუნის მიწურულში აგებულ პალატაში მე-17 საუკუნეში ერეკლე ბატონიშვილს და თეიმურაზ პირველს დიდის ზეიმით ღებულობს ალექსი რომანოვი თვით ტატიშვილის „ისტორიულ ნარკვევში“? „გრანოვიტაია პალატა“ დარბაზი კი არ არის, არამედ მთელი შენობაა, აგებული მე-15 საუკუნეში იოანე III-ის დროს იტალიელი ხუროთმოძღვრების მარკოს რუფისა და პეტრე ანტონიოს მიერ. ეს შენობა არაერთხელ დაზიანდა ხანძრისაგან და მე-18 საუკუნის ბოლოს რადიკალურად გადაკეთდა. მოყვანილ „განმარტებაში“ სხვა შეცდომებიც არის.

რატომ არ თარგმნის „გრანოვიტი პალატას“ „ნარკვევის“ მთარგმნელი გაუგებარია. ასევე გაუგებარია 162-ე გვერდზე მოსკოვის მთავრის ვასილ II-ის მოხსენება „ვასილ ტიომნად“. რუსულ გამოთქმას თუ ვიცავთ, მაშინ ასე უნდა ვწეროთ: პეტრე ველიკი, იოან გროზნი, ეკატერინა ველიკაია, „ლეედიმიტრი“ და ასე შემდეგ. მაგრამ ქართულში ყველა ეპიტეტი თარგმნილია. ეტყობა სიტყვა „ტიომნი“ გასაგები არ უნდა იყოს ავტორისათვის თუ მთარგმნელისათვის. „ტიომნი“ ძველ რუსულში ბრმას და უსინათლოს ნიშნავდა. მართლაც ვასილ ვასილის-ძე დააბრმავეს, მას თვალები დასთხარეს შინათაშლილობის დროს და ამის შემდეგ რუსული ძეგლები მას ვასილ უსინათლოს — ბრმას უწოდებენ.

როგორც ვნახეთ წიგნი შეცდომებით არის დამძიმებული, მაგრამ პირუთვნელობა მოითხოვს იმის გარკვევით აღნიშვნასაც, რომ პატივცემული ვლ. ტატიშვილის წიგნი ისეთ მასალას აწვდის მკითხველს, რომელზედაც აქამდე ცნობები ან სრულებით არ გააჩნდა ან მცირედ. აღსანიშნავია აგრეთვე წიგნში მოცემული სურათების მნიშვნელობა მკითხველისათვის — სურათის მეოხებით ისტორიული ფაქტი უფრო მტკიცეთ ჯდება მეხსიერებაში.

ი. ცინცაძე.

---

[1] М. Полиевктов. Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию. 1928. გვ. 56.

[2] XVII საუკუნის მანეთიანი ღირებულების შეფარდება მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათი წლების რუსულ ოქროს მანეთთან იხ. Ключевский. Русский рубль XVI — XVIII в. в. в его отношении к нынешнему. გამოკვლევა მოთავსებულია კრებულში: „Опыты и исследования“, გვ. 211.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

83·

მოწინავე წერილი — ვ. ი. ლენინი 3
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, — ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1949 წლის 25 იანვარს 10

—

ალექსანდრე აბაშელი — ლენინის დროშით, ლექსი 76
ნიკოლოზ (კოლაუ) ნადირაძე — ლენინი ოქტომბერში, ლექსი 77
ვარლამ ჟურული — სიმღერა დიდ ლენინზე, ლექსი 78
აკაკი თოფურია — ლენინი ქოხში, ლექსი 80

—

ლავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება 82
ვახტანგ გორგანელი — ახალწლის ღამე, ლექსი 96
ილო მოსაშვილი — ჩაძირული ქვები, პიესა 97
მარიამ გარიყული — ტყიბული, ნარკვევი 142
გონდო კეშელავა — მეაბრეშუმე ცირა, ლექსი 153
იაკინთე ლისაშვილი — ახალი მესხები, ნარკვევი 155
ოთარ მამფორია — მოხუცი მებაღე, ლექსი 159

—

ვლადიმერ ჭიაურელი — გამარჯვებულთა ყრილობა, წერილი 160
ლავროსი კალახდაძე — ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ, წერილი . . 167
კონსტანტინე გამსახურდია — სულხან-საბა ორბელიანი, წერილი 188
ი. ენაკოლოფაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“-ს დაწერის ისტორია, წერილი 203

—

მიხეილ კაკაბაძე—ნ. ოსტროვსკი, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ბიბლიოგრაფია 206
ი. ციხცაძე — ვლ. ტატიშვილი, „ქართველები მოსკოვში“, ბიბლიოგრაფია . . 210

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი. ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), გესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 13½ ფ. უე 01124.
შეკვ. № 1976. ტირაჟი 5200.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательств при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, Марджанишвили, 5.